ივერია

1883

№№ VII და VIII, ივლისი და აგვისტო

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1883

შინაარსი:

I წერილები ლორენცო ბენონისა (შემდეგი) თარგმანი ელ. მამულაშვილისა. 3

II ობოლი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . . . 69

III ოსმალოს სომხეთის საქმე ზ. ჟ—სა. . . 70

IV ტეტიას მოთქმა (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . 96

V წამება ქეთევან დედოფლისა, ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად (დასასრული) ა. მოჩხუბაროძისა. 97

VI მითამ და «ახალის რაზმის კაცი» ანუ ორი ფეილტონი

ძველი ჩვეულება ახალის მწერლებისა.—ახირებული ქირი.—ახალი მწერალი.—ნიშნები ვითომც და ახალის დროისა.—ჭოცა და არაცა.—რომელი ერთი დავიჯეროთ.—ბოლიში.—სასაცილო წამალი სამწუხარო სენისა.—სხვაში ცოდვა ჩემში მადლიაო.—ახალი მეჩოდი ახალის დროის კრიტიკისა.—შენ ჰქმენ და სხვას დააბრალე.—პასუხი.—აღდგენა ძველის თეორიისა: не смѣть свое сужденіе имѣть.—რაც გინდოდეს ის შესწამე.—კაჩკოვის სისქემა მხილებისა და ბრალდებისა.—«ობისკები» ადამიანის გულში.—ნუ შეშინდებით.—ვერ ვაღიარებთ და ვერ ვიწამებთ.—ჩ ვ ე ნ რა შუაშია.—განსხვავება.—წინასწარმეტყველების გამტყუნება ასეთი უნდა.—ვიგემეთ და გავიცანით.—რა პირობით.—ძველი გზა და ძველი მეგობარი.—რა მოხდა?—ლოღიკა დანაშაულობა თუა? 117

VII ალზევანს მოვლა (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. 137

(ნახე მესამე გვერდი.)

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

№№ 7 და 8

6025

საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 августа 1883 г.

წერილები ლორენსო-ბენონისა.

(შემდეგი*)

თავი XXII

დიდი აღმოჩენა.— ტარტარონის ტანჯვა.— სან-სეკონდოს გული.

ორი წელიწადი გავიდა. მე ოც და ერთი წლისა შევსრულდი. ხშირი წვერი ამომივიდა; ულვაშებიც მქონებოდა, რომელიც უმაწვილობისას ძალიან მინდოდა, თუ რომ აკრძალული არა ყოფილიყო. ერთხელ მერლინი შემხვდა უნივერსიტეტის ტალანში და ზევითა ტუჩზედ ბალანი შემამჩნია, იმან მითხრა რომ პიონერი მგონეო. მე მივხვდი რასაც ნიშნავდა ეს სიტყვა და მაშინვე მოვიპარსე. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ხშირი ულვაში ამომივიდა, პოლიციის დირექტორმა გამომიცხადა მამიჩემის პირით, რომ, თუ ულვაშებს შენის ნებით არ მოიპარსავ, ძალათ მოგპარსავთო. ეს მუქარა ძალიან ადვილად ასასრულებელი იყო, რადგანაც ეს ამბავი პირველად ჩემზედ არ მოსდებოდა. ორი კარაბინერი წაგათრევდენ სადალაქოში და, სინამ არ მოგპარსავდენ, არ მოგშორდებოდენ. მე ამ ბრძანებას უნდა დავმორჩილებოდი.

როგორც ჩემი ძმისა, ეგრეთვე ჩემი სწავლის კურსიც თავდებოდა. ცეზარი, რომელიც უნივერსიტეტში ჩემზედ ერთის

(* „ივერია“ №№ 5 და 6, 1883 წ.

წლის უკან მიებარა, დამეწია, ჩემის ცხრა თვე გამორიცხვის წყალობით. გაგა ერთი წელიწადი და გენუას ერთი ადვოკატი და ერთი ექიმი კიდევ მოემატება, რომლებსაც ამ უკანასკნელ ორ წელიწადს მუშტარი ჰყოლებათ, ცეზარი ძალიან დავაჟკაცდა. იგი ჩემზედ ცოტა დაბალი იყო, მაგრამ ღონიერი და კარგი შეხედულობისა; იმის სახის ფერი ჯანსაღობას ამტკიცებდა; სახის გაწყობილობა თუმცა კარგი არა ჰქონდა, მაგრამ სასიამოვნო შესახედულობისა კი იყო; მშვენიერი ტუჩები და კბილები ჰქონდა; მშვენიერი გადაჭიმული შუბლი და წაბლის ფერი თმა. რაც შემეხება მე, ძალიან შავგვრემანი და გაფითრებული ვიყავი და ჩემს სიმაღლეს ჩემი ტან-წვრილობა შეეფერებოდა. დამშვიდებულს დროს უსიცოცხლო შეხედულობა მქონდა, როგორი შეხედულობაც უმაწვილ კაცს არ უხდება. ერთად ერთს ჩემს სილამაზეს შეადგენდა შავი თმა, რომელიც ბუნებითად დახუჭუჭებული მქონდა.

ჩემი პატარა ძმა სკოლიდამ მრავალის წიგნებით და დაფნის გვირგვინებით გამოვიდა. ეს ერთად ერთი გამოჩენილი შემთხვევა მოხდა ჩვენს სახლში. მამა ჩემი წინანდებულად შუბლ-შეკრული და გულ-ცივი იყო, დედა კი გულ-კეთილი, მშვიდი და მომთმინო. რაც ჩვენ გავიზარდენით, ჩვენს სახლში უკმაყოფილება იშვიათად ხდებოდა, რადგანაც ყველანი ძალიან ვცდილობდით ერთმანეთისათვის მიზეზი არ მიგვეცა; ჩვენ მომეტებული თავისუფლება მოგვეცა; ვახშმის შემდეგ გასასეირნებლად გაპარვა აღარ გვჭირდებოდა. ბიძა ჩემმა, მღვდელმა სასიამოვნო ამბავი არ გვაცნობა ზეთის ხილის მოსავალზედ. სიცხით, თუ არ ვიცი, სიცივით ორი წელიწადია არ მოვიდაო. ამან მამა-ჩემი ძალიან დაადარდიანა და ყველას ამაზედ შესჩიოდა. ამის გამო ჩვენც მომჭირნეობით დავიწყეთ ცხოვრება.

ბიძა-ჩემი ჯოვანი წინანდებურად მეგობრულად გვექცეოდა. მე და ცეზარი იმასთან კვირაში ერთხელ სადილად მივდიოდით. იგი ყოველთვის გვიმეორებდა, რომ ბოროტება ხის ფესვებში იმალებაო, და ახალ-გაზდობას თავის ოცნებს სინამდვილე ჰგონიაო. ეტყობოდა, რომ ბიძა-ჩემი თვალ-ყურს გვადევნებდა და ჩვენ გამო სწუხდებოდა.

ჩვენი მეგობრობა ფანტაზიოსთან არა კლებულობდა, უფრო ცხოველდებოდა. იგი განთავისუფლდა უნივერსიტეტიდამ. გავლელიანი შეიქმნა. მან დაიწყო ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა. და წინა წელიწადს ტოსკანაში იმოგზაურა. ჟურნალს დიდი ხნის სიცოცხლე არა ჰქონდა: მეათე ნომრის შემდეგ ცენზორმა აუკრძალა. რაც შეეხება მოგზაურობის საგანს,—ყველასათვის გაუგებარი იყო, გარდა რამდენიმე პირისა, რომელთ რიცხვშიაც მე და ცეზარიც ვიყავით.

ჩვენ სოფელში ვიყავით. დედა-ჩემი გაცივდა და მთელს ზამთარს ავად იყო. გაზაფხულმა არ განკურნა იგი ავად-მყოფობისაგან, და ექიმებმა ურჩიეს სოფლის ჰაერით ესარგებლა, მხოლოდ ჩვენი სოფლის ჰაერით კი არა, სხვა სოფლის ჰაერით, სადაც ჰაერი უფრო სუფთა და სუბუქი იქნებოდა. ჩვენ სახლი სან-სეკონდოში დავიჭირეთ.

ამ სოფელს გულის დამატყვევებელი სიმშვენიერე ჰქონდა, გარშემო ამწვანებულის მინდვრებით იყო შემკული და მყუდროება სუფევდა. ის სახლი, რომელშიაც ჩვენ ვიდექით, მართალია დიდი არ იყო, მაგრამ სუფთა და მოხერხებული სახლი იყო. იმის ფანჯრიდამ მშვენიერი სანახაობა სჩანდა. იქიდამვე მოჩანდა ამწვანებული ყორული, რომელზედაც წვრილი და სხვილ-ფეხი საქონელი იყო გაშლილი, დაწყნარებით სძოვდენ მწვანე ბალახს და აწკარუნებდენ ყელზედ შებმულს ზარებს. შუა

ყურულში მოჩხრიალებდა წყალი, რომელზედაც ხის, მშვენიერი ხიდი იყო გადადებული. წყლის მეორე მხარეს ჩინრები იდგნენ, რომლების ბოლოზედაც მღვდლის სახლი და სოფლის ეკლესია მოჩანდნენ.

ფანტაზია ჩვენზედ ახლო იდგა. გაიხედეთ შორს, ეკლესიის იქით: ერთის მთის ფერდობზედ, რომელიც ჩვენგან პირ-და-პირ სჩანდა, პატარა სახლი სდგას. ამ სახლში იდგა ფანტაზია.

ფანტაზია დილით ადრე მოდიოდა ხოლმე ჩვენსა და ფაბეს მთაზედ ერთად ავდიოდით, მაგრამ ძალიან ნელის ნაბიჯით კი ავდიოდით, რადგანაც დედაც ჩვენ მოგვდევდა და გვეშინოდა არ დაღალიყო. რამდენსამე სიმაღლეზედ რომ ავიდოდით, დედა-ჩემს ბალიშზედ ვსვამდით და ვყარაულობდით მზის ამოსვლას. შორს, შორს ჩვენ თვალ-წინ მოჩანდა შუა დედა-მიწის ზღვა, ყოველთვის სხვა-და-სხვა მშვენიერის სანახაობისა,—და მისი წყნარი მოძრაობა ჰგავდა შეყვარებულის გულის ღელვას.

ხანდისხან ჩვენც მივდიოდით ხოლმე ფანტაზიასთან დილით ადრიანათ და ჩვენის თოფებით ტყეებსა და ველებში სანადიროთ ვეხეტებოდით. რა მშვენიერები იყვნენ ის ადგილები, სადაც ჩვენ სანადიროდ დავდიოდით! იგინი ყვავილებით იყვნენ შემკულნი, რომელთა სურნელება სამოდ იფინებოდა არე-მარეს სიოს მობერვით. რამდენჯერ დაგვიწყებია ნადირობა და მშვენიერის ბუნების ცქერაში დაგვღამებია. ოცნებებით აღვსილი გული ისე მიისწრაფოდა ცის სივრცეში, როგორც ჩვენის ფეხებიდამ აფრენილი ტოროლა.

მაგრამ საუბედუროდ ბედნიერებაზედ ჩვენ დაშორებულნი ვიყავით! მეტის-მეტი აღტაცება, მღელვარე ცხოვრება, რომელ

საც საგანი არა ჰქონდა, ტყუილ-უბრალო ოცნებაში მიმდინარეობდა, — ასეთი იყო ის ბოროტება, რომელიც ჩვენს გულს ჟანგისავით ეკრა და სწამლავდა ჩვენს არსებას. კეთილი საქმის გაკეთების სურვილი ამაო სურვილად რჩებოდა. ფანტაზიომ ორჯელ მისწერა ემისარებს წერილი, რომ რამე ამბავი შეეტყობინებინათ; მაგრამ არც ერთხელ პასუხი არ მიიღო. შემთესი არ იქნებოდა ეზარიყში თვითონ წასულიყო? მაგრამ ბილეთი როგორ ეშოვნა? რანაირად ვწუხვარ, რომ ბიძა-ჩემი მღვდელი კაფედრალური კაპიტულის წევრი არ იყო! იმის წყალობით ფანტაზიოს თავის სურვილი შეუსრულდებოდა ასოციაციის შედგენაზედ? ჩვენ დიდ ხანს არ ვიცოდით რა გვექნა. ერთი თვე იყო, რაც ალფრედი პიზიდან დაბრუნდა ექიმის ხარისხით: იმის აზრით საჭირო იყო გამოვსულიყავით ქუჩაში და დაგვეძახა: „გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს!"... — და ყველაფერი გათავდებოდა. ალფრედი კი ეხლაც ისე გულ-გრილად გვიყურებდა, როგორც მაშინ, როდესაც ის ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს პრინცესის დატყვევებაზე და ქვეშგნეთის სიმდიდრეზედ. «სად არიან ეს კარბონარები? რომელს ადგილას იმალებიან?» ეს სიტყვები ყველა ჩვენგანს პირზედ ადგებოდა.

ჩვენის იმედების აუსრულებლობა გულს მიტანჯავდა, თუმცა ჩემის ჭმუნვარების მიზეზი მარტო ეს არ იყო. ამ ცოტა ხანში ჩემს გულს იდუმალად რაღაც სტანჯავდა, ყველაფერს გულ-გრილად ვეკიდებოდი, და ჩემს არსებაში რაღაც სიცარიელეს ვგრძნობდი, — ეს გრძნობა ჩემთვის სრულიად ახალი იყო. განსაკუთრებით მას აქეთ, როცა სოფელში გადმოვსახლდით, დიდს მღელვარებასა ვგრძნობდი, რისაგამოც გუ-

ლი ხშირად დამიწყებდა ხოლმე ცემას და თვალებზედაც ცრემლები ხშირად მადგებოდა, იმის მაგივრად, რომ ამ მშვენიერს ბუნებას გავემხიარულებინე,—იგი უფრო მაღონებდა. იყვნენ წამნი, როდესაც ხალხს ვერიდებოდი ხოლმე და მარტო ყოფნა მინდოდა. რისათვისაც დავჯდებოდი ხოლმე განმარტოვებულს ხის ძირში, და ვეძლეოდი გამოურკვეველს ფიქრებს. ოჰ! რატომ არ შემეძლო დამეჭირა ერთ-ერთი იმ ჰაეროვან ქალებთაგანი რომელნიც ჩემს ოცნებაში ირეოდენ, როგორც კოდოები მზის სხივზედ! რანაირად უკან დავტოვე ის დრონი, როდესაც ოქროს ქოჩრიან პრინცესებზედ ვოცნებობდი! ეხლა ცხადად ვგრძნობდი ჩვენის მამულის მშვენიერის ქალების ძალას. ამ ცოტა ხანებში ერთმა ჩემმა ამხანაგმა დაიწერა ჯვარი და იმის ქორწილის ნახვამ სრულიად გამომცვალა; ახლად ჯვარდაწერილები ისე მშვენიერებად მეჩვენებოდენ და ისე შეყვარებულად, რომ შემშურდა;— იმისთვის კი არა, რომ ვითომც მე მდომოდეს ჩემის ამხანაგის პიეტროს ადგილას ვყოფილიყავი, არამედ იმისთვის რომ მეც მინდოდა იმისავით შეყვარებული ვყოფილიყავ! გიყვარდეს და უყვარდე— რა მშვენიერება, რამ არის!

სან-სეკონდოს ეკლესიის მღვდელი ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენსა საღამოობით დროს გასატარებლად, ხანდის-ხან ჩვენც მივდიოდით მასთან. ეს სამ-ოცი წლის კაცი ძალიან გულ-კეთილი მოხუცი იყო და სადად იქცეოდა. იმის მაგივრად რომ თავის მრევლისთვის ქადაგებები ეთქვა, იგი დიდს ყურადღებას აქცევდა თავის სოფლის ხიდებს და გზებს, უთიბავდა ბალახს და უმკიდა ყანებს მათ, რომელნიც ავად იყვნენ. იმის სახლში ხშირად ვხედავდით ხოლმე სხვა ახლო სოფლის ნაბერალ მღვდელს, რომელიც ისე ძალიან იყო ჩასუქებული,

რომ გვეგონებოდა სისუქნე ან ეხლა დაახრჩობს და ან ეხლაო. მათი საუბრის საგანი პოლიტიკა იყო; ორივე მღვდელი ლიბერალებს ეკუთვნოდენ და დაურიდებლად ჰკიცხავდენ ხოლმე მთავრობის ცუდს ქცევას. მაგრამ უცხო მღვდელი უფრო ცხარე კაცი იყო, სინამ ჩვენი მღვდელი. იგი სასტიკად ჰკიცხავდა ბერებს და განსაკუთრებით იმათ, რომელთა დასშიაც ერთხელ თვითონაც იმყოფებოდა. ამ ლაპარაკის დროს ჩვენი მეკუჭნავე დედა-კაცის ქალი ჩვეულებისა-მებრ კუთხეში მიჯდებოდა ხოლმე და ქსოვდა. ეს ქალი თექვსმეტის წლისა იყო, გლეხის ჩამომავლობისა და ძალიან საკვირველის სახისა. იმას სანტინა ერქვა, მაგრამ ჩვენ ბოშის ქალს ვეძახოდით, ამისთვის რომ იმას ბოშებისავით გიშერივით შავი და მიხაკის ფერი თმა ჰქონდა, იმისი დიდრონი შავი თვალები საკვირვლად ბრწყინავდენ და კაცს გულში ისარივით ესობოდენ. პირველს შეხედვაზედ იმის სახე მიუკალი იყო; მაგრამ როდესაც თვალს შეაჩვევდით იმის სახეში რაღაც განსაკუთრებულს სიმშვენიერეს იპოვიდით. სანტინა გულ-მოდგინებით უგდებდა ლაპარაკს ყურს და თუ როდისმე რამე მონაწილეობას მიიღებდა ხოლმე ლაპარაკში, მაშინაც თავისებურს ორიგინალურს შენიშვნას გვაძლევდა. იმას სახის მეტყველებაზედ და მიხვრა-მოხვრაზედ ეტყობოდა, რომ იგი ცხოველი აგებულებისა იყო.

ალფრედისა და სტორცას გარდა ჩვენთან სხვა ბევრი არავინ მოდიოდა. მამა-ჩემს სოფელი არ უყვარდა; ჩვენთან იშვიათად მოდიოდა: ორს კვირაში ერთხელ. რაც შეეხება ბიძაჩემს ჯოვანის და ჩემს უფროს ძმას, რომელსაც, როგორც ვექილს, კარგი გასავალი ჰქონდა,—საქმეებისა გამო მომეტებულად გენუაში იყვნენ ხოლმე, კვირა დღეს კი სანსეკონდოში მოდიოდენ. ჩვენ კი ქალაქში ხშირად ჩავდიოდით, რადგა-

ნაც ჩვენგან საათ-ნახევარის სავალი იყო, და ჩვეულებრივ სამნი ერთად მივდიოდით ხოლმე—ფანტაზიო, ცეზარი და მე. ვერ წარმოიდგენთ ჩემს გაკვირვებას, როდესაც გავიგე რომ ერთს დილას იგინი ტყეში უჩემოდ წასულიყვნენ. იგინი სადამოზედ უკან დაბრუნდნენ—და ამ ამბავზედ არც ერთი სიტყვა არ მითხრეს. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთად წავიდნენ და კიდევ არაფერი შემატყობინეს. ჩემი გაკვირვება წრეს იქით გადავიდა, მაგრამ მაინც არა ვსთქვი რა. ერთხელ მოულოდნელად მივედი მათთან და გახურებულს ლაპარაკზედ მივასწარ, იგინი თითქოს შეკრთნენ და ლაპარაკი გაწყვიტეს. ჩვენ, როგორც წინად, ეხლაც სულ პოლიტიკაზედ ვლაპარაკობდით ხოლმე; მაგრამ შევნიშნე, რომ სიტყვას «კარბონარობა» ლაპარაკში აღარა ხმარობდნენ, თითქოს კარბონარები სრულიად აღარსად იყვნენ. ეჭვი აღარ იყო, რომ დიდი რამ აღმოეჩინათ! საშინელი გამოცანა, რომლის გაგებასაც რამდენსამე თვეს ვწვალობდით, იმათ გამოიცნეს, მაგრამ მე რატომ აღარ შემატყობინეს ეს სასიამოვნო ახალი ამბავი? ან იქნება არ მერწმუნებოდათ? არა, ეს შეუძლებელია! მაშ ჩემს გონებას ესე რისთვის სტანჯავენ? თუ რომ არაფერს მეუბნებიან, მაშასადამე თქმის ნება აეკრძალათ. მე ვერ გავბედე იმათთვის მეკითხნა რამე: ეს ის იქნებოდა რომ ჩემდამო რწმუნება იქონიეთ მეთქი; საიდუმლოება, რომელსაც ჩემი სიყმაწვილის ამხანაგები ინახავდნენ, ჩემთვის ისე წმინდა იყო, რომ ეს გრძნობა ცნობის მოყვარეობას მისპობდა. ჩვენ შორის მაინც ძველებური გულ-გახსნილობა აღარ იყო. იმათ შორის ჩემს თავს კარგად ვერა ვგრძნობდი; რადგანაც ვშიშობდი, რომ ისინი არ შემევიწროებინა. თავეთის მხრით ისინიც—განსაკუთრებით ცეზარი,—როდესაც მე იმათთან ვიყავი, კარგ გუნებაზედ ვერ იყვნენ-

ერთხელ, დილით ადრე ჩემი ძმა ჩემს ოთახში შემოვიდა: «გუშინ საღამოზედ ჩემი თოფი აქ ხომ არ დამრჩა?», მკითხა იმან. მე მაშინვე მივხვდი, რომ იმან თოფი განგებ მოიგონა. მართლაც, ცეზარმა ყველა კუთხეები ჩამოათვალიერა და თოფი ვერ იპოვნა. შემდეგ ჩამოჯდა და დაიწყო სიცხეზედ ჩივილი, თუმცა შემაწუხებელი სიცხე არ იყო. შემდეგ წინ და უკან დაიწყო სიარული და მცირე საგნებზედ ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ იმის გულს რაღაცა ამძიმებდა. მერე გავიდა ოთახიდამ, მაგრამ ისევ მალე შემობრუნდა, ჩემთან მოვიდა, ხელი დამიჭირა და მითხრა: „მე მეძნელება შენ რამე საიდუმლოება დაგიმალო, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს საიდუმლოება მე არ მეკუთვნის, ამისათვის შენ მე არ უნდა გამიწყრე. იქნება ამ სიტყვების თქმითაც ჩემს ვალდებულებას ვარღვევდე; მაგრამ მე მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან!»

იმავე დღეს ფანტაზიომ ცალკე გამიხსნა და მითხრა: «თქვენ გამოიცანით. მოითმინეთ ცოტას ხანს, რამდენსამე თვეს მოცდა მოგინდებათ, შენს სიყმაწვილეს დამაბრკოლებელს მიზეზად სთვლიან," მაგრამ ამ დაბრკოლებას როგორმე დავძლევთ. იმედი იქონიეთ და ფულები შეაგროვეთ, რამდენიც კი შეიძლოთ». მაშ ძალიან ყმაწვილი ვყოფილვარ! მე დიდის კმაყოფილებით მივცემდი ჩემის სიცოცხლის ერთს, ათს წელიწადს ოღონდ კი ოცდაერთის წლისა ვყოფილიყავ, რამდენიც საჭირო იყო.

ამ დღიდგან ჩვენს შორის აყუდებული შავი ღრუბელი გაიფანტა და ძველებური მეგობრობა აღვადგინეთ. მე შევამცირე ხარჯი, ცოტას ვწევდი, ხელმომჭირნე გავხდი და ვემზადებოდი იმ დღისთვის, როდესაც შევიქმნებოდი საიდუმლოების გაგების ღირსი, მაგრამ თანაც მეშინოდა.

თავი XXIII.

შეტყობა.—სხვა და სხვა ფერის ოცნებანი.—გაცრუებელი იმედები, რომლებსაც თან მოჰყვა უმშვენიერესი ოცნებანი.—სამუდამოდ სასოწარკვეთილება.

თვეები მალე გადიოდენ; შემოდგომამ თავისი ადგილი ზამთარს დაუთმო, სოფლის მშვიდი ცხოვრება უნივერსიტეტის მღელვარე ცხოვრებაზედ შეიცვალა, მე ისევ მოლოდინი მტანჯავდა; ცეზარი და ფანტაზიო ბევრს არაფერს მეუბნებოდენ. მხოლოდ ფანტაზიომ ამას წინად მკითხა—ფული რამდენი შეაგროვეო, იმან მირჩია ვერცხლი ოქროზედ დამეხურდავებინა და ყოველთვის ჯიბეში მქონოდა.

—«შეიძლება შენ უეცრივ მიგიწვიონ», მითხრა იმან. «უმჯობესია იმ დროსთვის მზად იყო!» უკანასკნელი სიტყვები ფანტაზიომ რამდენჯერმე გაიმეორა.

ეს იყო გაჩაღებული კარნავალის დროს. სისულელე ყველგან მეფობდა; ყველგან თამაშობდენ.—«დღეს საღამოზედ ველონეში წავიდეთ? მკითხა ცეზარმა სამშაბათ დილით.—საღამოზედ კი სხვაგანა ვარ, მივუგე მე, მაგრამ შუაღამისას კი თუ გინდა წავიდეთ. ჩვენ დავნიშნეთ საათი რომ ერთად შევყრილიყავით. ველონე-უმაღლესის პირების ბალების სახელია, რომლებიც კარლო ფელიჩეს თეატრში იმართებოდენ.

ზალაში დიდძალი ხალხი იყო, ყველანი ძალიან მხიარულობდენ. წვიმა მოდიოდა და ქუჩაშიაც კარგი იყო. ეს კარგი მიზეზი იყო, რომ უფრო ბევრი ხალხი მოგროვებულიყო

ხსენებულის თეატრის ზალაში! აქ ყოველისფერი გაბრწყინვალებული იყო; ყველა მხიარულად და ბედნიერად გრძნობდა თავის თავს! მასკები ბევრნი იყვნენ, ტანისამოსი გემოიანათ ეცვათ. თორმეტის ნახევარი იყო,— და მე ნახევარი საათი კიდევ უნდა მომეცადა, რომ ბალის ზალაში გამევლო. მეც გავერივე მხიარულს ხალხშია, როდესაც თამაშობას ვუყურებდი, ჩემი თავი მაგონდებოდა—ერთს ქალს თამაშობაში კაბა რომ ჩამოვახიე. ოხუნჯობა, მასხარობა და ხანდისხან დამლაშებული სიტყვებიც ყველგან ისმოდა.

მაგრამ აი ხალხი ერთს ადგილს მოგროვდა და გზა შეიკრა; ვნახოთ რა ამბავია. იქ გენუელი მოახლე იყო ნაციონალურის ტანისამოსით მორთული; იგი ელაპარაკებოდა ერთს პიემონტელს კაცს; — ამ ორს პირში მთავრობა და ოპოზიცია პირის-პირ ერთმანეთს შეხვდენ. «თვეში ორს კრონს! — შეჰყვირა მოახლემ, რომელიც არდგენდა ადგილის მამბრის როლს, თვეში ორი კრონის მოცემას მიბედავენ! ჯანაბას დაიკარგენით! უსწავლელო! ყველა ეს პოლენტის *) მჭამელნი ერთმანეთსა ჰგვანან!» (უკანასკნელი სიტყვები ხალხისკენ იყო მიმართული) «ჯიბეში ერთი გროში არა აქვსთ და შიმშილითა კვდებიან,.» მსმენელების მომეტებული ნაწილი ოპოზიციას ემუთვნოდენ და სიცილი დაიწყეს, როდესაც იქ ქალმა პიემონტელების საყვარელი საჭმელი და მათი სიღარიბე ახსენა.

იმის იქით მოჩანდა დიდ ბაკებიანი ძიძა, რომელიც ხელში დიდს ტიკინს ათამაშებდა და სტანჯავდა დაბერებულს ადონისს,

*) პოლენტა წაბლისგან გაკეთებული ფაფა.

რომელიც კუთხეში მიემწყვდია. ეს ძიძა, როგორც სხვების ლაპარაკიდამ გაჰკრა, ყველას თავზარსა სცემდა. რომელსაც იმის სუმრობა არ მოსწონდა, ამაოდ ცდილობდა დამალოდა მას! იგი სდევნიდა მას და ცდილობდა გაეგო, თუ მას სად ეყიდნა დახუჭუჭებული ქერა პარიკი. მოთმინებიდამ გამოსული მოხუცი არშიყი ბრაზდება, რისაგამოც ხალხში სიცილი სტყდება. მაგრამ ერთ ღამის თორმეტი საათი სრულდება; ცე-ზართან წასვლის დრო არის.

ის ჯერ არ მოსულიყო. მე დავჯექი და ვუყურებდი სხვა და სხვა ჯურის ხალხს, რომელიც ჩემს წინ დადიოდა. დრო გამოშვებით რომელიმე მასკა დამიძახებდა სახელს ან თითს დამიქნევდა ხოლმე. ორი დომინო შავის მასკებით ერთს ად-გილს შესდგნენ და დაიწყეს ხალხის თვალიერება, თითქოს ეძებენ ვისმეო. უეცრივ იგინი ჩემსკენ წამოვიდნენ. ამ ორში რომელიც მაღალი იყო იმან სახელი დამიძახა.

— აქ მარტო რას აკეთებთ?

— როგორც ხედავთ, გიჟებს ვუყურებ.

— თქვენც უცდით ვისმე, მკითხა დაბალის ტანის დომინომ, რომელიც თუმცა კაცი იყო, მაგრამ ქალურად ეცვა.

— სწორედ. მე ვუცდი ვისმე.

— გინდა დაგენაძლევებით ქალს ვუცდით, მითხრა კიდევ დაბალმა დომინომ.

— შავს პაკენბარდებიანს, მივუგე მე.

— ოჰ, ეგ ძალიან ლამაზი ქალია; მე იმას ვიცნობ, მი-თხრა მაღალმა დომინომ.

— მაშ თქვენ უფრო კარგადა გცოდნიათ სინამ მე.

— დიაღ, მე იმის სახელი ვიცი და ჩუმად გეტყვით.

ამის შემდეგ მაღალმა დომინომ დაიხარა და ყურში მიჩურჩულა: «დრო მოვიდა!»

მე წინასწარველად შევკრთი, მერე წამოვდექი ფეხზედ და ვუთხარი:

— მაშ მოვიდა! მზადა ვარ.

— მაშ წამოგვყევ.

ჩვენ გავიარეთ ხალხით გატენილი ზალა, კიბეზედ ჩავედით და ქუჩაში გავედით. მე იმათ ფეხ და ფეხ უკან მივდევდი. ჩვენ შევედით ერთს დაბნელებულს ხეივანში, სადაც მაღალმა დომინომ მითხრა: «უკაცრავად კი ნუ ვიქნებით და მე თვალები უნდა აგიხვიოთ.» მე თანხმობა გამოვუცხადე და თვალები ხელსახოცით ამიხვიეს. ცივი და ბნელი ღამე იყო; ჩვენს მანტიებში კარგად გავეხვიენით. იმათის ბრძანებით მე ავიწიე ჩემი მანტიის საყელო და პირის სახეზედ მივიფარე. ჩემმა ამხანაგებმა ხელი დამიჭირეს და ისე წამიყვანეს, ხან მარჯვნივ ვუბრუნდებოდით და ხან მარცხნივ, ხან კიდევ ისე მეჩვენებოდა, თითქოს უკან ვბრუნდებოდით. როგორც ფეხის ხმაზედ ვატყობდი, ჩვენს გვერდით კიდევ ორი კაცი მოდიოდა. ბოლოს, ჩვენ შევდექით. მე არაფერი არ მესმოდა სად ვიყავით. უეცრად გასაღების ჩხარუნი მომესმა; მე შემიყვანეს. ორს კიბეზედ ამიყვანეს; კარები გაიღო და საცა რიგი იყო შევედით...

ერთხელ ფანტაზიო დილით ადრე მოვიდა ჩემთან, „აკი გეუბნებოდი, შე ურწმუნო კაცო, მე შენთან ბრძანება მაქვს მეთქი.“ ამ სიტყვებზედ ყურები ვცქვიტე.

— ძლივს! შევყვირე მე, და კმაყოფილებით ამოვისუნთქე: — რაში მდგომარეობს ბძანება?

— იმაში რომ ამაღამ შუაღამისას კარიანიანის ხიდზედ უნდა იყვე, ჩვენ სუყველას იქ გვეძახიან.

— დიდება ღმერთს! მართალს კი ამბობ? შევყვირე მე. რაში მდგომარეობს კრების საგანი?

— მე მაგის თქმა არ შემიძლიან;

სხვებზედ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ოსტატურად მოხერხებულმა ამბავმა არ ვიცი, მაგრამ ჩვენ სამზედ კი ბევრი ვერაფერი. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ყოველივე ეს ამბავი მოგონილი იყო და თუ ჩვენს კადიგსელს მეგობარს ამაზედ უარესი ამბავი არ დაემართებოდა, როგორც ეხლა სიკვდილით დასჯა, მაშინ ის მათუსალაზედ დიდხანს იცოცხლებდა, ამ ნაირად ყველა ეს მღელვარება, ყოველივე ეს საიდუმლოება და თავით ფეხამდის შეიარაღება თურმე იმისთვის იყო, რომ კარბონარების ძლიერება ჩვენთვის გულში ჩაენერგათ; მაგრამ სამწუხაროდ ამისთანა ამბავი მხოლოდ ბავშვებს შეაშინებდა და არა ჩვენა.

ფანტაზიო სახტად დარჩა, იგი მეთანხმებოდა, რომ ჩვენ ბავშვებსავით მოგვექცენ; ამაში დამნაშავედ უფროსებს რაცხდა, ისინი ხნიერი კაცები არიანო და რადგანაც ყმაწვილი კაცებისადმი მინდობა არა აქვსთო, ამისათვის ამისთანა ბავშური საქმეებით უნდათ თავიანთი ძლიერება გაგვაგებინონო.

ცეზარმა და მე ფანტაზიოს პლანი დიდის სიხარულით მივიღეთ, პირობა დავდეთ, რომ საზოგადოების წევრების რიცხვში ალფრედი და სფორცაც მიგვეღო. (ეს უკანასკნელი ფანტაზიომ წინადვე ჩასწერა სიაში). ჩვენ მოქმედება მეორე დღეს, ანუ, უკეთა ვსთქვათ, იმავე დღეს უნდა დაგვეწყო, ამისთვის რომ დილის სამი საათი იყო როდესაც

ლაპარაკით და ქუჩებში სიარულით დაღლილ-დაწყვეტილნი ფანტაზიის გავშორდით.

ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენმა დიდხნის სეირნობამ არავის ეჭვი არ აალებინა ჩვენზედ, ასე გასინჯეთ არც კარბონარებს, თუმცა ივინი ბევრნი ვნახეთ გზაზედ.

თავი XXIV.

საგრძნობელი წერილი.—უხილავი ღმერთი ჩნდება.—პირველი ნახვა.

იმავე დღეს, როდესაც სადილად შინ დავბრუნდი, სანტი-მამ წერილი მომცა. მკითხველს მგონია არ დავიწყებია სანტი-მა, რომელიც სან-სეკონდოს მეკუხნავის ქალი იყო და რომელ-საც ბოშას ვეძახოდით. ეს სანტიმა საკვირველი თვისების ქა-ლი იყო. იგი ხანდისხან ყველას ემალებოდა და არავის დაძა-ხებას პასუხს არ აძლევდა; ხანდისხან კიდევ სახლობაში გა-უწყრებოდა ვისმე და მთელი კვირაობით აღარც ელაპარაკებოდა მას და აღარც უყურებდა, მაგრამ ის ისე ჭკვიანი იყო და ისე ერთგული რომ, თუმცა ბუტია იყო, მაგრამ ყველას კი უყვარდა.

— ვისგან არის? ვკითხე მას, როდესაც წერილი მამცა.

— არ ვიცი, მომიგო სანტიმამ:—მაგრამ კაცმა, რო-მელმაც ეგ წერილი მომცა, მითხრა რომ თვითონ მიხვდებაო.

ამ პატარა ლამაზ წერილს დუხის სუნი უდიოდა. ბეჭე-ზედ გამოსახული იყო კუპიდონი, რომელსაც თითი ტუჩებ-ზედ ჰქონდა მიდებული, ამასთანავე ამოჭრილი იყო დევიზი: „სიმშვიდე“.

როდესაც ამ ბეჭედს ვსინჯავდი, სანტიმამ მითხრა.— ეგ წერილი ქალისაგან არისო.

— შენ რა იცი? ვუთხარი მე.

— მე დარწმუნებული ვარ. სჯობს თითონ თქვენა ნახოთ.—მე გავხსენ წერილი და პირველს სტრიქონებს დავხედე. სანტიმამ მართალი თქვა. მე ვიგრძენ, რომ რაღაც ცეცხლმა გაიარა მთელს ჩემს ტანში.

— აკი გეუბნებოდი? მითხრა სანტიმამ და ტუჩებზედ იკბინა.

— კმარა, სანტიმა, ნუ სულელობ—და მე ჩემს ოთახში გავიქეცი: წერილის შინაარსი ეს იყო:

„მე ვიცი შენი საიდუმლოება, მე ვიცი შენ რა კეთილს საქმესაც შეუდექი. შენისთანა კაცები გამხნევებას არა საჭიროებენ; მაგრამ იქნება უსიამოვნოდ არ დაგრჩეს, რომ თქვენ მოსწონხართ ერთს ქალს, რომელიც თქვენი ყოველივე კეთილის მსურველია. თუ რომ ეს ამბავი სასიამოვნოდ მიიღოთ ხვალ აკვასოლში მოდით ოთხი საათიდამ ექვს საათამდის, გულში თეთრი ყვავილი გაიკეთე, ამაზედ არავის არაფერი უთხრა. თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ დროზედ გამიცნობთ, თუ მოკრძალებით მოიქცევი. ხანდისხან იფიქრე იმაზედ, რომელიც თქვენზედ ხშირად ფიქრობს".

ჩემზედ ამ წერილისგან მოხდენილი პირველი შთაბეჭდილება მძიმე იყო. ჩემი გული ძგერდა და ბუნებამ სულ ისე აღმოხტომა უნდოდა, რომ უცნობის მშვენიერებისკენ გაფრენილიყო, მე მჩაგრავდა, თითქმის მაღრჩობდა მეტის-მეტი ბედნიერება; მაგრამ ამისთანა მღელვარებამ მალე გაიარა და თავის ალაგი სასიამოვნო გრძნობებს დაუთმო, რომლებშიაც მცირე ეჭვიც ალაგ ერია. ოჰ! სიხარულთა სიხარულო! შეუდარებელო ალტაცებავ! ჩემი ოცნებანი სიყვარულის შესახებ აღმისრულდნენ! ჩემი იდეალი განხორციელდა—მე ვუყვარვარ! ჯერ მარტო ამ სიტ-

ყვაში რამდენი სიტკბოებაა! მე ასე მეგონა, რომ ჩემს გულში ზეციური საკრავნი უკვრვენ მეთქი: ყოველივე ნაწილი ჩემის გულისა სიტკბოების გარმონიითა თრთოდა...

მე რამდენჯერმე დავკოცნე ის მშვენიერი წერილი, რომელსაც კარების რაკუნმა ჩემს აღტაცებას ფრთები მოჰკვეცა, — რა ამბავია?

— სადილი მოგიტანეს.

— ოჰ, საბრალო პროზავ! წყეულო სადილო! მერე ვინა ფიქრობს სადილზედ, რომელსაც იმის გული გიმეტის მთის თაფლით არის სავსე, რომელსაც იგი გაჟღენთილია ნექტარით და ამბროზიით? ამ მონოლოგის დროს ის ძვირფასი წერილი გულში შევინახე და ძირს ჩამოვედი, პურის საჭმელის ოთახის კარებთან დავინახე სანტიმა, რომელიც წარბებ შეკრული იდგა. იმის მოღრუბლვა ჩემთვის ახალი ნახვა არ იყო და ამისათვის არაფერი ყურადღება არ მივაქციე. რასაკვირველია მე მშიერი არ ვიყავ. ჭამა არ შეიძლებოდა; მე მოუთმენლად მოველოდი სადილის გათავებას, რომ კიდევ მარტო ვყოფილიყავ და ჩემს საიდუმლო ოცნებას მივცემოდი. ბოლოს სადილიდამ ავდექით.

ჩემს ოთახში დავბრუნდი და კარები ჩავკეტე. მე ამოვიღე უბიდამ ძვირფასი ეპისტოლე, ჩემს წინ სტოლზედ გავშალე, რომ იმისთვის მეყურა, თვალი არ მამეშორებინა, თითქოს იმის სტრიქონებს რაღაც მანქანების ძალით შესძლებიყოთ ეთქვათ იმ მშვენიერის სახელი, გვარი და ადრესი, რომელმაც ის ეპისტოლე დასწერა, სიტყვები ისევ თავის ადგილას ისხდნენ; ასოებს არავითარი მოძრაობა ვერ შევნიშნე. დიდის ხნის ამაო ცქერით დაღლილს რომ დამემშვიდებინა მღელვარე ოცნება, ავიღე შლიაპა და გამოველ გარედ. მე მივდიოდი პირდა-

ვიარე უსაგნოდ, როგორც ფიქრებში შთანთქმული კაცი, მაგრამ ისე ჩქარა კი, თითქოს საქმე სიცოცხლეს ანუ სიკვდილს შეეხებოდა.

ჩემს გარშემო კაცები ირეოდნენ, მაგრამ არც ერთს იმათგანს არა ვცნობდი. ბოლოს შევნიშნე, რომ მინდორში მარტოდ მარტო ვიყავ; მაშინ დავადექ ერთს დასლაგნილს ბილიკს და ნელა-ნელა დავიწყე სიარული.

ეს ამბავი აპრილის დამდეგს იყო. ამას წინად ყველაფერს ზამთრის ფერი ედო. რა საკვირველი ცვლილებაა! რა წმინდა ჰაერია! რა ხასხასი მწვანეა, რა ბრწყინვალე მზეა! მოგესალმები შენ ნაყოფიერო ბუნებავ! არას დროს შენგან ასე არ გავოცებულვარ, არას დროს ასე არ მიგრძვნია შენი ძლიერება! ნუ თუ შენ დღეს უფრო მშვენიერი ხარ, სინამ წინად? ან იქნება მხიარულებით აღვსილი ჩემი გული შენც გამხიარულებს და გამშვენიერებს? გამოუთქმელმა და დაუსრულებელმა ნაზმა გრძნობამ მთელი ჩემი არსება მოიცვა, ასე გასინჯეთ, ცხვრებიც კი, რომელნიც მშვიდად სძოვდნენ ბალახს და რომელნიც მოცულნი იყვნენ მზის სხივებით, მიძრავდნენ გულში გამოუთქმელს სიამოვნებას. ერთი ბებერი დედაკაცი მოვიდა ჩემთან და მოწყალება მთხოვა, იმან მითხრა რომ ჩემი ქმარი საავადმყოფოში არისო და გთხოვთ შემწეობა მომცეთო. ეს სიტყვები განგებ ნათქვამს სიტყვებად მეჩვენნენ. განა შეიძლება ამისთანა მშვენიერს დღეს უბედური იყოს ვინმე? „აჰა, კეთილო დედაკაცო“, და მე მივეცი რაც წვრილი ფული მქონდა, მე რომ მდიდარი ვყოფილიყავ იმ დედაკაცს ერთს ლუკმა პურს სიკვდილამდის არ მოვაკლებდი. დიახ, ამას უსათუოდ ვიზამდი და ეს იმ დედაკაცსაც ვუთხარი, იმან მადლობისა და გაკვირვებულის თვალით შემომხედა. მშვენიერი დღე არის, არა კეთილო დე-

დაგაცო?— „მალიან კარგი ამინდია მოსავლისათვის, თუ დიდ-
ხანს გასტანს“, — მომიგო ბებერმა დედაკაცმა თავის ქნევითა
და ეჭვიანის კილოთი. თუ დიდხანს გასტანს! რატომ არ უნდა
გასტანოს, მერე? ეს ძველი ხალხი ყველაფერში ეჭვიანობენ.

მაგრამ ვინ არის ჩემი უცნობი ქალი? ქვეყანაში რა ად-
გილი უჭირავს? რა თვისებისაა იმის სილამაზე? ეჭვი არ არის,
რომ იგი მშვენიერი იქნება. ახლა ისაა საჭირო, გავიგო:
შავთვალწარბაა თუ ქერა, დაბალი ტანისაა თუ მაღალის, ფე-
იასავით ნაზია, თუ იუნონასავით დიდებული. ამაებს ვეკითხე-
ბოდი ჩემს თავს, მაგრამ პასუხს კი ვერ ვაძლევდი. ამასთანავე
ვერასგზით ვერ გამოვიცან, თუ იმას ჩემი საიდუმლოება რო-
გორ გაეგო; — იქნება ჩვენს საზოგადოებას ეკუთვნო-
დეს? მე ფანტაზიისაგან არა ერთხელ გამიგია, რომ ჩვენს
საზოგადოებაში ქალებიც ურევიანო. თუ ეს ასეა, უნდა
მოითმენდა იგი, რომ ჩემთვის არ ენიშნებინა, რომ ის ჩემის
გულის სატრფოა. ამ მოსაზრებამაც ვერაფერი მიშველა, ამის-
თვის რომ საზოგადოების წევრები ხშირად ერთი ერთმანეთს
არ იცნობდენ. უეცრად ამ ფიქრმა გამიელვა თავში — იქნება ის
დომინო, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ, ქალი იყოს? მაგ-
რამ მე ეს მოსაზრება მაშინვე უარი ვყავი, განა სისულელე
არ იქნებოდა, რომ ხსენებული დომინოს დიდი ფეხები ამ
ფეხების მეფისთვის მიმეწერა, რომლისათვისაც თვით სინდრე-
ლონის ბაშმაკებიც კი დიდები იქნებოდნენ? ამას გარდა, ჩემის ფიქ-
რით, პატარა დომინო კაცი იყო. რა მენანება, რომ ამ უც-
ნობმა ქალმა თავის სახელი მაინც არ მომწერა! იმის ასოები-
დამ სახელი მაინც მექნებოდა თაყვანის საცემლად. რა ცხვირ-
ველი ბედისა ვარ! საიდუმლოებიდამ საიდუმლოებაზედ გადავდი-
ვარ! როგორც კი ერთი საიდუმლოება გავიგე, მეორე გამო-

მიჩნდა. მაინცა და მაინც დღევანდელი საიდუმლოება ხვალ გამოცხადდება. რაც უნდა ეცადოს, რომ ჩემს წინ შეუმჩნევლად გაიპაროს, მე მას მაინც ვიცნობ. თვალებში დაცეცებული მექნება. რა ბედნიერება იქნება—ვიცნო იგი და ვუთხრა: „დიაღ, დიაღ, ეს თქვენა ხართ, ამას ჩემის გულის ცემა მატყობინებს“! რა ბედნიერება იქნება იმის შეკრთომით დატკბობა და იმის ხმის პირველად გაგონება! ამ სასიამოვნო ოცნებაში მთელი დღე გავატარე, ჩემის ცხოვრების ერთი უბედნიერესი დღე, ამისთვის რომ არავითარი ბედნიერება არ შეედრება იმას, რომლითაც მომავალში დავტკბებით.

მაგრამ ქვეყანაზედ ისეთი კეთილ დღეობა არ არის, რომ იმაში მცირე ოდენი დარდი არ ერიოს. როდესაც, დაწოლის დროს, მე კიდევ რამდენჯერმე გადავიკითხე ის წერილი, ერთმა შემთხვევამ საშინლად გამაკვირვა, რომელიც დილით ვერ შევნიშნე. ეს იმ წყლულსა ჰგავდა, რომელსაც ბრძოლის დროს ვამჩნევთ, მაგრამ, როცა სისხლი გვიმშვიდდება, მტკივნეულობას უფრო ვგრძნობთ. როგორ არ მიმექცია ყურადღება ერთი ორთოგრაფიული შეცდომისთვის? ერთი და იგივე სიტყვა ორჯელ იყო დაწერილი და ერთს სიტყვაში ერთი რ. მაგივრად ორი რ. იჯდა. ამ ორმა რ. სრულიად შემიშფოთეს ბედნიერება. ასე მეგონა ისინი ეკლებად იქცენ და ლოგინში მეყარნენ. მე თვალი ვერ მოვაშორე ამ უბედურს ასოებს; ისინი არც დღე და არც ღამე არ მაძლევდენ მოსვენებას და ჩემს წინ ეშმაკებისავით დახტოდენ.

მეორე დღეს იმაზედღა ვფიქრობდი, თუ შუადღისას როგორ შევყუროდი ჩემს უცნობს ქალს. რაკი ცოტა არ იყო მეშინოდა აკვასთოლში მარტო სიარულისა, მე განვიზრახე ალფრედის თან წაყვანა, მაგრამ ჩემი საიდუმლოება კი არ ვუთხა-

რი. მე მემძიმებოდა, რომ ჩემს გულითად მეგობრებს ვუმალავდი; ეს პირველი საიდუმლოება იყო; მაგრამ უცნობმა ქალმა ისე სასტიკად მამწერა ეს ამბავი არავისთვის მეთქვა, რომ პატიოსნება ვალადა მდებდა ამის შესრულებას. ესრედ მე წავედი ალფრედთან და მხოლოდ ის ვუთხარი, რომ სადილს უკან მოვალ და სასეირნოდ წავიდეთ მეთქი.

ამბობენ ორს მეგობარში ერთი უსათუოდ მეორის მსხვერპლი უნდა გახდესო. იქნება ეს ანდაზა მართალი იყოს იმ აზრით, რომ ერთი მეგობართაგანი მეორის გავლენის ქვეშ ვარდება, ამ აზრით ალფრედი ჩემი მსხვერპლი იყო, ის არასოდეს არა მკითხავდა ხოლმე, თუ სად მივდიოდით, ამა და ამ გზას რისთვის ვირჩევდით და არა სხვა გზას, იგი ყოველისფერს მე მამანდობდა ხოლმე. როგორც კი სამი საათი შესრულდა ალფრედთან მივედი. მე სადათ მეცვა, მაგრამ სუფთად. ჩემი შლიაპა, რომელსაც დიდს მნიშვნელობას ვაძლევდი, დახუჭუჭებულს შავს თმაზედ ძალიან მიხდებოდა, თეთრი ყვავილი ჩემს გულს ამშვენებდა, ალფრედიც მზად იყო. „ღმერთო ჩემო“! მითხრა იმან, როდესაც დამინახა: „რა მშვენიერი ყვავილია“! და აი ჩვენ წავედით. ოთხს საათს ათი წამი აკლდა, როდესაც აკვასოლში მივედი, კვირა დღე იყო და მარჯვენა ხეივანი ხალხით სავსე იყო. ჩემს სიცოცხლეში ქალების სახეს ეხლა პირველად ვათვალიერებდი; მაგრამ ჩემი ძებნა არა გვირგვინდებოდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოსეირნენიც მატულობდენ, ამისგამო ყველას კარგად ვეღარ ვათვალიერებდი. ღმერთო ჩემო, იმ ქერა ქალმა რანაირად შემომხედა, მე მოვბრუნდი უკან და ალფრედიც თან გავიყოლე; მაგრამ როგორც კი ორმოც და ათი ნაბიჯი გადავდგი—გული კიდევ ამიღელდა!

რანაირად შემომხვდა იმ შავგვრემანმა ქალმა, იუნონასავით რომ დადის, მე გამოვეკიდე იმ შავთვალა მშვენიერს და ალფრედიც თან მომდევდა, ჩვენ ფეხ და ფეხ მივყვებით უკან, მოვეწიეთ მას, ავუარეთ გვერდზე, მაგრამ არა, ის არ გამოდგა; იმან ჩემსკენ თავიც არ მოიღო. ვგონებ ურიგო არ იქნება, ახლა მარცხენა ხეივანზედ გავიაროთ, სადაც ხალხი ნაკლებად დადის, და დავათვალიეროთ. კარგა ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი უცნობი ქალი იქ იქნება მეთქი. სიყვარულს ხალხი არ უყვარს. და აი ჩვენ წინ და უკან დავდივართ ხეივანზედ, მაგრამ ტყუილად გადვიწიე პალტო, რომ ჩემი ყვავილი კარგად გამოჩენილიყო: არც ერთმა ქალმა ყურადღება არ მიაქცია არც იმ ყვავილს და არც იმის პატრონს. მოდი ისევ მარჯვენა ხეივანზედ გავიაროთ, აქ ძალიან მტვერია.. — „როგორც გინდაო“, მომიგო ალფრედმა და თან გამომყვა. მეექვსე საათიც გავიდა და ჩემი უცნობი ქალი კი არსად სჩანდა. — მგონია უკეთესი იქნება დავსხდეთ და ხალხი ისე ვათვალიეროთ. — „დავსხდეთ“, მომიგო ალფრედმა. როგორც კი დავსხედით ჩვენს ახლოს შავთვალა ლამაზმა ქალმა კიდევ გაიარა, და მომხედა. ეჭვი არ არის, ეს ის უნდა იყოს, — და გამოვეკიდეთ მას. არა, არა, ეს ის არ არის. მზის ჩასვლამდის ვათვალიერე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იმედი აღარ მქონდა! მე იმისთვის ვარ დაბადებული, რომ ტარტაროზისავით ვიტანჯო.

ერთმა, ორმა, სამმა კვირამ გაიარა და ვერაფერი ამბავი გავიგე. რას იზამს კაცი ამისთანა მდგომარეობაში, — ლექსების წერას თუ დაიწყებს? ასე იქცეოდა პეტრარკაც და მეც ასე ვიქცეოდი, მაგრამ პეტრარკას დიდი უპირატესობა ჰქონდა, რისაგამოც იმისი ლექსები ჩემს ლექსებს სჯობდა: იმან თავის მშვენიერის სატრფოს თვალებისა და ფეხების ფე-

რო კარგად იცოდა!, იმან ისიც იცოდა თუ რამდენი მარცვლი-საგან შესდგებოდა იმის სახელი, მე კი ეს არაფერი ვიცოდი, მე კი ვბღაჯნიდი და ვბღაჯნიდი ქაღალდებს და იქნება დღე-განდღამდისაც მებღაჯნა, თუ ახალს წერილს არ დავებრკოლე-ბინე; ეხლა კი ვმადლობ ჩემის ბედის ვარსკვლავს.—ორთო-გრაფიული შეცდომები აღარ იყო, წერილი კი, მართალია, პა-ტარა იყო.

„თურმე ყვავილმა დიდად მასიამოვნა, თუ ხვალ ათის საათზედ კაპუცინების ეკლესიაში მოხვალ, უკანასკნელს სკამის ბოლოზედ იპოვნით სუვენირს, თქვენის უცნობის მეგობრის ქალისაგან დატოვებულს, მშვიდობით“.

მეორე დილას ეკლესიაში გავიქეცი და იქ ვიპოვნე თეთ-რის და წითელის ყვავილებს მშვენიერი კონა, იმავ წამს გა-დავწყვიტე შინ წამოვსულიყავ და მოწიწებულის ალერსებით თაყვანი მეცა ამ ტრფიალების ნიშნისათვის. მე აღარას გეტ-ყვით იმ უბედურობაზედ, რომელიც ამ ყვავილების კონამ ჩა-მადენინა, ის ჩემი მეგობრები, რომელნიც შეყვარებულნი არიან—და მე მინდა რომ ამათთანება ბევრნი იყვნენ—უთუოდ ამას ნეტარებად ჩასთვლიან; მაგრამ უეჭველია ეს სისუ-ლელედ ეჩვენებათ იმათ, ვინც შეყვარებულნი არ არიან. საკმაო იქნება ვსთქვა, რომ რამდენიმე კვირა ჩემი გული ამ კონით ძღებოდა, როგორც ოქროს ყვავილებით, და როდესაც ჩემმა გულმა სხვა რამ ისურვა, ჩემმა საიდუმლო უცნობმა იგი ახა-ლის საჩუქრით დაასაჩუქრა. ეს იყო მშვენიერი ქისა სამთვრის მავისაგან მოქსოვილი და ზედაც ვგონებ იმის საკუთარის თმებისაგან გაკეთებული ჩემი სახელის პირველი ასო. რადგანაც თმა ისეთი შავი იყო, როგორც ყორანი. და განა სხვა ფერის

სა იქნებოდა? ოჰ, სიყვარულის ოცნებავ! აი სწორედ ამისთანა თმებზედ ვოცნებობდი!

იქნება მკითხველს ჰგონია, რომ სიყვარულმა პოლიტიკა დამავიწყა, სრულიადაც არა. მე ვალად დავუდე ჩემს თავს, რომ ჩემის მოქმედებით ღირსი ვყოფილიყავ იმისი, რომელმაც ამომირჩია; რადგანაც სხვა საქმე არა იყოა, მე დიდის გულმოდგინებით შევუდექი იმ საქმეს, რომელიც ამ ორი თვის წინად მე, ფანტაზიომ და ცეზარმა განვიზრახეთ, მე ბევრი თანამგრძნობელნი ვუპოვე ჩვენს საზოგადოებას და იმათ შორის ერთი ყმაწვილი კაცი თავადი ურბინოც.

კოლეგიიდამ ჩვენის გამოსვლის შემდეგ მე ის აღარ მინახავს, ამ ხუთი ექვსი კვირის წინად შემთხვევით შევხვდი მას ქუჩაში. ჩვენ შევეყარეთ ერთმანეთს, როგორადაც გულითადი მეგობრები, და მე კმაყოფილებით შევეყურებოდი იმის მშვენიერს სახეს, რომელსაც მეტის-მეტი სიამოვნება ეხატებოდა ყმაწვილობის დროს მოგონებაზედ. ფიზიკურად იგი სრულიად არ გამოცვლილიყო, — მხოლოდ იქნება ცოტა ღონე გამომატებოდა, — რაც შეეხება ხასიათს იგი ისეთივე იყო როგორიც წინად. თავადი ურბინო, ანუ უკეთ ვსთქვათ ჯუზეპე, რადგანაც იმას ეს სახელი უფრო მოსწონდა, — იყო ისეთივე მტერი არისტოკრატიისა, როგორც მაშინ, როდესაც მან მოგვცა წინადადება - მოგვესპო ყოველივე ხარისხი და როდესაც იგი იყო დაუძინებელი მტერი მტარვალობისა. სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ იგი ნეაპოლში სცხოვრობდა, სადაც როგორც თვითონ იგი ამბობდა, «საქმეები ეშმაკურ მდგომარეობაში იყო და სადაც ჯარი, მღვდლები და პოლიციის ჯაშუშები იმას სჩადიოდნენ, რაც უნდოდათ...» ეხლა იგი თითქმის სულ გენუაში გადასახლდა, სადაც სახლობამ გაგზავნა იგი ერთი

სადავო საქმის საწარმოებლად, რომელიც ამ ოცის წლის წინად დაწყობილიყო და ნახევარ საუკუნე მეტი კიდევ გავიდოდა სინამ დასრულდებოდა.

მე გავაცან იგი ფანტაზიოს და ცეზარს, ალფრედსა და სფორცას კი დიდი ხნის იცნობდა, იგი გახდა მომხრე ჩვენი საიდუმლო განზრახვისა. მე ვამბობ ფედერაციაზედ, ამიტომ რომ კარბონარობის შესახებ ურბინოს ჩვენ არაფერი ვუთხარით. ჩვენი მისდამი ნდობა უსაზღვრო იყო, მაგრამ რადგანაც ასოციაციის საიდუმლოებას ჩვენ არ გვეკუთნოდა, ამისათვის ჩვენ გადავსწყვიტეთ სასტიკად შეგვენახა ეს საიდუმლოება. მხოლოდ ერთხელ ჩვენ ცოტათი გადუდექით ჩვენს პირობას ალფრედისა და სფორცას შესახებ, რომლებსაც ცოტა რამ ჰქონდათ გაგებული ამ საზოგადოებაზედ და დანარჩენს თვითონაც მიხვდებოდნენ; მაგრამ ალფრედი ჩემი კანდიდატი იყო, რომელიც მე მინდოდა წარმედგინა საზოგადოების წინაშე, როგორც კი მივიღებდი ამის ნებას, სფორცა, როგორცა ვსთქვი, ფანტაზიოს მფარველობის ქვეშ იყო, რითაც მას უპირატესობა ეძლეოდა ალფრედის წინაშე.

სიყვარული და პოლიტიკა ძალიან უშლიდენ ჩემს მეცადინეობას. ამ უკანასკნელ დროს არც ერთი იურიდიული წიგნი არ გამიშლია და ორ თვეს ისე იშვიათად დავდიოდი ლექციებზედ, რომ ძალიან ვეჭობდი, რომ ორს პროფესორთაგანს მაინც მოეწერათ ჩემთვის ხელი, მაგრამ ჩემის ხერხიანობის წყალობით, რომლსაც უამბობ მკითხველს საყურადღებოდ, მე დავძლიე ეს გაჭირება. მე დავიწყე ბეჯითად სიარული ლექციების მოსასმენად და ყოველთვის კათედრის ახლოს ვჯდებოდი ხოლმე, რომ პროფესორებს შევემჩნიეთ. როგორც კი გათავდებოდა წერა და დაიწყობოდა ლექციების კითხვა, მე ისეთ-

ნაირად ვუგდებდი ყურს, რომ თითქოს ჩემი სიცოცხლე და-მოკიდებული იყო იმაზედ, რომ არ გამეშო არც ერთი სიტ-ყვა, და ხანდისხანაც განცვიფრებულს სახეს მივიღებდი ხოლმე სამწუხაროდ სხეული ისე უძლურია, რომ ვერც ერთი პროფე-სორი ვერ შეიმაგრებს თავს პირ-ფერობის წინაშე. ვურჩევ ყველა სტუდენტებს ჩემგან ნაცადი წამალი იხმარონ, თუ უნ-დათ რომ პროფესორებმა მოწყალების თვალით უცქირონ.

დილით, ხუთს თიბათვეს; — ამ ნაირი რიცხვები ადვილად დასავიწყებელნი არ არიან, — მე ჩემის უცნობისაგან მივიღე უსასრულო წერილი, ისევე კარგად დაკეცილი, ისევე სურნელებით გაჟღენთილი და ისევე მშვენიერი ყოველისფრით, როგორც ორი წინანდელი წერილი; — მხოლოდ ბეჭედი სხვა აჯდა. იგი-წარმოადგენდა ეხლა მტრედს, რომელსაც პირში რტო ეჭირა, ამ დევიზით: «მე მომაქვს კარგი ამბავი,» მართლაც კარგი ამბავი იყო.

«თქვენი უცნობი მეგობარი ქალი დღეს საღამოზედ აგ-ვასოლაში იქნება, ჭალაში, რომელიც მდინარიდამ ჩრდილო-ეთის მხრივ არის, თქვენ იცნობთ მას ვარდის კონით, რომე-ლიც მას ხელში ეჭირება; თუ რომ გინდათ იმის ნახვა მოდით იქ ცხრის ნახევარზედ, არც ადრე და არც გვიან. მშვიდობით, ნახვამდის».

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რანაირ ამაღელვა ამ წე-რილმა. როგორ წარვდგე მის წინაშე? რა ვუთხრა? მერე, რა-ვქნა რომ მან მოუხეშაობა შემატყოს!

ჯერ შუადღე არ იყო; მე კიდევ ცხრა საათი უნდა მე-ტანჯნა, რომ დრო გამეტარებინა; მე წავედი ამ ადგილების დასათვალიერებლად, რომლებიც დიდიხანია ვიცოდი და დავიწ-ყე ვარჯიშობა თუ როგორ შევეყრები უცნობს ქალს. ვნახოთ!

რომელი მხრიდამ შევალ ჭალაში? თუ ორს დიდ ხეივანში ერთს ერთს ამოვირჩევ მაშინ მე დიდი მანძილის გავლა მომინდება იმ ქალის თვალწინ და ერთი იმის ფიქრი, რომ იგი მიცქერის, მომაკლებს ყოველსავე სიმხნევეს, მაშ დიდს ხეივანზედ ნუღარაფერს ვიტყვით; არის კიდევ სხვა შესავალი, რომ მალთანაც მიმიყვანს ის დაკლაკნილი ბილიკი; საქმე იმაშია, თუ როგორ შევხვდე იმას ისე, რომ ვერ დამინახოს. დიახ, მე შემიძლიან ამის მოხერხება, თუ რომ მოვუვლი ქვიშაყების გზიდამ, თუმცა ეს გრძელი გზა იქნება, მაგრამ რა გაეწყობა! ის გზა იმ ადგილის ქვემოდ არის, სადაც ხალხი დასეირნობს და ღობე, რომელიც იმ ადგილს ავლია, კარგად დამმალავს. სწორედ ასეა: მე თითქმის განზრახულად გამოვცხადდები. ეს ყველა კარგი, მაგრამ პირველად რა ვუთხრა? მე განგალი მომდის, როდესაც კი მოვიგონებ, რომ ვაი თუ სრულებით მეხედულობა მქონდეს, ნეტავი იმის სახელი მაინც ვიცოდე! ეს მე გამამხნევებდა, მე ქალზედ მორცხვი ვარ. ერთი ის რომ მე ცქერას დამიწყებს კანკალსა მგვრის, ეს ამბავი რომ ბინდისას მოხდეს უფრო მხნედ ვიქნები, მაგრამ ცხრის ნახევარზედ ხომ კიდეც ბინდდება; ჭალა ხშირია და იქ უფრო სიბნელე იქნება, სინამ სხვა ხეივნებში. ტირიფის ხე ჩარდახსავით ადგია თავს იმ სკამეიკას, რომელზედაც ის იჯდება; დაილოცოს ის ხელი, რომელმაც ის ხე დარგო! ასეთმა ფიქრებმა ცოტა არ იყოს გამამხნევეს; ღამის სიბნელემ უნდა დაფაროს ჩემი მორცხობა.

ეს ამბავი ერთს იმ საშინლად ცხელს დღეებში მოხდა, როგორი დღეებიც იშვიათად ჰყოფენ ხოლმე მოგზაურებს აღნიშნონ თავის სამახსოვრო წიგნში, რომ იტალიელები მხოლოდ იმას აქვეყნებენ, რომ მთელს თავის სიცოცხლეს

ხეების ჩრდილს ქვეშ ატარებენო. გთხოვთ, ბატონო მოგზაურო,—შესვიდეთ ასე გახურებულს ფეჩში და სცადეთ ერთი, როგორ გულმოდგინედ იმუშავებთ. ბრწყინვალე მზე მთელს თავის ცეცხლს აბნევდა მიწაზედ, თითქოს უნდოდა ამოებუგა დედა-მიწის ზურგიდამ მთლად კაცთა ნათესაობა, იმ წამს, როდესაც ადგილის დათვალიერებას მოვრჩი, მე წყალში ჩაგდებულ გახურებულ რკინასა ვგავდი. მე სიამოვნებით წავიდოდი ფანტაზიოსთან რომ მასთან გამეტარებინა რამდენიმე საათი, მაგრამ გული არსად მიმწევდა,—ისევ დავბრუნდი შინ. რა ნაირად ნელა გადიოდენ საათები! მე ვსცადე წამეკითხა რამ,—მაგრამ ვერ შევიძელ! მე ვცდილობდი დამეძინა — ვერც ეს მოვასერხე! მე ძალიან შეწუხებული ვიყავ სიცხისა და ჩემის ფიქრებისაგან. მე გამიგონია სარდლებზედ, რომ იმათ ბრძოლის წინა დღეს მშვიდათა სძინავთო,—მე მესმის ესა. მაგრამ ძილი იმ დღეს, როდესაც ქალთან შეხვედრის დრო გაქვს დანიშნული!... მე ვსწყევლიდი დროს, რომ ასე ნელა გადიოდა; მაგრამ ამ ჩემის წყევლით საღამო არ მოდიოდა.

რვა საათზედ მე აკვასოლში ვიყავი; მარტო დავდიოდი ერთს კუთხეში, რომელსაც ხალხი აგრე რიგად არა ხვდებოდა და ვიცქირებოდი შუა დედა-მიწის ზღვისკენ, თუმცა მას კი არა ვხედავდი. საღამოს მშვენიერებამ, ჩამავალი მზის ბრწყინვალე სხივებმა ჩემთვის ამაოდ გაიარეს. ათას ნაირი გამოურკვეველი ფიქრები ზღვის ტალღებსავით ირეოდნენ ჩემს თავში. მხოლოდ ერთად-ერთი აზრი ცხადად მესახებოდა თვალწინ: «ნახევარ საათის შემდეგ!» მე საშინლად აღელვებული ვიყავი. შეცხრე საათის ხუთმეტი წამი იყო გასული. მე აავჯანჯალდი. «როგორ დრო მოსულა!» ეხლა კი მეჩვენა რომ დრონი სწრაფად გარბოდენ. მე მგონია ჩემი ჩვეულებრივი

მდგომარეობა არას დროს აღარ დამიბრუნდება მეთქი დიდის მალდატანებით ვალად ავდექი და გაუდექი გზასა. მე უნდა გარშემო შემომეარა, რომ მივსულიყავ სხენებულს ბილიკამდინ. დღესაც არ ვიცი როგორ მივედი იმ ბილიკამდინ. ერთი ნაბიჯიც უნდა გადამედგა, რომ ჭალაში შევსულიყავ. მე თითქოს მზად ვიყავ გამოვსალმებოდი ჩემს გრძნობებს. მე იმედი მქონდა,—დიაღ დიდი იმედი მქონდა, რომ ის ქალი არ მოვიდოდა; რომ რამე მიზეზი, იქნება უქეიფობაც, დაუშლის მას მოსვლას. ნახევარ საათმა დაჰკრა. რაღაც საიდუმლო ძალამ თითქოს წინ წამაგდო. მე ცხადად დავინახე ორი სურიელი თეთრის ტანისამოსით მორთული. თვალთ დამიბნელდა, მაგრამ ამ დროს დავინახე ჩემსკენ გამოწვდილი ხელი და მეც საჩქაროდ გავექანე, რომ დამეჭირა ის ხელი.

პირველად ვინ დაილაპარაკა? რა ითქვა? რა ნაირად დაუახლოვდი იმას? არაფერი აღარა მახსოვს რა. მე ოცნებაში წავედი. უფრო დასაჯერებელია, რომ მე იმ ქალისთვის არაფერი მითქომს: ძალიან აღელვებული ვიყავი! ძალიან მცირე ხნის ნახვა და ლაპარაკიც მქონდა... თუ გინდ რომ კიდეც გიამბოთ ის ცოტა რამე, რაც ესლა მაგონდება, ცოტა რამეს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ამ მდგომარეობის გამოსახატავად არც ერთს მწერლობას არა იქვს ნიშნები. ვინ არის ის ქალი? რომელ გვარს ეკუთვნის? რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყანაზედ? როგორ გაიგო მან ჩემი საიდუმლოება? მე ვერაფერი ეს ვერ გავიგე, და არც ვცდილობდი ამეების გაგებას. მე ვიცოდი მხოლოდ, რომ ის მეტის-მეტი ტურფა იყო და ლილლა ერქვა,—განა კარგი სახელია, არა?—და რომ ის საღამოს ხუთს საათზედ ყოველ დღე თავის ძმასთან ერთად დასეირნობს სანტო კიარის სიმაგრესთან, სადაც მეც შემიძლიან

ყოველთვის ვნახო, თუ მომესურვება. რასაკვირველია, მეც იქ უნდა ვიყო ხოლმე, თუ გინდ რომ მიწაზედ ხოხვა და იმის ნავალის კოცნა მომიხდეს. აი ყოველივე, რაც მე ვიცოდი. ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ მაინც მეტის გაგებაც არ მინდოდა, მე ჩემს თავს ბედნიერად ვრაცხავდი!

ორმა საათმა გაიარა რაც ის წავიდა, მე კი მაინც იქვე ვიყავ, იმ სკამეიკასთან, რომელზედაც იჯდა ის გრძნეული მშვენიერების ქალი. იმის მშვენიერი ხმა ისევ ყურში მიდგა, მაგრამ ღელვისაგან კი დავმშვიდდი; ჩემი გულის ცემა ისევ მშვიდი და წყნარი იყო, როგორც ბავშვისა. რაღაც ბედნიერების ნექტარი ატკბობდა ჩემს არსებას. ვარსკვლავნი ბრწყინავდნენ, ბულბულნი გაჭყუოდნენ, ჭაერში ათასობით ციცინათელები დაჭივრინავდენ და თვით ჭაერიც თითქოს სიყვარულით იყო შეზავებული. ყოველივე ეს რაღაც გრძნეულს სიზმარსა ჰგავდა. მე იქ დიდ-ხანს, ძალიან დიდ-ხანს, დავრჩი და ვკოცნიდი იმ ყვავილების კონას, რომელიც მან მე დამიტოვა.

როდესაც შინ დავბრუნდი, დედა-ჩემი ძალიან გააკვირვა ჩემმა ბრწყინვალე სახემ: «დღეს შენ რა ლამაზი ხარ, ლორენცო‘‘ მითხრა მან; — ,,არც ერთხელ აგრე ლამაზი არ მინახვიხარ“.

— მე ბედნიერი ვარ, დედა! მივუგე მას და, ყურებამდის გაწითლებულმა, დავკოცნე იგი.

— ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო საყვარელო შვილო!

მე დავწექი და სინამ დამეძინებოდა სულ ლილიას სახე-ლი მეკერა პირზედ.

თავი XXV

ახალი გამოცანა.—საყურადღებო გამოკვლევა.—ათ.ას.რვა-ას-ოც-და-ათი წელიწადი.—კვალად ორი ექიმი.—შავი ღრუბელი ჩემსა და ჩემის ძმის შორის.

მეორეს დღეს, როდესაც მოვიგონე გუშინდელი საუბრის გარემოება, კვალად დამიბრუნდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზედ ლილლას ხმამ. იმისმა ხმის მიმოხვრამ, რომელიც ისევ ყურში მიდგა, ეს მდიდარი და მუსიკის მსგავსი იტალიური ენა, რომელიც იმის ბაგისგან უფრო მშვენიერად გაისმოდა, მე მაგონებდა ხმას, რომელიც სადღაც გამეგონა; სადა, როდის და როგორ?—აი რა იყო გამოსაცნობი. ამაოდ ვცდილობდი ყოველივე ეს გამომერკვია. ჩემი ცნობის მოყვარეობა ისე ძლიერი იყო, რომ განვიზრახე ყოველივე ლილლასთვის შემეტყობინებინა, რომ ეგება იმას მაინც აეხსნა ჩემთვის.

ჩემმა მოლოდინმა დიდ-ხანს გასტანა, მე მივიღე იმისგან კიდევ რამდენიმე წერილი, მაგრამ მათში ნახვაზედ არც ერთ სიტყვას აღარა მწერდა. მე არ შემეძლო მეთხოვნა იმისთვის ნახვა, ამისთვის რომ არ ვიცოდი არც იმის სახელი და არც ადრესი, და თუ გინდ კიდეც მცოდნოდა, მე მაინც არ შემეძლო მიმეწერა იმის ნება-დაურთველად. მართალია, მე იმას ყოველ-დღე ვხედავდი, მაგრამ მას ყოველთვის კიდაც შავგვრემანი მაღალ-მაღალი კაცი დასდევდა, რომელიც თითქოს იმის ძმასა ჰგავდა, და ჩვენ, მხოლოდ იდუმალად გადავხედავდით ხოლმე ერთმანეთს იდუმალისავე ღიმილით. მე მაინც ბედნიერი ვიყავი.

მენახა იგი, გავოცებულვიყავ იმის სიტურფით, თაყვანი მეცა მისთვის და იმის ფეხების ნაკვალზედ მკარნა—ყოველიფე ეს საკმაო იყო ჩემი ბედნიერებისათვის. რა მშვენიერი რამ იყო იგი თავის წვრილი მოყვანილი ტანით, ერთსა და იმავე დროს თავის გამბედავის და ბავშურის ქცევით!... ერთხელ ორი ეკიპაჟი შეეხჩნენ ერთმანეთს, და ამის გამო გზაში ხალხი შეჩოჩქოლდა, ამ დროს მე ლილლას ისე ახლო გავუარე, რომ გავიგე იმის ფარჩის კაბის შრიალი, რომელიც მოხვდა ჩემს ტანისამოსს. მეორედ, როცა მე მივდიოდი იმის უკან კარგა დიდ მანძილზედ, მან ვარდი დააგდო. რამდენი ვაკოცე იმ ვარდს! რა ნაირი ვცდილობდი, რომ ის ვარდი არ დამჭკნარიყო, და, როდესაც სრულიად დასჭკნა, რა პატივის-ცემით მოვაგროვე და შევინახე იმის გამხმარი ფურცლები! ბედნიერი დროა ის დრო, როდესაც სატრფოს ერთი შეხედვა, მისი კაბის შრიალი და დავარდნილი ვარდი, ავსებს კაცის გულს გამოუთქმელის სიხარულით.

ბოლოს ლილლამ ერთს საღამოს მომწერა, რომ იგი მეორეს დღეს რვა საათზედ წავა ერთი მებაღის ბაღში ზოგიერთა მცენარეების ამოსარჩევად, და იმ მებაღის სახელიც მომწერა. იგი მწერდა, რომ თუ გინდა ჩემი ნახვა, შენც უნდა იქ მოხვიდე ვითომ ყვავილების საყიდლად. და აი მეორეს დღეს დილით, ჯერ საათს რვა არ დაეკრა, რომ მე კიდეც ველაპარაკებოდი იმ მებაღეს, რომლის ბაღის მოვლას და მცენარეებს, რაც კი შემეძლო, ვაქებდი. ლილლას თანა ჰყავნდა თავისი მოსამსახურე გოგო; იგი სახლიდამ მარტო არას დროს არ გამოდიოდა. რომ კარგი ყვავილები ამოგვერჩია ამისათვის ყველა ყვავილები უნდა გაგვესინჯა, და რადგანაც ბაღი დიდი იყო და სინამ იმას მოვივლიდით დიდ-ხანს მოვუნდებოდით, ამის

გამო ჩვენ ვსთხოვეთ მებაღეს, რომ თითონ არ შეწუხებულიყო ჩვენთან სიარულით—და განეგრძო თავისი საქმე. გოგოც შორი-ახლოს მოგვდევდა. როგორც კი მარტოკა დავრჩით, მე მაშინვე ჩამოვუგდე ლაპარაკი იმაზედ, რაც ჩემთვის საინტერესო იყო.—არ ვიცი, ვუთხარ მე მას, რა მიზეზი იყო, რომ როდესაც თქვენი ხმა პირველად გავიგონე თითქოს ნაცნობ ხმად მეჩვენა. თქვენ არ შეგიძლიანთ ამიხსნათ ესა?

— მაგაზედ ადვილი რა არის!—მომიგო ლილლამ ღიმილით;—როდესაც მე თქვენ გიამბობთ როგორ გაგიცანით და როგორ გავიგე თქვენი საიდუმლოება, მაშინ იმ საიდუმლოებას, რომელიც ეხლა გაკვირვებთ, თქვენ თვითონ თავის-თავად გაიგებთ. ისე დავიჭიროთ სახე, რომ ვითომ ამ მშვენიერის ვარდის ბუჩქს ვათვარიელებთ, და ყური დამიგდე.

«მე დამრჩა მხოლოდ ერთი ახლო ნათესავი, ჩემი ძმა, ახალ-გაზრდა უმაწვილი, რომელთანაც მე ხშირად მხედავდით. ჩემს ძმასა და მე ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ერთადა ვცხოვრობთ. ერთხელ წარსულის კარნავალის დასასრულს, — ეს იყო უკანასკნელი სამშაბათი მარხვის წინ, — ალბერტო, რომელიც სულ იმაზედ ფიქრობს, რომ მე გამართოს, მოვიდა ჩემთან და მითხრა ჩემს გასართობად წავსულიყავით ოპერაში ერთ ცოლ-ქმართან ერთად. ოპერის შემდეგ ჩვენ სამთავეს უნდა ჩავვეცვა მასკარადის ტანისამოსი და დანარჩენი ღამე ველონეში გაგვეტარებინა. ალბერტო, რომელსაც სხვაგან დაუძახეს, არ შემოუერთდა კამპანიას.

«ამ საღამოს თეატრი განათებული იყო, ზალა სავსე იყო ხალხით და ხიცხე იდგა აუტანელი. ოპერის შემდეგ საშინელი თავის ტკივილი მომივიდა, ასე რომ, ჩემდა სამწუხაროდ, მე უნდა მოვშორებოდი ჩემს კამპანიას და ვთხოვე ჩვენთან მყოფს

ქალს, რომ შინ წავეყვანე. ჩემი და ჩემის ძმის სადგომი ერთი ერთმანეთის გასცქეროდენ. როდესაც მე შევდიოდი ჩემს სადგომში, უეცრად მომაგონდა შემეტყო — მოსულიყო ჩემი ძმა ალბერტს თუ არა. კარები ღია იყო. ლამპა რომ ანთებული დავინახე და ბუხარშიც დაგუზგუზებული ცეცხლი, ვსთქვი მალე დაბრუნდება მეთქი და დავუწყე მოცდა, რომ მეთქვა იმისთვის თუ ასე ადრე რისთვის დაბრუნდი შინა. მე სელზედ დავჯექი ცეცხლაპირას და მალე ჩამეძინა.

«არ ვიცი, რამდენი ხანი მეძინა, უეცრად ფეხის ხმამ გამომაღვიძა. მე მესმოდა, რომ რამდენიმე კაცი სასწრაფოდ მოდიოდენ ჩემსკენ. მე შიშმა ამიტანა და დავიმალე ალკოვის ფარდის უკან. იქიდამ ვუცქეროდი ერთს ამბავს, რომელიც თქვენც კარგად იცით და ისეთი აღელვებული ვიყავ, რომ მეტი არ შეიძლებოდა.

ზდილობა მაიძულებს ამ მოთხრობიდამ გამოვტოვო ის ნაწილი, რომელშიაც უნდა ამეწერა—თუ რა შთაბეჭდილება მოვახდინე ლილაზედ ჩემის შეხედულობით და ან როგორ ვიქცეოდი მაშინ, როდესაც საზოგადოების წევრად მიღებდენ.

«იყო წუთი, განაგრძო მან, როდესაც თქვენ დასცქეროდით ალკოვს! მე ავკანკალდი, რაკი მეშინოდა რომ არავის შევემჩნივე. მე კარგად მესმოდა საიდუმლოების მნიშვნელობა, რომელიც, ჩემდა უნებურად. სასტიკად უნდა დამეცვა, და თუმც მე და ალბერტი ძალიან დაკავშირებულები ვიყავით, მაგრამ მე მეშინოდა იმ წუთისა, როდესაც იგი გაიგებდა, რომ მე ვიცოდი ის საქმეები, რომლებიც მე არ უნდა მცოდნოდა. საბედნიეროდ ჩემი ძმა კიდევ გავიდა და მე საჩქაროდ გავედი ჩემს ოთახში. იმ ღამეს მოლაპარაკე პირი ალბერტო იყო; იმის ხმა ჩემ ხმას ძალიანა ჰგავს, და ეს აგიხსნით თქვენ

გამოცანას, რომელზედაც თქვენ ამ საათში მელაპარაკებოდით.

ლილლას ცოტა დრო ჰქონდა, ჩვენ უნდა გავშორებულიყავით; მაგრამ ბაღი ისეთი მშვენიერი იყო და ერთმანეთის სანახავად დანიშნული ადგილი ისე მოხერხებული, რომ კვლავაც მოვიდოდით აქა. წინ-და-წინ კვირაში ერთხელ მოვდიოდით, მერე ორჯელ, ბოლოს... მაგრამ რა საჭიროა მკითხველისათვის თუ რამდენჯერ მოვდიოდით, საქმე ის არის, რომ ძველ მებაღეს ორი ხშირად მიმსვლელი სტუმარი გამომოუჩნდა და ჩვენ იმის ბაღში ისე თავისუფლად დავესეირნობდით თითქოს იგი ჩვენ გვეკუთვნოდა. ლილლას ძალიან უყვარდა ლაპარაკი და მე მალე გავიგე იმისგან ყოველისფერი, რაც კი მინდოდა გამეგო.

იმის მამა, რომელიც ცოცხალი აღარ იყო, ეკუთვნოდა გენუის გამოჩენილს არისტოკრატიულს გვარს, ახალ-გაზდობისას ერთი აკტრისა შეჰყვარებოდა და ჯვარიც დაეწერა. ამ ქორწილის გამო ბევრმა ნაცნობმა და ნათესავებმა დაანებეს მას თავი. ამ დროს იგი ნუგეშობდა იმ ქალთან ბედნიერად ცხოვრებით, მაგრამ მან ვერ აიტანა სხვებისგან დამცირება იმ ქალისა, რომელსაც იგი აღმერთებდა. მან დასტოვა გენუა და წავიდა რომში, სადაც მას ჰქონდა დიდ-ძალი მამული. ქვრედ იგი გახდა ორის შვილის მამა! ალბერტოსი და ლილლასი. ლილლას დაბადებამ მოუსპო დედას სიცოცხლე. მაშინ მთელი თავისი ცოლის სიყვარული დაამყარა ვაჟზედ და უფრო მომეტებულად ქალზედ. ეს ორი ბავშვი იყვნენ ისე აღზრდილნი, როგორც კი ნებას აძლევდა დიდი შეძლება. ლილლა იყო მგრძნობიარე, განებივრებულის ხასიათის ბავშვი. ყველა იმისი სურვილი უსათუოდ უნდა შესრულებულიყო. მას არაფერში არას დროს არ ეუბნებოდენ უარს. ცრემლი ან შეჭმუხვნილი

სახე ამ პატარა მტარვალისა მთელს სახლს აწუხებდა ხოლმე. ქსეთი იყო სკოლა, სადაც გაიზარდა ლილლა, და ჩვიდმეტი წლისა შესანიშნავი იყო, როგორც თავის სილამაზით, ისე თავის ხასიათით.

ამ დროს ახალ-გაზრდა მარკიზმა ანფომ ნახა იგი და გულის ოქმათ დაუწყეს ლელვა. იმის უკან დევნის რამდენიმე ხნის შემდეგ, მან სთხოვა ხელი მდიდარს მემკვიდრე ქალს. რაც შეეხება გვაროვნობას, მარკიზი სწორედ საფერო იყო, იმიტომ რომ იგი ეკუთვნოდა იმ არისტოკრატიის გვარს, რომელიც ენათესავებოდა კარდინალს, სახელმწიფო სეკრეტარს და რომელიც თავის დროზედ, პაპად გახდებოდა, მაგრამ იგი იყო გამოჩენილი თავის სულელობითაც და კიდევ იმით, რომ ჯერ ოც-და-ერთის წლისა არ იყო და მომეტებული ნაწილი თავის დიდი სარჩოსი კიდეც შეეჭამა. ლილლას მამამ ყოველივე ეს კარგად იცოდა და უარი უთხრა იმას ქალის მიცემაზედ, რადგანაც იცოდა იმის საყვარელი ქალი ბოლოს უბედური იქნებოდა. მაგრამ მარკიზი მშვენიერი რამ იყო. იმის ეკიპაჟები ქალაქის ყველა ეკიპაჟებს სჯობდა. იგი მშვენივრად ჯდებოდა ცხენზედ, და ლილლამ გამოაცხადა, რომ თუ იგი არ გახდება იმის ქმარი, მაშინ მონასტერში წავიდოდა. საწყალი მამა დასთანხმდა ქორწინებაზედ. სამი თვის შემდეგ იმის ქმარი ნადირობის დროს ჩამოვარდა ცხენიდამ და კისერი მოიტეხა, რისგამოც ლილლა ჯერ ჩვიდმეტი წლისა არ იყო რომ დაქვრივდა. მეორე წელიწადს იმისი მამა, თუმცა ხნიერი არ იყო, მაგრამ ისე იყო დარდისაგან გატეხილი და ისე შეაწუხა მუცელში გაჩენილმა კუმ,—ეს მათი გვარეულობის ავადმყოფობა იყო—რომ მალე გადაიცვალა. ამ დღიდამ ამ ორის ობოლის რომში ყოფნა შეუძლებელი იყო; მათ გადასწყვიტეს გადასულიყვნენ გა-

ნუაში, სადაც იგინი ცდილობდენ მამის მემკვიდრეობა დაემტკიცებინათ.

ამისთანა გულ-ახდილმა ლაპარაკმა, რომელიც ჩემის სიყვარულისათვის კარგი არ იყო, ძალიან ჩამაფიქრა. თუმცა, როგორც ყმაწვილი, იმედს არა ვკარგავდი, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, თუ რა დიდი განსხვავება იყო მდიდარის მარკიზის ანფოს და ღარიბის ადვოკატის შვილის შორის. ვსთქვათ, რაც ძალიან ძნელი იყო,—დამეძლია კიდეც ლილლას ძმა და იმისი ნათესავები და იმათ უნებურად ჯვარიც დაგვეწერა,—შეძლებოდა დავმყარებოდი ლილლას გრძნობებს იმოდენად, რომ ლილლა არას დროს არ შეინანებდა ჩვენს კავშირს? როგორც ორი თვის განმავლობაში მე იმის ხასიათი გავიგე, არაფერს სანუგეშოს არა ვხედავდი. ამისთანა ფიქრები ვიცი არ შეეფერება ძალიან შეყვარებულს ოც-და-ორის წლის კაცს, მაგრამ ასეთი ხასიათი მქონდა იმავ ყმაწვილობითვე. აღტაცება არას დროს არ დაიმონავებდა ხოლმე ჩემს ჭკუა-გონებას. ჩემის ხასიათის საფუძველს შეადგენდა უნდობლობა, როგორც ჩემის თავისა, აგრეთვე სხვისაც. მე გაჭირვებას უფრო ერთი ათად ძლიერად წარმოვიდგენდი ხოლმე.

ჩემი ეგზამენების მოახლოვება, რომელიც მე ერთი თვის უკან უნდა დამეჭირა, ჩემთვის გასართობელ საგნად გახდა. მე უნდა ვცდილიყავ დაკარგული დრო დამებრუნებინა. ჩემი ძმა ცეზარიც სწორედ ამ მდგომარეობაში იყო: დილ-დილით უნივერსიტეტში დავიარებოდი, შუა დღის უკან ცოტა ხნით ვსეირნობდი სანტა კიარში. უფრო ხშირად ღამ-ღამე ვმეცადინეობდი ხოლმე; ხშირად ღამის ორ-სამ საათამდის ვიჯექი და ვკითხულობდი. ერთმა ღმერთმა იცის, თუ ლილლას სახე რამდენჯერ წარმომიდგებოდა ხოლმე თვალ-წინ, და რა ღონის

მიებასაც ვხმარობდი მომეშორებინა იგი. ყველაფერი მისრულდებოდა. ბოლოს მარიამობისთვის ერთს დღეს, უნივერსიტეტის დიდ ზალაში, სადაც ბევრი ყურის მგდებლები იყვნენ, მე მივიღე დოკტორის ხარისხი. მამა-ჩემი და ბიძა-ჩემი ჯოვანი, რასაკვირველია, დაესწრნენ ამ ცერემონიაზედ. არ ვიცი მამა-ჩემი კმაყოფილი იყო ამითი თუ არა; მაგრამ მეორეს დღეს მან მომცა დიდი ოთახი თავის კაბინეთის ახლო მთხოვნელების მისაღებად, თუ კი იგინი მოვიდოდნენ. ბიძა-ჩემმა ჯოვანიმაც გამომიცხადა თავისი თანაგრძნობა იმითი, რომ გადმომეხვია, მაკოცა და ხელში გახვეული ოქროს მანეთები ჩამიდო. ერთი კვირის შემდეგ ცეზარმაც მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი და მედიცინის დოკტორის ხარისხით გამოვიდა.

ერთი თვის წინად დედა-ჩემი ჩემი პატარა ძმით გადასახლდა მეყუდროს და აყვავებულს სან-სეკონდის ფერიალოზედ, რომლის ჰაერიც ძალიან სასარგებლო იყო იმისთვის. ცეზარიც ეგზამენის შემდეგ მივიდა მათთან. ფანტაზიოს წინანდებულად ოთრად გალესილი მწვანე ფანჯრებიანი სახლი ეჭირა. მე ქალაქში ძალიან უსიამოვნო შემთხვევამ დამანარჩუნა. უკანასკნელს ორ კვირას სიმსივნესავით რაღაც მომივიდა. თუმცა წინად ძალიან არა მქონდა სიმსივნე და იმიტომაც ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ შემდეგ ისე გამიძნელდა, რომ სახეშიაც ამომივიდა და ბერიკას დავემსგავსე. ცხადია რომ მე არ მინდოდა ლილლას ამ სახით ვენახე მაშინაც კი, როდესაც მოვრჩი. ეგზამენის რამდენიმე დღის წინად მე მოვსწე სენტაკიაირაში სეირნობა, ლილლას გამოვუცხადე საბუთი ჩემი უნახაობისა, რომელმაც ნება მომცა მიმეწერა მისთვის წერილი, თუ რომ საჭირო იქნებოდა.

შემდეგ მე ვკითხე რჩევა ექიმს ჩემი ავად-მყოფობის შე-

სახებ, რომელშაც ზღვაში ბანაობა მირჩია. მე უნდა მებანავნა ზღვის წყალში დღეში ორჯელ, დილით და საღამოთი, და ამისათვის დავრჩი ქალაქში. მაგრამ დრო გადიოდა და ლილა უფრო და უფრო სწუხდებოდა. რომ დამემშვიდებინა იგი წერილი უნდა მიმეწერა და გადავწყვიტე ყველაფერი დაწვრილებით შემეტყობინებინა. პასუხმა არ მალოდინა. ლილა მწერდა, რომ იგი დარდიანია, გაჯავრებული, გაბრაზებული ჩემის მისდამი უნდობლობით. როგორ მოვიფიქრებდი რომ იმის სიყვარულზედ ამისთანა შემთხვევა იმოქმედებდა? რომ ჩემი დანაშაული გამესწორებინა მეორე დღეს დილით ცხრა საათზედ უნდა მივსულიყავ ბაღში დანიშნულ დროს.

ლილამ დამინახა თუ არა უსიამოვნოდ გახდა. მე შევამჩნიე ეს და თითქო ეკალმა მიჩხვლიტა მეთქი იმ ნაირად გავხდი. ჩვენი შეყრა მოკლე იყო და ცივი. ჩვენ თითქოს ჩვენ ქერქში არ ვიყავით, და როდესაც ერთმანეთს ვეთხოვებოდით, რაღაც ღრუბელი ჩადგა ჩვენს შორის. ეს იმისი დანაშაულობა კი არა, ჩემი იყო. ჩემი სახე კიდევ წითელი და შეშუპებული იყო; მომეტებული ნაწილი ჩემი თმებისა, რომელიც ჩემს სილამაზეს შეადგენდა, დოკტორის ბრძანებით გადამკრიჭეს. სწორედ რომ ვსთქვა, მე ისეთი საძაგელი ვიყავ, რომ კაცს შეეშინდებოდა. ლილას როგორ შეეძლო ეს არ შეემჩნია?

ზღვაში ბანაობის ერთი კვირის შემდეგ მე სრულიად მოვრჩი; სიმსივნემ გაიარა. მხოლოდ დამრჩა აქა-იქ სახეზედ წითელი ლაქები, რომლის გადასვლაც ძნელი იყო. მე მოვემზადე წასასვლელად სან-სეკონდოში, წერილი მივწერე ლილას, ვუცხადებდი ჩემს განზრახვას და ვეთხოვებოდი მას. ისიც გადიოდა ქალაქიდამ, რომ რამდენიმე დღე სოფლად გაეტარებინა. იმანაც მომწერა წერილი, რომელშიაც მიცხადებდა რომ

ძალიან ვწუხარ რომ შენს უნახავად მიხდება წასვლაო. ეს ტყუილი იყო: თუ რომ იგი ნანობდა ჩემს უნახავად წასვლას—არაფერი არ დააბრკოლებდა დაენიშნა დღე და საათი ბაღში შეყრისა, როგორც იგი ყოველთვის სჩადიოდა. ამ შთაბეჭდილების და სინანულის წუთის დროს, უნდა გავსტყდე, ძალიან ბავშვური წერილი მივსწერე მას, რომელშიაც ვუცხადებდი რომ უფრო კარგია ერთმანეთის უნახავობით გაშორება, იმიტომ რომ მეშინიან შენ მეორედ არ გაგარისხო მეთქი. შემდეგ მე სან-სეკონდოში წავედი.

კიდევ წინად სხვა ღრუბლებმა გაიარეს ჩვენ შორის; მაგრამ ეს ღრუბელი ყველაზედ ბნელი იყო. განებივრებული ლილლა ძალიან მაწყენინებდა ხოლმე, როდესაც ყველა ისე არ მოხდებოდა, როგორც იმას უნდოდა, ან როდესაც გუნებაზედ არ იყო, მაშინ ჯავრს ჩემზედ ყრილობდა ხოლმე; და თუ მე მას თავს ნაწყენად ვაჩვენებდი იმის უსამართლო ქცევისაგან, მაშინ იგი გამხიარულდებოდა ხოლმე. ერთხელ, როდესაც დანიშნულ დროს ბაღში მივედი, იგი სწორედ გაცოფებული დამხვდა. იგი მეუბნებოდა, რომ შენ ნახევარ საათით დაიგვიანეო, მაშინ როდესაც რამდენიმე წუთით ადრე მივედი დანიშნულ დროზედ. ლილლამ ჩემის თავის გამართლებას ყური არ უგდო და ფეხის ბარტყუნით მან გამომიცხადა, რომ აღარ მოვალო, ამისთანა უსაფუძვლო გაჯავრებამ მეც შემაფუცხუნა, რისაგამოც მკვახედ უთხარი: როგორც გნებავდეთ, ისე მოიქეცით მეთქი. ამ სიტყვებით მე გავშორდი მას. უნდა მართალი ვსთქვა, რომ ამ შეშფოთების შემდეგ ლილლა ყოველთვის პირველად მოდიოდა დანიშნულ ადგილას და თხოულობდა შერიგებას.

ლილლა იყო მშვენიერი განებივრებული ბავშვი, ყოველს საათს ახალ-ახალ სურვილს მიცხადებდა ხოლმე. მაგრამ იმის

სურვილში იმდენი სიტურფე იხატებოდა, რომ არ შეიძლებოდა იმაზედ კაცი გაჯავრებულიყო. იგი ჯერ კიდევ ოცის წლისა არ იყო. მას ძალიან უყვარდა მორთულობა, ტანცაობა, სიჯმოვნება; განსაკუთრებით მხიარული ფერის ტანისამოსი ყველაზედ ძალიან უყვარდა; იგი ყველგან ბედნიერად ჰგრძნობდა თავის თავს, სადაც კი იგი კაცებზედ გავლენას მოახდენდა. ორჯელ თუ სამჯერ ბალში ჩვენი შეყრის შემდეგ, იგი ისე მექცეოდა, როგორც და ძმას და არა შეყვარებული შეყვარებულს — მე კიდეც მზად ვიყავ მეფიქრა, რომ მას ნაკლებად ესმოდა სიყვარულის ძალა; მაგრამ ამ ნაკლულევანებათა გარეშე იგი იყო პატარა მომხიბლავი ქალი, იგი იყო კეთილი, შემბრალებელის გულისა. ლილლას რომ შეწუხებული ვინმე ენახა, იგი მაშინვე მზად იყო ეშველა, როგორც კი შეეძლო. ერთის სიტყვით ლილლას იმდენი კარგი თვისება ჰქონდა, რომ ის შეიძლებოდა უფრო კარგი ქალი გამოსულიყო, სინამ როგორიც იყო.

ის თვე, რომელიც მე სოფელში გავატარე, ძალიან მოსაწყენი იყო. მე ყოველ დღე ველოდი, რომ პირველად ლილლა გაააახლებდა ჩვენს კავშირს; მაგრამ გავიდა მთელი კვირები და იმისგან არავითარი შერიგების ნიშნები არა სჩნდა. ძალიან მოვბეზრდი ლოდინით; მაგრამ მე ამპარტავანი ვიყავ და არც ერთხელ არ გამიფიქრია, რომ პირველად მე დამეწყო შერიგებაზედ ლაპარაკი. «დეე ასე იყოს! სულ გათავებულია; ეს იყო სიზმარი — და მე აღარ ვიფიქრებ ამაზედ.» ამ დროს ჩემს მდგომარეობაში შესამჩნეველი ცვლილება მოხდა: ფანტაზიომ, და ცეზარმა ნადირობა გამართეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მე დავიმორჩილე მოწყენილობა და გავმხიარულდი.

ამის შემდეგ მე ხშირ-ხშირად მიხდებოდა ქალაქში ჩასვ-

ლა. ერთხელ შევედი თუ არა ქალაქში, ლილლა დამხვდა ქუჩაში თავის მოახლე გოგოთი. ჩემ დანახვაზედ სახე გამოეცვალა, მე ეს შევამჩნიე და მოვარიდე თვალი, ვითომ არა ვხედავდი მას; მაგრამ იგი მოვიდა ჩემთან, მითხრა რომ ჩემი ნახვა ესიამოვნა და ჩემთან სალაპარაკო აქვს. მან მკითხა, შემეძლო მივსულიყავ ბაღში მეორე დღეს თუ არა. მე მივუგე, რომ ამ საღამოსვე უნდა გავბრუნდე სან სეკონდოში მეთქი— «მაშ არ შეგიძლიანთ ერთი საათის უკან მოსვიდეთ ბაღში?— რასაკვირველია, ვიქნები». და ჩვენ განვშორდით. კვალად შევიყარენით ბაღში. არას დროს არ გამოუჩენია ლილლას ამდენი გულ-კეთილობა და ალერსი! იგი მორიდებით მექცეოდა. იმის მიხვრა-მოხვრაში იხატებოდა ძალადობა, რომელსაც მე ვაწერ იმის მიხვედრას, რომ იგი დანაშაული იყო ჩემს წინაშე. თმა ამოსული მქონდა და ლილლამ ეს მომილოცა. იგი მოვიდა ქალაქში რამდენიმე დღით; სოფელს მისთვის თავი მოებეზრებინა. იგი მოუთმენლად მოელოდა დასაბინავებლად გენუაში გადმოსვლას, რომ გაეახლებინა ყოველ-დღე ერთმანეთის ნახვა. «მომწერთ ხოლმე წერილებსა თუ არა?»—რასაკვირველია, თუ თქვენი ნებაც იქნება. ჩვენ ესლა უფრო მეგობრულად გავშორდით ერთმანეთს და ამ დღიდამ დავიწყეთ მიწერ-მოწერა. მე სიამოვნებით შევამჩნიე, რომ იმის წერილები უწინდელებურად ბავშური წერილები არ იყო. ზოგ-ზოგ ადგილას დარდიანობაც ეტყობოდა, რომელიც მე მაჯავრებდა, იმიტომ რომ იგი ინანიებდა თავის წინანდელ შეცდომილებას; იგი მეხვეწებოდა სასტიკად აღარ მოვქცეოდი. ცხადი იყო, რომ ლილლა გამოიცვალა და რიგიანი ქალი დადგა. მე მაინც ესე ვფიქრობდი.

XXVI

ბედნიერი კაცი. — ამაოდ ვცდილობ შემოწყრომას· — ძალ-დატანებით შერიგება.—აღტაცება ცივდება.

ქალაქში დაბრუნების უმალვე მე ისევ ჩემს საქმეს შევუდექი. ჩემი დოქტორობის ხარისხი ნებას მაძლევდა ჩემი აზრი სახალხოდ გამომეცხადებინა და გამოვცხადებულიყავ ადვოკატად წინაშე უმაღლესის სამჯავროისა. უმაღლეს სასამართლოში ვექილად ყოფნისათვის საჭირო იყო, რომ სამი წლიწადი ერთ რომელსამე ვექილთან ვყოფილიყავ სავარჯიშებლად. ჯერედ მე მივედი ერთ ადვოკატის კანტორაში, რომელიც მაშინ მოდაში იყო და რომელთანაც ბევრი ჩემი ამხანაგებიც დაიარებოდენ, მათ რიცხვში ფანტაზიოც. ძველს ადვოკატს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა და ჩვენ ცოტას გვასწავლიდა. ოღონდ კი ვენახეთ მას ზალაში შემოსვლისა და გასვლის დროს,—სხვას ჩვენგან არაფერს არა თხოულობდა. თავის მხრით ცეზარსაც ორი წლიწადი უნდა ეტარნა საავადმყოფოში; მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ იგი დასდევდა უფროს დოქტორს დილასა და საღამოს ავად-მყოფების დასათვალიერებლად.

გავიდა ერთი კვირა. რაც ლილია მოვიდა გენუაში, და ჩვენ კი მარტო ერთხელ მოგვიხდა ერთმანეთის ნახვა ამ ორი კვირის განმავლობაში. წვიმიანმა გიორგობისთვის დღეებმა ჩვენი სეირნობა იშვიათი გახადა სანტა-კიაირაში. ამას გარდა ხსენებულს ბაღში ნახვაც აღარა ხერხდებოდა. სხვა ადგილი უნდა გვეპოვნა, რომელსაც აგრე ადვილად ვერ გიპოვიდით,— მხოლოდ მოთმინება იყო საჭირო.

ერთხელ დილით მე ფანტაზიოსთან მივედი, იგი შინ არ დამიხვდა და მე განვიზრახე დამეცადნა მისთვის. მე ავიღე

სკამი და ბალკონზედ დავჯექი, რომ დავმტკბარიყავ მზის სხივებით. ის იყო დავჯექი, რომ მომესმა ზარის რეკვა და ხმა მაღლა სიცილი ვიღაც ბელტონისა; იგი ლაპარაკობდა ერთ ჩვენ ამხანაგთან. ჩვეულებისამებრ ამ დილას მე კარგად არა ვგრძნობდი თავს, და არც გუნებაზედ ვიყავ მეგდო ყური ბელტონის გაუთავებელი უბედობისათვის და მე ფარდის უკან დავიმალე.

ბელტონი, რომელსაც ჩვენ წურბელას ვეძახდით (ეს სახელი ფანტაზიამ დაარქვა), ოცდა ხუთის წლისა იყო, მაღალი ტანისა, ჩასხმული, და ჩვენ შორის ერთად ერთი კაცი, რომელიც სტკბებოდა სრულის ბედნიერებით. არას დროს არ მინახავს კაცი ასე თავის თავისაგან კმაყოფილი. მოუხეშავი, მსუქანი, თეთრ წითელი, როგორც მდუღარე წყლიდამ ამოღებული გოჭი, იგი სთვლიდა თავის თავს ანტინოვსათ. იგი ხმარობდა დიდს, მოჭრილს საყელოებს, უცნაურს შლიაპებს და მეტის-მეტად ვიწრო ტანისამოსს; მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა მას ჩაეთვალა თავის თავი ტანისამოსის გემოვნების მცოდნე კაცად. იგი ბევრს ლაპარაკობდა, თავისავე მახვილს სიტყვაზე სიცილითა კვდებოდა. იმისთვის რომ გკითხნათ— ქალი არ იყო რომ იგი არა ჰყვარებოდა. ამიტომაც ქალებზედ იგი ცოტა არ იყო უშვერის სიტყვებით ლაპარაკობდა, და თავისი გამარჯვებით კვეხულობდა. იქნება მართლაც ბევრჯელ გამარჯვა: ამისათვის იმას თავხედობა და კადნიერობა საკმაოდ ჰქონდა. მე არ ვიტყვი რომ იგი ცუდი გულისა იყო, მაგრამ არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ამისთანა თავისმოყვარეობით გაბერილი და სუბუქი ჭკუის ქმნილება, იგი მოკლებული იყო ყოველსავე იმ გრძნობას, რაც კაცს ამშვენებს და ამაღლებს.

ბელტონი ამ დღეს გაგიჟებით მხიარულობდა.

— მშვენიერი ქმნილებაა არა? სთქვა მან და დაჯდა.

— იშვიათი სილამაზისა, უპასუხა თავის მობაასეს.

— მაგრამ ის ეშმაკია, განაგრძო ბელტონიმ.

— რა ნაირად შემოგხვედა! უთხრა მას თავისმა ამხანაგმა, რომელიც იმის უბედობით ერთობოდა.

— არაფერია გასაკვირველი, არაფერი! წარმოსთქვა ბელტონიმ.

— რამდენი ვატანცე იგი მთვარის შუქზედ კადრილი, გალოპი და ვალსი!

— მე მეცოდებოდა ის საბრალო ქალი, რომელიც მუხთალს ბედს დაეახლოვებინა ბელტონისთან.

— სად გაიცანით თქვენ იგი, ბედნიერო ახალ-გაზრდა?—ჰკითხა მას ამხანაგმა.

ბელტონიმ უშნო სიცილით მადლობა გადუხადა მას კომპლიმენტისათვის და უთხრა:

— მელლეში, სავონნეს ახლო.

— იგი მოვიდა ამ ქალაქიდამ. მე ყურები ვცქვიტე. იმის ძმას იქ მშვენიერი აგარაკი აქვს. ეს მდიდარი ხალხი, რომელიც განცხრომით სცხოვრობს, ძალიან ალერსიანია და სტუმრის მიმღები.

(ღმერთო ჩემო! ეს ის არის!)

— მე ხშირად მივდიოდი მასთან ვიზიტად და ვსეირნობდი იმ კეკლუცთან ერთად. ასე უნდოდა იმის ნახვა აი. მეტის-მეტი სიცხე! მეტის-მეტად დასაყოლიებელი ქალი!

ეს სისაძაგლე კი ვეღარ მოვითმინე და პირი მოვარიდე. მაგრამ ბელტონიმ განაგრძო დაწვრილებით ამბის თხრობა, მე შუბლზედ ცივი ოფლი დამასხა.

— შენ ერთი ეს მითხარ შენსა და იმ ქალის შორის რანაირი კავშირია? ჰკითხა ბელტონის მობაასემ.

— ხა! ხა! ხა! თქვენ ძალიან ცნობის მოყვარე ხართ, მიუგო ბელტონიმ სიცილით.

— მე ვხედამ რაშიაც არის საქმე, წარმოსთქვა მობაასემ:— თქვენ იჭერთ თავს დინჯად, იმიტომ რომ არაფერი შეგიძლიანთ სთქვათ.

— შეიძლება, შეიძლება. მართლა და მე თქვენ აი რას გეტყვით: ამ დღიდამ ერთი კვირის შემდეგ თუ რომ ჩემს გე-გლუცს სანახავად ერთი ადგილი არ დავანიშნინო მაშ ბელტონი ნულარ ვიქნები.

ფანტაზიოს მოსვლამ მოსპო ეს ლაპარაკი. იგი მოვიდა ფანჯარასთან და უეცრად დამინახა. მე ვანიშნე მას რომ ჩემი იქ ყოფნა არ გაემხილებინა. ბელტონი და თავისი ამხანაგი მალე წავიდნენ. მეც გამოვედი სამალულიდამ.

— რა არის,—მკითხა ფანტაზიომ, რომელმაც შემამჩნია ფერის წასვლა.

— ნურაფერს მკითხავთ, დროზედ ყველაფერს გაიგებთ,— იქნება სვალაც, მომეცით ერთი სტაქანი წყალი. ეხლა ნახვამდის, და ტორტმანით გამოვედი.

ყოველი ბელტონის სიტყვა ნაბერწკალისავით მეცემოდა ხოლმე გულზედ. ყოველივე იმის სიტყვა ცეცხლის ასოებით იბეჭდებოდა ჩემს თავში. ოხ! რატომ არ მოვკვდი, სინამ ლილლას ვნახამდი? მე მას ერთი-ორად გადავუხდი ჩემს ასე ტანჯვას. მაგრამ როგორ გადუხადო, რომ მას მე არ ვუყვარვარ, და ეს ბელტონი კი ჰყვარებია? ეს ფიქრი მე განწირულებაში მაგდებდა. ვიღაცა ბელტონი გავხადო ჩემს მეტოქედ! მე ჩემს თავს დამცირებულად ვრაცხავდი. მე

მინდოდა, რომ ეს სულელი მამკვდარიყო. ეს როგორ მოხდა რომ იმისთანა მშვენიერმა ქმნილებამ დაუგდო ყური სულელს და არ ეზიზღებოდა იმის ცქერა? ან იქნება მართალი იყოს, რომ ფარისევლობის გუნდრუკი, რა გინდ უხეირო იყოს, გინდ რომ კიდეც შეჭმუხნული იყოს, მაინც ყოველთვის მოწყალებით მიღებულ იქმნება სიტურფის საკურთხეველზედ.

როგორ გაიარა ამ დღემ არ შემიძლიან ვსთქვა. მე აღელვებული და გამოსულელებული ვიყავ. მხოლოდ საღამოზედ ცოტათი დავმშვიდდი. მე მაშინვე გადავწყვიტე მომესპო ლილიასთან ყოველივე კავშირი: «იგი გაიგებს რისთვის. მე მივსწერ მას ყოველისფერს, რაც კი გულში მაქვს.» მერედ მე დავჯექი და დავიწყე წერა მაგრამ ვცან რა ამის მოუხერხებლობა ლილიაზედ, გაუხდელი დავეგდე ლოგინზედ და დავიძინე. მალე ისევ გამომეღვიძა, გულზედ ცოტა მომშვებიყო; სისხლი აღარ მიდუღდა, მე გულ-გრილად დავუწყე ყურება ჩემს მდგომარეობას. იქნება ბელტონის გადმოკვრით ლაპარაკი გაზვიადებულიც იყო. ერთხელვე გადავწყვიტოთ. ეხლა საკმაოდ კარგად ვგრძნობ ჩემს თავს და შემიძლიან წერილის მიწერა. და აი კვალად დავჯექი სტოლთან.

მომეტებული ღამე იმაში გავატარე, რომ რასაცა ვწერდი, ისევა ვწვავდი. გათავება ვეღარ მოვახერხე: ერთი წერილი ძალიან რბილი იყო, მეორე ძალიან მკვახე; მესამე წერილი უფრო მომწონდა, მაგრამ ძალიან გრძელი იყო. რა საჭიროა ამდენი ყბედობა? საკმარისია სამი ამისთანა სტრიქონი: «შემთხვევა იყო და მან გამხადა თქვენი ერთი საიდუმლოს მფლობელი. თქვენ გიყვართ სხვა: მე ამის წინააღმდეგ არაფერი შემიძლიან ვსთქვა. დაკავშირება ნებაზედ არის დამოკიდებული. მე მხოლოდ შემიძლიან დაგემდუროთ იმაზედ, რომ ეშმა-

გურად მექცეოდით; მაგრამ რისთვის? მშვიდობით, ბედნიერი იყავით. გიბრუნებთ თქვენ წერილებს და თქვენი სიყვარულის ნიშნებს! ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია.»

ვითომ ბელტონი იმას მართლა უყვარს? არა მგონია; იქნება მარტო ეკეკლუცებოდა მას. «თქვენ გიყვართ სხვა,» ეს მეტის-მეტი მკვახე სიტყვები იქნება. ასე სჯობიან გამოიცვალოს: «თქვენ მიეცით ნება სხვას, რომ ეფიქრა ვითომ თქვენ გიყვართ იგი,» არა ესეც მეტის მეტია. რისთვის არის მეტის-მეტი? საიდამ ვიცი, რომ მას ის არ უყვარს? იქნება იმისთვის იგი მშვენიერია. ქალები ჩვენის თვალით არ უყურებენ. თავი ძალიან დამიმძიმდა,—წერილის დაწერა სახვალიოდ გადავდოთ.

დაწყობილი იმის წერილებიდამ მე შევადგინე დაწვრილებითი სია ყველაფრისა, რაც მისგან მივიღე. მე გადავიკითხავდი ხოლმე ზოგიერთა იმის წერილებს და ხანდისხან დიდ-ხანს ვაკვირდებოდი იმ ადგილებს, რომლებიც მე გულს მიკლავდენ. ქისა, რომელზედაც იმის თმებისაგან გამოქსოვილი ჩემი სახელის პირველი ასო იჯდა; ოქროს ბეჭედი გულით, რომელსაც ისარი ჰქონდა გაყრილი; ცოტა თმა, ჩემი ხელით შეკრილი; თეთრი ხელ-სახოცი, რომელიც ერთხელ მე გამოვართვი მთლად იმის ცრემლით დასველებული; რამდენიმე დამჭკნარი ვარდი,—აი ყველა, რაც კი მე მქონდა იმისგან. ეს ცოტა იყო; მაგრამ ჩემთვის რა განძს შეადგენდა! ვერ წარმოიდგენთ რა მწუხარებით ვესალმებოდი ყველა ამ ნივთებს. ცრემლებ მორეულმა ყველაფერი ერთს პაკეტში ჩავაწყე და დავბეჭდე. «როგორ! ნუ თუ ყველა ეს უნდა დავუბრუნო? ნუ თუ არაფერი დამრჩება მე იმისგან? არა, ეს შეუძლებელია». ბეჭედი გავტეხე. იქიდამ ამოვიღე ცოტა თმა და დავბეჭდე. გათენებამ მომასწრო ამ საქმის დროს.

ფანტაზიო, რომელიც ჩემთვის სწუხდა, ადრიანად მოვიდა ჩემთან. მე მომაგონდა ჩემი წინა დღით მიცემული პირობა. ეხლა როდესაც ყველაფერი გათავებული იყო, მე შემეძლო ყველაფერი მეთქვა იმისთვის. დავუძახე ცეზარს და ორივეს სუყველაფერი დაწვრილებით ვუამბე რაც კი მოხდა მე და ლილლას შორის, დაწყობილი იმ საიდუმლო წერილიდამ, რომელიც მე იმისგან მივიღე, ვიდრე ამ წერილის დამწერის პირის-პირ გაცნობამდე. მე გამოვუცხადე მათ ჩემი გადაწყვეტილება ლილლასთან კავშირის მოსპობის შესახებ და წავუკითხე მათ შავად დაწერილი უკანასკნელი წერილი. ფანტაზიო და ცეზარი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მე მეტის-მეტად ვაზვიადებ ამ შემთხვევას. ლილლა, როგორც ჩემი ნაამბობიდამა სჩანდა, ნამდვილი ბავშვი იყო და ყოველივე შეცოდება უნდა მიმეტევებინა. ძალიან შესაძლებელია, რომ იგი კეკლუცობდა! მაგრამ იმის კეკლუცობა და ბელტონის სიყვარული ძალიან შორი-შორს იყო. განა ბელტონი სულიერი არ იყო? როგორ შეიძლება კაცმა ნამდვილად დაიჯეროს იმისი ლაპარაკი? ვინ იცის, იქნება მას უნდოდა იმაზედ ლაპარაკით გართობილიყო? მაინცა-და-მაინც ეს წერილი ძალიან სასტიკია, ძალიან შეუბრალებლად დაწერილი. არ შეიძლება ამის გაგზავნა. ამისთანა საქმე წერილით არ გარიგდება. მე უნდა მქონდეს ლილლასთან პირდაპირი გულ-ახდილი ლაპარაკი. ამის შემდეგ გადასწყვეტს ჩემი ქცევა.

ამ საბუთებმა ცოტა არ იყო დამამშვიდეს მაგრამ არ დამარწმუნეს დ არ გამომაცვლევინეს ჩემი აზრი ლილლას კავშირის მოსპობისა. მე დიდად ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს, რაკი ვხედავდი რომ ჩემი ამხანაგები იცავდნენ იმას! «ძალიან კარგი, დეე როგორც

თქვენ გინდათ ისე იყოს: მე აღარ მივსწერ. მე მოველაპარაკები მას და ვუამბობ ყოველისფერს, რაც კი გულში მაქვს. ეს ძალიან კარგი იქნება:» ამ საშუალების წყალობით მე იმას გიდევ ვნახავდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მშვენიერი დარი დადგა და ამას მოჰყვა ლილლას წერილი, რომელშიაც ბაღში შეხვედრას მწერდა. მე წავიღე თან პაკეტი, რომელშიაც იყო წერილი და სუვენირი. გიორგობისთვის მშვენიერი დილა იყო. წმინდა ჰაერი იყო. მზე სასიამოვნო სითბოსა ჰფენდა არემარეს. ლილლა შესვეული მდიდრულ ქურქში, თითქოს ბედნიერებით ბრწყინავდა. არას დროს არ მინახავს ის ასე მშვენიერი. გაუთლელი უნდა ვყოფილიყავ, რომ ამეშფოთებინა იმისი ასეთი ნათელი და ბრწყინვალე სიმხიარულე.

მაინც შუბლი მოჭმუხნული მქონდა, რაც მაშინვე შემამჩნია მან.

— რა არის თქვენს თავს? მკითხა მან.

მე არ ვიცოდი რა მეთქვა იმისთვის.

— მე ვნახე ცუდი სიზმარი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს, მივუგე მე, თუმცა არ მესმოდა კი, რას ვამბობდი.

— ოხ! ეგ მეტის-მეტია, შეჰყვირა მან გულიანის სიცილით: —ჭკუა დამჯდარს და შეთქმულთ რიცხვში მყოფს კაცს სიზმრებისა ეშინიან, როგორც ბავშვს!

— ბერძნები და რომაელები, ბავშვები კი არ იყვნენ, მაგრამ სიზმრებს დიდს მნიშვნელობას აძლევდენ, ჩემი სიზმარი ისე ჰგავს ნამდვილს, რომ მევე გეკითხები ჩემს თავს: ეს ხომ სიზმარი არ არის მეთქი.

— თქვენ ჩემში დიდს ცნობის მოყვარეობას აღვიძებთ, სთქვა

ლილლამ, თითქოს ჩქარობთ გაგებას.—აბა ერთი მიამბეთ ეგ გამოუსადეგარი სიზმარი.

— დიდის კმაყოფილებით! მე მესიზმრა ვითომ ბალკონზედ ვიყავ ფანჯრის უკან დამალული.

— როგორც მე ვიყავ დამალული ალკოვში უგანასკნელ კარნავალის სამშაბათ დღეს, შეაწყვეტინა მან სიცილით.

— სწორედ, ოთახში კი ორი კაცი იყო და იმათში ერთი მეორეს სიყვარულის საიდუმლოებს უამბობდა. მას გაეცნო სოფელში ერთი მშვენიერი ქალი, ცოტა ძალიან ცელქი და სხ. იქნება იმ ქალის ყიტურფე ისე კარგად არ აწერა, როგორც რიგი იყო, მაგრამ მაინც მდიდრულად აღწერა. სიცხე იყო, ამბობდა იგი; იმისთანა ცელქი ქალის წარმოდგენა ძნელი იყო...

და მე სიტყვა სიტყვით გავიმეორე ბელტონის ნაამბობი. ლილლა თითქოს ჯავრობდა, რომ მე ვლაპარაკობდი და ამასთანავე ძალიან შიშობდა, რომ ლაპარაკში რაღაც ნაღველი იხატებოდა. მე განვაგრძე:

— ესრედ ახალგაზდა კაცი თავისუფლად ეტრფოდა ქალს. რაკი ის კაცი ტანცობაშიაც და მარტო სეირნობაშიაც იმის კავალერი იყო, ამისათვის მას კარგად შეესწავლა იმის სიმშვენიერე. ამისთანა ტრფობას, შესაძლებელია, შეეპყრო ქალის გულიც,—თვითონ ის ყმაწვილიც ასე ფიქრობდა, იმისთვის რომ იმან თავის საუბარი ამ სიტყვებით დააბოლოვა: „თუ რომ ამ კვირას მე იმას ერთმანეთის შესახვედრად ადგილი არ დავანიშნინო, მაშინ მე ჩემის სახელიდამ ხელი ამიღია».

— რას ნიშნავს ეს სამწუხარო ამბავი? რათ მიამბობთ მე მაგას? ჰკითხა ლილლამ აღელვებით.

— განა თქვენ ჯერ მიმხვდარხართ? წარმოვსთქვი მე მწარე ღიმილით.

— მე? არა. თქვენ მე მაშინებთ.

— მართლა? ვუთხარ მას დაშტერებით, და თანაც დავუმატე:

— განა თქვენ ამ სამწუხარო ამბავის გმირი არა ხართ?

— მე? შეჰყვირა მან, და გაწითლდა.

— დიაღ, თქვენ! თითონ ბელტონიმ სთქვა ეს. ბელტონი —ბედნიერი მომაკვდავი.

ოხ! თუ რომ მას შესძლებოდა გაბრაზება, თავის თმების დაგლეჯა და ფეხ-ქვეშ თელვა, რომ გამოჰკრთომოდა თვალებიდამ სიამპარტავნის და სიმძულვარის ელვა, დაეწყევლა ის კაცი და მეც—რა ნაირად მომეშვებოდა გულზედ! მაგრამ ეს არ იყო, იგი მოკლულსა და განადგურებულსა ჰგავდა; ერთი სიტყვით—მასში იპოვებოდა ყველა გრძნობანი ბოროტების გარდა.

იქნება მე ვარ დანაშაული, წარმოსთქვა მან ერთის წუთის სიჩუმის შამდეგ. დიაღ, მე ვხედავ, რომ დანაშაული ვარ. მაგრამ ღმერთია მოწამე, მე ღირსი არა ვარ იმისთანას საყვედურისა. მე არავითარი ცუდი განზრახვა არა მქონია. მე არ მიყვარს ის კაცი.

— თქვენ იმას ამხნევებდით? ჰო, თუ არა? წამოვიძახე მე: —აი რაშია საქმე.

— მას შეეძლო ეფიქრა, რაც უნდოდა; მაგრამ ჩემი განზრახვა ასეთი არ იყო. თქვენ ჩემზედ გულ-ნაკლულად იყავით, —თქვენ ეს კარგად გახსოვთ, ის კი ისეთი მხიარული იყო და გამრთობი! მეც, როგორც სუმბუქი ჭკუის ყმაწვილი, მო-

უფიქრებლად მოვიქეცი. მე ვსაჭიროებ პატიობაში. აკი გწერდით ამაზედ.

— - ეს იყო თქვენის სვინიდისის ხმა, თქვენ ჰგრძნობთ თქვენს თავს დანაშაულად ჩემს წინაშე.

— თქვენ ძალიან სასტიკად მეპყრობით. მე ვხედავ ბევრს ახალ-გაზრდა ქალებს, რომელნიც უმაწვილ-კაცებისაგან ისეთსავე ნიშნებს იღებენ სახსოვრად, როგორიც მე მივიღე ბელტონისაგან. — და ეს არავითარს უკმაყოფილებას არ ახდენს მათ შორის.

— დიაღ. მაგრამ ის არის, რომ რაც სხვის შესახებ საყურადღებო არ არის, ბელტონის შესახებ საყურადღებოა. განა თქვენ არ იცით, რომ ის კაცი გარყვნილია? იგი რასაც კი მიეკარება, ყველას ჩირქსა სცხებს.

— ღმერთო ჩემო! ეგ მე საიდამ მეცოდინებოდა? და ახლა რა ვქნა?

მე ნება არა მაქვს მოგცეთ დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცეთ; მაგრამ ვალდებულება ცხადია. მე უნდა თქვენ გამოვემშვიდობოთ.

— როგორ! თქვენ მე გაცეცხლებულს მხედავთ და ისე უნდა გამშორდე, რომ ერთი სანუგეშო სიტყვა არ მითხრა?

— მე არ ვჯავრობ და ყოველი დანაშაული მიპატიებია; მაგრამ ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. აი თქვენი წერილები.

რადგანაც ის არც კი განიძრა წერილების გამოსართმევლად, ამისთვის პაკეტი იმის ახლო სკამეიკაზედ დავდე. „ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!“ ამ სიტყვებით მე წაველი ბაღის კარებისკენ.

მოახლე გოგოს ყვირილმა შემაჩერა; მე მივიხედე და

დავინახე მიწაზედ მწოლიარე ლილლა. მე გავექანე იმისკენ; იგი უგრძნობლად ეგდო. ჩვენ ფთხილად ავწიეთ, რომ გადაგვეტანა მომიჯნავე ბაღში და ფთხილად დავსვით სკამეიკაზედ.

— გამსრისეთ ფეხით, ამბობდა იგი, — მომკალით და ნუკი დამტოვებთ ამ ნაირად. თქვენ არ შეგიძლიანთ ასე მომეპყრათ. არა, თქვენ ვერ გაჰბედავთ, თქვენ ამას ვერ ჩაიდენთ. თქვენ ყოველივე ეს ჩემს გამოსაცდელად ჩაიდინეთ, არა? მე თქვენი ბავშვი ვარ. რამდენჯერ დაგიძახნიათ ჩემთვის ბავშვი, თქვენ უნდა შემიბრალოთ.

რაღა უნდა მექნა, უნდა დავთანხმებულიყავ. მე გავპატიე მას, და ავაყენე; მე ისევ საყვარელს ბავშვს ვეძახოდი; მე ავთლე შეკრულნი წერილები; რაც კი შემეძლო იმის ტანჯულის სულის დასამშვიდებლად, არაფერს არა ვზოგავდი. რადგანაც ის არ მიშვებდა შინ, სინამ პირობას არ მივცემდი, რომ მეორე დღეს მივიდოდი, — მეც პირობა მივეცი. დავამშვიდე იმის გული და გავშორდით ერთმანეთს.

მე ვნახე იგი მეორე დღეს დილით, იმას სახეზედ ეტყობოდა, რომ გუშინდელს ამბავს მასზედ ძალიან ემოქმედნა. მე ყველა ღონისძიება ვიხმარე იმის დასამშვიდებლად და გასამხნევლად. მე მხიარული სახე დავიჭირე, რისაგამოც იმას პირზედ ღიმილი მოუვიდა და სახეზედ დამშვიდება დაეტყო. ლილლა ისეთი მგრძნობიარე იყო, რომ შეეძლო, ხუთი წამის განმავლობაში, ხან გულ ამოსკვნით ეტირნა და ხან მეტის-მეტს სიმხიარულეს მისცემდა.

საქმე რამდენიმე ხანს კარგად მიდიოდა; მაგრამ მე ბედნიერად არ ვგრძნობდი ჩემს თავს. ჩემი რწმუნება მისადმი, ვინც მიყვარდა, შეირყა და დამაბუნდა.

თავი XXVII

ფანტაზიის დატუსაღება.—ჩვენი გაჭირვება და ულონობა.—მოულოდნელად საქმის დაბოლოვება.

თუმცა ლილლას წინანდებურად აღარ ვერწმუნებოდი, მაგრამ ეხლა კი უფრო ძალიან მიყვარდა, სინამ წინად. ჩვენ უფრო დიდს ფასსა ვსდებთ იმ განძს, რომელსაც გვეცილებიან. არიან კაცები, რომელნიც სიყვარულს უეჭვოდ ვერ წარმოიდგენენ. რაც შეეხება მე, უეჭვოდაც იოლად წავიდოდი, ამისთვის რომ ეჭვიანობამ მართალია გულის თქმა გამიძლიერა, მაგრამ ჩემი კეთილ დღეობა კი შემცირდა ლილლასთან ერთად, რომელზე ფიქრითაც წინად გულით ვსტკბებოდი, ეხლა სხვა პირსაც ვირდგენდი თვალწინ, რომელიც საძაგელი და საზიზღარი იყო. ერთი ის აზრი, რომ იმის მშვენიერებამ სხვა დაატკბო, სრულიად ამცირებდენ მას ჩემს თვალში და ხანდისხან აღარც კი მინდოდა იმის სახე წარმომედგინა. დიდი რამ შემთხვევა იყო საჭირო, რომ ამ მდგომარეობიდამ გამოვეყვანე.

ერთხელ შუაღამისას, როდესაც დაძინებას ვაპირობდი, ქუჩიდამ შემომესმა ხმა, რომელმაც რამდენჯერმე ჩემი სახელი დამიძახა. მე გავაღე ფანჯარა და ვკითხე ვინა ხარ მეთქი.

— მე ვარ, მომიგო ბიძა-ჩემმა ჟოვანიმ: ჩამოდი და კარები ნელა გამიღე; შენთან სალაპარაკო მაქვს.

რაკი ვერ გავიგე, თუ რათ მოიჭრა ამ დროს აქ ბიძაჩემი ჟოვანი, რომელიც ჩვეულებრივ ათს საათზედ იძინებდა ხოლმე, მე შემკრთალი ჩაველი ძირს და კარები გავაღე.

— რა ამბავია ბიძაჩემო?

ბიძაჩემმა ჯოჯანიმ პასუხი არ გამცა, გამომართვა ლამპა, შემოვიდა ჩემს ოთახში, რომლის კარიც მაშინვე ჩაკეტა და დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა.

მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ იგი ძალიან გაჯავრებული და აღელვებული იყო.

— რა ამბავია, ბიძაჩემო? გავუმეორე მე.

— რა ამბავია! რა ამბავია! შეჰყვირა ბიძაჩემმა ჯოჯანიმ:— შენ ძალიან მალე გაიგებ რაც ამბავია. აკი გეუბნებოდი, რომ თუ ცეცხლთან თამაშობას თავს არ დაანებებთ, ხელებს დაიწვამთ მეთქი. აკი გეუბნებოდით, რომ თქვენ მხოლოდ იმას იზავთ, რომ ყველას ჩამოგაღრჩობენ მეთქი. სხვას ვერაფერს იზამდით, ვერა. ამ დამთხვეულს ყმაწვილ-კაცობას ყველა თავის ნებად უნდა გააკეთოს. იგინი დიდს ჭკუასა ჩემულობენ, მაგრამ როდესაც ნამდვილ ჭკვიანს კაცს შესვდებიან, რომელიც ეუბნება მათ: «ერიდეთო!»—ფუ! იმათ ეჯავრებათ იმის დარიგება და უბედადა სთვლიან. ღმერთმანი თავს მამაძუღლეს ამ დამთხვეულებმა.

ეს წინასიტყვაობა რომ წამიკითხა, მან დაასხალა თავის ქუდი იატაკზედ და მერე თვითონაც დაეცა სკამზედ და დაიწყო ფრჩხილების კვნეტა.

— თუ ღმერთი გწამთ, ძია! ნუ მტანჯავთ. მითხარით რა მოხდა.

— ფანტაზიია დაიჭირეს; სხვაც ბევრი დაიჭირეს და კიდევ ბევრს უპირობენ დაჭერას. მეთქმულობა, *საიდუმლო საზოგადოებანი, სახელმწიფო ღალატი... საქმე საღრჩობელას შეეხება—სხვა არაფერი! აი რა მოხდა: ამბობენ რომ მთავრობას ასი კაცი მეტი ჰყავს სახეშიო, რომელნიც საიდუმლო საზოგადოების საქმეში არიან აგრეულნიო; დიაღ, ასი კაცი, რო-

მელთ რიცხვშიაც, გინდა დაგენამლევები, შენც იქნები. ჯანაბას ვველა უმაწვილი კაცები! იგინი მხოლოდ მაშინ არიან ბედნიერები, როდესაც თავს მახეში ჰყოფენ. რა ღმერთი გამიწყრა, რომ მე შენ კაპუცინობა დაგიშალე!

ამ დიდხნის ლაპარაკის განმავლობაში, მე მხოლოდ ერთი ფრაზა გავიგე; ეს ფრაზა ყურში ისე მიზუოდა, როგორც მიცვალებულისთვის დარეკილი ზარი და სისხლის დენას მიყენებდა ძარღვებში.

ფანტაზიო დაიჭირეს! ეს ნიშნავდა: საიდუმლოდ იმის გასამართლებას, სამხედრო სამსჯავროს გადაწყვეტილებას, რომელსაც კარებ ჩაკეტილ ზალაში გამოცხადდენ; ვინ იცის, იქნება არც ვექილი ჰყავდა დამნაშავეს; ყოველივე ეს სიკვდილს მოასწავებდა. სამწუხარო საქმის სხვა-და-სხვა ფაქტები აშფოთებდენ ჩემს შემკრთალს გონებას.

— იმას უნდა ვუშველოთ, ძია, უნდა ვუშველოთ! შევყვირე მე შიშისაგან თითქმის გონება გამოცლილმა.

— სისულელეს ნუღარ ვილაპარაკებთ! მითხრა ძიამ: ვიმოქმედოთ დამჯდარის ჭკუა-გონებით და, დაწყობილ შენგან, წინდაწინ იმათ გადარჩენაზედ ვიფიქროთ, რომლების გადარჩენაც შეიძლება. გამიგონე, შენ მონაწილეობას იღებდი იმ საქმეში თუ არა?

— თუ ღმერთი გწამთ, ძია, ჩემზედ ნურას ფიქრობ. გსთქვათ კიდეც ვიღებდი მონაწილეობას! მერე ვინ რა იცის ამისი; მე თვითონაც კარგად არ ვიცი!...

— დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც ამბობ? მკითხა ძიამ, ცოტა დამშვიდებულის კილოთი.—გახსოვდეს, რომ ამაზედ არის დამოკიდებული შენი სიცოცხლე ანუ სიკვდილი; საქმის გარემოების დამალვა სრულიად დაგღუპავს.

—გეფიცები, ძია, რომ არც მე და არც ცეზარს არაფერი გვიშავს.

— ცეზარს! განა ცეზარიცა! შეჰყვირა ბიძაჩემმა ჯოვანიმ და ორივე ხელი შუბლში შემოიკრა: სწორედ ეგლა აკლდა! ცეზარიცა! ეს რატომ მაშინვე არ ვიფიქრე? ეს სისულელეა, ნამდვილი სისულელე! თქვენ იქამდის არ დაწყნარდებით, სინამ საღრჩობელაზედ არ აგიყვანენ.

— ფანტაზიო... ძია, ფანტაზიოზედ ვიფიქროთ, რომელიც განსაცდელში იმყოფება, რაც უნდა იყვეს, ის უნდა გადავარჩინოთ, ცა და ქვეყანა შევძრათ და ის კი საპყრობილიდამ დავიხსნათ!

— დავიხსნათ საპყრობილიდამ! შეჰყვირა ბიძაჩემმა ჯოვანიმ და აიწია მხრები.—დიაღ, რასაკვირველია, აბრეშუმის ძაფის შემწეობით, როგორც „სევილიელს დალაქში“ არის. ღმერთმანი, შენ ჭკუაზედ შემცდარხარ. ნუ თუ შენა გგონია, რომ საპყრობილეები თავისთავად არიან აშენებულნი? გინახავს როდისმე ციხე? იმის განიერი კედლები და სქელი რკინის კარები? შენ რასა ოცნებობ!

— ამბობენ, რომ რაც უნდა ძნელი გასაღები კარები იყოს, ოქროს გასაღებით გაიღებაო.

— მართალია; ოქროს ბევრი შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა. ამასთანავე, ვსთქვათ, შენ ოქრო გაქვს, მერე ვის მისცემ? საპყრობილეში ათასი თანამდებობის პირია, რომელნიც ერთი ერთმანეთს თვალ-ყურს ადევნებენ. სიცოცხლე ყველასთვის სიცოცხლეა, ჩემო საბრალო ბავშო. უკეთესი არ იქნება, რომ ჰაერში კოშკების შენებას თავი დაანებო და საფუძვლიანად დავიწყოთ ლაპარაკი?

— თქვენი საფუძვლიანი ლაპარაკი განწირულებაში მაგდებს!

—ახლა იმის მეტი არაფერი შეიძლება, რომ დაწვე და დაიძინო. იქნება შენი მეგობრის მდგომარეობა ეგრე სამწუხარო არ იყვეს; შემდეგ ვნახოთ, თუ მას როგორ ვუშველოთ; რაც კი კაცისგან შეიძლება, ყოველისფერი მოვისმაროთ. მე გამზობ რაც შეიძლება, გესმის თუ არა? სინამ კი ჭკვიანად მოიქეცი,—ერთს უბედურებას მეორე უბედურებასაც ნუ დაუმატებთ. ღამე მშვიდობისა.

მე ძალიან მინდოდა ცეზარი გამეღვიძებინა. მაგრამ მე მეცოდებოდა იგი: არ მინდოდა სამწუხარო ამბებით დამერღვია იმისი მყუდროება. «ის უწემოთაც მალე გაიგებს ამ სამწუხარო ამბავს!» მე დავწექი, მაგრამ მთელს ღამეს თვალი არ მომისუჭავს, სულ იმაზედ ვფიქრობდი, თუ როგორ მეშველა ფანტაზიოსთვის,—მაგრამ საუბედუროდ ვერაფერი ვერ მოვიფიქრე.

იმ პლანის ასრულება, რომელიც ფანტაზიოს გაქცევას შეეხებოდა, თითქმის არა ხერხდებოდა; პირველად, ძნელი იყო გვეშოვნა იმოდენა ფული, რომ სატუსაღოს მცველები მოგვესყიდნა. მე მაშინვე ლილლა მომაგონდა, რომელიც მდიდარიც იყო და დიდ-სულოვანიც: შეიძლება მდიდარიც იყო და დიდ-სულოვანიც, მაგრამ ხუთი ათასი ფრანკი კი არა ექნებოდეს ამ წამს ხელად; შეიძლება ლილლაც ამ მდგომარეობაში ყოფილიყო, რადგან უფროსი ძმა ჰყავდა. მაგრამ ვსთქვათ საჭირო ფული ვიშოვნეთ; ვის მივცეთ ეს ქრთამად? ვსთქვათ ფული მე მაქვს ხელში, მერე როგორ უნდა მოვიქცე? ისე არა, რომ დავარასხუნო საპყრობილის კარები და გამოვიხმო უფროსი გუშაგი, როდესაც მე მაზედ არავითარი ცნობები არ მექნება შეკრებილი. და როდესაც მე და ის მარტო დავრჩებით, უნდა ამოვიღო ფული და ის წინდაუხედავად მივცე? ვსთქვათ

იგი ადგილი შესასყიდი იყოს, მერე არ შეეშინდება იმისი, რომ ვაი თუ მახეს მიგებდენო? როგორ დაერწმუნება იგი უცნობს ყმაწვილს კაცს? თუ რომ არ ვიპოვნი იმისთანა კაცს, რომელმაც საქმე იცოდეს და მითხრას: „მიმართე საპყრობილის ამა-და-ამ მოსამსახურე პირს, მე იმას ვიცნობ, ის ყველას გაარიგებს“, მაშინ მე ჩემი განზრახვა არ შემისრულდება და ჩემს თავსაც საფრთხეში ჩავაგდებ. დიაღ, ბიძა ჩემი ჯოვანი მართალს მეუბნება. საპყრობილის გუშაგის დახმარებით ფანტაზიოს გაქცევაზედ ფიქრი არც კი შეიძლება.

ნუ თუ არ შევარდეთ საპყრობილეში და არ გამოვიტაცოთ ფანტაზიო? დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ არც ეს შეიძლებოდა...

დილით ადრე ცეზარი გავაღვიძე და სამწუხარო ამბავი შევატყობინე. ახლა ორივემ დავიწყეთ ფიქრი იმაზედ, თუ როგორ გვეშველა ფანტაზიოსთვის. ჩვენ განვიზრახეთ ფანტაზიოს მშობლებთან წასვლა, მაგრამ ჯერ ადრე იყო.

ფანტაზიო ძალიან საყვარელი შვილი იყო თავის მშობლებისა. იმის დედ-მამა ძალიან შეწუხებულები დაგვხვდენ. იმათ გვიამბეს, რომ წინა ღამეს, როდესაც ფანტაზიო ჩვეულებისამებრ თერთმეტს საათზედ შინ დაბრუნდა, კარბონარების ხროვამ პოლიციის კომისარის წინამძღომლობით დაატუსაღეს იგი. იმის ქაღალდები სულ გადაშინჯეს და ზოგიერთები თანწაიღეს, თუმცა იმათში მთავრობის წინააღმდეგი არა ეწერა რა. ჩვენ გულ-მოკლულნი შევედით ჩვენის მეგობრის ოთახში, იქ ყოველისფერი ისევ ისე იყო, როგორც მას დაეტოვებინა: ბაირონის თხზულების ერთი ნაწილი სტოლზედ იყო გადაშლილი, დაუთავებელი სიგარაც იქვე იდო და სიგარის გვერდით ქაღალდები, რომლებზედაც დაეწერა თავის აზრები პოეტის

თხზულების წაკითხვის გამო. გუშინდელს აქეთ არაფერი გამოცვლილიყო, მაგრამ რა ნაირი განსხვავება იყო! ოთახი მტრისგან აკლებულსა ჰგავდა. მათ, რომელნიც მუხთალს ბედს მეგობრებისაგან გაუშორებია, კარგად იციან, თუ რა სამწუხარო გავლენას ახდენს კაცზედ ის ნივთები, რომელნიც დაშორებულს მეგობრებს ეკუთვნოდენ.

მე ბიძაჩემს პირობა მივეცი, რომ სადილობისას იმასთან შევიდოდი ამბის შესატყობრად. ბიძა-ჩემს საქმის გარემოება კარგად გაეგო: ათამდინ კაცი დაეჭირათ, მან მითხრა მათი სახელები და წლოვანება. იმათ შორის რვა უმაწვილი კაცი ოცისა და ოც-და-ათის წლისანი იყვნენ (მათ შორის სფორაც), და ორიც ხანში შესული კაცი; იგინი ყველანი ადვოკატები იყვნენ ნაზის გარდა, რომლისაც დიდი იმედი გვქონდა, რომ ფანტაზიოს დაიხსნიდა, მაგრამ საუბედუროდ თვითონაც ციხეში მოჰყოლოდა. მე და ცეზარმა ერთი ერთმანეთს გასწორულებით შევხედეთ. რა ვქნათ? მოდი ექიმს პედრეტის მივმართოთ. რადგანაც მე იმას ვიცნობდი, ამისათვის ეს საქმე მე ვიკითხე. მე მალე გავიგე იმის სახლი, სადაც იყო და წავედი მასთან.

ექიმი პედრიტი იმ კაცებს ეკუთვნოდა, რომელთაც უმაწვილობა თავის დღეში არ გამოუცდიათ. იგი შეიძლებოდა ოც-და-ხუთის წლისაც გგონებოდათ და ორმოც-და-ათისაც. იმას ძალიან ბინძურად ეცვა; ცხვირი ყოველთვის ბურნუთით ჰქონდა გამოტენილი. «ნეტა რა ბედნიერმა ქარმა მოგიყვანათ ჩემთან?» მე ყველაფერი პირ-და-პირ ვუთხარი. იგი ძალიან შეკრთა და დაიწყო ფიცილი, რომ მე თქვენი საზოგადოების წევრი არა ვარო. მე დავუმტკიცე მას, რომ ისიც წევრი იყო... აქაც ვერაფერს გავხდი.

ეხლა მხოლოდ ერთი იმედიღა დაგვრჩა—გრაფი ალბერტო. ჩვენ გადავწყვიტეთ წავსულიყავით მასთან. არც ცეზარს და არც ფანტაზიოს გრაფის სახე არ ენახათ, თუმცა ისინიც იქ იყვნენ, როდესაც მე გრაფის სახლში საზოგადოების წევრად მიმიღეს.

ცეზარმა გამოაცხადა სურვილი, რომ გრაფთან მე წავალო. რომ გრაფი აგვეღელვებინა უეცარის ამბის შეტყობით, ჩვენ განვიზრახეთ გაგვეგო იმის ხასიათი, რისათვისაც ჯერ ის სხვა ადგილას უნდა გვენახა. ლილლამ, რომელსაც ამ საგნის შესახებ გამოვკითხე, დამისახელა ერთი ყავახანა, სადაც იმის ძმა ყოველ-დღე დაიარებოდა და ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა. მართალი უნდა სთქვას კაცმა: ამ შემთხვევის დროს ლილლამ დიდ-სულოვნობა და გულუხვობა გამოიჩინა. იმან მომცა არამც თუ ის ფული, რაც მას ხელში ჰქონდა, არამედ ძვირ-ფასი ნივთეულობაც, რომლების გაყიდვითაც კარგ ფულს ავიღებდი. ამასთანავე იგი დამპირდა, რომ თუ ფული კიდევ დაგაკლდებათ, გიშოვნითო.

ცეზარმა ნახა გრაფი ალბერტო, რომელმაც სიხარულით და გულ-წრფელად მიიღო. თუმცა იმასაც ძალიან გულით უნდოდა ეშველა რამ დატყვევებულებისთვის, მაგრამ საუბედუროდ ისიც იმისთანავე მდგომარეობაში იყო, როგორც ჩვენ, ესე იგი ნაზის დატყვევების შემდეგ მათის გარემოებისა აღარაფერი იცოდა. გრაფმა მხოლოდ დაგვისახელა ორი დიდი პირი, რომელნიც ჩვენს საზოგადოებას ეკუთვნოდენ და რომლებისგანაც შეიძლებოდა გაგვეგო რამე. პირველი პირი იყო მაღალი წოდების მსაჯული, რომელიც გათქმული იყო თავის სასტიკობით; მეორე უცხო ქვეყნის, გერმანიის მცირე სასახლის წარმომადგენელი. ამ გამოურკვეველმა საბუთებმა

ცოტა არ იყო დაგვაბრკოლეს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ყმაწვილთ კაცობა აგრე ადვილად არ იხრის თავს დაბრკოლების წინაშე; ჩვენ განვიზრახეთ საქმე დაახლოვებით შეგვეტყო. ჩვენ გადავსწყვიტეთ მივემართა ხსენებული მეორე პირისათვის. ეს მძიმე საქმეც ცეზარმა იკისრა; იგი იმავე დღეს წავიდა ელჩთან, რომელმაც მიიღო. ცეზარს ჯერ ბოდიში მოეხადნა, რომ გახდა მისი შეწუხების მიზეზი და შემდეგ საზოგადოების კუთვნილი ნიშნები ეჩვენებინა, მაგრამ ამაოდ. მაშინ ამან პირდაპირ დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ ელჩს პირველ სიტყვაზედვე შეეჩერებინა და ეთქვა, რომ თუ კიდევ იტყვით რასმე, ეხლავე სალდათებს დავუძახებო. მხოლოდ იმ კარის პატივისცემა მაბრკოლებსო, რომელსაც შენ ეკუთვნიო. მერე ეთქვა კარზე გასულიყო.

რაკი აქაც ვერაფერს გავხდით, ჩვენ ყოველივე იმედი დავკარგეთ. ცხადი იყო, რომ მხოლოდ ჩვენს თავს ვაწუხებდით და ფანტაზიოს კი ვერაფერს ვშველოდით. ნეტა ზემო ხსენებული ორი პირი მართლა კარბონარების საზოგადოებას ეკუთვნოდენ? ეს მე არ ვიცი და არც მეცოდინება, რადგანაც ისინიც ისე დაიხოცნენ, როგორც ნაზი. მარტო ჩვენ არა ვიყავით ჩვენის მეგობრის დახსნის შესახებ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი. არც ერთი ეპოქა იმდენად იმედს არ იძლეოდა, როგორც ეხლანდელი. როგორც ეს დრო ისე არც ერთი დრო ხელს არ უმართავდა ხალხს, რომ განთავისუფლებულიყვნენ. ბელგიამ იმ ცოტა ხნებში მოიპოვა თავისუფლება, პოლონია და მოდენიც აჯანყდენ. საფრანგეთის რევოლიუცია კარზედ გვადგა და გვირახუნებდა კარს, მაგრამ ჩვენ კარი ვერ გავუღეთ, ამისათვის რომ ხელ-ფეხი შეკრული გვქონდა. აი ეს უფრო გვაგდებდა ჩვენ სასოწარკვეთილებაში.

ფანტაზიო ერთი თვე იყო რაც ციხეში იჯდა, იმისი ნათესავები ამაოდ ცდილობდენ მიეღოთ ნება ფანტაზიოს სანახავად; მათ ცივი უარი უთხრეს. რაკი შეძლებულნი და გავლენიანი გვარისანი იყვნენ, იგინი ცდილობდენ მაღალ-წოდების კაცებთან, რომ დახმარებოდენ შვილის საქმეში. დატუსაღებულების გასამართლება დიდ ხანს გძელდებოდა და როგორ მიდიოდა მათი საქმე, არავინ არაფერი იცოდა: გენუაში კი ძალიან ცუდი ხმები დადიოდა. ამბობდენ რომ ბევრი იარაღი დაიჭირესო; ლაპარაკობდენ აგრეთვე რომ სიკვდილით დასჯა ბევრს გადაუწყვიტესო და ბევრიც ჩუმად დახოცესო. რასაკვირველია ბევრი ხმები გაზვიადებული იყო. მაგრამ საზოგადოება კი ძალიან აღელვებული იყო.

საბედნიეროდ, ბიძა-ჩემმა ჯოვანიმ, თავის წყნარის და იდუმალის მოქმედებით, მალე გაიგო ნამდვილად როგორც იყო საქმე და ცოტა არ იყო დაგვამშვიდა. ის ძალიან დაახლოვებული იყო ერთს ძველ ჩინოვნიკთან, რომლისთვისაც ერთხელ ფულით შემწეობა მიეცა და ამისათვის დღევანდლამდინ დიდი პატივისცემა ჰქონდა ბიძაჩემისა. ამ ჩინოვნიკს ჰქონდა ფანტაზიოს და იმისი ამხანაგების საქმე გამოსაძიებლად,— და იმასაც შეეტყობინებინა ბიძაჩემისათვის სხვა-და-სხვა ცნობები, რასაკვირველია, დაევიწყებინა კი რომ არსად არ გამცეო.

ფანტაზიო იმაში გაამტყუნეს, რომ იგი კარბონარების საზოგადოებას ეკუთვნოდა და კიდევ იმაში, რომ ერთხელ იმას მიეღო ერთი კაცი, როგორც წევრი ხსენებულის საზოგადოებისა. ეს კაცი პოლიციის ჯაშუშად გამოდგა და დაებეზღებინა ფანტაზიო. იმავე აგენტს დაებეზღებინა ნაზი, რომ იგი კარბონარების საზოგადოებას ეკუთვნოდა და რომ იმას

მიეყვანა იგი ფანტაზიოს სახლში და გაეცნო. დანარჩენებსაც მხოლოდ იმაში ამტყუნებდენ, რომ ისინიც კარბონარების საზოგადოებას ეკუთვნოდენ. სფორცა, რომელიც ის-ის იყო ჩაეწერა საზოგადოების წევრად, როგორღა მოჰყვა დაჭერილების რიცხვში? არ ვიცი, მაგრამ ხმები კი დადიოდა, რომ პოლიციას ჩავარდნოდა ხელში კარბონარების წევრთა სია. ნაზისა და ფანტაზიოს ერთი გარემოება შველოდა. იმათ წინააღმდეგ მხოლოდ ერთი მოწამე იყო, პოლიციის აგენტი. ესრედ დაჭერილების სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა; ყველაფერი იმაზედ იყო დამოკიდებული, თუ როგორის სასამართლოთი გაასამართლებდენ მათ, სამხედროთი თუ სამოქალაქოთი.

მაშინდელმა კოროლმა კარლ-ფელიქსმა როცა გაიგო, რომ ზოგიერთა კარბონარებზედ გამოძიება იყო დანიშნული, უბრძანა თავის პატივებისა და იუსტიციის მინისტრს, რომ ამ საქმის გარემოება მისთვის მოეხსენებინა. როდესაც მან საქმეები გაშინჯა, ყურადღება იმ საქმეს მიაქცია, რომელშიაც მარტო ერთი პოლიციის ჯაშუში იყო მოწამედ და ცოტა არ იყო ეჭვი შესვლოდა გულში. რომ ეს ეჭვები გაეფანტა, მან დანიშნა კამისია სამი საუკეთესო მსაჯულებისაგან, რომელსაც ჩააბარა გაეშინჯათ ეს ქაღალდები და გამოეთქვათ თავისი აზრი—საჭირო იყო მათი გასამართლება თუ არა. შემდეგ საფუძვლიანად საქმის გარჩევისა, კამისიამ დაადგინა, რომ ისინი არ უნდა გაესამართლებინათ. ამ დადგენილების შემდეგ დატუსალებულთათვის უნდა მაშინვე დაებრუნებინათ თავისუფლება, მაგრამ ასე კი არ მოხდა. პიემონტის მართებლობამ მხოლოდ სანახევროდ შეასრულა ეს დადგენილება. ფანტაზიოს და ნაზის მისცეს ბილეთები და უბრძანეს, რომ გასულიყვნენ სამშობლოდამ, მაგრამ რამდენის ხნით—ეს კი აღარ იყო გამოცხადებუ-

ლი. მათი ამხანაგებიც გამოუშვეს, მაგრამ პოლიციის მსედვე-ლობის ქვეშ კი დასტოვეს. ამ საქმემ ოთხს თვეს გასტანა, არ ვიცი რა საფუძველი ჰქონდათ და ხალხში კი ხმა დადიო-და, ვითომ ერთი იმ მოსამართლეთაგანი კარბონარი ყოფი-ლიყოს.

რადგან ფანტაზიომ უვნებლად დაალწია თავი საპყრობი-ლიდამ, ჩვენ ყველას ძალიან გვიხაროდა. ფანტაზიოს სახლობის სურვილისამებრ, მე და ცეზარმა მხოლოდ მაშინ ვნახეთ ფან-ტაზიო, როდესაც დილიჟანსში ჯდებოდა. განშორების დროს ჩვენ ყველამ ვიტირეთ. . .

(შემდეგი იქნება)

ობოლი.

ხლარა ვინ ჰყავს მომვლელი: დედაც მოუკვდა, მამაცა,
შავმა სიკვდილმა, უწყალომ, იმათზე გაიმამაცა!...
პურს ვიღა აჭმევს პაწიას, ვიღა დააწვენს ლოგინში!
ვინ დაბანს, ვინ დაუყვავებს? სული გასძვრება ლოდინში!...
დედაც მოუკვდა, მამაცა, მარტოა, ერთად ერთია...
მაგრამ განგება—დიდია, მისი დედ-მამა—ღმერთია!...

თ. რაფ, ერისთავი.

ოსმალოს სომხეთის საქმე

არას დროს ევროპის და რუსეთის გაზეთებს ასე მოხში-რებით ოსმალოს სომხეთზე ლაპარაკი არა ჰქონიათ, როგორც ამ ორის თვის განმავლობაში, მაისში და თიბათვეში ჰქონდათ. უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ სომხეთზე ლაპა-რაკი შეგვხვდებოდა ხანდისხან, სხვათა შორის, სიტყვის მასა-ლასავით. როგორც საპოლიტიკო, როგორც ევროპის საზო-გადოების და სახელმწიფოების სალაპარაკო საგანი — სომხეთი არა ყოფილა. ახლა კი ამ ორ თვეს დამუდმებული საუბარია როგორც გაზეთებისა, აგრეთვე სახელმწიფო კაცებისა. მხო-ლოდ ქართველმა მკითხველმა თითქმის არაფერი იცის, მის მეზობელ და მოძმე ხალხზე, რუსული ან ევროპის გაზე-თები და საზოგადოება რასა ლაპარაკობს, რასა სჯის და რას აზრობს — თითქოს განგებ რაც ახლოა, არ უნდა ვიცოდეთო. ბრალია მკითხველი, და ქართულს მწერლობას ესაყვედურება ამაზე სიჩუმე. საჭიროა რამდენათაც კი შეიძლება და გარემოე-ბა მოგვითხრობს, სომხეთი საქმის მდგომარეობა და ვითარება კარგად იცოდეს მოძმე ქართველმა ხალხმა.

სომხეთით, რო ვთქვით, ამ ჟამად ევროპაში მრთელს ძველს სომხეთს კი არ ისსენიებენ, არამედ იმის ნაწილს, რაც ოსმალოს ხელშია, რომლისაც შუაგული არზრუმი, ვანი და მუშია; რუსის სომხეთს, რომლის უმთავრესი ადგილები ერე-

ნის და ყარსის გუბერნიებია, ეხლანდელი ლაპარაკი არ შე-ეხება.

ვიცით ისტორიით, რო სომხეთის მოხსენებული ორივე ნაწილი ერთ დროს ძველის ძველათ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ისე რომ რომაელებს, სპარსებს, ბიზანტიელებს, არაბებს ისეთისავე მხნეობით ეომებოდა, როგორც საქართველო. სპარსებმა და ოსმალებმა ყველაზე უფრო მომეტებულად მწარე დღე დააყენეს სომხეთსა და სრულებით მეფობა და ქრისტიანობა დაამხეს. ყოველი მტერი რაც საქართველოს ესეოდა, ჯერ პირველად სომხეთში შედიოდა, პირველს საშინელს გვემებას მახვილისას მას სცემდა და იქ გამაგრებული საქართველოში შემოდიოდა. ამიტომ მომატებული სისხლის ღვრა უფრო სომხეთში იყო ვიდრე საქართველოში, მეტადრე იმ მიზეზის გამო, რომ ქართველობას მთა-ტყეში შეეძლო თავის შემაგრება; სომხეთი კი უფრო გაშლილ მინდორზე მდებარეობს. ამიტომ სომხეთი თუმცა მხნეთ უხვდებოდა მტერსა, მაგრამ აუარებელმა მისმა შემოსევამ შეარყია სიმაგრე თავგანწირულად მებრძოლე ქვეყნისა და საზარელის მონობით განერთხა ქრისტიანე ხალხი მძვინვარეს მძლეველ სპარს-ოსმალეთ ფეხთა ქვეშე. მახვილი და ცეცხლი მოედვა მთელს სომხეთის ნიადაგსა, სისხლის ღვარები მოსდიოდა მშვენიერ შემუშავებულ ყანა-მინდვრებზე, ცეცხლათ დანაცრდა უცხოდ ნაშენი ციხე-ქალაქები, ეკლესიები და მონასტრები. იერუსალემის დარღვევა რომთა კეისრისა ტიტესგან თუ ერთი იყო, რომლის მსგავსი ისტორიას მცირად ახსოვს, სომხეთის წვა და რღვევა, ტყვეობა და ხოცვა ასი იყო, როგორც ჩვენს საქართველოში. ეს ცათა და ქვეყნის რისხვა სომხეთის ყოველს სოფელს და ყოველს კუთხეს ადგებოდა მთელ რვა საუკუნეს. სომხეთის

მეფობა, ებრძოდა დიდხანს და ბოლოს 1393 წელს, უკანასკნელ მეფის ლეონ VI დროს, მოისპო. შეირყა სომხეთი, დაიშალა დიდი ერთობა ხალხისა.

ხალხი განწირულებაში შესული, იმედ მისდილი, ძლივს სულის კბილით მჭერელი, თავის მამა-პაპის ქვეყანაში რაკი მოსვენებას არა ჰხედავდა, უტევებდა ნელ-ნელა ყოველსავე თავის სამშობლო ქვეყანაში, სადაც მას სულსართმევდენ. და მიდიოდა მთელის აზიის, ევროპის და აფრიკის ქვეყნებში და უფრო თავის შესაფერ სამშვიდობო ქალაქ ადგილებში ესახლებოდა. ძველის ხვნა-თესვის მაგიერ დღიურად მუშაობას, ხელოსნობას და ვაჭრობას ხელს ჰკიდებდა. სამშობლოდამ მხოლოდ ორი ძვირფასი საუნჯე მიჰქონდა თან: მამა-პაპის სარწმუნოება და ენა.

ამბობენ სომხობა იქნებოდა ძველს საუკუნოებში, ამ რვაას ანუ ათასის წლის წინად ექვს მილიონამდის სულათ. მტრების შემოსევამ რა რიგად შეამცირა ხალხი, იქიდამა სჩანს რომ ახლა ითვლება სამ მილიონამდის, ესე იგი ქართველებზე ორჯელ მომეტებით, (თუ მივიღეთ რომ ეხლა ქართველობა მილიონ ნახევარია). მაგრამ ხალხის შემცირებაზე სამწუხარო ის არის, რომ ნახევარი ძლივსღა დარჩენილა მამა-პაპის დედა ქვეყანაში სომხეთში. ნახევარ მილიონი მოსახლეობს რუსეთის სომხეთში, ისიც თათრებთან შერეულად თხლად არის, და უფრო მომატებული, მილიონამდე, გაფანტულია ძველის სომხეთის საზღვრებ გარეშე ქვეყნებში: ანგლისიდამ მოკიდებული ინდოეთამდე, დ ჩრდილოეთ რუსეთიდამ მოკიდებული სამხრეთ ეგვიპტამდე. სომხეთიდამ გასული სომხობა, როგორც ვთქვით დიდ სავაჭრო ქალაქებში სახლობს; მეტადრე მათი რიცხვი დიდია სტამბოლში 120,000 და ტფილისში 40,000.

როგორც ვაჭრობის და ხელოსნობის მიმდევარი ხალხი, შრომის მოყვარე და ბეჯითი, ნაშრომ-ნაამაგევის შემნახველი და დამზოგველი, ანგარიშიანი, სწავლა-განათლების მოყვარე, მამა-პაპის სარწმუნოებაზე და ერობაზე მტკიცე, ყველგან სომხობა მუდმივის მეცადინეობით შესამჩნევ დიდს წარმატებაში შევიდა თავის სამშვიდობოდ ამორჩეულ ახალ ბინაზე; უცხო ხალხში, უცხო ქვეყნის მიწა-წყალზე, სომხობამ ყველგან შეადგინა მჭიდრო საზოგადოება, როგორც ერთის ეკკლესიის შვილთა ძმობა, სამრევლო; აიშენა ეკკლესია, თავის სულიერის იმედების მომცემი და შემაერთებელი, მოუშენა სამრევლო სკოლა; გამართა სტამბა; დააწესა ჟურნალ-გაზეთები, სთარგმნა და ჰბეჭდა ძველი და ახალი ნაწარმოები თავისის მწერლობისა; შვილებს ჰგზავნიდა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში და მათის შემწეობით აცნობა თავი ევროპას და ყურადღება მიაპყრობინა დედა ქვეყნის, სახვანთქრო სომხეთის მდგომარეობაზე.

იმ დროს, როდესაც ოსმალოს სომხეთიდამ გასულნი წარმატებაში შედიოდნენ, მამა-პაპის ნიადაგზე დარჩენილნი დიდს განწირულებაში, დიდს სიღარიბეში, დიდს უსამართლობაში იმყოფებოდნენ და ეხლაც იმყოფებიან. თუმცა ძველებური ხოცვა და სისხლის ღვრა აღარ არის, რადგანაც სომხებმა აგერ ოთხასი წელიწადია ოსმალ-სპარსეთთან ბრძოლას თავი დაანებეს და ამ ჟამად თოფისა და იარაღის ნებაც არა აქვთ გზაზე ატარონ ავაზაკებისაგან თავის დაცვისათვის, მაგრამ სახლებში მიხდომა, პურისა და მოსავლის წართმევა, საქონლის გამოსხმა ძალიან ხშირია, მეტადრე ქურთებისაგან. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ ოსმალოს სომხეთის ქალაქებში და სოფლებში ხან ადგილ-ადგილ, ხან ნახევრობით სომხებთან მაჰმადიანი ქურთე-

ბი და ოსმალოები სცხოვრებენ. ამის გამო როდესაც ამ მეზობლად დასახლებულებში დავა ატყდება, სასამართლოში სომეხს სამართალი ვერ უპოვნია, მოსამართლეები და უფროსები ქრთამს იღებენ და ყოველთვის სამართალს ამრუდებენ. ამ უსამართლობით და მოქრთამეობით სოფლები აკლებულია და უიარაღო სომხობა ოსმალ-ქურთებისაგან დაწიოკებულია. ამისთანა მდგომარეობა მარტო სოფლებში კი არა, ქალაქებშიაც ხდება ხოლმე, და ვაჭარი თუ მღვდელი სოფლის გლეხებსავით დაჩაგრულია. ოსმალოს სომხეთში გლეხია თუ ვაჭარი, არ იცის თავის ნაშრომ-ნაჭირნახულევი, ფულია თუ მამული, ხვალაც მას შერჩება, თუ წაართმევენ? ამისთანა დაწიოკებასთან უგზოობა და უხიდობა, მთავრობის საშუალო და დაბალი სასწავლებლის უქონლობა, მთავრობის უწესოება, ყველა ესები მშრომელ სომხის ხალხს სიღარიბეში ამყოფებს, უსწავლელად არის და საშინლად დაჩაგრულია ყოველისფერში. ადვილად წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა იყოს ხენა-თესვის მიმდევარი, რომლის რიცხვი მილიონზე მომეტებულია. ჩვენში მოსულ ამ გლეხებს, კოებს რომ ვეძახით, ხშირად ვხედავთ ტფილისში და მათი შეხედულობა და ტანისამოსი ადვილად გვარწმუნებს, რა გაჭირვებაში უნდა იმყოფებოდნენ.

ამგვარი შევიწროებული ყოფა იყო მიზეზი, რომ ოსმალოს სომხეთიდამ ხალხი გარეთ გავიდა და ეხლაც კი გადის. მრთელი მცირე აზიის ქალაქებში მიდის სომხის გლეხობა სამუშაოთ. მაგალითად, მუდამ წელს გლეხი ხალხი მიდის ან ამალის მუშათ, ან მკა-თესვაზე, ან შენობებზე, სტამბოლში ოცდაათ-ორმოც ათასამდე და ტფილისში ათი ათასამდე. მართალია მუდამ შემოდგომას ეს მუშა ხალხი ცოლ-შვილში ბრუნდება, სომხეთში; მაგრამ გახშირებულ მისვლა-მოსვლის შე-

დეგ საკმაო ნაწილი რჩება და ახალ ბინაში გადაჰყავს ცოლ-შვილიცა. ამ გვარად სომხეთის მიწა-წყალს აკლდება ნელ-ნელა თავისი მკვიდრი მხვნელ-მთესველი და მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც არის ყოველთვის ყოველის ქვეყნის აღმყვავებელი და ყოველის ხალხის ერ-ტომობის უმთავრესი სათავე. ასე ხალხის უბედური ყოფა ოსმალოს სომხეთისა ჰბადებდა მეორე უბედურებას—ხალხის გასვლას თავის მამა-პაპის მკვიდრ ქვეყნიდამ.

ეს მეორე უბედურებაც პირველსავით კარგა ესმოდა სომხების დაწინაურებულ და განათლებულ საზოგადოებას. ყოველი ხალხი თავის მიწა-წყლიდგან გასული, სხვა ქვეყანაში რაც უნდა დიდს წარმატებაში შევიდეს სიმდიდრით და განათლებით, რაც უნდა განსაკუთრებული საზოგადოება შეადგინოს თავისის ეკლესიით, თავისის დედა ენით, თავისის სკოლით, თეატრით, სტამბით და სხვით, მაინც, უცხო ხალხის ნიადაგზე მოწყვეტილია ორსავე ხალხსა, თავის დედა ქვეყნის ხალხსაც და ახალ ამორჩეულ საბინადრო ხალხსაც. რაც უნდა დაიცვას თავისი განსაკუთრებული გვარ-ტომობა, მაინც დიდს ზედმოქმედების ქვეშე იმყოფება გარემოცულ ხალხის ცხოვრებისა. აქედამ წარმოსდგება ორგვარი ვნება. ერთი თვით გადასულის ხალხისათვის, რომ იგი ძალა უნებურად ბუნებისა და სამოქალაქო ანუ ისტორიულის ცხოვრების ზედმოქმედებისაგან იცვლება და ბოლოს, რამდენისამე საუკუნის შემდეგ, თითქმის სრულიად უერთდება იმ ქვეყნის ხალხსა, რომელშიაც გადასახლებულა. ამ გვარი ამბავი შეემთხვა სომხებს, რომელნიც მეთექვსმეტე საუკუნეში პოლშაში სახლობდნენ და რომელნიც სრულებით პოლაკებად შეიქნენ. აგრეთვე სტამბოლში დღესაც ერთი ნაწილი სომხებისა, რომელთაც სომხური არ იციან და, ასე გასინჯეთ,

სომხურის ასოებით ოსმალურს ენაზე გაზეთსა (მანზუმე-ეფიაკრ)
ჰბეჭდენ. მეორე ვნება იმ ხალხს მოსდიოდა სომხების გადასა-
ხლებით, რომ ადგილობრივ ძველად მობინავე ხალხს ცილობა
უჩნდებოდა მათის მხრით. მაგალითად იგივე სტამბოლი ავი-
ღოთ; სომხობა ვაჭრობას რომ იწყებდა და მკვიდრდებოდა,
ადგილობრივს ხალხს (ბერძნებს ან ოსმალებს) ვაჭრობაში ად-
გილი ევიწროებოდათ. კიდევ სხვა მაგალითად სოფელი ავი-
ღოთ, რომელშიაც ასი კომლია, ნახევარი რუმინი და ნახე-
ვარი სომეხი; ვთქვათ ამათ სკოლის გამართვა უნდათ; სომხე-
ბი ცდილობენ თავის ენაზე ჰქონდეთ და რუმინები კიდევ
თავის ენაზე. სკოლის შენახვა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება,
როდესაც ხარჯს ერთად მისცემენ. აი ამ გვარი და უფრო ამა-
ზე მრავალი მოუხერხებლობა და ვნება მოაქვს გადასახლებას
სხვა ხალხში ორისავე ხალხისთვის, გადასულისაც და მკვიდრი-
სათვისაც.

ეს სამწუხარო ყოფა სომხობისა, რასაკვირველია, დაწი-
ნაურებულ და მოაზრე სომხების შვილებს დიდს ზრუნვაში
აგდებდა. ამ ზრუნვამ დაჰბადა მოძრაობა სომხებში, რომელსაც
საგნათ ორი აზრი ჰქონდა: ერთი,—გადასახლებულ სომხებში
დაემკვიდრებინა თავის გვარ-ტომობის სიყვარული (ასკასუერ-
თიუნ) სწავლა-განათლებით, მწერლობით, პატრიოსნურის აზრე-
ბის მოფენით და ბეჭდვითის შრომით. მეორე აზრი იყო მა-
მულის სიყვარული (ჰაირენასირუთიუნ), რომ ოსმალოს მმარ-
თველობას სომხეთში სამართლიანობა და წესიერება დაემყარე-
ბინა მშვიდობიანის ცხოვრებისათვის. ამ ორის საგნის სურვი-
ლი ცხადი იყო, რომ ოსმალოს სომხეთში წესიერი ცხოვრე-
ბით სომხის ხალხს ღონისძიება მისცემოდა თავის მიწა-წყალ-
ზე დარჩენისა, რომ გარეთ გასვლით სომხეთი არ დაცლილი-

ყო, და მეორეს მხრით გასული სომხები თავის გვარ-ტომობა-ზე დაემკვიდრებინა და მომავალში, როდესაც შესაძლო ყოფილიყო, თავის მამა-პაპის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, როგორც ყოველი ხალხი გარეთ გასული ყოველთვის შინ ბრუნდება (ცნობილია ყველგან და ჩვენში სიმღერა, «წიწერნაკ»—მერცხალი, რომელშიაც გამოთქმულია მწუხარება სამშობლო ქვეყნის დაშორებისა).

ეს მოძრაობა ამ ოც-და-ხუთ, ოც-და-ათის წლის წინად დაიწყო. დიდი შრომა მოანდომა ამ საქმეს სომხის სამღვდელოებამ და ჟურნალ-გაზეთობამ. თუ როდისმე რომელსამე სამღვდელოებას ისტორიული ღვაწლი დაუდვია თავის ქვეყნისათვის, ერთი ამ გვარი საჩინო ღვაწლი დასდვა სომხის სამღვდელოებამ თავის ხალხს ამ მეცხრამეტე საუკუნეში. იგი არც წინათ საუკუნოებში ყოფილა მოკლებული დიდ მნიშვნელობასა და ამ საუკუნეში მან დაიმსახურა დიდებული ისტორიული მნიშვნელობა. მათში შესანიშნავია მამა ხრიმიანი. ამან მოიარა ქალაქები და სოფლები, სადაც კი მომატებულად სომხები ცხოვრებდნენ, და მხურვალე, აღტაცებულის ქადაგებით აღვიძებდა სამღვდელოებასა და ხალხსა. იქნება ათასობით ითვლებოდეს სკოლები, რომელნიც მისმა სიტყვამ დაბადა.—ჟურნალ-გაზეთობაც თავისის მხრით მრომობდა და იმ ხანებში გამრავლდა მათი რიცხვი. ლიტერატურა, ძველად შეკუმშული, გამდიდრდა ოსმალოს სომხეთს გარეთ, მცირე აზიაში და სტამბოლში; ამ დროებში შეივსო თითქმის ყველა ევროპის დაწინაურებულ კლასიკების თარგმნითა.

ამ გვარმა მოძრაობამ როგორც თვით სომხეთში, აგრეთვე მის გარეთ, მეტადრე სტამბოლში თავისი ნაყოფი მოიტანა. სიტყვასთან და წერასთან სომხები გონივრულად ცდილო-

ბდნენ ხვანთქრის მმართებლობის წინაშე სომხეთის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ბოლოს დიდის ხნის, ბეჯითის, მშვიდობიანის მეცადინეობის შემდეგ, ხვანთქარმა აბდულ-მეჯიდმა ინება რამდენიმე უფლების მიცემა; განუწესა 1860 წ. კანონები, რომელსაც ეწოდება სომხურად «საჰმანადრუთიუნ», ესე იგი განსაზღვრულება.

ამ დებულების ძალით სომხებს ოსმალეთში მიენიჭათ დიდი უფლება: ჰქონდესთ საკუთარი უმაღლესი კრება სტამბოლის პატრიაქის თავსმჯდომარეობით სტამბოლში საზოგადოთ სომხეთის სამოქალაქო და საეკკლესიო საქმეებისათვის. სომხების საზოგადო საქმების საჭიროება ამ კრებამ უნდა განიხილოს და მმართებლობასთან სათხოვარი პატრიარქის შუამავლობით წარადგინოს. კრების წევრები ირჩევიან სომხებისაგან. ამ კრებას ემორჩილება ოთხი რ ჩ ე ვ ა, რომელიც აგრეთვე ამორჩეულია და განაგებს კანონების, ფინანსის, განათლების და ადმინისტრატიულს ნაწილს. ყოველსავე ამ საქმეებზე უმაღლესს კრებაში უნდა წარადგინონ თავისი ანგარიშები. ამ უმაღლესს კრებას და რჩევათა შემდეგ არის დაბალი კრება ყოველს თვითოეულს საეპისკოპოზოში, რომელიც ზემოხსენებულის მსგავსად ამორჩეულია და რომელიც საეპისკოპოსო მრევლში განაგებს ყოველ ზემოხსენებულ საგნებს; მოსამართლეებს ინიშნავს, განათლებას ეწევა და ჰმართავს, სახელმწიფო და სამხედრო ხარჯს ჰკრეფავს სახვანთქრო ხაზინაში წარსადგენად და სხვა. მუდამ წელს თავის ანგარიშს ყველა საეპისკოპოზო წარადგენს სტამბოლში უმაღლესს კრებაში. *)

*) ნახე ვრცელი წერილი საქართველოს მოამბეში 1863 წ. № VI ივნისი. „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა.“ ილია ფქრომჭეჭლიშვილისა.

ამ კანონების ძალით იმედი იყო რომ რამდენადმე ხალხს შეღავათი მიეცემოდა. მართლა დაიწყო სომხებში საკმაოდ საჩინო მოძრაობა. რადგანაც სამღვდელო წოდებას თავი ადგილი ეჭირა, ამიტომ ეს წოდება შეუდგა დიდის მხნეობით როგორც საეკკლესიო საქმეების წარმატებას, აგრეთვე საეროსა. დაწესდა საზოგადოება ყოველს ეკკლესიასთან ყოველს სამრევლოში ერთმანერთის დახმარებისათვის, სკოლების გამართვისათვის და სხვანი. ამათში ყველაზე მომატებულად გაიმარჯვა სწავლა-განათლების საქმემ სომხურს ენაზედ.

თუმცა ამ მხრით ხალხს სწავლა-განათლების უფლება მიეცა საკუთარის ხარჯითა, მაგრამ სხვაფრივ ძველი წესები, ოსმალ-ქურთებისაგან დაწიოკება, ოსმალოს ჩინოვნიკებისაგან სამართლის გამრუდება და მოქრთამეობა ისევე ძველი დარჩა; რადგანაც ისევე ძველებურის წესით ინიშნებოდნენ, ისევ ოსმალები იყვნენ და არა სომხები. ამასთან «განსაზღვრულების» კანონით სომხებს რაც საერო უფლება ჰქონდათ მინიჭებული, შეეხებოდა მარტო სომხების საზოგადოებას, და თუ ოსმალოს ან ქურთს სომეხთან რამე საერთო საქმე ჰქონდა, საზოგადო სახელმწიფო სასამართლოში, ან სახვანთქრო მოხელესთან უნდა მისულიყო. მოხელეების და სასამართლოს უკანონო საქციელზე საჩივარი შეჰქონდა ხოლმე სომეხთ უმაღლესს კრებასა ხვანთქრის მმართებლობასთან, მაგრამ საჩივარს ძალიან მცირედი ნაყოფი მოჰქონდა. ამ გვარათ ხალხი ისევე შეჭირვებულ მდგომარეობაში დარჩა. ჩივილი ისმოდა, მაგრამ ჯერ შველა არსაიდამ იყო.

ასე მიმდინარეობდა საქმე უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომებამდე. დაიწყო ბრძოლა, რუსეთის ჯარი შევიდა სომხეთში, დაიპყრა ყარსი და შუაგული სომხეთისა არზრუმი; ევროპაში

მიახლოვდა სტამბოლს. ოსმალო ღონე მიხდილი იმედებული შეიქმნა რუსეთისათვის თავი დაეკრა და მორიგებოდა სან-სტეფანოში.

აქედამ იწყება სომხეთის საქმის ახალი ხანა.

ძლევამოსილმა რუსეთმა 1878 წ. თებერვლის 19, სან-სტეფანოში წინასწარ-შეკრულობის წერილში ოსმალოს ხელი მოაწერინა ბოლგარიის განთავისუფლებაზე, საკუთარ სახელმწიფოს დაარსებაზე. ამ პირობის შეკრულობაში სხვათა შორის რუსეთმა ყურადღება მიაქცია ოსმალოს სომხეთსაც და ერთი საკუთარი მუხლი სომხეთის ბედს განუსაზღვრა. აი ეს (XVI) მუხლი:

«რადგანაც სომხეთის დაჭერილ ადგილებიდამ რუსის ჯარის გამოსვლას შეუძლია ოსმალოსადმი უკანვე დასაბრუნებელ ადგილებში მიზეზი გაახჩინოს ცილობისა და რთულად საქმის შექმნისა, რომელნიც მავნებელ გავლენას იქონიებენ ორთა სახელმწიფოთა კეთილგანწყობილებაზე, — ბრწყინვალე კარი (ოსმალოს მმართებლობა) ვალად კისრულობს არსებაში მოიყვანოს, დაუყოვნებლივ, გაუმჯობესება და რეფორმები, ადგილობრივის საჭიროების მიხედვით, სომხებით დასახლებულ მაზრებში, და მათი მშვიდობა დაიცვას ქურთებისა და ჩერქეზებისაგან.»

ასე იყო გასაზღვრული ბედი სომხეთისა წინასწარ დადგენილის მორიგებით.

რაღა თქმა უნდა, რომ სომხების იმედს თავის დედა ქვეყნის წარმატებისას ფრთა უნდა შესხმოდა ამ სან-სტეფანოს მორიგებითა და აგერ მეცადინეობა იწყეს სომხეთის უკეთესთა შვილთა რომ ეს იმედი გამართლებულიყო. დრო უთხრობდა, ძლიერი რუსთ ხელმწიფე ძლევამოსილების ჟამს მფარველად უჩნდებოდა ჩაგრულთა.

მაგრამ საქმეები ჯერ-ჯერობით იხლართებოდა, სანამ წინასწარი შეკრულობა რუს-ოსმალოსი დამტკიცდებოდა; ევროპის სახელმწიფოებმა განაცხადეს საჭიროება ამ მორიგების განხილვისა ყველა უმთავრეს სახელმწიფოთა ერთად მოლაპარაკებით და დასკვნით. ამ სახელმწიფოებში დიდი ინტერესი ჰქონდა ინგლისს, ავსტრო-ვენგრიას და თვით გერმანიასაც, რომელნიც შურით აღძრულნი იყვნენ რუსეთის წინააღმდეგ.

ავსტრიას მოსამზღვრედ ერთის მხრით აღმოსავლეთით რუსეთი ჰყავდა, და სამხრეთის მხრით ეყოლებოდა ახლად განთავისუფლებული სლოვენების წვრილი სამთავროები: სერბია, ბოლგარია და მთაშავი (ჩერნოგორია), რომელნიცაო, ჰფიქრობდა ავსტრია, რუსეთს შეუძლია მორჩილებასავით იყოლიოსო და როცა სურს, მომისიოსო. ამ ანგარიშით ავსტრიას სურდა უთოფ-იარაღოთ, ევროპის გარდაწყვეტილებით, ორი დიდი მაზრა ოსმალეთისა დაეჭირა სამხრეთისაკენ, ბოსნია და ჰერცოგოვინა, რომ ამ მხრით ყოველივე ზედმოქმედება მოეფინა სლოვენების სამთავროებზე და თვით გამხდარიყო მათი მბრძანებელი. მართლაც, შემდეგ ბერლინის შეკრულობის ძალით ეს ორი პროვინცია კიდეც ჩაიბარა და ახლა მასზე უფლობს.

გერმანიას რუსეთის გაძლიერებისა ეფიქრება, მეტადრე ფრანციის მხრითაც რომ შიში აქვს, და ამიტომ ავსტრიას მიემხრო, რომ სლოვენების სამთავროებზე მბრძანებლობით და ზედ მოქმედებით იგი ერთის მხრით გაეძლიერებინა, როგორც სლოვენების სახელმწიფო; მეორედ მის გერმანიაში ნემეცებზე უფლების მებნისათვის ბოლო მოეღო და ყველა ამ ღონისძიებით მისი კავშირი მოეპოვებინა, რომ მომავალში თუ ფრანცუზებთან ან რუსებთან ომი შემთხვევოდა, ავსტრია ნებაყოფლობით ან ძალა-უნებურად გვერდით ჰყოლოდა. სომხე-

თის შესახებ გერმანიას შესამჩნევი არა ჰქონდა რა, პირიქით მისს განზრახვას თითქოს ეწეოდესო. ასე ფიქრობდა, რა კი რუსეთს მცირე აზიაში საქმეები გაურჩნდება სომხეთის გამო, ევროპის ოსმალეთში ბურთი და მოედანი ავსტრიას და გერმანიას დარჩებაო.

უფრო მომეტებული საფიქრებელი ინგლისსა ჰქონდა. იმას ყოველთვის აწუხებს ორი შიში: ერთი რომ თვალ-უწვდენელს მისს სამფლობელოს ინდოეთში სხვა ევროპის ძლიერი სახელმწიფოთაგანი ერთის ნაბიჯითაც არავინ მიახლოვდეს, ეშინიან რუსეთის გაძლიერების და დაახლოვებისა. მეორედ ეფიქრება აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოებმა იმის კრძალად მოფენილ ვაჭრობას მთელს აზიაში ცილობა არ დაუწყონ და ადგილების დაპყრობით თავის სავაჭრო საქონელი არ მოჰფინონ. ინგლისს უფრო მომეტებულად რუსეთის შესვლისა ეფიქრება აზიაში ხმელეთით ავღანის და სომხეთის მხრითა, და ფრანციისა ზღვით ჩინეთის სამზღვართან, სირიის ნაპირებიდამ და აგრეთვე აფრიკაში, ეგვიპტის ახლოს. ამისათვის დიდის გაფაცხებით თვალ-ყურს ადევნებს მცირე აზიის დ ეგვიპტის გზასა ინდოეთში მიმავალსა, რომელზედაც მიდის მისი ქარხნების და ფაბრიკების საქონელი. ამ გზაზე ინგლისს ხელში უჭირავს ეგვიპტეში სუეცის არხი და რკინის გზის გაყვანასაც აპირებს ხმელთა შუა ზღვის ნაპირიდამ, კვიპროსის კუნძულის პირ-დაპირ, ვიდრე მუსულამდე, სპარსეთის ზღვამდე. (ამაზე გადაწყვეტილი ლაპარაკი იყო უკანასკნელ ხანებში, როდესაც ეგვიპტეში სუეცის არხზე გემების სიარული შედგა).

ამიტომ ინგლისი იშიშვოდა, რუსეთისაგან ყარსისა და ბათუმის დაჭერა დაახლოვება არის ინდოეთისაკენაო. ამასთანავე იმას ფიქრობდა, როდესაც სომხეთში უკეთესი ცვლილება

მოსდება, ამით რუსეთს მომხრე მოემატება მცირე აზიაში და რომელიმე შემთხვევა მას ფეხს მოაკიდებინებს ეხლანდელ ოსმალოს სომხეთშია. რუსეთს ყოველთვის შეუძლიაო სან-სტეფანოს მუხლის ძალით, ოსმალოს გამოუცხადოს, რომ სომხეთში ხალხი ცუდს მდგომარეობაშია რადგანაც ხვანთქრის მმართებლობა წესიერების და სიმართლის დადგენას არ ცდილობს, ამისათვის შეიძლება ჯარი შეიყვანოს ოსმალოს სომხეთშიო. ამას შემდეგ შეუძლია სამხედრო გადასახადი, ძველი და ახალი ვალი მოსთხოვოს და რადგანაც ოსმალოს მთავრობა უფულოა, ამით დაინარჩუნოს მთელი სომხეთიო. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, ძალიან აშფოთებდა ინგლისებს.

ყოველმა ამ ანგარიშებმა ევროპის სახელმწიფოები ფიქრში შეიყვანა, რომ რუსეთის და ოსმალეთის მორიგებაში შერეულიყვნენ და თავიანთ სასარგებლოდ მუქთად, უშრომლად კარგ ლუკმას გამორჩენოდნენ.

ამიტომ გაიმართა დიდი ყაყანი ევროპის სახელმწიფოებისა. იგინი მაღლა ღაღადებდნენ, რომ ოსმალოს სახელმწიფოს საქმეების გადაწყვეტა მარტო ოსმალოსა და რუსეთის მორიგებით არ შეიძლებაო; ოსმალოს ბედის გადაწყვეტა მთელი ევროპის საქმეაო. ამის გამო დაიწყო დიდი მიწერ-მოწერა ევროპის დიპლომატებში და გავრცელდა რამდენსამე თვეს; სანამ თიბათვეში სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრება შეიყრებოდა ბერლინში მორიგების შეკრულობის დასადგენად.

საკუთრად სომხეთის გაუმჯობესების გამო თუმცა ევროპის საზოგადოების თანაგრძნობა ჩანდა და ეტყობოდა რუსეთის განზრახვა მოსწონდათ დაჩაგრულის ხალხის შველისა, მაგრამ სხვა და სხვა მხრით უცქეროდნენ.

ინგლისმა გულმხურვალე მომხრეობა აღმოუჩინა რუსე

თის დაწყებულ საქმეს, რომლისთვისაც წინათ არა ეზრუნა რა, მხოლოდ მეტის მეტის შეჯიბრებით და შეცილებით. სხვა სახელმწიფოების აზრსაც ოსმალოს სომხეთის მომხრეობა ეტყობოდა, მაგრამ საფიქრებელი იყო, ვაჲ თუ მრავალ გვარ ანგარიშების მოსაზრებით სან-სტეფანოს მეთექვსმეტე მუხლი მიყრუებით გაუქმებულიყო. საქმე ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ თვითონ სომხები ცდილიყვნენ- ეს განსაცდელი მდგომარეობა კარგათ შეიგნეს სომხებმა და აგერ მათმა წარჩინებულმა კაცებმა დაიწყეს მოგზაურობა ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში და მეოხების თხოვნა სომხეთის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ყველ უმთავრესი წარმომადგენელი იმათში იყო სტამბოლის სომეხთ პატრიარქი, რომელიც ხვანთქრის წინაშე შუამავლობდა სომხეთის მომავალ სამოქალაქო კეთილ წყობილების დადგენასა. მეორე ეპისკოპოზი, ნარ-ბეი ლუსინიანი (ჩამომავალი უკანასკნელის სომხეთის მეფისა) წარსდგა თვისის შუამდგომლობით ბერლინში და სხვაგან ხელმწიფეების და მინისტრების წინაშე; გამოჩენილი მოქადაგე ეპისკოპოზი ხრიმიანი გაემგზავრა პარიჟში და ლონდონში; სომხურსა და ევროპიულს ენებზე ჟურნალ-გაზეთები, ცალკე ბროშურები, ლექციების კითხვა ავრცელებდა როგორც თვით სომხებში, აგრეთვე ევროპის საზოგადოებაში სომხეთის დაცემულ მდგომარეობის ცოდნასა. ამ საქმეში ყველა სომეხი მონაწილეობას იღებდა, ნასწავლი და უსწავლელი, სამღვდელოება და საერო წოდება, ვაჭარი და გლეხი. ყოველ უმთავრეს ევროპის ქალაქებში, ყველა ენაზე მაღალის სწავლის მქონებელი სომხები ავრცელებდნენ სომხეთის ამ ცო-

დნას ისტორიულის, ეკონომიურის, გეოგრაფიულის და პო-
ლიტიკურის მხრით.

ამისთანა შრომამ უქმად არ ჩაიარა: ევროპიელებმა გაი-
ცნეს სომხობა, საზოგადოებამ თანაგრძნობა გამოაცხადა და
სახელმწიფო კაცებმა ყველგან სომხებს აღუთქვეს თავისი და-
ხმარება; იმათ შორის ინგლისის პირველმა მინისტრმა ლორდ
ბიკონსფილდმა, ეპისკოპოზის ხრიმიანის სიტყვით ატირე-
ბულმა, დიდის საუბრის შემდეგ, გამოთხოვების დროს ხელი
ჩამოართვა ამ ბერს და უთხრა: გაძლევთ სიტყვას, რომ ყო-
ველის ღონით ვეცდები თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილოვო.
მერწმუნეთ, მერწმუნეთო. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენოთ
რომ ბიკონსფილდი იყო მოიმედე წინა აზიის ხალხების წა-
რმატებაში შესვლისა და ახალგაზდობაში დასწერა რომანი
«ტანკრედი», რომელშიაც აღტაცებულად გამოყვანილია ეს აზრი;
ამასთან ბიკონსფილდი (ძველის გვარით დიზრაელი) ჩამომა-
ვლობით ურია იყო, ინგლისის მინისტრის სიტყვას დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იმ დროის ერთის უძლიერე-
სის ევროპის სახელმწიფო კაცის სიტყვასა. ამისთანა მეცადი-
ნეობის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებში სომხებმა მოიპოვეს
დიდი თანაგრძნობა; იმათი კორრესპონდენტები და სამინი-
სტროს მოხელენი მიდიოდნენ სომხეთში, მოგზაურობით ად-
გილობრივის გარემოების საცოდნელათა და ასაწერათა. ინგლი-
სის გაზეთებმა, სახელმწიფო კაცებმა, პარლამენტის დეპუტა-
ტებმა, თვით ინგლისის ეპისკოპოსებმა გაახშირეს ლაპარაკი
სომხეთზე პარლამენტში, კრებებში, ეკლესიებში და მიტინგებ-

შიაც (განგებ შეკრებილ საზოგადოებაში). ყველა ქადაგებდა, სომხეთს კარგი წესები უნდა მიეცესო.

ამ გვარად იმედი იყო რომ მომავალ ბერლინის კრებაში ევროპის სახელმწიფოები აღარ მიაყრუებდნენ სომხეთის საქმესა.

ბოლოს ბერლინში შეკრულობა დადგინდა და სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ივლისის 13-სა, 1878 წ.

რუსეთის უმთავრესი მოთხოვნილებანი: ბოლგარიისა, სერბიისა, რუმინიისა და მთაშავის განთავისუფლება, აგრეთვე ყარსისა და ბათომის დათმობა მიღებულ იქმნა. ავსტრიას ჩაბარდა ბოსნია და ჰერცოგოვინა. ეს მოხდა ბერლინის შეკრულობის ძალით. ამავე დროს ინგლისმაც თავისი ანგარიშები არ დაივიწყა და ბერლინის შეკრულობის გარეშე, ცალკედ, 4 თიბათვეს შეეკრა ოსმალოსა. ამის ძალით ოსმალომ ინგლისს დაუთმო ხმელთა შუა ზღვაში ხმელეთის ახლო მდებარე კუნძული კვიპროსი. იმის სამაგიეროთ ინგლისი შეეკავშირა ოსმალოს აზიაში მის ქვეყნების დაცვისათვისა. ესე იგი თუ ვისმე აზიაში ოსმალოს წინააღმდეგ ომი დაეწყო, ინგლისს თავისი ჯარები უნდა შეეყვანა მისს დასახმარებლად და დასაცველად. ამით ინგლისმა ერთი ფრიად მძიმე ტვირთი იკისრა, რომლისაც ასრულება მომავალმა გარემოებამ იცის. მაგრამ ამ საქმეში შებმა რომ მსოფლიო ისტორიაში ადგილს იქონიებს, ევროპაში და თვით ინგლისში ცხადათ ხედავდნენ. ეს ინგლისს მოგებად ეგონა.

მაგრამ ჩვენ მივუბრუნდეთ ბერლინის შეკრულობას სომხეთის შესახებ. შეკრულობაში ცალკე მუხლი, 61, დაიდვა, რომელიც განსაზღვრავდა ოსმალოს ვალდებულებას და ევროპის სახელმწიფოების ყოვლებას. აი ეს 61 მუხლი:

«მბრწყინვალე კარი კალად კისრულობს არსებაში მოიყვანოს დაუყოვნებლად გაუმჯობესება და რეფორმები სომხების საბინადრო პროვინციებში ადგილობრივის პირობის მოთხოვნილებისამებრ, და დაუურვოს მათ მშვიდობიანობა ჩერქეზებისა და ქურთებისაგან. მან (ოსმალეთმა) პერიოდულად ამ აზრისათვის ხმარებული ღონენი უნდა აცნობოს სახელმწიფოთა, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ ხმარებულ ღონეთ აღსრულებასა.»

ამით წინასწარათ მიცემული იმედი ოსმალოს სომხებს გაუმართლდათ. ყველა სახელმწიფოებმა აღიარეს «დაუყოვნებლად» კეთილ-წესიერება და სიმართლე მინიჭებოდა სომხეთსა და ამას გარდა, კალადაც იკისრეს ამ სახელმწიფოებმა, რომ «თვალ-ყური ედევნებინათ» აუცილებლად ახალის ცვლილების შემოღებისათვის.

რაღა თქმა უნდოდა, რომ ახლა შორს აღარ იყო ოსმალოს სომხეთის კეთილ დღეობის დასაწყისი. მაგრამ ეს იმედი ასე მალე ვერ ასრულდებოდა. სხვა და სხვა საქმეები გამოჩნდა ოსმალეთში დახლართული, რომელიც უნდა გამოერკვიათ თვით ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებსაც. ერთის საქმის გათავებას რომ ბოლო ეღებოდა, იქვე მეორე საქმის წვერები ჩნდებოდა. ოსმალოს უნდა ჩაებარებინა ავსტრიისათვის აჯანყებული ბოსნია და ჰერცოგოვინა; მიეცა სერბიისა, მთაშავის და საბერძნეთისათვის ბერლინის კრების მიერ ახალი მიკერძებული ადგილები; ალბანელების აჯანყება უნდა დაემშვიდებინა, რომელნიც რამდენჯერმე იშლებოდნენ. ამასთან საშინელი დამარცხების შემდეგ, რასაკვირველია, თავისი შინაგანი საქმეებიც, ჯარი და მართველობა, რიგში უნდა მოეყვანა, რომელსაც ბევრი თადარიგი და ფულის შოვნა უნდებოდა.

ყოველი ეს მიზეზები ოსმალოს სომხეთში უკეთესის წესის შე-ტანას აგვიანებდა და ოსმალოს უფლებას აძლევდა თავი გაემართლე-ბინა; ევროპის სახელმწიფოებიც თავაზას უწევდნენ და რომელ-საც კი მოაგონებდნენ სომხეთის მდგომარეობას, ოსმალოს მთავრობა ამბობდა: ჯერ არა მცალიანო. საქმეები სულ ერთი ერთმანერთზე ასე ისლართებოდა ამ უკანასკნელ ზამთრა-მდე, რომელსაც არეულობისა გამო ინგლისები ეგვიპტეში შე-ვიდნენ და ფრანცუზები თუნისში. ეს ქვეყნები თუმცა პირ-და-პირ არ ექვემდებარება ოსმალოს, მაგრამ მათი მთავრობები მაინც ხვანთქრის ბრძანებლობის ქვეშ იმყოფებიან და ხარჯსაც ეწევიან. ამ წლის დასაწყისში ამ ადგილების საქმეები ნათლად გამოჩნდა და გაზაფხულზე ოსმალოს ცოტაოდე მოსვენება მიეცა.

ოსმალოს სომხების მდგომარეობა რასაკვირველია დასავიწყე-ბელი არ იყო, და გაზეთებში მათი დაწიოკების ამბავი ჩნდებოდა. სომხის საზოგადოება რასაკვირველია იმედოვნობდა, რომ მაინც და მაინც ბერლინის შეკრულობის სიტყვა, დღეს იქნებოდა თუ ხვალე, უნდა აღსრულებაში მოსულიყო. საქმე იმაში მდგომა-რეობდა, რომ ოსმალეთში თვითონ სომხობას მეცადი-ნეობა არ შეეწყვიტა და ყოველთვის ევროპისათვის ყურადღება მიექცევინებინა.

უეცრად ამ წელს, მაისში ევროპის ყველა გაზეთებში, მე-ტადრე ინგლისურსა და ნემეცურებში, დიდი ხმა გავარდა, სო-მხეთის საზღვარზე რუსეთს დიდი ჯარი დაუყენებიაო და არზ-რუმისკენ თუ აპირებენ შესვლასაო. ეს ხმა ჩვენ კარგა ვიცით, რომ ტყუილი ამბავი იყო და საზღვარზე ჯარი არა ყოფილა-რა, (მხოლოდ ასიოდ ყაზახები თურმე საზღვარზე ავაზაკებს სდევდნენ); მაგრამ ერთი აყალ-მაყალი კი გამართა ევროპაში:

არიქა, რუსეთი კიდევ აუტყდა ოსმალოსაო, დაჰკრეს ნაღარა გაზეთებმა და გაიმართა მიწერ-მოწერა. ყველაზედ დიდი ელდა, რასაკვირველია, ინგლისს ეცა. დაიწყეს სომხეთისაკენ კორრეს-პონდენტების გზავნა, პარლამენტში გაჩაღდა ლაპარაკი და ინ-გლისის მთავრობამ სტამბოლის ელჩს ლორდ დუფერინს გან-კარგულება მისწერა, ხვანთქრის წინაშე წარადგინოს აზრი დაუყოვნებლად სომხეთში ახალი რეფორმების კანონების შე-ტანაზე. პარლამენტში მმართებლობას ჰკითხავდნენ დეპუ-ტატები, რომ ინგლისი ბეჯითად არ ზრუნავს სომხეთის საქ-მესაო. საჭიროა ოსმალოს მმართებლობას ფიცხად შეაგონოს ჩვენმა ელჩმა უეჭველად და მალე რეფორმების საჭიროების მოხდენაო. მმართებლობამ პარლამენტში პასუხი აგო, რომ სიფიცხით მოპყრობა არ შეიძლება უცხო სახელმწიფოსთან; მაგრამ მაინც შეამდგომლობას წარუდგენთ ხვანთქრის უმაღ-ლეს კარსაო.

ამ თიბათვეში სტამბოლის ელჩი ლორდი დუფერინი ლონდონში დაბრუნდა და გაზეთებმა გვაცნობეს სომხეთის სა-ქმის ახლანდელი ვითარება. ლონდონში მოსახლე და მოვაჭრე სომხებმა თავისი რჩეული კაცები მიუგზავნეს ლორდ დუფე-რინსა მადლობის მოსახსენებლად მისის კეთილ შუამავლობისა-თვის. ამ მიგზავნილებმა მოახსენეს დუფერინს ოსმალოს ხვან-თქრის ერთგულებაზე, როგორც ამ ოთხასის წლის განმავა-ლობაში ყოფილვართ, ეგრეთვე მისი ერთგულნი დავრჩებითო. არავინ ეჭვი არ უნდა შემოიტანოს, თუ ვცდილობთ უკეთესის წესების დამყარებას ჩვენს ძველ ქვეყანაშიო. ამ წესიერებას და სიმართლის დამყარებისათვის გთხოვთ წარადგინოთ ხვანთქრის წინაშე ჩვენი ვედრება და სურვილი, რომ საკუთარი გამგებელი გენერალ-გუბერნატორი (ვალი) ჰყავდეს სომხეთსა, რომელიც

სომეხი იყოს. სომხების დეპუტაციის გამოთქმული სურვილი ისეთია, რომ სომხეთშიაც იმგვარი წყობილება დამყარდეს, როგორც აღმოსავლეთ რუმელიაშია. და იქაური წესი ასეთია რომ ქრისტიანე გენერალ-გუბერნატორი (ვალი) ოსმალოსა და ევროპის სახელმწიფოებისაგან ინიშნება ვადით; ჯარი მილიციისა ჰყავს მცხოვრებლების სარწმუნოების მიხედვით, ქრისტიანე და მუსულმანი; საკუთარი ადმინისტრატიული გამგებლობა აქვს, საკუთარი შემოსავალ-გასავალის წესები და ყველა ამისთვის საკუთარი კანონების დადგენილი. რასაკვირველია ყველა ამისთანა ცვლილების შეტანა სომხეთში ძალიან საეჭვოა, თუ ევროპის სახელმწიფოებმა ოსმალოს ძალით არ აკისრებინეს. ეს ძალის ხმარებაც საფრთხიანი საქმეა, სახელმწიფოებს აუტეხს ახალს ერთმანერთში შეჯიბრებას და ამას ჯერ-ჯერობით ერიდებიან, სანამ რომელიმე მათგანი არ მოისურვებს თავის გამოდებას.

ამისა გამო რასაკვირველია რომ ინგლისის ელჩი ლორდი დეფერინი ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტილს ვერას ეტყოდა, თუ როგორ, ან რა განსაზღვრულ ცვლილებაზე შუამდგომლობს ინგლისის მმართებლობა და ან ხვანთქარს რა სწადიან? დიპლომატიის წესი კალად გვდებსო ფრთხილად ვიყოთ ლაპარაკშიო, რომ არ გაძნელდეს გასაკეთებელი საქმეო, თქვა დეფერინმა. პატიოსანმა ლორდმა მხოლოდ უპასუხა სომხის დეპუტაციას, რომ ყოველსავე მეცადინეობას გასწევს, რაც სომხების მკვიდრ კეთილ-დღეობისათვის საჭირო რეფორმებია, ისეთი რეფორმები მიენიჭოსთო. რაც შეეხებოდა საქმისათვის ცდასა და მდგომარეობასა, ლორდმა შესამლოდ დაინახა ეთქვა შემდეგი:

«ღირსი შევიქმენ პატივისა და მისმა უდიდებულესობამ ხვანთქარმა საკუთარი დრო დამინიშნა საუბრისათვის. უოველივე ღონე ვიხმარე შემეგონებინა მისის დიდებულებისათვის, რომ აღესრულებინა ის საქმე, რომელსაც მოითხოვს თვით მისი ინტერესი. მოვახსენე რომ მისს რიცხვმრავალ ქვეშევრდომებში არც ერთი ხალხი არ მოიპოვება სომხებზე მომატებულად ერთგული; მოვახსენე, სომხების სურვილი ის არის მეტქი, რომ რამე კეთილი ურთიერთობა მოეწყოს მთავრობის მოხელეებთან, რომელნიც ამ ჟამად უოველს შემთხვევას ხელთ იგდებენ ადამიანის ჩაგვრისა და უსამართლობისათვის. ვთხოვე მისს დიდებულებას გამოიკვლიოს სომხეთის ეხლანდელი მდგომარეობა თვით ადგილობრივად საკუთარის სანდო კაცის გაგზავნით; ამ კაცს მიენიჭოს უფლება, რომ უღირსი მოხელეები სამსახურითგან დაითხოვოს და მათ ნაცვლათ უკეთესები გაამწესოს. მისმა დიდებულებამ იმოდენი კეთილი გული გამოიჩინა, რომ საიმედო პასუხი მიბძანა; გაზეთებიდამ გავიგე რომ ჩემის წარდგენილის რჩევის მსგავსი რაოდენიმე რამ გარიგებულა და უმაღლესი კარი (ოსმალეთის მმართებლობა) ბეჯითად შესდგომია სომხეთის საქმესა. მაინც კი შორსა ვარ იმაზე, რომ ძალიან იმედიანათ ვიყო ოსმალოს მმართებლობის მოქმედების ნაყოფზე და ვგონებ რომ, სომხებს მოუხდებათ ყველა სატანჯველზე მომატებულად მოთმინება იქონიონ. მაინც მისი დიდებულება გავაფრთხილე რომ სომხები ძალიან ხანგრძლივს განსაცდელში არ ამყოფოს; მოვახსენე რომ ფრიად დიდს მოთმინებასაც ბოლო ელება ხოლმე; მოვახსენე რომ სომხების საზოგადოება ოსმალოს საზღვარ გარეთ სხვა მდგომარეობაში არის, ვიდრე მისი ქვეშევრდომი სომხები; ესენი აუცილებლად შეადარებენ თავიანთ ყოფას მოძ-

მეების უკეთესს მდგომარეობასა და ეს შედარება კაი თუ ოსმალოს სავაგლახოდ გაუხდეს. გულ-მოდგინებით და ღირსეულის გამომჩვენებით ვეცადე მიმექცია ყურადღება მისის დიდებულებისა სომხეთის მდგომარეობაზე; ამასთან ყოველივე განვარინე, რასაც კი შეეძლო ხვანთქრის გულის წახდენა სომხებზე, ან ეჭვის შეტანა, რომ სომხების მოთხოვნილება არ ეთანხმებოდეს ერთობას, ძლიერებას და კეთილდღეობას მისის დიდებულების იმპერიისასა.»

ეს სიტყვა ლორდ დეფერინისა ორ წვერა სიტყვაა. ერთის მხრით სომხებს თავაზიანობით, მაგრამ თითქმის ცხადათ გააგებინა რომ ოსმალოს მმართებლობას თქვენი საქმე შორს უჭირავსო და ამიტომ მოთმინება მოგიხდებათო; თითქოს ურჩევს, უნდა მოითმინოთო. მაგრამ ამავე სიტყვასთან ოსმალოს მმართებლობასაც შესამეცნებლად გადასჭკრა: რასაკვირველია, აქ ცხადია, რომ ინგლისის გამოსარჩლება მარტო სომხებისა კი არ არის, თავის საფიქრებელი საქმეც კარგა ახსოვს, ინდოეთი და ოსმალოსთან შეკრულობა კავშირითა.

მართლა და მომავალი არავინ იცის. თუ ოსმალო გაკერპდა და ცვლილება არა მოახდინა რა, აღმოსავლეთის საქმე აქამდის რომ ბალკანის მთებთან ჭყოფდა თავსა, იქნება ახლა სომხეთში ამოჰყოს. ყველაზე მომატებული ფიქრი ინგლისსა აქვს და ეს არის მიზეზი, რომ ასე ბეჯითად და გულ-მოდგინეთ შესდგომია სომხეთის გაუმჯობესობის საქმესა. ამითი რასაკვირველია სურს აცდინოს ოსმალოს და თვითონაც აიცდინოს მომავალი განსაცდელი.

ინგლისურმა გაზეთმა ,,ტაიმსმა,“ (რომელსაც ევროპაში მეექვსე ძლიერს სახელმწიფოს უწოდებენ დიდის გავლენის

გამო) სთქვა დეფერინის სიტყვაზე, ვითომც «მისს სიტყვას მე-ქარების მნიშვნელობა არა აქვსო. მხოლოდ უნდოდა ოსმალო-სათვის ჩაეგონებინა რა საფრხე მოელისო. სომხების თხოვნა ევროპიულ რეფორმების თხოვნას კი არა ჰგავსო; იმათი, თხო-ვნა სულ უბრალო წესიერების დადგენის სურვილიაო, რომე-ლიც ყოველს მართებულს მმართებლობას ეფერებაო: ითხოვსო დაცვას ურცხვისა და აშკარა ბოროტ-მოქმედ მოხელეობისაგან, მოქრთამეობისა და დაწიოკებისაგანაო. თუ ეს თხოვნა არ აუს-რულდათ, საფიქრებელია აღმოსავლეთის საქმე უეცრად ხელ-ახლად ასტყდესო.»

ევროპის სხვა გაზეთებიც ნაკლებს არა ლაპარაკობდნენ. ამ გვარად მრთელი ევროპის საზოგადოების აზრი მომხრედ გამოჩნდა ოსმალოს სომხეთისა.

ცნობები იყო რომ ვითომც სვანთქარს მინისტრებისა-თვის ებრძანებინოს—საქმეს შეუდგნენ. მაგრამ მათ მიზეზი მოუტანიათ კიდევ უფლობა და ამაზე შეყენებულა საქმე.

რაღას უნდა უცდიდეს ოსმალოს მმართებლობა? ვისი იმედი აქვს, სიკერპით რომ საფრხეში თავი გაიხვიოს?

რუსეთის და ევროპის გაზეთების აზრია, ამაში ბრალი გერმანიის პირველ მინისტრს ბისმარკსა აქვსო, იმას შეუგო-ნებია ოსმალოს მთავრობისათვისაო, რომ ძალიან გულნებიე-რათაც შეუძლია იყოს ამ საქამეზეო და თავი არ შეიწუხოსო. გაზეთების მოაზრებით ბისმარკსა ჰსურს საქმე დასლართულად დარჩეს, რომ მის გამოშლას და დასკვნას მოანდომოს რუსე-თი და ინგლისი, გაუჩინოს საქმე ევროპიდამ მოშორებით, ამით ორივე სახელმწიფო ფრანციას მოაცილოს რომ მომა-ვალში თუ ფრანცუზებმა ომი გამართეს, ინგლისები და რუსე-ბი მათ მოკავშირედ არა ჰყავდეთ.

ევროპის გაზეთები და იმათში ინგლისური «ტაიმსი», სომხეთში რუსების შესვლაზე რომ ხმა დავარდა, თითქოს თანაგრძნობას უცხადებდნენ რუსეთსა, მაგრამ ამასთან ცხადათ ცბიერობაც ეტყობოდათ, რადგანაც რუსეთს ექადოდნენ, მომავალში სომხეთში უსიამოვნებას ბევრს ნახავსო. რუსული გაზეთები შორს იჭერენ სომხეთის დაპყრობის აზრს და მათში თითქმის «მოსკოვის უწყებებმაც» კი სთქვა: «უსიამოვნებას რომ იმახითო, რუსეთი არ მოისურვებს ხათაბალა გაიჩინოსო.»

არავის არ შეუძლია წინასწარმეტყველება მომავლისა, რომელი ევროპის მმართებლობა როგორ გაერევა სომხეთის საქმეში: მოისურვებს რუსეთი თუ არა სხვა სახელმწიფოებთან მოულაპარაკებლად რამე ღონე იხმაროს, ან შეიყვანოს ჯარები სომეთში? მოისურვებს თუ არა ინგლისი ამ შემთხვევაში თავის ხელ-მოწერილ შეკრულობის დავიწყებასა, რომ თვით არ გაერიოს? საზოგადოთ ევროპის სახელმწიფოები მოისურვებენ თუ არა რამე მონაწილეობის მიღებასა?

ბოლოს ოსმალოს მმართებლობამ რომ თავისის ნებით უკეთესი ცვლილება შეიტანოს, დააკმაყოფილებს ყველა ევროპის სახელმწიფოებს, თუ რომელიმე მათგანი იქნება უკმაყოფილოდ დარჩეს და ეს უკმაყოფილება შეიქმნას მიზეზი აღმოსავლეთის საქმის ატეხისა? ყველა ეს კითხვები იბადება ამ ჟამად და მათი გარდაწყვეტა ძნელი მოსაფიქრებელია, რადგანაც ძრიელ რთულ გარემოებათა მდინარეობაზე არის დამოკიდებული.

ერთი საქმეა ცხადი, რომ ევროპის შემაშფოთებელ აღმოსავლეთის საქმეს ერთი წვერი სომხეთში აქვს.

მაგრამ სანამ ოსმალეთის მმართებლობა დაასკვნიდეს საქმესა, სანამ ევროპის სახელმწიფოები თავის ანგარიშებს გაას-

წორებდენ, ოსმალოს სომხებმა ბევრი განსაცდელი უნდა გამოიარონ. ამ განსაცდელში მართლა დიდი მოთმინება არის საჭირო. მაგრამ იმედია რომ ისეთი ხალხი, რომელმაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მრავალი ტანჯვა გამოიარა და თავი შეინახა, ვაჭრობაში და განათლებაში წინ წავიდა, რომელსაც წინა აზიაში უკეთესი მომავალი ბედი უწერია, ეს ხალხი უეჭველად გონივრულ თავის თვისებას, სიფრთხილეს, არ დაივიწყებს.

პ. უ.

ტეტიას მოთქმა:

ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლშვილი?..
ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!..
რას ვიფიქრებდი, ბეჩავი?—ცა გამკამებდა ლურჯათა,
სამი დღის ყანა, სამკალი, ზედ კარზედ მედგა ბურჯათა,
უცებ გამოჩნდა პაწაწა მუშტის ოდენა ღრუბელი,
მერე გადიდდა, იგრგვინა და წამოვიდა სულ ბნელი...
დასავლეთიდამ დაჰბერა, წამოგვაყარა კოხია,
ბალღები დამიწიოკა, მოამებნინა ქოხია,
ისროდა მუშტის ოდენსა და გრიალებდა წყეული,
მირეგვ-მორეგვა ხე-ხილი, გაწყალდა ანაზდეული!...
ყანა წამიხდა, რა ყანა, აგ თვალს არ ენახებოდა,
თავ-თავს ქვეშ იზნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა!...
ნეტა რა წყალში ჩავარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?—
ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!...

თ. რაფ. ერისთავი.

წამება ქეთევან დედოფლისა. *)

მოქმედება მეხუთე.

(სცენა წარმოადგენს საპატიმროს, რომელსაც კარებები ერთი შუაზედ აქვს და ორიც აქეთ-იქით. საპატიმროში რამდენიმე კუნძი გდია. ქეთევან დაჩოქილი ლოცულობს. შემოდის ბერი.)

გამოსვლა 1.

ქეთევან და ბერი.

ბერი. კურთხევა შენდა, დედოფალო!

ქეთევან. (თეთრის ტანისამოსით, თმა გაშლილი, წამოდგება წყნარად, მივა და თავს დაუკრავს) მშვიდობა თქვენს მობრძანებას, წმინდა მამაო.

ბერი. კურთხეულიმც იქმნების შენი სახელი.

ქეთევან. მობრძანდი მამაო, დაბრძანდით. (დასხდებიან) რას მეტყვით დასამშვიდებლად, შაჰი ჩქარა მიპირებს გასტუმრებას? ან ამ საპატიმროდგან ჩქარა გამათავისუფლებს?

ბერი. დიახ, დედოფალო, საპატიმროდგან განთავისუფლების გარდა, სხვა უფრო სასიხარულო ამბავი მოგელისთ.

ქეთევან. ჩემთვის იმაზედ სასიხარულო არა იქნება რა, რომ შაჰმა ჩქარა დამითხოვოს... აგერ ერთი თვე დასრულდა პატიმრადა მყავს და აქამდის გადაწყვეტილი არა შემიტყვია რა.

(* „ივერია“ №№ 4, 5 და 6, 1883 წ.

ბერი. გეუბნები დედოფალო, რომ უფრო სასიხარულო ამბავი მოგელის მეთქი.

ქეთევან. მიბრძანეთ, რა მომელის?

ბერი. დიდებული შაჰი ცოლათ გთხოულობს.

ქეთევან. (შეკრთება) რა მითხარი ეგ!... შაჰი ცოლათ მთხოულობს?

ბერი. დიახ, დედოფალო! ღმერთმან გადმოგხედა მოწყალეს თვალით.

ქეთევან. როგორ! მე, ქეთევან დედოფალი, მაჰმადიანზედ გავთხოვდე? ვინა! შენ მირჩევ, მამაო? მერე ვინა? შენ, შენ მირჩევ!

ბერი. მე გირჩევთ, დედოფალო, და ამ რჩევისთვის არა ვწითლდები... სპარსეთის დედოფალს, შაჰის გულის მპრძანებელს, რამდენის სიკეთით შეგეძლებათ დედა-მიწის ზურგი მოჰფინოთ... თქვენს? თქვენ რამდენიღა პატივი მოგელისთ, რამდენი სიამოვნება?

ქეთევან. ჩემის პატივისთვის, ჩემის სიამოვნებისთვის ხალხს უნდა მაგალითი მივცე, რომ ჩვენ სხვა გვარ-ტომობის ხალხთან შეერთება შეგვიძლიან? მაშინ ხომ დაირღვა ჩვენი ეროვნობა, ხომ დაირღვა ჩვენი სარწმუნოება, რომელიც ისე მტკიცედ გვაკავშირებდა ერთმანეთს და ისეთს შეუდრეკელს ძალას შეადგენდა. მერე, მამაო, მე რომ ეგ ჩავიდინო, ჩემ წინა-პართ, ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, რაღა პასუხი მივცე?...

ბერი. დედოფალო! მე მაკვირვებს თქვენი სიტყვები. რამდენათაც ძალა მეტი გექნებათ, იმდენათ მეტს სარგებლობას არ მოუტანთ ხალხს?

ქერევან. ძალა რწმუნებაშია. რაკი რწმუნება შეირყევა, ძალაც

უნდა დაირღვეს... არა მამაო, მე ვერ გავთხოვდები შაჰ-ზედ.. არ გავთხოვდები.

ბერი. დედოფალო, თქვენ გონიერი ხართ, იფიქრეთ რასა შვრებით.

ქეთევან. ჩემთვის რომ ეგ ერის კაცს ეხხა, კიდევ მიეტევებოდა, მაგრამ თქვენ, სულიერი მამა, მოძღვარი, შუამდგომელი ზეციერის მამის წინაშე, თქვენ როგორ მირჩევთ, რომ შეუერთდე მაჰმადიანს, ან როგორ უნდა მოვთავსდე სხვა გვარ ტომობის სარწმუნოების კაცთან.

ბერი. რა უშავს, დედოფალო, შეგიძლიანთ მაჰმადიანობა თვალთათვის მიიღოთ, საქმით კი მართმადიდებლად დარჩეთ.

ქეთევან. (შეძრწუნებით) მამაო, რას ამბობ, მაგას როგორ მირჩევთ?

ბერი. რა არის დედოფალო, აი მეც ესლა ეგრე არა ვარ?

ქეთევან. (ხელებს აღაპყრობს ცისაკენ.) ზეციერო მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.

ბერი. გირჩევთ დედოფალო, დამთანხმდეთ, თორემ ცუდათ დატრიალდება თქვენი ბედი...

ქეთევან. ყოველისფერი უფლის ნებაა.

ბერი. გამოტესით უნდა გითხრათ, დიდებული შაჰი ითხოვს თქვენს მაჰმადიანობას, ითხოვს რომ შეიქმნათ იმისი მეუღლე; თუ არ დასთანხმდით, მაშინ . . .

ქეთევან. მაშინ რა?... მაშ მაგისათვის მყავს პატიმრად?! მაგისათვის მაწვალებენ, მამკვლენ?... მე არ მეშინია მაგისი. მე ვეწვალები, ვეწამები, მოვკვდები პირზედ ღიმილით, დარწმუნებული, რომ მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. . . წადი... გამშორდი... შეატყობინე შაჰს, რომ არ არის

ქვეყანაზედ ისეთი ძალა, არ არის ქვეყანაზედ ისეთი სატანჯველი, რომელმაც ქრისტიანს, ნამდვილს ქართველს, მოვალეობისთვის აღალატებინოს. კმარა გავათავოთ... ნუღარ მოსვალ ჩემთან!

ბერი. დედოფალო, მე მინდოდა თქვენთვის სიკეთე; არ იჯერებთ და თქვენი ნებაა. დიდებული შაჰი აქვე ბრძანდება და თითონ მოგელაპარაკება: (გაბრუნდება კარებისკენ).

ქეთევან. წყეულო! გველს ჩაგიცვამს ბატკნის ტყავი, მისთვის, რომ უფრო ადვილად შეიძლო დაუახლოვდე მსხვერპლს. ავაზაკო, მაცთურო, წყეულიც იყავ! (ბერი გადის. ქეთევან დაიჩოქებს). დედაო ღვთისავ, შენა ყოფილხარ ყველა დავრდომილის, ყველა გაჭირვებულის ნუგეშინის მცემელი!... გულის წყრომით ნუ მომხედავ... შენ მომეც ძალა და ღონე ავასრულო ჩემი ვალი, ავასრულო ვალი მშობლისა და ნათლად ვატარო სახელი ქართველის დედისა. (შემოდის შაჰი).

გამოსვლა 2.

იგივე და შაჰი.

შაჰი. (წარბებ შეჭმუხვნილი ცოტა სიჩუმის შემდეგ) მართალია, რაც შემატყობინეს?

ქეთევან. მე არ ვიცი, დიდებულო შაჰო, თქვენთვის რა მოუხსენებიათ.

შაჰი. შენ უარს ჰყოფ სპარსეთის დედუფლობას?

ქეთევან. (დამშვიდებით) დიახ, მართალია.

შაჰი. (განრისხებით უყურებს) შენ გესმის, რასაც ამბობ?... მე, მეფეთ-მეფეს სრულიად სპარსეთისას, დიდებულ შაჰ-აბაზს, შენ უარს უბედავ?

ქეთევან. მე არ ვეკუთვნი ჩემ თავს. მე დიდი ხანია, რაც უარ ვყავ ამ სოფლიური ფუფუნებას.

შაჰი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მერე იცი რაც მოგელის მაგ უარისათვის.

ქეთევან. რაც უნდა მომელოდეს, დიდებულო შაჰო, მე მზათა ვარ.

შაჰი. (მკაცრად) სთქვი გადაწყვეტით, ჩემ ცოლობაზედ თანხმა ხარ თუ არა?

ქეთევან. არა!

შაჰი. (დააკვირდება, ცოტა სიჩუმის შემდეგ) დედა-კაცო, შენ გავიწყდება შენი სქესი... შაჰ-აბაზსა ჰსურს და შენ უნდა შეიქმნე მისი ცოლი!...

ქეთევან. არასოდეს.

შაჰი. (გაიძრობს ხანჯალს და გაექანება) უნდა შეიქმნე, უნდა შეიქმნე მეთქი? (ქეთევან გულ-ხელ-დაკრეფილი დაუხვდება. შაჰი მიახლოვდება და შესდგება ერთბაშად. შუბლზედ ხელს გადაისვამს) ღმერთო ჩემო, რა მომდის!

ქეთევან. (უყურებს დაკვირვებით) რისთვის გაჩერდი, რამ შეგაყენა მტარვალო? მომკალ რაღა!

შაჰი. (მღელვარებით), ქეთევან! გამიგონე... გევედრები, გეხვეწები ნუ ამბობ უარს. შეიქენ ჩემს მეუღლეთ, შეიქენ სპარსეთის მეფად, შეიქმენ ჩემის გულის ბრძანებლად და თავს შემოგევლები.

ქეთევან. არასოდეს! ეგ არ შეიძლება. არ შემიძლიან.

შაჰი. (მწუხარეთ) მა რა გინდა, რა?

ქეთევან. (საჩქაროთ) თავი დამანებე, დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში.

შაჰი. (განრისხებით) არა, ეგ არ შეიძლება. არა მეთქი!

ქეთევან. ტყუილად იმედობ დიდებულო შაჰო: ვერც ძალით, ვერც ალერსით, ვერ შეარყევ ჩემ გადაწყვეტილებას. მე დავბადებულვარ ქრისტიანად, ქრისტიანად უნდა მოვკვდე.

შაჰი. (მკაცრად) მაშ თუ აგრეა (გაბრუნდება კარებისაკენ, ერთბაშად შესდგება დ სიყვარულით) უკანასკნელად გევედრები.

ქეთევან. არასოდეს.

შაჰი. (გაანჩხლებით) მაშ კარგი თუ აგრეა! (გაბრუნდება კარებისაკენ) ვინა ხართ მანდ? შემოდით. (შემოდიან კონსტანტინე, მსაჯულნი, ჯალათი და რამდენიმე ჯარის კაცი).

გამოსვლა 3.

იგინივე, კონსტანტინე, მსაჯულნი, ჯალათი დ ჯარის კაცნი

შაჰი. (გამოვა წინ და მკაცრად აჩვენებს ქეთევანზედ.) ამ დედა-კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს სარწმუნოებას. მსაჯულნო, მომიცია თქვენთვის. განსაჯეთ.

ქეთევან. შაჰო, ამაოა შენი მეცადინეობა. შეგიძლია ყოველ-გვარი ცილი შემწამო, შეგიძლია მტანჯო, მაწვალო.... ხორცი შენ ხელთ არის. შეგიძლიან მას ყოველ-გვარი წამება მიაყენო, მაგრამ მისი სატანჯველი ვერ დასძლევს სულს, ვერ შეარყევს მის გარდაწყვეტილებას, ვერ შექმნის მოღალატედ.

შაჰი. (ჯალათს) ჯალათო, შეუყარე ზორკილები (ქეთევანს დაზორკილებენ და მსაჯულებს). რამდენათაც შეგიძლიათ, მკაცრად დასაჯეთ. ჩვენის სარწმუნოების შეურაცხყოფის მიყენებას მე ვერავის მიუტევებ.

კონ. (რომელიც შველის ჯალათებს; ქეთევანს ჩუმად) დაცგ-ნებდი, ღმერთზედ იქონიე იმედი.

ქეთ, (მსაჯულს) მე არ მიმიყენებია შეურაცხყოფა თქვენის სარწმუნოებისათვის. მე ის ცუდათ არ მიხსენებია. მე მხოლოდ მტკიცედ ვადგევარ ჩემს სარწმუნოებას, პატივსა ვსცემ მას; ნუ თუ ეს არის თქვენი შეურაცხყოფა?... არა მსაჯულნო, შაჰის წყრომის მიზეზი ეგ არ არის, შაჰსა სურს ჩემი შერთვა და მე უარს ვამბობ. მტარვალი ვერ შეიქმნება ჩემს მეუღლედ.

შაჰი. (განრისხებით მივარდება) წაიყვანეთ! მომაშორეთ ეგ შეჩვენებული (მცველები მისცვივდებიან და ქეთევანი მარცხნივ კარებში შეჰყავთ. მცველს) ამაღამ გაუფრთხილდით მაგას. ხვალამდის მაგის საქმე გადაწყვეტილი იქნება. წამოდით ბატონებო, დროა საქმეს შეუდგეთ (გადიან. სცენა რამდენიმე ხანს ბნელდება და ცარიელი რჩება. შემოდის მცველი და კონსტანტინე).

გამოსვლა 4.

მცველი, კონსტანტინე და მერე ქაიხოსრო.

მცველი. (შემოდის) მობრძანდით, ბატონო კონსტანტინე.

კონს. (შემოდის) ღმერთო! ამ საშაგელ ჯურღმულში უნდა იყოს ქეთევან? აქ უნდა იტანჯებოდეს?

მცველი. აქ მომითმინეთ ბატონო, ეხლავე გამოვიყვან ქაიხოსროს.

კონსტ. (ხელს მოჰკიდებს და წინ გამოჰყავს აჩქარებით) გამიგონე!... კიდევ გაგიმეორებ ჩემ პირობას... შენ უნდა საშუალება იპოვნო... ქეთევან აქედგან გავაქციოთ. რა ღონის ძიებასაც იპოვნი, სულ ერთია, ოღონდა კი გავიყვანოთ აქედგან დედოფალი. მაგ სამსახურისთვის მთელ ჩემ სიმდიდრეს გაძლევ... თანახმა ხარ?

მცველი. აგი მოგახსენე, ბატონო, თანახმა ვარ მეთქი.

კონსტ. (დააცქერდება) შენ ქართველის ქალის შვილი ხარ. შენს სხეულში რაოდენიმე ქართველის სისხლი სდგას; ამ წმინდა საქმეში ვერ მიღალატებ... განა არ მიღალატებ!?

მცველი. დამშვიდდით, ბატონო კონსტანტინე, მე დაგპირდით და ჩემ სიტყვას აღვასრულებ.

კონს. მაშ წადი, ნუღარ იგვიანებ, ქაიხოსროც შემომიყვანე. (მცველი გადის მარჯვნივ).

გამოსვლა 5.

კონსტანტინე მარტო.

კონ. (რაოდენიმე ფიქრის შემდეგ მოუსვენრად) როგორ იგვიანებენ, რა მოსდით. საცაა მსაჯულნი გაათავებენ და მაშინ ყველაფერი გათავდება. (შემოდის მცველი და შემოჰყავს ქაიხოსრო, მცველი მარცხნივ გადის. კონსტან-

ტინე გაექანება ქაიხოსროსკენ. ქაიხოსრო ხელების მიგებებით შეაყენებს.)

გამოსვლა 6.

კონსტანტინე და ქაიხოსრო

ქაიხ. ბატონის შვილო, ჩვენი პირობა ნუ გავიწყდებათ. ჩვენ მხოლოდ ქეთევანის განთავისუფლების სურვილმა შეგვაერთა. მაგრამ უნდა მიბრძანოთ, შემდეგში რას აპირებთ?

კონ. აჰ! ქაიხოსრო, მე სხვაზედ არაფერზედ ვფიქრობ, რომ ქეთევანი განვათავისუფლო, ქეთევანი გამოვიხსნა.

ქაიხ. მამლევთ სიტყვას, რომ ქეთევან ამ საპყრობილიდგა 6
დახსნილი თქვენი ტყვე არ შეიქნება?

კონ. რა დროს ეგ არის, ქაიხოსრო, ოღონდ განვათავისუფლოთ და მერე გეფიცები ღმერთს, გეფიცები ჩემს ქვეყანას, გეფიცები იმ რძეს, რომელმაც მე აღმზარდა, რომ, ოღონდაც დავიხსნათ ქეთევან, გავიყვანოთ სამშვიდობოს და შემდეგ მოვშორდები, სამუდამოდ გადვიკარგები სადმე.

ქაიხ. მჯერა ბატონიშვილო, მჯერა, რომ თქვენ წმინდის გულით ლაპარაკობთ. დღეს ვხედავ, რომ თქვენ გულში ქართველის სისხლი მოძრაობს. თქვენ ვერ შეიძლებთ თქვენის სიტყვების შეცვლას. მაგრამ... თუ მომატყუებთ და გადასცვლით სიტყვას, ჩვენგანი ერთიღა დასტკბება მზის სხივით.

კონ. კარგი, კარგი, ქაიხოსრო, გავათავოთ. მგონია, მოდიან.

შენ მცველს გაჰყე, სანამ ქეთევანს ველაპარაკები... ფრთხი-
ლად იყავი, მცველმა არ გაგვცეს, არ გვიღალატოს.

ქაიხ. ეგ ჩემ კისერს გასლდეს (შემოდის ქეთევან და მცველი).

გამოსვლა 7.

იგინივე, ქეთევან და მცველი.

ქეთ. (ხელებში ბორკილ შეყრილი, თვალებზედ ხელს გადაი-
სვამს. მერე დაინახავს ქაიხოსროს და კონსტანტინეს.
შეჰკრთება) კონსტანტინე, ქაიხოსრო! რა გინდათ, რის-
თვის მოსულხართ. თუ თქვენც შაჰმა გამოგგზავნათ?

კონ. (საჩქაროდ) დედოფალო, მოითმინეთ, ლაპარაკის დრო
არ არის...

ქეთ. მე მესმის, რომ კონსტანტინე შაჰის მაგივრად მოსულა.
მაგან წყალობა იმისთვის მიიღო, რომ შაჰის ყურთგულე-
სი მონა იყოს, მაგრამ ქაიხოსრო, შენ, შენ რისთვის
მოსულხარ? ნუთუ სპარსეთის მფლობელის სიმდიდრემ
შენი გულიც მიისყიდა?

ქაიხ. (მწუხარებით) დედოფალო . . .

ქეთ. (გააწყვეტინებს) მაგრამ არა არის რა აქ გასაკვირვალი,
კაცნივართ და კაცის თვალი ხარბია.

ქაიხ. დედოფალო, რას მიბრძანებთ.

ქეთ. მაშ რას უნდა მივაწერო (უჩვენებს კონსტანტინეზედ)
თქვენი მეგობრობა? ორი მოსისხლე ერთად რამ შეგყა-
რათ, რამ დაგაკავშირათ (ეჭვდრებით) მოხვედით განა,
რომ დასტკბეთ, სულით და ხორცით რა რიგ დაეცა

სუსტი დედა-კაცი?!... მოხვედით, რომ მაჭს წაუღოთ ჩემის თანხმობის პასუხი? მოხვედით დასტკბეთ ქალის უძლურებით?.... (მრისხანეთ) მოსტყუვდით დამცირებულნო! თქვენ ვერ ისილავთ ჩემს დაცემას, თქვენ ვერ იცინებთ ჩემს სისუსტეზედ. ქეთევან მოკვდება და სხვის სათამაშოდ კი არ შეიქნება. დამცირებულნო, დაცემულნო, ლაპარაკის ღირსიც არა ხართ (გაბრუნდება).

კონ. (წინ გადაუდგება) დედოფალო, მოითმინეთ.

ქაიხ. ღვთის გულისთვის გაგვიგონეთ.

ქეთ. (შესდგება) ძალა?! . . . (დამშვიდებით) სხვა რის მაქნისი ხართ, თუ არ მაგისთვის.

ქაიხ. დედოფალო, გევედრებით მოგვისმინე.

კონ. ხანი მირბის, დრო ალარა გვრჩება: (ქაიხოსროს) გაიყვანე მცველი, სანამ ჩვენ მოვილაპარაკებდეთ.

ქაიხ. დედოფალო, გევედრებით ბატონის შვილს გაუგონეთ. ეგ შეგატყობინებს ყოველისფერს... ქაისოსრო ქართველია, მას სიკვდილი შეუძლიან, ღალატი კი არაოდეს! (გადის, მცველი თან მისდევს).

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ. 8.

ქეთევან და კონსტანტინე.

ქეთ. აბა რას მეტყვით?

კონსტ. დედოფალო, თქვენი სიცოცხლე გადაწყდა. ეხლა მოვლენ მსაჯულნი, უკანასკნელად მოითხოვენ თქვენგან, მიიღოთ მაჰმადიანობა და, რა უარს იტყვით, წამებას მიგცემენ.

ქეთ. მე დიდი ხანია მაგისთვის მომზადებული ვარ. პირველი მაგალითი მე არ ვიქნები, არც უკანასკნელად დავრჩები. ასრულდეს უფლის ნება.

კონ. ჩვენ მოვედით, რომ წაგიყვანოთ, დედოფალო, მოგარჩინოთ მაგ სატანჯველს. აჩქარდით, დედოფალო, გვიანობის დრო აღარ არის.

ქეთ. მე არ წამოვალ.

კონ (გაკვირვებით) როგორ! თქვენ გაქცევაზედ უარს ამბობთ? მოიგონეთ შვილი, სამშობლო...

ქეთ. (შეკრთება) შვილი! სამშობლო!... (ცოტა სიჩუმის შემდეგ) არა, უარს ვამბობ.

კონ. იქნება ჩვენ არ გვენდობი?..

ქეთ. საქმე მაგ არ არის. მე არ გავიქცევი, შიშს არ უჩვენებ... როდესაც მთელი ქრისტიანობის თვალი ჩვენკენ არის მოქცეული, როდესაც ჩვენგან მოელიან მაგალითს, მე ნება არა მაქვს, რომ შევდრკე ამ სოფლიური სატანჯველის წინაშე, ვეჩვენო სულ მოკლედ და არც ვეჩვენები.

კონ. (აჩქარებით) რას ამბობთ, დედოფალო! გევედრებით ისმინოთ და დაიჯეროთ.

ქეთ. გეუბნები, არა მეთქი, არ შემიძლია.

კონ. დედოფალო, გაწვალებენ, მოგკლავენ... მაგაზედ მარტო ფიქრიც კი გონებას მირევს, ჭკუიდანა მშლის.

ქეთ. ბედმა მოიტანა, ღმერთმა ამარჩია ამ მაგალითისთვის. მე ნება არა მაქვს ჩემი დანიშნულება თავიდგან ავიცილო.

მცვ. (კარებიდგან) აჩქარდით, თენდება.

კონ. დედოფალო, გევედრებით, ნუ მაწვალებთ, ნუ მტანჯავთ. სასჯელად ისიც მეყოფა, რომ ჩემი თავი დამისაჯავს... გაუბედური, დავიღუპე, მოძულებული შევიქნ

ყველასაგან და მაგ უკანასკნელ ნუგეშს მაინც ნუ წამართმევ. ნება მომეცით თქვენის განთავისუფლებით სინიდისის წინაშე მაინც გავმართლდე.

ქეთ. შენ შენი გზა გაქვს, მე ჩემი. თუ გიგრძნია შენი მოქმედება, დაეკითხე გონებას, დეეკითხე შენის გულის თქმას და რასაც გეტყვის, იმ გვარად მოიქეც, იმ გვარად მოინანიე.

კონ. (აჩქარებით) ღმერთო ჩემო! ჩემი გულის თქმა შენს განთავისუფლების მეტს არას მეუბნება... თენდება, დედოფალო, წავიდეთ. (კარებიდგან მოისმის ხმაურობა) ღმერთო ჩემო, რა ამბავია? (კარებში გამოჩნდება ქაიხოსრო)

გამოსვლა 9.

იგინივე და ქაიხოსრო.

ქაიხ. (შემოვარდება) გვიღალატეს, გაგვცყიდეს!...

კონ. (მივარდება ქაიხოსროს) რა ამბავია, რა მოხდა!

ქაიხ. შაჰისთვის შეუტყობინებიათ. მოდიან.

კონ. (გაექანება კარებისაკენ) ნუ შემოუშვებთ, ვიბრძოლოთ, სანამ უკანასკნელი სისხლის წვეთი შეგვრჩება.

ქაიხ. ვიბრძოლოთ (მივარდება კარებთან):

ქეთ. (დამშვიდებით) დამშვიდდით, ბრძოლა გვიანღა არის. ჩემმა საათმა დაჰკრა და უნდა გადაწყდეს.

კონ. (თავის თავს მისწვდება) მართალი ხარ, მართალი. (შემოიღება კარები. შემოვლენ შეიარაღებული სპარსები. მერე შაჰი, მსაჯულნი და ჯალათი).

ერთი სპარსთაგანი. აღსენით იარაღი (უჩვენებს კონსტანტინეზედ. სპარსელნი მისცვივდებიან.)

ქაიხ. (გახტება უკან) არასოდეს.
ქეთ. (მივა და გამოართმევს ხმალს ქაიხოსროს) დამშვიდდი, აქ იარაღი არ გამოდგება.
ქაიხ. დედოფალო, ნება მომეცი ერთს მაინც გაუპო გული?
ქეთ. გეხვეწები, დამშვიდდი მეთქი.
ქაიხ. მაშ რითიღა ამოვიყარო ჯავრი?... რითიღა გავიქარვო სევდა, (მწუხარებით) როგორღა ვიცოცხლო? (შემოდის შაჰი).

გამოსვლა 10.

იგინივე და შაჰი.

გონ. მაშ ყველაფერი გადაწყდა? (დაეცემა გუნძზედ და პირის-სახეზედ ხელებს დაიფარებს).
შაჰი. (დააცქერდება ქეთევანს, დაცინვით) წმინდანო, კარგად ატარებ დროს შენს ტაძარში?
ქეთ. ნუ ჰგმობ ღმერთს, შენ გწყურიან ჩემი სისხლი და დალიე; სხვა რაღა გინდა.
შაჰი. (გაანჩხლებით) დიახ, დავლევ, გეფიცები დავლევ და არ ვიკმარებ მარტო შენს სისხლს; გადავაბრუნებ შენს ქვეყანას, მთლად შევმუსრავ შენს ხალხს. იქამდის მივიყვან, რომ იმათი გოდება ზეცამდინ ადიოდეს. იქამდინ მივიყვან, რომ მათი საცოდაობით ქვა იწოდეს; მე ყრუდ დავრჩები მათ ხვეწნისადმი.
ქეთ. დამცალე სისხლიდგან. სისხლი, რომელიც დღეს აქ დაიღვრება, შენ დაგედება ვალად და ვაი შენ იმ დღისთვის, როდესაც მოგეკითხება.

შაჰი. მაგასა გნახავთ, (უჩვენებს ჯალათებს იქვე) წაიყვანეთ, დასწვით ეს ეშმაკის თესლი. (ჯალათები მისცვივდებიან და მიჰყავთ)

ქეთ. (გაეშვებინება) სად უნდა წამიყვანოთ?

შაჰი. ჯერ გაწამებენ, მერე დაგწვამენ.

ქეთ. (შეკრთება) მაწვალებენ, დამწვამენ? ქაიხოსრო, შვილო! (თავს შეიკავებს) აღსრულდეს შენი ნება, უფალო! წავიდეთ, მზათა ვარ.

შაჰი. (ქეთევან გამოიყვანს ჯავნს სცენაზედ, ჩუმათ) დამთანხმდი და განთავისუფლებული იქნები.

ქეთ. არასოდეს. (გაეშვებინება საჩქაროთ ჯალათებს მიჰყავთ.)

შაჰი. წაიყვანეთ, მოჰკალით, დასწვით ჩქარა.

ქაიხ: (გაექანება შაჰისკენ) რა სთქვი, შენ მტარვალო... მაშ გადასწყდა ყველაფერი? (მივარდება შაჰს) მაშ შენც დაგახრჩობ, რომ ვერ დასტკბე შენი ავაზაკობით (მცველები მისცვივდებიან და ძალათი მიჰყავთ).

გამოსვლა 11.

შაჰ, კონსტანტინე და კარის კაცნი.

შაჰი. ვერ უყურებთ მაგ ბიწიერს. (მიუბრუნდება კონსტანტინეს დაცინვით) შენთვისაც მოვიცლი.

კონ. (დაფანტვით) აჰ! ღმერთო!... რას აპირებ?

შაჰი. მაგას მაშინ გაიგებ, როდესაც ქეთევანის საქმეს მოვრჩებით (შაჰი გაბრუნდება და მიდის).

კონ. (გაშტერებულსავით დარჩება. შეაყენებს შაჰს.) მოითმინე,

სად მიხვალ?! გამიგონე... (მხლებლები მისცვივდებიან კონსტანტინეს).

შაჰი. (მხლებლებს.) გაუშვით!... (კონსტანტინეს მკაცრად.) რა გინდა?

კონ. შენ ძალა გქონდა შეგეპყრო ქაიხოსრო... უფლება გქონდა შენ სწორად არ მიგეღო... მაგრამ მე, მე რაღას მეტყვი?... მე, ვინც სისხლით და ღირსებით შენი სწორი ვარ?... მე მსურს შენთან ბრძოლა, მე მსურს გადაგიხადო ამოდენი ბოროტებისთვის.

შაჰი. (დაცინვით და ამაყად.) შენ ამბობ, რომ ჩემი სწორი ხარ?... შენ ჰბედავ მაგის თქმას? რა გვაქვს საერთო?.. შენ ხარ სარწმუნოების მგმობელი, სამშობლოს მოღალატე... შენ გაყიდე შენი მოძმენი, შენი მიწა-წყალი და მე მიბედავ გასწორებას?... სტყუვდები, გიაურო, შენი ადგილი ჯოჯოხეთია, შენი სახელი ავაზაკი!... რა გვაქვს საერთო?!

კონ. (მწუხარებით) კმარა, შემიწყალე... მოიგონე, რომ შენ გემსახურებოდი...

შაჰი. ჩემის ხალხის საბედნიეროდ მივიღე შენი სამსახური.

კონ. თუ დამნაშავე მე ვარ, შენც ურევიხარ ჩემს დანაშაულში...

შაჰი. შენ ბრმავდებოდი, სულს ეშმაკს აძლევდი, მე მხოლოდ შემთხვევით ვსარგებლობდი.., მე რათ ვერევი შენს უწმიდურებაში.

კონ. შაჰო... (გაუშვებს ხელებს).

შაჰი. (მკაცრად) იქით!... არ მომეკარო!... მოძმეთ გამყიდავს მიკარებითაც კი შეუძლიან გაწუწყიანება.

კონ. (მწუხარებით) ღმერთო, ღმერთო ჩემო!...

შაჰი. მაშ რა გეგონა? მოჰკლავდი მამას, მოჰკლავდი ძმას და

ბეგონა შენს სახეს ჩირქი არ მოეცხებოდა?... ბეგონა მათ ადგილს შენ დაიჭერდი... თავ-მოყვარევ, მოსტყუე-დი... შენა ხარ ავაზაკი და ავაზაკის სასჯელი მოგე-ლის!... (მცველებს) შეიპყარით (კონსტანტინეს დაიჭე-რენ და ხელ-ფეხში ბორკილს უყრიან).

კონ. (მწუხარებით) ასია ჩემზედ... დამსაჯეთ, მომკალით!... მართლათაც, სხვას რას უნდა მოელოდეს მოძმეთ მოღა-ლატე?! (თითქმის ხვეწნით) დამსაჯეთ შაჰო, დამსაჯეთ, როგორც გინდათ, მართალი ხართ, მე დამნაშავე ვარ, ჩემი ბრალია (უჩვენებს ხელით კარებისკენ, საიდანაც ქარ-თველები გავიდენ) მათი უბედურობა, გამიპე გული, და-ლიე ჩემი სისხლი, ოღონდაც ქეთევანს და მათ მხლე-ბელთ ნურას გადასხდევინებ, გაანთავისუფლე... (სიჩუმე რამდენიმე ხანს) შენ ამბობ რომ მე ავაზაკი ვარ და შენ არა. მართალი ხარ, მე უწმინდური ვარ, ჩემი სასჯელი მომელის... შენ!? შენ, სახელგანთქმულო სპარსეთის შაჰო, ნურც ეხლა დაღვრი უმანკო სისხლს, ნუ მოსც-ხებ შენს სახელს განუწმენდელს ჩირქს.

შაჰი. ცოდვილო! ვინ მოგცა მაგ ლაპარაკის ნება?... ეშმაკის კერძო, იცი რომ მეფის მოქმედება თვით ზეცით არის შთაგონებული?

კონ. შაჰო! მთელის ქვეყნის წინაშე (იჩოქებს) ვამჟღავნებ ჩემს ცოდოს... აი მუხლ-მოდრეკილი გევედრები... იფიქრე რომ მეც კაცი ვარ, ჩემს ძარღვში ქართველის სისხლი სდგას... თავ-მოყვარეობა მეცა მქვს... მაგრამ აჰა, დღეს შენ წინაშე, ქართველთა მეფის შვილი დაჩოქილი გევე-დრება... გეყოფა ესეც, მე დავაშავე—მევე დამსაჯე!...

შაჰი. (მრისხანედ) კმარა, წაიყვანეთ. (მცველები მისცვივდებიან)

კონ. (გაუშვებინებს.) ღმერთო, აგაზაკო!... რა დაგიშავა ქართველმა, რა დაგიშავა ქვეყანამა, რა დაგიშავეს ქართველებმა?!! არაფერი იმის გარდა, რომ თავიანთის ქვეყანას იცავდენ, მაგრამ, რას ვამბობთ... მტარვალს სისხლი მოსწყურდა და უნდა გაძღეს სისხლით!... დეე დაიღვაროს ჩვენი სისხლი, დეე გავწყდეთ, მაგრამ იცოდეთ რომ ყოველ იმ სისხლის წვეთზედ აღმოცენდება ახალი ნაყოფი; მით უფრო ძლიერი, მით უფრო სანუგეშო, რომ უმანკო სისხლით იქნება შედუღებული... მოვა დრო და შენი ძვლები შეირყევა სამარეში! უბრძანე მეც ჩქარა მომკლან!...

მაჰი. (განრისხებით) წაიყვანეთ, ჩამოაღრჩეთ, მომაშორეთ თავიდგან, თორემ ჩემის ხელით დავაღრჩობ.

კონ. (მცველები მისცვივდებიან, კონსტანტინე ისევ გაუშვებინებს) რაღას ელი, აგაზაკო!?... ჯალათის ხელობა კაცის კვლაა და გლეჯა...

მაჰი. (გაიძრობს ხანჯალს და დაჰკრავს) მაშ მოკვდი უწმინდურო, გიაურო.

კონ. (დაბარბაცდება და დაეცემა; მაჰი გაშტერებული დგას, კარის-კაცნიც სხვა-და-სხვა გვარ სურათად გაოცებულნი რჩებიან. მიღრწნილის ხმით) მაჰო... იკმარე ჩემი სისხლი... და იხსენ ქვეყანა... ნუ დაღვრით უმანკო სისხლს...

მაჰი. (განრისხებით) არასოდეს.

კონ. მაგრამ რას... ვის გეხვეწები?... განა შენ მდგომარეობაში მყოფს კაცს ადამიანის გული აქვს?... საიდგან მისწვდება გაქვავებულს გულს ხმა მვნესავისა... საიდგან გაიგებს გრძნობას ის, ვინც დაბადებიდგანვე უგრძნობლობას ეჩვევა... საიდგან ეცოდინება სამართალი იმას, ვინც

გაჩენიდგანვე ქვეყანას თავის სათამაშოდ უყურებს!. . . (სიჩუმე) ღმერთო!... მომიტევე ჩემი შეცოდება!.. მაგრამ რასა ვსთხოვ?! მაგ თხოვნის ნებაც რომ აღარა მაქვს!... ღმერთს რა ხელი აქვს მოღალატესთან... მისი ადგილი ჯოჯოხეთია... და არც მე ამცდება.. (ცოტა სიჩუმის შემდეგ ნახევარ ხმად და სიყვარულიანად.) რა ტკბილი იქნებოდა სამშობლოში სიკვდილი!... რა სიამოვნება იქნებოდა მისთვის სულის დალევა... (ერთბაშად) აგერ!... აგერ! (დააკვირდება ერთს ადგილს შეშინებით). მამა ჩემი! ჩემი ძმა!. . ორნივ სისხლში არიან მოსვრილნი... მექადიან!.... მემუქრებიან... მისაყვედურებენ!... (მწარეთ დაიკივლებს ერთბაშად) ა—ა!... ნუ მომდიხართ! ნუ მიახლოვდებით!... მეშინიან!... ქეთევან!... ქეთევან!... ქეთ..-ვან! (მისწვდება გულს, თავს, ყელს) ღმერთო!... თავი გული... ჯვარი.. ჯვარი... ჯვა... ჯვა... ჯვა... (კვდება.)

(ფარდა)

აპოთეოსი

სცენა დაბნელებულია, უკანა ფარდა აისდება და სცენა წარმოადგენს აღგზნებულს კოცონს, რომელზედაც იწვება ქეთევან დედოფალი და ქაიხოსრო. ქეთევან დედოფალი თეთრსავე ტანისამოსში, თმა გაშლილი დაჩოქილი დგას, ზეცისთვის მიუპყრია თვალები, და ხელები გულზედ დაუწყვია, თითქოს ლოცულობდეს. ქაიხოსრო ცალ მუხლზედ დაჩოქილა, მოწიწებით თავი დაუხრია. ზევიდგან ჩამოდის ღრუბელი, რომელზედაც შუა ადგილას ვარსკვ-

ლავების გვირგვინია რომელიც აქეთ-იქით მდგომს წმინდა ნინოს და თამარ მეფეს უჭირავსთ ქეთევანის თავზედ. ღრუბლებში აქა-იქა ანგელოსები მოჩანან. *)

ა. მოჩხუბარიძე

დასასრული.

---

*) ამ დრამის დაბეჭდვის დროს, სხვა-და-სხვა, არა ავტორისგან დამოკიდებულის მიზეზების გამო, კორრექტურული შეცდომები შესულა და მის გასწორებას ვეცდებით, როცა ცალკე გამოვცემთ, ეხლა კი არ შეგვიძლიან არ შევასწოროთ რამდენიმე: პირველ ფურცელზედ დაწერილია «დრამა 5 მოქმედებათ»; უნდა წაიკითხოთ „5 მოქმედებად და 7 სურათად". მომქმედთ პირთ შორის სრულიად მოხსენებული არ არის შაჰ-აბაზ სპარსეთის შაჰი და თეიმურაზ ბატონის შვილი, კახეთის მემკვიდრე, შვილი ქეთევანისა.

მითამ და „ახალის რაზმის კაცი"
ანუ
ორი ფელტონი.

(განხილვა).

ძველი ჩვეულება ახალის მწერლებისა.—ახირებული ჭირი.—ახალი მწერალი.—ნიშნები ვითომც და ახალის დროისა.—ჰოცა და არაცა.—რომელი ერთი დავიჯეროთ.—ბოდიში.—სასაცილო წამალი სამწუხარო სენისა.—სხვაში ცოდვა ჩემში მადლიაო.—ახალი მეტოდი ახალის დროის კრიტიკისა.—შენ ჰქმენ და სხვას დააბრალე.—პასუხი.—აღდგენა ძველის თეორიისა: не смѣть свое сужденіе имѣть.—რაც გინდოდეს, ის შესწამე.—კატკოვის სისტემა მხილებისა და ბრალდებისა.—«ობისკები» ადამიანის გულში.—ნუ შეშინდებით.—ვერ ვაღიარებთ და ვერ გიწამებთ.—ჩვენ რა შუაშია.—განსხვავება.—წინასწარმეტყველების გამტყუნება ასეთი უნდა.—ვიგემეთ და გავიცანით.—რა პირობით.—ძველი გზა და ძველი მეგობარი.—რა მოხდა?—ლოღიკა დანაშაულობა თუა?

ეს ათა-თორმეტი წელიწადია, რაც ჩვენს მწერლებს ერთი საკვირველი ჩვეულება დასჩემდათ: გამოსდგამს ფეხს თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ, ყველაზედ უწინარეს ამას დაიძახებს ხოლმე: ვინც ჩემზედ წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნიო; ჩვენ წინ მომავალნი ვართო და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო და, თუ გინდათო, «ბოლოზედ ჩასჭიდეთ ხელიო» და სხვანი.

ვინც ახალი მწერალი გამოსულა ჩვენში, პირველი მისი

სიტყვა უფრო ხშირად ესა ყოფილა და ეს არის კიდეც დღესაც. ამას კიდევ კაცი, როგორც იქნება, აიტანდა, მაგრამ ვაი ეს არის, რომ ამ ბოლოს დროს ამ ჩვეულებამ იბარტყა და ერთი სხვა ჭირიც გააჩინა: გინდათ თუ არა მიცანით, რომ გენიოსი ვარო და წინამორბედი ახალის დროისა, ახალის მოძღვრებისაო; საცა შემხვდეთ, თავი მძიმედ დამიკარითო, სუფრაზედ პირველი სადღეგრძელო ჩემი დალიეთო, იმიტომ რომაო, მე პროფესიით ლიტერატორი ვარ და არა გზევარო თქვენ, რომელთათვისაც ხანდის-ხანობით წერა შექცევააო, შესვენება და არა ჯაფაო.

აჩირებული ჭირია, თქვენმა მზემ! აჩირებული ძალ-დატანება!.. რას იზამ? ვის შესჩივლებ? ქვეყანაზედ არ გაგონილა ამისთანა ძალ-მომრეობით პატივის-ცემის მოპოვება! გაგონილა, გინდათ თუ არა ჩემს წინაშე თავი მოიხარეთო, მაქეთ და მადიდეთო.

აი ავიღოთ მაგალითად «დროების» ახალი მწერალი, „კისრულის“ ავტორი. ეგ ბატონები, პროფესიით ლიტერატორი უნდა იყოს უსათუოდ, იმიტომ რომ, თუ არ ამისთანა ლიტერატორს, იგი პატივს არა სცემს და რასაც კაცი პატივს არა სცემს, იმაში არ გაებმის. ამას გარდა, იგი „ახალის რაზმის“ კაცად გვიცხადებს თავსა, იმიტომ—რომ დაუყინია,— თქვენ აღარაფერში ვარგიხართო, «ნუ გგონიათო რომ ეხლაც უწინდებურად ვინმე გააცუროთო მაქარ-მომცვრეულის ფრაზებითაო, დრო ორაგულობისა, დრო კალხასობისა გაფრინდა და, თუ გნებავთ, ბოლოზედ მოეჭიდენითო...» და სხვანი.

თუ ამას ჩვენ გვიბძანებს პატივცემული ავტორი, რა გვეთქმის? „კისრად კიდებთ და ვდუმდებით“, რადგანაც ეგ ამისთანა საქციელი ჩვეულებად დასჩემდათ ჩვენის ქვეყნის მწერლებს,

როგორც ზემოთა ვსთქვით, და ჩვეულება, ხომ მოგეხსენებათ, რჯულზედ უმტკიცესიაო. ჩვენ მხოლოდ ამის კითხვა გვინდა; ეს ჩვენი დრო დაშაქრულის ფრაზებისა რომ გაათვრინა პატივცემულმა ავტორმა, მის სამაგიერო რომელი ახალი დრო მოგვითვრინა? იქნება, მართლა, იმისი მოტანილი დრო ჰსჯობდეს და ჩვენ ვჯიუტობდეთ; არ ვიცნათ და არ ვიწამოთ. ჩვენ შორს არ წავალთ ამ ახალის მწერლის ახალის დროის ნიშნების საძებნელად. საკმარისია კაცმა მის ორს ფელეტონს გადაავლოს თვალი და შეურყეველი აზრი შეადგინოს იმ დროზედ, რომლის წინამორბედად, „კისრულების“ ავტორი თავისთავს გვიცხადებს. უეჭველია, კისრულების ავტორი „ახალის რაზმის“ კაცია, და მაგ ორ ფელეტონიდამ შევიტყობთ, რის მომადლინებელია იმ „ახალის რაზმის“ კაცი, რომელიც მის გონების თვალ-წინ გამოხატულა. ერთი შევიტყოთ, რა თვისების პატრონად ჰხადის იგი, მითამ და „ახალს რაზმს“ და „ახალს კაცს„.

ამისათვის ჩვენ გავარჩევთ მის ორს ფელეტონს, რომელნიც „დროების **№№ 116** და **119**-შია დაბეჭდილი.

პირველს ფელეტონში ახალის დროის მეთაური ავტორი ემდურის თავის მეგობარს და უკიჟინებს: ჭკვიანი მეგონე, თხლათა 'ყოფილხარო. შენა მწერო, რომ ჩვენს «ინტელიგენციას რაღაც გამოფხიზლება და მოძრაობა ეტყობაო... შენ იქნება ბრმადაც ჩამთვალოკო, უპასუხებს „კისრულის“ ავტორი: რომ ჩვენში ინტელიგენცია ვერ შემიმჩნევიაო, მაგრამ გარწმუნებ, მიკროსკოპიც რომ აითვარო თვალებზედ, მაინც ვერ იპოვი ე რაღაც ინტელიგენციაო».

ახლა მივხედოთ ამ „დარწმუნების“ შემდეგ რას ბრძანებს იგივე ავტორი იმავ ფელეტონში მეორე გვერდზედ: „შენ რომ

ჰყოქვაო, რომ ჩვენში ინტელიგენცია თან-და-თან კვერცხიდამ იჩეკება და თავს იჩენსო, აი ეს ჭეშმარიტება იქნებოდა და მეც კამათობას არ დავიწყებდით, რომ ჩვენში ახალი რაზმი (რისა, თუ არ ინტელიგენციისა?) გამოდის სასპარეზოდ და ნელ-ნელა მატულობს,—ეს ყველა თვალ-ხილულისათვის მზესავით ნათელი ფაქტიაო, თუმცა ჩვენი ცრუ სამსონები ჭალღას ბიჭლას ფეიცავენ და უნდათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო“.

საწყალი ცრუ-სამსონები რა ბრძანი და მატყუარნი ყოფილან! მაგრამ რათა? თვითონ პატივცემული „კისრულის“ ავტორიც პირველს გვერდზედ ჰფიცავდა და არწმუნებდა თავის მეგობარს, არავინ არისო!... ნუ თუ სამსონების გვერდი დაუშვენა პატივცემულმა ავტორმა და იმათში იკადრა ჩადგომა!... აბა მართლა კისრული ასეთი უნდა აი!...

პირველს გვერდზედ ცრუ-სამსონებსავით ჭალას ბიჭლას ჰფიცავდა, არწმუნებდა თავის მეგობარს, მიკროსკოპითაც ჩვენში ინტელიგენციას ვერ იპოვიო და მეორე გვერდზედ კი იმავე ჭალა ბიჭლას იძახის, მთელი ახალი რაზმი გამოდისო და მატულობსო კიდეცაო და ამას მარტო ცრუ-სამსონები არა ხედვენო. თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო თავსა. ერთს გვერდზედ მიკროსკოპითაც ვერ პოულობს მას, რაც მეორეზედ მთელს რაზმად მოსჩვენებია. რომელი ერთი დავუჯეროთ?

რომელიც გნებავთ, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ამ მაგალითით ცხადად იხატება თვისება ავტორისაგან ქადებულ „ახალის რაზმის“ კაცისა. ამ მაგალითიდამ ჰსჩანს, რომ იმ „ახალის რაზმის“ კაცი იმისთანა კაცია, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საგანზედ ჰოც შეიძლება მოთავსდეს და არაცა.

ნუ თუ მართლა „ახალ-გაზდა მუშაკნი“ ამ თვისების პატრონნები არიან და თუ არიან, ნუ თუ მართალნი არ არიან ისინი, ვისაც «კისრულის» ავტორი ჰსწამებს, რომ უნდათო ახალ-გაზდა მუშაკთ ჩდომა დაუკარგონ საზოგადოებაშიო. ჩვენის ფიქრით ტყუილად გარჯილან ის ცრუ-სამსონები. ამისთანა უთავბოლო მუშაკი, ახალი იქნება, თუ ძველი, თითონ მოუღებს ბოლოს თავის-თავსა, თუ ჩვეულებად დასჩემდა თავი დაივიწყოს, როცა ბოლოსა სწერს.

ნუ თუ ეს უთავბოლობა იმ დროის ნიშანია, რომელიც «კისრულის» ავტორმა უნდა მოგვიფრინოს? ნუ თუ უთავბოლობა ახალი ამბავია ქვეყანაზედ?!...

იქნება პატივცემულმა ავტორმა გვისაყვედუროს და გვითხრას: იქ ინტელიგენციაზედ ვლაპარაკობდი და აქ კი „ახალს რაზმზედაო“ და ეს სულ სხვა-და-სხვა საგანიაო. იქნება მართლაც აგრე იყოს, მაგრამ მთელის ფელეტონის აზრთა მდინარეობას რომ მიჰყვეთ, უსათუოდ დარწმუნდებით, რომ «ახალის რაზმის» სახელის ქვეშ ინტელიგენციის რაზმის მეტი სხვა არა იგულისხმება რა. დასამტკიცებლად ვთხოვთ გადაათვალიერონ „დროების“ ფელეტონი, № 116.

მაინცა და მაინც თუ თავისას არ დაიშლის „კისრულის“ ავტორი და ამასვე იტყვის თავის გასამართლებლად, არც ჩვენ აუხირდებით, ბოდიშს მოვიხდით და ჩვენ სიტყვას უკანვე წამოვიღებთ. მხოლოდ ერთს პირობას კი დავუდებთ, ვთხოვთ აგვიხსნას, თუ არ ინტელიგენციის რაზმი, სხვა რომელი რაზმი ჰყვანდა სახეში, როცა ამასა სწერდა.

«სისტემატიურის მედგარი (დაუდერაგიო, ჰსწერია ფელეტონში, მაგრამ გვგონია ეს კორექტურული შეცდომაა) შრომა არ შეუძლიანო იმათაო», ესე იგი მისგან წოდებულ

ცრუ სამსონებსა, ბრძანებს იმავ ფელტონში „კისრულის“ ავტორი.

ახა გამოიცანით, მკითხველო, რა მიზეზით? უცნაური, ახირებული მიზეზი მოჰყავს. «არ შეუძლიანთ, იმიტომ რომ იმათ არ გამოუვლიათ ის მკაცრი სკოლა ცხოვრებისა, თავის დღენი არ შებრძოლებიან იმ ბოროტს ბედს — დედინაცვალს, სადაც (ბედს და სადაც?) კაცი ან სულ იღუპება, ან არა და ნაწთოში რკინასავით მაგარი გამოვა. ესენი იმ ნიადაგზედ გაიზარდნენ, იმ წრიდამ გამოვიდნენ, სადაც ჩხირის გაწვეტებაც არავის შეეძლო და ყოველთვის მაძღრად იყვნენო“. ამას ბძანებს ჩვენის ახალის დროის ახალ-გაზდა მუშაკი-მწერალი.

რა ადვილი და უებარი წამალი უპოვნია ამ ახალის დროის კაცს ჩვენთვის, რომ სისტემატიური და მედგარი შრომა შეგვძლებიყო და ჩვენ კი არ ვიცოდით, ვიდრე «კისრულის» ავტორმა არ გვაუწყა. თუ ტკბილი ცხოვრება გაქვთ—გაიმწარეთ, თუ მაძღარნი ხართ—გალატაკდით, რომ მშიერი დაიარებოდეთ და მაშინ, თუ სულ არ დაიღუპებით ნაწთოში რკინასავით გამოხვალთ და სისტემატიური და მედგარი შრომაც შეგეძლებათ, თორემ ჭეჩ! ეს კი მართლა ასეთი ახალი ამბავია, რომ მთელს ქვეყანაში ჯერ არც არავის ფიქრად მოსვლია, არც არავის დაუწერია, არც არავის უთქვამს და, გგონია, არც არავინ იტყვის.

მაშ რამ გაასულელა ეს კაცობრიობა და რაზედ იმტვრევს თავსა და პირს, რომ ცხოვრება დაიტკბილოს, ყველა მაძღარი იყოს, თუ კი დაჰკარგავს ნიჭს სისტემატიურის და მედგარის შრომისას—მაგ ძლიერს ღონეს ადამიანის ცხოვრების ყოველ-გვარად წარმატებისას. ადამიანი რისთვის იბრძვის ქვეყანაზედ ბედნიერებისათვის, მაძღრობისათვის, რისთვისა ღვრის ამოდე-

ნა ოფლსა და სისხლს, თუ სისტემატიური და მედგარი შრომა აღარ შეეძლება, რაკი უბედურებიდამ ბედნიერებაში ჩავარდება. ან ის ბედნიერება ბედნიერებაღა იქნებოდა!?...

თუმცა ეს რეცეპტი სასაცილოა, მაგრამ ესეც უთუოდ ნიშანია იმ ახალის დროისა, რომელსაც წინ მოუძღვის «კისრულის» ავტორი, ალბად მოძღვრებაა იმ „ახალის რაზმისა“, რომელსაც ამისთანა სახელსა სდებს იგივე ავტორი თავის ქეიფისამებრ და რომელსაც ცრუ-სამსონები «ახალ რაზმად» არა სთვლიან.

„ბარემც ჩვენც სიხარულით და ტაშის კვრით მივეგებებით, ბრძანებენო ისინი, ვისაც სამშობლოს ჭირისუფლება თითქო პატენტით აუღიათო, მაგრამ რომ არავინ არის, ძალად ხომ არავის გავაჩენთო». ამას ამბობს «კისრულის» ავტორი ცრუ სამსონებზედ. კარგი იქნებოდა, რომ პატივ-ცემულს ავტორს ამისი საბუთი წარმოედგინა, სადა ჰსთქვეს და როგორა ჰსთქვეს. ჩვენ არ გვახსოვს რომ ეთქვათ სადმე და თუ უთქვამთ, სხვა ხომ არა დაუშავებიათ რა იმის მეტი, რომ ამით თვით «კისრულის» ავტორის სიტყვები დაუმტკიცებიათ. ჩვენ ზემოთა ვნახეთ, რომ თვითონ „კისრულის“ ავტორი ბრძანებდა გადაჭრით, რომ მიკროსკოპითაც სძებნოთ, ვერ იპოვითო. მაშ რაღა უკიჟინაო ასე უწყალოდ იმ ცრუ სამსონებსაო, იკითხავს მკითხველი გაოცებული. მათ, რომ მისი ნება და ქეიფია. ამაზედ მეტი არა ითქმის-რა ამისთანა უცნაურს შემთხვევაში.

თუ ამ დაუნახაობის გამო უკიჟინებს პატენტიანთ ჭირისუფალთ, თვითონ «კისრულის» ავტორი თავის საკუთარს დაუნახაობას რაღა სახელს არქმევს? მაგრამ იქნება ეს «კისრულის» ავტორის დროის ნიშანი იყოს, რომ რაც სხვაში ცო-

დვაა, ის შენში მადლად უნდა აღიარო. ესეც კიდევ ერთი სხვა თვისება «კისრულის» ავტორისაგან წოდებულის «ახალის რაზ-მის» კაცისა.

ახლა მივხედოთ მეორე ფელეტონს იმავე ავტორისას «დროების» № 119. ამ ფელეტონს «კისრული» აღარა ჰქვიან, არამედ «კრიტიკული შენიშვნები». ვნახოთ ახლა ახალმა დრომ და ახალმა კაცმა რა ნაირი მეტოდა მოგვიტანა კრიტიკისა.

გადაუშლია ავტორს «ივერიის» აპრილის წიგნი და ყვე-ლაზედ წინ შეხვედრია ბ-ნი მოჩხუბარიძის დრამა:: წამება ქე-თევან დედოფლისა. «ამ დრამასო, ბძანებს კრიტიკოსი, გვე-რდი ჩაუაროთო და გამარჯვების შენი-ს მეტი ვერას ვეტყვი-თო", რადგანაც სრულიად არ არის დაბეჭდილი ამ ნომერშიო და მინამ სრულად არ დაიბეჭდება, კრიტიკა ვერას იტყვისო. ეს ერთი და ღმერთი! ჩავუაროთ. აგრეთვე ვერას ვეტყვითო ნათარგმნ მოთხრობაზედ «წერილები ლორენცო ბენონისა» იმის მეტს, რომ ტურგენიევის «თავზედ ხელ-აღებულისთანა» მოთხრობების თარგმანს, ამისთანა მოთხრობებს უფრო დი-დი მნიშვნელობა აქვსო». ამასაც გვერდი ჩაუარა ავტორმა. ეს ორი. ამის მერმედ ავტორი აქებს ბ. რაფ. ერისთავის ორს ლექსს, მართლა საქებს და მოსაწონებს და ორიოდე მართალს აზრს ამბობს თ. ერისთავის ნიჭიერებაზედ. მერე შეხვდება ზ. მგ. იოსელიანის წერილს «ქართული ლიტერატურა» და გა-ტეხილს გვეუბნება ვერა გავიგე რაო. ამასაც გვერდი ჩაუარა, ეს სამი. მერე ბძანებს: «პირველი დებიუტისათვის ბ. იოსელი-ანმა მეტად ძნელი როლი იკისრა: მოინდომა გამოჩენილის რე-ნანისათვის დაემტკიცებინა ჰბორძიკობსო, მაგრამ იმის ბორძიკო-ბი ვერავის გვიჩვენა და ის კი ყველას დაგვანახა, რომ თვითონ ტაბუხს იცემსო.... მეორე წერილი კი (ესე იგი ქართული ლი-

ტერატურა) უფრო უგემურია და უფერულიო». ჰსთქვა ესა და დაჰკრა ბეჭედი. არც საბუთი, არც ჩლავი და არც ფლავი. ესე ლიტონის სიტყვით წუნი დასდო ორს წერილს ბ-ნის იოსელიანისას და ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ყოველს ამას ცროტაოდენი საბუთიც უნდა. კაცი კაცს ეგრე გადაწყვეტილად და ხელ-აღებით ეუბნებოდეს მსჯელობაში ტაბუხს იცემო და ამისთანა სიტყვას მცირეოდენი საბუთი მაინც არ მოუნახოს—ესე ხომ მარტო ბატონი ელაპარაკება ყმას.

კაი ახალო დროვ, რა კარგი რამ ყოფილხარ! უწინ კი ბრიყვნი იძახდნენ: უსაბუთოდ არამც თუ გიები, ქებაც კი შეუწყნარებელია ლიტერატურაშიო.

ამას არ აგმარებს ბ-ნს იოსელიანს, უწყრება და ლიტერატორობიდამ სრულებით ითხოვს, შენი საქმე არ არისო. შენ ლიტერატურული ძალღვი არა გაქვსო და რას ახირებულხარ და მაინცა-და მაინც გალიტერატორობა გინდაო. ბ-ნს იოსელიანს რომ ზოგიერთსავით ცუდ-უბრალოდ ბღაჯნის სითამამე და ხალისი ჰქონდეს, ამ „ახალის დროის მწერალს" იმავე სიტყვით უგიჟინებდა, რა სიტყვითაც ახალის დროის მწერალი მისგან წოდებულ ცრუ-სამსონებს უგიჟინებს: «ცრუ-სამსონები ჰკალას ბიჭლას ფიცავენ და ცდილობენ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო და არც შეუძლიანთ თავი გამოჰყონ, მინამ ჩვენა გართოო».

აბა ეხლა გასინჯეთ,—ეს სიტყვები «კისრულის» ავტორისა იმ კაცს უფრო მოუხდება, რომელიც გაზეთის შემწეობით საქვეყნოდ ეუბნება ახლად გამოსულს მწერალს: შენ ლიტერატურული ძალღვი არა გაქვსო, თავი დაანებე, მაინც და მაინც რა ახირებაა გალიტერატორობაო, თუ იმ ცრუ სამსონებს, რომელთაც არამც თუ ეგ, არასფერი მაგის მსგავსი არც

უთქვამთ ვისზედმე, არც ფიქრად გაუტარებიათ. თუ უთქვამთ, საბუთი გვიჩვენონ. თვითონ დააშავოს და სხვასა კი აძლევინებდეს—ნუ თუ ეს ახალის დროის წესია? ღმერთო, გვიხსენ უარესისაგან!

ამის შემდეგ, «ახალის დროის» კრიტიკოსი შეხვდება წერილს: «სკოლა და კამიტეტი», და ამბობს: «ესეც პირ-და-პირ გადავიფურცლოთო».

რა ადვილი ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ, კრიტიკის წერა ამ «ახალის დროს» წესითა. ერთს გვერდზედ ჩაუარეთ, მეორეს გამარჯვებას უთხარით, მესამეს გონებას ნუ მიაწვდენთ, მეოთხე გადაფურცლეთ; ერთს უთხარით ტაბუხს იცემ თქო, მეორეს უგემურია და უფერული თქო, მესამეს,—ვინ შენ ვინ ლიტერატორობათქო, ყოველს ამას «კრიტიკული შენიშვნები» დაარქვი და გამოვა კრიტიკა «ახალის დროისა.» არც მეტი არც ნაკლები.

ბოლოს ჩვენი ამ ახალის კრიტიკის შემომძლები გადადის «შინაურს მიმოხილვაზედ» და თავისებურად ლაპარაკობს ჩვენს უმისოდაც ყბად აღებულს ბანკზედ. ჩვენ, რასაკვირველია, ყოველს მის ნალაპარაკებს სიტყვის შებრუნებას ვერ გავუბედავთ, მხოლოდ ერთს რასმე გვკითხავს პატივცემული ავტორი და მოვალენი ვართ პასუხი მოვახსენოთ. «სრული თანახმა ვარო, ამბობს ავტორი: რომ საზოგადო ყრილობა არის უმთავრესი ორგანო ბანკის მმართველობისა, ის არის მცველი კანონიერობისა, ის არის სრული უფალი და პატრონი ბანკისა. მაშ ეს როგორ მოხდა, რომ მმართველობის წევრთ, რომელნიც იმავე კრებისაგან არიან ამორჩეულნი, როგორც მისი ნებით აღსრულებელი ადმინისტრატიული ორგანო, თითქმის ფარ-ხმლით წინააღმდეგობა გაუწიეს საზოგადო კრებას, რომელიც

სარევიზიო კამისიას თხოულობდა და კანონს, რომლის უმთავრესი მცველი საზოგადო კრება. ყოფილა, თვითონ გაუწიეს პროკურორის მცველობა და მეთვალ-ყურობა,—აბა ერთი ამისი პასუხი მიბრძანეთო».

ბატონი ბრძანდებით. ვსთქვათ «ივერიამ» სთქვა «შინაურ მიმოხილვაში», რომ საზოგადო კრება კანონის უმთავრესი მცველია. ავტორიც სრული თანახმა არის ამისი. თუ მცველია, მაშასადამე დამარღვეველი კანონისა არ უნდა იყოს, თორემ «კისრულის» ავტორის დროის ლოღიკა გამოვა. თუ დარღვევას მოიწადინებს, შეცდომით, თუ სხვა მიზეზით, ჯერ უნდა ეცადნონ არ დაარღვევინონ და თუ ცდამ უქმად ჩაიარა, არ უნდა დაემორჩილონ მისნი ორღანონი. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ერთი შემთხვევა ჰქონდა ამისთანა თავის უფროსთან და ფინანსთა მინისტრმა გამგეობა ბანკისა გაამართლა იმაში, რომ უკანონო განკარგულებას უფროსისას არ დაემორჩილა. ეს საყოველთაო კანონია, რომ არც ერთს უფროსს, მმართველობის ორღანოს, თუ ცალკე პირს, ნება არა აქვს უკანონობა ჩაადენინოს თავის ხელ-ქვეითს უმცროსსა და არც ერთი უმცროსი მოვალე არ არის უკანონობა უფროსისა აღსრულებაში მოიყვანოს. ეს ხომ ანბანია ყველასათვის. ავტორს რომ ალალბედად არ მოეკიდნა ამ საგნისათვის ხელი და თვალი გადაევლო ბანკის წესდებისათვის, იქ იპოვიდა ერთს მუხლს, სადაც სწერია, რომ გამგეობა ბანკისა პასუხის მგებელია მხოლოდ მაშინ, როცა მარტო კანონიერს განკარგულებას კრებისას არ აასრულებს. თუ გამგეობამ დაინახა, რომ სარევიზიო კამისია უკანონო მოთხოვნილებას, არამც თუ შემლო, არამედ მოვალე იყო წინააღმდეგობა გაეწია. ჩვენ ვამბობთ, გამგეობას ნება აქვს და მოვალეც არის წინააღმდეგო-

ბა გაუწიოს კრებას იმაში, რაც უკანონობად მიაჩნია. ამისა ნება და მოვალეობა არამც თუ მარტო გამგეობასა აქვს, არამედ ყოველს ცალკე წევრს კრებისასა, მაშასადამე ყოველს წევრს გამგეობისასაცა, რადგანაც წევრი გამგეობისა იმავე დროს წევრიც არის კრებისა. ეგრე რომ არ იყოს, მაშ კასსაციის უფლებაც აღარ იქნებოდა და რომ არის, ეგ იმითი მტკიცდება, რომ წევრთ შეუძლიანთ კრების გადაწყვეტილობაზედ საჩივარი შეიტანონ სამინისტროში.

თუნდ ეგეც არ იყოს, ამ „ახალის რაზმის“ კაცს რად მოუკიდნია ხელი ძველის თეორიისათვის, რომელიც უბრძანებდა უმცროს უფროსის წინაშე: НЕ СМѢТЬ СВОЕ СУЖДЕНІЕ ИМѢТЬ? მაშ აქაო და კრება უფროსიაო და გამგეობა უმცროსი, ეს უკანასკნელი ხმა გაკმენდილი უნდა იყოს და სულ „ბალი ალა“ იძახოს! ესეც კაი წესი მოუსურვებია იმ ახალი დროს, რომელსაც ავტორი გვიქადის. ეგ ხომ მოლხალინმა ჩვენზედ უკვე იცოდა და ჩვენზედ ადრეცა. აქ ახალი რა არის? ახალი თაობა ყველგან იმისათვის ცდილობს, რომ თავისუფლება მსჯელობისა ყველას მიენიჭოს და ეს ჩვენი უცნაური ახალის რაზმის კაცი კი ყალბზედ დგება, როგორ გაბედეთო. მოდი და აქ გაარჩიე რამე. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს, სწორედ ამაზედ არის ნათქვამი.

პატივცემულს ავტორს სრულებით ტყუვილად წარმოუდგენია, რომ საზოგადო კრება სრული უფალი იყოს ბანკისა. სრული უფლობა ის არის, რაც მინდა, ის მოვიქმედო. ნუ თუ ჰგონია ბ-ნს ავტორს, რომ საზოგადო კრება რასაც მოისურვებს, იმასა იქმს ბანკის საქმეში? კრედიტს, ბატონო თავისი საკუთარი პირობები აქვს არსებობისა და აი სწორედ ამ პირობებზედ არავითარი უფლება არა აქვს საზოგადო კრებას.

მაგალითებრ, საადგილ-მამულო კრედიტი მამულების გირავნობაზედ არის დამყარებული. საზოგადო კრებას არავითარი უფლება არა აქვს ჰსთქვას: არ მინდა რომ ეგრე იყოს, მინდა რომ საადგილ-მამულო კრედიტი უმამულოდ გაიცემოდეს, ანუ, საადგილ-მამულო კრედიტი მამულის ღირებულობის გარდა უნდა ეძლეოდეს. კრებას არავითარი უფლება არა აქვს ჰსთქვას: ნუ დაავალებთ მამულებს, ისე აძლიეთ კრედიტიო და სხვანი ამ გვარნი.

იმ დროს, რომელიც ბ-ნმა კრიტიკოსმა გაათვრინა, წასად იყო, (თუმცა იქნება ზავრი არ ასრულებდა), რომ საქმის კითხვასა და მხილებაში [illegible] შედის, ჯერ საქმე უნდა გაიცნოს და დააკვირდესო. იმ გათურეხილს დროს ველარ დაიბრუნებთო, გვარწმუნებს ბ-ნი კრიტიკოსი. შენი მტერი!

გარდა ამისა, ამბობს ავტორი: „შინაურის მიმომხილველის აზრით, ბანკის საქმე ისეთი საიდუმლოებაა, რომლის შესწავლაც არც უნივერსიტეტშია შესაძლებელი, არც ცხოვრებაშიო“. აქ კი გაკვადნიერდებით და მოვახსენეთ, რომ ბ-ს ავტორს, რაც თვითონ მოჰგონებია, ის მოზმანებია. ეგრე აშკარად გადასხვაფერება სიტყვისა საოცარია, რომ მეტი არა გსთქვათ-რა. გარწმუნებთ მკითხველო, რომ „შინაურს მიმოხილვაში“ ცხადად და უცილოდ სულ იმის წინააღმდეგია ნათქვამი, რაც ბ-ნს ავტორს მოზმანებია. აი ამ საგანზედ რა ჰსწერია „ივერიის“ 106 და 107 გვერდზედ: „ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ბანკის საქმე ისეთი დიდი და მძიმე რამ იყოს, რომ მარტო „რჩეულთა ამა ქვეყნისათა“ შეეძლოთ მისი შესწავლა და სხვას არავის. მაგ საქმეს ყველა ადვილად შეისწავლის“. საიდამ მოუვიდა ფიქრად ბატონს ავტორს ასეთი გადათქმა სიტყვისა, ეგრე გადაკეთება?

რას მოასწავებს ამისთანა საქციელი? ნუ თუ მართლა ეს ქადებული ,,ახალი დრო და ახალი რაზმი'' კისრულის ავტორის ამისთანაების მომავლინებელია?

შემდეგ ავტორი ჰკიცხავს ,,შინაურ მიმომხილველს'' მასზედ, რომ ვიღაც ახალ-გაზრდას რაღაც ძველს ანგარიშებს უსწორებსო და ბოლოს ამას ამბობს: ,,მაგრამ რომ ამ ახალ-გაზრდას შეურაცხყოფა ახალ-გაზრდობამ თავისთავზედ არ მიიღოს მოხერხებული ავტორი (ესე იგი შინაური მიმომხილველი იქვე უქასურებს ამ უკანასკნელით: ახალ-გაზრდობაა ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეშიო'' და სხვანი.

რად უნებებია ამ ვითამ დ[illegible] ,,ახალის რაზმის'' კაცს ამისთანა ძველის იარაღის ხმარება? იქნება ეგ სიტყვები გულწრფელად, წმინდის სინიდისის ქვეშ არის ნათქვამი და არა პირფერობით? რა იცით? ნუ თუ ღმერთს სხვა სიკეთესთან ერთად, გულთა-მხილაობის ნიჭიც მოუმადლებია თქვენთვის!... ყველასაგან სამართლიანად ყბად აღებული კატკოვი, რომელსაც თვით ეს ახალის დროის მწერალი ჰკიცხავს, სწორედ მაგ სისტემას ხმარობს მხილებისას თავის მოპირდაპირეთა წინააღმდეგ: თუმცა არა ჰსთქვიო, მაგრამ შენი განზრახვა ასეთია და ისეთიო. აი კატკოვზედ და მის დამქაშებზედ, ამ სიტყვების გამო, რას ამბობს გაზეთი ,,Новости'' № 193. ,,Заявите совершенно объективно, что тогда-то состоится собраніе для обсужденія причинъ не утвержденія вновь выбраннаго товарища головы, и паразиты печати тотчасъ-же заберутса въ вашу душу и выудятъ изъ нея такой ,,задній умыселъ'', отъ котораго у васъ волосы дыбомъ станутъ''.

აბა ერთი ვიფიქროთ: ,,შინაურის მიმოხილვის'' ავტორს

რომ მოუსურვოს მაგისთანა ბრალისაგან თავის დახსნა, რითი და რა საბუთითი უნდა იმართლოს თავი? უნდა იფიცოს, არა, ეგ განზრახვა არა მქონიაო? ან თვითი ამ ახალ დროის კრიტიკოსს რომ ჰკითხონ: კაცო, გულში როგორ ჩასხედეო, განზრახვა როგორ დაუნახეო, რას ეტყვის? რით დაამტკიცებს, რომ, რაცა სთქვა, მართალია და არა მოგონილი? ნუ თუ ჭალას ბიჭლას ფიცითა!

მაგისთანა ბუნებითად ხელ-ჩაუკიდებელი, უხილავი, არას გზით არ შესამოწმებელი საგანი, როგორიც ამისთანა შემთხვევაში ადამიანის განზრახვაა და გული, რა ძალით ჩაიგდო ხელში ავტორმა, რა თვალით დასწვდა იმას, რაც კაცმა გულში დაინარჩუნა, რომ კაცის გულსაც და განზრახვასაც ეგრე გადაჭრით საგიებლად ხდის და თავის სურვილისამებრ ხმარობს. ვინ მისცა შეძლება მაგისთანა გულთა-მხილაობისა, ან უფლება სხვის განზრახვის ჩხრეკისა? ნუ თუ არ იციან, რომ რაც კაცმა ჰსთქვა — სთქვა და, რაც გულში დაინარჩუნა, ის იმისი ზნეობითი კუთვნილებაა, მერე იმისთანა, რომელიც სხვისათვის გამოუცნობელია, უხილავი და მიუწდომელი, ვიდრე არ წარმოითქმება, ვიდრე არ წარმოიქმნება. ეს ხომ ანბანია ზნეობის კანონისა, კაცთა საზოგადოების წესიერად და მშვიდობიანად ყოფნისა. თუნდ ეგ არ იყოს, ერთი ვკითხოთ ბ-ნს ავტორს, რომელს ქვეყანაში უწერია დრომისზედ ახალ-თაობას, რომ ეგრე ხელი ურიოს კაცმა სხვის გულში, სხვის განზრახვაში და ადამიანის გულიც და განზრახვაც ისე მოიხმაროს, როგორც ხელს შეუწყობდეს, ესურვებოდეს? რომელს ქვეყანაში უწერია ახალ-თაობას, რომ კაცმა კაცს ბრალი დასდვას და მარტო იმისთანა საბუთი ისმაროს, რომელიც ბუნებითად არც შესამოწმებელია, არც თვალით დასანახავი, არც ხელით საგრძნობელი და არცა სხვა

რაიმე ძალით გამოსაფენი? თუ თვითნებობით სახლების ნგრევა მოხელეთაგან, ანუ სხვის ქაღალდების ქმნა ესე გვიმღვრევს სულსა და გულსა, რამოდენად გულის ასამღვრეველი და ამაშფოთებელი უნდა იყოს ადამიანის გულში „ობისკების“ მოხდენა. ვიმეორებთ, კატკოვს ამის-მეტს კი არას აბრალებენ, როცა მისის მხილების სისტემაზედ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი. ეგეთი სისტემა მხილებისა და ბრალდებისა რომ მართლა მოიტანოს ამ ახალის კრიტიკოსის ქადებულმა ახალმა დრომ, ხომ ერთი ერთმანეთის ყველამ თავი ციმბირს უშვარით!... ნუ თუ მართლა ესეც ახალის დროის ნიშანია და ახალის კაცის თვისებაა!...

ნუ შეშინდებით, ბატონებო! ამისთანა ახალნი იქნება ახალ-გაზდანი არიან, მაგრამ ახალ-თაობის კაცნი კი არა. აქ ახალის თაობისა და ახალის დროისა არა არის რა და, ღვთის მოწყალებით, თავის-დღეშიაც ამისთანა რამ არც იქნება არც ახალის თაობისა და არც ახალის დროის ნიშნად. ესე ყოველი, რაც თავისის ფელეტონებით ამ ახალმა მწერალმა დაგვანახვა—ყოველივე დიდის ხნის გაყბატონები არიან. ესე ყოველი არა ახალია—ძველია. ესე ყოველი ახალი დრო და ახალი რაზმი კი არ არის, არამედ „კისრულის“ ავტორის საკუთარი დროა და საკუთარი რაზმი და მართლა ახალს დროს და ახალს რაზმს აქ არაფერი მონაწილეობა არა აქვს.

ერთისა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საგანზედ ჰოს თქმაც და არასიცა, ულოღიკობა, თვითონ დაამშავოს და სხვას დააბრალოს, სისტემა მხილებისა, უსაბუთობა კრიტიკოსა, უფროსთან ხმა გაიკმიდეო, სხვის სიტყვის თავის ქეიფისამებრ გადაბრუნება, ადამიანის გულში „ობისკების“ მოხდენა—ყოველივე ესე თვითვეულად ცალკე და საზოგადოდ

ერთად ყოფილან და ჩვენდა საუბედუროდ კიდევ კარგა ხანს იქნებიან.

ახალი იმათში მარტო ეს არის, როცა დაიჟინებენ, გინდათ თუ არა, ჩამომეცალენითო და გენიოსათ მიცანითო, თუ არა და ცრუ-სამსონები იქნებითო. ჩვენ აქამომდე არც ერთი მაგალითი არ გვინახავს ამისთანა ახირებულის თავ-დატანებისა, მაგრამ არც ეს არის ახალი. თუ გახსოვთ, ნაცარქექიამ სვე-ლი ყველი დაიჭირა ხელში, მოუჭირა, წყალი გაადინა და ჰფიქრობდა, სხვასი ისე ეგონება, ასეთი ღონიერი ვარო, რომ ქვასაც კი წყალს ვადენო.

არა, ბატონო, ვინც ყოველ ამის მიმდევარია, ჩვენ, ცრუ-სამსონები, იმას ახალის რაზმის კაცად ვერ ვიცნობთ. იმას იმ მერცხლად ვერ ვიწამებთ, რომლის ჭიკჭიკსაც გაზაფხული მოჰყავს. „შინაურის მიმომხილველის" შეცოდება წინადაც მარ-ტო ეს იყო და დღე დღესაც ეგევე იყოს. „ივერიას" უკვე გამო-უთქვამს ნიშნები ახალის თაობის კაცისა («ივერია» № 4, გ. 108). და ვისაც ეგ ნიშნები შუბლზედ არ აწერია, ის ცუდ-უბრალოდ თავს იცემს და ჭალასა-ბიჭალასა ჰფიცავს, ახალის რაზმის კაცი-ვარო. მაგფიცით შორის მანძილს ვერ გაივლის.

ბოლოს „კრიტიკული შენიშვნების" ავტორი გვეკითხავს ჩვენ: „ვისზედ იყო ნათქვამი,—ვირი წავიდა, ვირი მოვიდა, კატის კნუტებო, სადამ ჰკნავით, სადამ ჰსჩხავითო". აფერუმ ციტატას!... არა გგონია, ამის მთქმელს ამის თქმისათვის მარავანდელი დიდების ცოტად თუ ბევრად არ დაჰკლებოდეს. ეს სიტყვები იმიტომ მოჰყავს ბ-ნ კრიტიკოსს, რომ ჩვენთვის ეთქვა: „რა საწყაოთაც თქვენ მოგიწყეს, იმ საწყაულითაც ესლა ჩვენ გვიწ-ყობთო". აი კიდევ ერთი მაგალითი მეტის-მეტის ახირებისა. ვინ „ჩვენ?" ღმერთი—რჯულით ბ-ნს კრიტიკოსს იმათში არა

გრევთ, ვისაც ჩვენ ახალს თაობას ვეძახით. რა უთქვამს „ივერიას“ საზოგადოდ და არა მითითებით? თუ „ივერიამ“, ჭკვთქვა რამ იმ ვიღაც ახალ-გაზდაზედ, რომელსაც, კრიტიკოსის სიტყვით, მითამ ძველს ანგარიშებს უსწორებს, ის ხომ ერთბა და არა მრავალი. მაშ „ჩვენ“ აქ რა მოსატანია? კიდევაც მე არის განსხვავება კრიტიკოსისაგან მოყვანილ სიტყვების მთქმელის შორის და „ივერიის“ შინაურის მიმომხილველისა, რომ პირველი სრულ უარ-ჰყოფდა ახალ-თაობას ხელ-აღებით მთლად და საზოგადოდ და ახალისა საერთოდ არა სწამდა-რა; ხოლო მეორე მარტო ერთს ეუბნება, შენ ახალი თაობისა ნიშან-წყალიც არა გაქვსო, ცუდ-უბრალოდ თავი მოგაქვსო და შენი ახალი ძველზედ ძველია და არ გიწამებთო. თუ ამისთანანი, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრნი არიან, იმათ არც თაობა ეთქმის და არც ფეხობა. ისინი ცხოვრების გზაზედ ნალოებათ თუ გამოდგებიან, თორემ უღლის თავში ვერ ჩადგებიან, უღლისობის გამო, იმიტომ რომ ამათ ის აკლიათ, რაც მართალის ახალის თაობის ძალ-ღონეს შეადგენს.

ჩვენ საზოგადოდ ასალს თაობას კი არ ვყოფთ უარს, არამედ იმას, ვინც მაგ სახელს ფართი-ფურთობისათვის ტყუილად იჩემებს.—ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მომღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო. აბა რა ახალის აზრის წინამძღომელი და მომღვარია ბ-ნი „კისრულის“ ავტორი? მაგრამ ამაო კითხვაა. ეგევე უკითხავს მისთვის მის მეგობარს, როგორც თვით ამბობს თავის ფელეტონში („დროება“ № 116,) მაგრამ პასუხის მაგიერად ეს უთქვამს: „გემო ნახე და გაიცან, რა სილიც არის». ეს იმას ნიშნავს, — მიყურე და მიცანით. ღვთის წინაშე უნდა ვაღიაროთ, რომ ძნელი პასუხის

საგებელი კითხვაა ეგ ზოგიერთებთათვის. „ივერიის“ შინაურის მიმომხილველმა აპრილის წიგნშივე ჰსთქვა, რომ ზოგიერთნი, ვინც ახალის თაობის სახელს ტყუილად იჩემებსო, ოვლში გაიწურება და მაგ კითხვას პასუხს ვერ უპოვისო. რასაკვირველია, ამის თქმას „კისრულის“ ავტორზედ ვერ გავბედავ იმიტომ რომ მას პასუხი დაწვრილებით, ანუსხით მიუგია და, როგორც ჰხედავთ, კაი პასუხიცაა, თუ თქვენც იტყვით. ამ პასუხს რომ დააკვირდება მკითხველი, თვითონ მიხვდება: ამ შემთხვევაში მართლა უწინასწარმეტყველია „ივერიის“ შინაურ მიმომხილველს, თუ არა.

ნუ თუ მართლა ამისთანა „ახალი რაზმი“ გამოდის ჩვენში და მატულობს კიდეც... ჩვენ გვწამს ადამიანის სიკეთე საზოგადოთ და ამიტომ არა გვჯერა ეგ ამბავი.

ესეც ავტორის სიტყვისამებრ, „გემო ვნახეთ და გავიცანით რა ხილიც ყოფილა“. იქნება ჩვენმა გემომ გვიმტყუნა, —არ ავხირდებით. მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ საბუთები თვითონ კისრულის ავტორისაგან გადმოცემული, წარმოგვიდგენია და ყველას ამ გზით ღონის-ძიება აქვს შეამოწმოს, მართალია ჩვენი დასკვნა, თუ არა.

ვიცით ამის-გამო გამოილაშქრებს ჩვენზედ ბ-ნი კისრულის ავტორი და, თუ ლანძღვას და თრევას არ გამოიყოლიებს ამაღლად და მართებულად, ისე, როგორც შეშვენის ლიტერატურის ღირსებას, გამოგვემგლავება, ჩვენც არ მოვერიდებით გაბაასებას ზოგიერთხელ, თუ მაინც საგანი ბაასისა ღირსი იქნება ყურად-ღებისა და ბაასი საგნის არსების ვითარებას შეეხება. თუ არა და წინადვე მოვახსენებთ: ნურას უკაცრავოდ, არავითარ პასუხს ჩვენგან ნუ მოელით. ეხლაც თუ ვილაპარაკეთ რამე „კისრულის“ ავტორზედ, იმიტომ ვილაპარაკეთ რომ თვი-

თონ ნება დაგვრთო: „გემო ნახეთ და გამიცანით რა ხილი-ცა ვარო“. ჩვენც დავეწაფებით მაგ უკვდავების წყაროს მისი-სავე სიტყვისამებრ და თუმცა ამ ჟამად თითქო მარტო ორის ფელეტონის გემო გავიღეთ, მაგრამ სხვა ფელეტონების გემოც, რომელიც „დროებაში“ მისის სახელით იყო დაბეჭდილი, უკ-ვე გალებულია და იმ ფელეტონების ლაზათიც ცნობილია. იმ სხვა ფელეტონებზედ ჯერ-ჯერობით ვერც კარგს ვიტყვით, ვერც ავსა, იმიტომ რომ ერთსაც და მეორესაც საბუთი უნდოდა ცრუ-სამსონების წესისამებრ და საბუთების ჩამოთვლა მეტად გააგრძელებდა ისეც გაგრძელებულს საუბარს. რად იწყებ საქმესაო, გვეტყვის მკითხველი, რას აჰყოლიხარ ცრუ-სამსონებსო, ახა-ლის დროის კრიტიკის მეტოდა იწამეო. არა, ბატონებო, ჩვენ ძველი კაცები ვართ და ანდაზისამებრ ამ შემთხვევაში არც ძველს გზას დავაგდებთ, არც ძველს მეგობარსა: საგიობელის თუ საქმის სიტყვას საბუთს წინ წაუმძღვარებთ. ამ ჩვეულებას ჩვენ ვერ ვუღალატებთ, თუნდა ცრუ-სამსონები კი არა, ამაზედ უა-რესი სახელიც მოგვინახონ ბაზრის მდიდარის ლექსიკონში.

აღზევანს მოვლა.

მარილზედ მივლენ ბიჭები, დარდი არა აქვსთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა, შოლტების ტყლაშა-ტყლუშია!...
ნაცადი ბიჭი მიუძღვის, ტკბილათ დაჰმღერის ხარებსა,
ჰფიქრობს, მოივლის აღზევანს და ცოლ-შვილს გაახარებსა:
,,აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო...
გაუწი შინდავ გიშერას, რათა ჰღალატობ ტოლსაო?...
გაუწი, ქედის ჭირიმე! გიშერა ცოდო ხარია,
უშველე, ნუ რას ცუღლუტობ, ტოლს დაუჭირე მხარია...
ურემი, ჩემი ურემი, გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე-ღრისა, აღზევნის მთა და ბარისა...
ღერძი უდგია წიფლისა, გასაპნულ-გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ-გაჭედილია;
უბე გავაწყე ლართხებით, დანდლებით გადაბმულია,
ისე გაუძლებს ასს ქვასა, არსად დასჭირდეს ცულია;
თვლები დაკვერცხე, რა თვლები, გრგოლივით ჩამოსხმულია,
ჯაგქრცხილის ფესვებს მოვკიდე სოლებათ იფნის გულია...
გინდ გავატარებ თოკზედა, არ მოკვდეს ჩემი თავია!...
გაუწი შინდავ გიშერას, ნუ ცრუობ ნუ ხარ ავია!...
აღზევანს მივალთ მე და შენ, როგორ არ გაგიხარდესა,
ლოკე და ლოკე მარილი, არავინ გაგიჯავრდება...
შენ რაღას ხვნეში ნიკორავ?... ღონე თუ გამოგლევია?

ეშმაკობ, თორემ ჯერ ორმას შენთვის არ დაუძლევია...
ალზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო!...“

თ. რაფ. ერისთავი.

ქართული მწიგნობრობა

„ვეფხვის ტყაოსანი“ თხზულება შოთა რუსთველისა. თ. პ. გ. წულუკიძის გამოცემა. ქუთაისი. თ. პეტრე გ. წულუკიძის სტამბა. 1833 წ. (ფასი სურათით ათი შაური. 16° თაბახისა, 183 გვ.)

სიამოვნებით დაჰყურებს კაცი ამ ჩვენის მწერლობის უძვირფასესს საუნჯეს ლამაზად, პატარა წიგნად დაბეჭდილს და მერე ქუთაისში დაბეჭდილს. წუთის სოფლის სიმუნწით თვალ-გატეხილს კაცს მცირეოდენი სანუგეშო ამბავი სულს უბრუნებს, მცირეოდენი სხივი ნათლისა, საშინელის სიბნელით მოცულს უდაბურობაში, სისხლს უღვივებს კაცსა, მუხლში ღონეს უჩენს და მოელის რომ მწერლობის განვითარება და აღორძინებაც უნდა ვნახოთ. იმედი თვით სიბნელეს გათენებულ დილად გიცვლის და ოცნებაში შესულს თითქმის მისს სინამდვილესაც გაგრძნობინებს. ჰხედავ აგერ თითქოს ამომავალს მზესა, ბუნებას გამოღვიძებულს, კაცს განახლებულს და ცასა და ქვეყანას მოცინარეს. შენს თავს გამარჯვებულსავით ჰგრძნობ. გძულს წუთის სოფლის წვრილმანობა, სთაკილობ მისგან მოცემულს, ნაგრძნობს ტკივილს; ენა აგიჭიკჭიკდება, ჭირის თქმა გიძნელდებოდა, ლხინს მაინც ვიტყვიო, ამბობ. პატარად გულს მაინც მოვიოხებ და ჭმუნვას გავიქარვებო.

ქუთაისში წიგნების და ჟურნალ-გაზეთის გახშირებას რომ

ჰხედავ, სწორედ ეს სიამოვნება გეძლევა. ნუ იტყვით; მცირესა ზედა მადლიერი ხარო, ნუ იტყვით. აბა მიიხედ-მოიხედეთ, დააკვირდით ჩვენს მწერლობას, რა სიძუნწე სჭირს ყოველის-ფერში, მეტადრე რაც გონებრივს წარმატებას შეეხება და მაშინ დააფასებთ ყოველსავე ნაბიჯის გადადგმას. «სადაც არ იყოვო, ცოტაც კმა იყოვო». რა ვქნათ, ბევრის სურვილის დროს რომ საქმე პატარა ჩანს. მოვთხოვოთ ცხოვრებას მეტი, მაგრამ მოცემულზედ ნუ დავემდურებით. ცოტას ვარჯიშით მაინც გაიწაფება კაცი. დღეს, ხვალ, ზეგ იტორტმანებს, იცოცებს, იქნება წაიქცეს კიდეც, ბოლოს ხომ მუხლი შეუმაგრდება, წელში გასწორდება. მწერლობას და ლიტერატურასაც ფეხწელს დასდებს.

აბა რა ხანია ქუთაისში სტამბის მოთავსებას სცდილობდნენ, დღეისამდე გაუჭირდათ. დღეს მაინც მოახერხეს და ბეჭდვას შეუდგნენ. ეს უბრალო საქმე სახვალიოდ ნაყოფიერი იქნება. დღეს თუ სტამბას მცირე სტუმარი ჰყავს, ხვალ მოემატება, შემოეხვევიან მოყვარეები, გაებმიან მწერლობის შრომაში ნელ-ნელა, თითო-თითოდ და ბოლოს ვნახავთ გამოსულ წიგნებს ჩვენის გონების და გულის გასამდიდრებელს.

დიად, ეს ფიქრები მოსდის კაცს ახლანდელ ქუთაისის სტამბის შრომაზე და ამიტომ სიხარულით ვეგებებით მისს შრომას.

ეს მეორე წელიწადია ქუთაისში გახშირდა სტამბის ნაწარმოები. მართალია ადრეც კი იბეჭდებოდა წიგნები, მაგრამ წელიწადში რომ თითო პატარა ბროშურა გამოსულიყო, კარგი შესამჩნევი რამ იქნებოდა. ამ ოცის წლის განმავლობაში სულ რომ ჩამოვთვალოთ, სამიოდ წიგნს, «ვეფხვის ტყაოსნის» ოდენს ძლივსა ვნახავთ. (ანეკდოტები იმპერატორ ნაპო-

ლეონ პირველზე, სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებე-ლი კალანდარიშვილისა და სარკე თქმული, თეიმურაზ მეფისა.) ახლა კი შარშანდელს აქეთ იბეჭდება გაზეთი ,,შრომა‘‘, წელს ,,ქართული ბიბლიოთეკა (ხუთი წიგნი გამოვიდა;) მომაკვდავ-ნი სურათნი‘‘ გ. შარვაშიძის თხზულება და ,,ვეფხვის ტყაო-სანი‘‘.

ამ უკასკნელ ორ წელს ამისთანა პატივ-საცემი შრომა ეკუთვნის პეტრე წულუკიძის სტამბასა. ეს ღირსია მოხსენე-ბისა, რადგანაც ჩვენში პირველად რიგიანად სტამბის მოწყობა რომელსამე ქალაქში ითხოვს რამდენადმე მსხვერპლსა და არა ჰგავს დიდის ქალაქების სტამბებს, რომელთაც დიდი ხანია მუ-შაობა დაუწყიათ, სარგებელი და გამორჩომაცა აქვთ, რაიცა ყოველს სახელოსნო შრომას სამართლიანად უნდა ჰქონდეს. სასიამოვნო კიდევ ის არის რომ, თუ არა ვცდებით, ვგონებთ სტამბის გამართვასთან ბატონ პეტრე წულუკიძეს წიგნების გა-მოცემაც განუზრახავს. ამას ვსჯდავთ ჯერ თვით ,,ვეფხვის ტყა-ოსნის‘‘ გამოცემით და მერე განცხადებით, რომ მომავალში დაიბეჭდება ახალი წიგნი, (,,შვილის აღზრდა‘‘ პედაგოგიური წერილები ახალ-გაზრდა დედასთან მიწერილი, თხზულება ბიო-მესი.) ეს წიგნების გამოცემისათვის დიდი სამედო საქმეა. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ როგორც თბილისში სტეფანე მელიქიშვილის და ექვთიმე ხელაძის სტამბებმა შესამჩნევი ღვა-წლი დასდეს ქართულ მწიგნობრობასა, მათზე ნაკლებ სამსა-ხურს არ გაუწევს წულუკიძის სტამბა ქუთაისში. სასურველი ის არის რომ ამ სტამბებმა თავის საქმეების წარმატებასთან მხედველობაში იქონიონ მწიგნობრობის წარმატების სურვილი-ცა და თან-და-თან ღირსეული წინმსვლელობაც გამოიჩინონ გამომცემლობაში.

წინმსვლელობას რომ ვამბობთ, იმას კი არ ვიხსენიებთ რომ ზედიზედ მოუხშირონ გამოცემასა. არა, უმჯობესია წელიწადში, საკუთარის ხარჯით, თითო რიგიანი, ღირსეულად შედგენილი ან ნათარგმნი სასწავლო ან სამეცნიერო წიგნი დაგვიბეჭდონ, ვიდრე თხუთმეტი უაზრო და უნაყოფო, უხეიროდ შედგენილი ბროშურა ან ლექსები, რომელიც არც სულს არგებდეს და არც ხორცსა. ამისთვის მესტამბეებს რასაკვირველია ეჭირებათ მცოდნე მწერლების დახმარება და მათთან კავშირი მოუნდებათ. შინაგან ღირსებას გარდა, დროა გარეგანს შეხედულობასაც ყურადღება მიაქციონ: ისე დაუდევრად ვგონებთ არც ერთს ენაზე არ იბეჭდებოდეს წიგნები, როგორც ქართულს ენაზედა ვხედავთ ხშირად; რაღაც ბაზრული ხელოსნობა ეტყობა წიგნსა და არა ხელოვნების შნო, რომელიც ყოველთვის უნდა ჰმოსავდეს გონების ნაშრომსა და სტამბას სახელს აძლევდეს.

გარეგანის სილამაზით და სიფაქიზით აქამომდე წულუკიძის სტამბაში გამოცემულ წიგნებს ეტყობა სასურველი მეცადინეობა. „ვეფხვის ტყაოსანიც“ ამ იშვიათის სიფაქიზით და სილამაზით არის დაბეჭდილი. ეკადრებოდა კიდეც, რომ ქუთაისში პირველად დაბეჭდილს გარეგანი სილამაზე არ ჰკლებოდა. წიგნი დაბეჭდილია სუფთად კარგის მელნით, კარგს ქაღალდზე და მომცრო (თაბხის 16-ტედის ტანისა).

ჩვენ, რასაკვირველია, მას ამ ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ გარეგანის მხრით შევეხებით. თვით „ვეფხვის ტყაოსნის“ ტექსტის რედაქციაზე მოკლედ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს მე-

შვიდე გამოცემა მეექვსიდამ არის გადმობეჭდილი (ცოტარდე-ნის შეცვლით.*)

ყოველთვის საჭიროა რომლისამე მწერლის და მეტადრე გამოჩენილის მწერლის თხზულების გამოცემაში მოხსენებული იყოს, საიდამ გადმობეჭდილა, ან რა ცვლილება შემოტანილა. ეს ნაკლულევანება ხშირად ემართება ჩვენს გამოცემათა და სასურველია ავიცდინოთ. წულუკიძის გამოცემაშიც არაფერი შენიშვნა არ იპოვება რედაქციის შესახები.

ამას გარდა ნაკლულევანებას კიდევ იმას ვხედავთ, რომ ბოლოში სრულებით არც სიტყვების ახსნა აქვს, არც მცირედი ლექსიკონი, როგორც წინად გამონაცემთ ყოველთვის ჰქონიათ. არ ვიცით რა ანგარიშია, რომ მკითხველს გაუძნელდეს საყვარელი ლექსების კითხვა. სამართლით ყოველს ძველ ნაწერ თხზულებას უეჭველად ბოლოში ასახსნელი ლექსიკონი უნდა დაერთოს, არამც თუ რაც აქამდის კითხვის გასაადვილებელი ყოფილა, ისიც მოვიშალოთ. ულექსიკონოდ წიგნიცა ჰკარგავს თავის სისრულეს და მკითხველსაც უძნელებს კითხვასა. კარგათ ვიცით ეხლანდელი ჩვენი მკითხველების ვითარება, რა ნაკლებათ იციან ლიტერატურული ენა, არასოდეს ქართველი მკი-

*) პირველად გამოცემულია ვახტანგ მეფისაგან ტფილისს 1712 წ.; მეორედ აკადემიკოსის ბროსსეს, ზაქარია ფალავანდიშვილის და დავით ჩუბინოვისაგან პეტერბურღს 1841 წ., მესამედ დავით ჩუბინოვისაგან, მისს «ქრისტომატიაში» პეტერბურღს 1846; მეოთხედ მისგანვე პეტერბურღს 1860 წ. მეხუთედ, როგორც ვიცით, გიორგი წერეთლის და დავით ყიფიანისაგან ტფილისს 1867 წ. მეექვსედ არსენ კალანდაძის და ექვთიმე ხელაძისაგან ტფილისს 1875 წ. ეს გამოცემა კირილე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა. იგი შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამომცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან.

თხზული ისე უცოდინარი არა ყოფილა თავისის მწერლობისა, ისე შეუსწავლელი არა ყოფილა ლიტერატურულის ენისა და ნაწარმოებისა, როგორც ეხლაა. ამაში ძველი და ახალი თაობა ერთგვარად ღარიბია მაშასადამე გამომცემელთ ეს გარემოება ძალიან კარგად უნდა ახსოვდესთ. აგრეთვე ლექსიკონთან ყოველთვის აუცილებლად საჭიროა ძნელად გასაგებ სტრიქონების ხსნა.

არ შეიძლება კიდევ სხვა საჭიროებაც არ მოვიხსენოთ მწერლების თხზულებათა გამოცემასთან დასართავი. რაც უნდა მცირე მნიშვნელობისა მწერალი იყოს, ევროპიულს ენაზედ მის ნაწარმოებს ყოველთვის წინა-სიტყვაობა აქვს, რომელიც მკითხველს აცნობინებს მწერლის ვინაობას, მის ნაწერის ღირსებას არჩევს, მნიშვნელობას ხსნის და ზოგჯერ ვრცელ კრიტიკულ განხილვასაც კი წარმოუდგენს. ამ გვარი წინა-დართული წერილი მკითხველს ღონის-ძიებას აძლევს უფრო ღირსეულის ცნობიერებით და შეგნებით წაიკითხოს თხზულება და მომატებული სარგებლობა გამოიტანოს. თუ კი ასე იციან ევროპიელებმა, რომელთაც ათას გვარად ნაწერი ლიტერატურის ისტორია აქვთ და სასწავლებლებშიც ასწავლიან, ჩვენში რაღა თქმა უნდა რომ თვით მწერლების ნაწარმოებთან მაინც უნდა იბეჭდებოდეს წინდართული წერილი თხზულების გარჩევის და მნიშვნელობის შესამეცნებელი. მართალია ჩვენ ჯერ შემუშავებული არა გვაქვს რა, მაგრამ საზოგადო მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის და კრიტიკის საფუძველზედ დამყარებით, რამოდენისამე აზრის შემუშავება შეიძლება თვითოეულს მწერალზედ და ამით ცოტაოდენი წინსამძღვანებელი მხედველობა მიეცემა ქართველს მკითხველსა.

„ვეფხვის-ტყაოსნის" შესახებ აქამომდე არავითარი კრიტიკული განხილვა არ იპოვება, ბროსსეს წინა-სიტყვაობას და ვახტანგ მეფის შენიშვნებს გარდა. (აკაკი წერეთლის ლექცია ჯერ დაბეჭდილი არ არის. სასურველია მისი დაბეჭდვა, როგორც პოეტის ნაწარმოების შენიშვნებისა მამამთავარ პოეტზე.) ბევრი ხანი გავლის ამ თხზულების ღირსეულად გარჩევამდის და მას რომ უცადოთ, და „ვეფხვის ტყაოსნის" გამოცემას არა დაურთოთ რა—არც მცირეოდენი გარჩევა, არც მცირეოდენი დაფასება, ეს იმას ეგვანება რომ ვახტანგის და ბროსსეს ნაწერ შენიშვნებს შემდეგ ჩვენ მწერლობას შემუშავება, წინ ფეხის გადადგმა არ ღირსებია, არამედ უკან ჩამორჩენილა უწინდელსა. საქმე კი ასე არ არის. რაც უნდა იყოს, საზოგადო კრიტიკულ აზრს და მწერლობის ცოდნას ჩვენს მწერლობაში თუ არა მწერლებში მაინც წინსვლა მისცემია. ამიტომაც ეხლა ჩვენში „ვეფხვის ტყაოსნის" გამოცემას მოეთხოვება ხსენებულის ნაკლულევანების თავიდამ აცდენა.

ყველა ამ საზოგადო შენიშვნებს შემდეგ, ნება მოგვეცეს ბატონ წულუკიძის გამოცემის შრიფტზედ ცოტაოდნად ვრცლად ლაპარაკისა. საჭიროდ მიგვაჩნია ამიტომ, რომ ეს პირველი წიგნია ამ ახალის ასოებით დაბეჭდილი და მომავალში იქნება კიდევაც აპირებდნენ მისს ხმარებასა. აქამომდე იხმარებოდა მხოლოდ გაზეთ „შრომაში" და მის ნაკლულოვანობაზე გაკვრით რამდენიმე შენიშვნა იყო, რომ ვერ გვიკითხავსო, გვიძნელებს კითხვასაო და ვთხოვთ თავი დაანებონ მის ხმარებასაო. თუმცა საჭირო იყო შენიშვნისათვის ყურადღება მიექცია „შრომის" რედაქციასა, მაგრამ ასე არ მოხდა. თუ კი მუდამ კითხვას შეჩვეულ მკითხველებს უჭირთ კითხვა ამ შრიფტისა, მაშასადამე ცალკე წიგნების მკითხველებს, რომელთ რი-

ცხვი უმეტესია, უფრო გაუჭირდებათ. ამ ახალი სიძნელის გაჩენა ძალიან მეტის-მეტია და დიდი ახირებაა. ამიტომ საჭიროდ ვხედავთ ახალის ასოების გარკვევასა.

ახლად ჩამოსხმული შრიფტი, როგორც ვიცით, შედგენილია ბატონ კირილე ლორთქიფანიძისაგან; ეტყობა დიდი მეცადინეობა, შრომა და სილამაზე; სურვილი ჰქონდა შემდგენელს რომ ქართულს საბეჭდ ანბანს ევროპიულსავით ნაკლები ადგილი ეჭიროდა და ამასთან ადვილი საკითხავიც ყოფილიყო. ამ განზრახვით ასოს შუა ტანი გაუდიდა და ზედა და ქვედა ნაწილები შეუმცირა. ეს შრიფტი ჩამოსხმის წინათ ბევრს მოსწონდა და ძალიან გამოსაყენებელიც ეგონათ. ვგონებთ რომ ეს გარემოება საკმაო იყო ასო ჩამოესხმევინებინა ბატონს წულუკიძეს. საწყუნაროდ ბატონ ლორთქიფანიძისა და წულუკიძის მეცადინეობამ და ხარჯმა ცუდათ ჩაიარა. როგორცა ვთქვით, მკითხველები ყურ ეწევიან მისს კითხვასა.

რა ნაკლულევანება აქვს ამ ახალს ასოებსა?

ამის ასახსნელად უნდა გავშინჯოთ ქართულის ანბანის ბუნება და მოხაზულობის კანონები.

ჯერ სულ უმთავრესი თვისება ქართულის ასოებისა ის არის რომ 1) ასოებს ერთმანეთისაგან განსხვავება ემჩნევათ, როგორც შუა ტანის მოხაზულობით, აგრეთვე მაღლა ასულის და დაბლა ჩამოსულის ნაწილებით; 2) უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ ბევრს ასოსა აქვს ნაწილი მაღლა ატანილი და დაბლა ჩამოტანილი.

პირველი თვისება, ესე იგი რომ შუა ტანი და ზედა ნაწილები მეტად განსხვავდება ერთმანერთისაგან ყველა ნახავს როდესაც შეადარებთ, მაგალითად ბ, მ, ზ, შ, ჩ, რ, ხ, ძ, ს, და სხვათა. ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ განსხვავებასთან მოხა-

ზულობა რთულია, მისვეულ-მოხვეულია, როგორც შუა ტანი, აგრეთვე მაღლა ასული. ეს მისვეულ-მოხვეულობა მეტადრე ზედა ნაწილებისა, იძულებულს ჰხდის კაცსა რომ თვალთა ადვილად გარჩევისათვის ადვილად კითხვისა და წერისათვის ზემოთა ნაწილები უფრო მაღლა ასწიოს, დაამოროს შუა ტანის ხვეულს მოხაზულობასა და ამისავე მსგავსად ქვემოთა ნაწილები ქვემოთ ჩამოსწიოს. ამის გამო ქართულს ანბანში ასოების ზედა და ქვედა ასულ-ჩამოსული ნაწილები გრძელდებიან. სიგრძე რომ მოვაკლოთ ასო ძნელი გამოსარკვევი გახდება, თვალს კითხვაში მალე ააჭრელებს და წერასაც გაამძნელებს. ეს კანონი ისე მოქმედებს, რომ ევროპიულს ხელნაწერშიაც კი მუშაობს. ევროპიელი წერაში მაღლა და დაბლა ასატან-ჩამოსატან ნაწილებს ასოებისას მეტად აგრძელებს ისე, როგორც ქართველი იმ გვარს ქართულს ასოებსა.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ რომ ევროპიულს ანბანში მაღლა და დაბლა ატანილ-ჩამოტანილ ნაწილებიანი ასოები ძალიან მცირეა ვიდრე აზიურში, და მათ შორის ქართულში. ერთმანერთის შესადარებლად დავყოთ ასოები, ავიღოთ და გავსინჯოთ ცალ-ცალკე შუა ტანის ასოები (ა, თ, ი, ჲ, ო,) მაღლა ასული (ბ, ზ, ტ, მ, ხ, ჰ, ჯ და სხვანი) დაბლა ჩამოსული (გ, დ, ღ, კ, ჯ, და სხვანი) და მაღლა და დაბლა ასულ-ჩამოსული (ყ, ქ, ფ, და სხვანი), შევადაროთ ერთგვარი ასოები ერთმანეთსა (აზიური) ქართული, სომხური, არაბული და ევროპიული) რუსული, ლათინური, და ბერძნული. (აქ არ ავაჭრელებთ ამ ანბანებს მეტადრე მის გამო, რომ სტამბაში ზოგი არ მოიპოვება და მსურველს ადვილად შეუძლია დაბეჭდილ წიგნებზე მათი გაშინჯვა. ჩვენ მხოლოდ დასკვნას გამოვაწყობთ).

რიცხვი ასოებისა:	ქართ.	სომხ.	არაბ.	რუს.	ლათ.	ბერძ.
შუა ტანისა . . .	5	7	8	31	13	10
მაღლა ასულის . . .	14	7	8	1	7	3
დაბლა ჩამოსულის . .	15	13	17	2	5	7
მაღ. და დაბ. ასულ-ჩამ.	5	11	1	1	0	4

ამ სქემაში მოყვანილი ასოების რიცხვები გვაჩვენებს, რომ შუა ტანიანი ასოები ევროპიულის ასოებისა მეტია და აზიურისა ნაკლები. ამის გამო ფინიკელის ანბანებს შუა ტანი დიდი აქვს და აზიურს ვიწრო; მაღლა ასული ან დაბლა ჩამოტანილი ან ორივე ნაწილებიანი ევროპიულ ანბანებს ძალიან მცირე ასოები აქვს, (მიზეზი სიმოკლისა) და აზიურს კი ბევრი აქვს, ყველაზედ მომეტებული ქართულს, (მიზეზი სიგრძისა). ასე, როდესაც რომ მაღლა ასულის და მაღლა და დაბლა აწეულ-ჩამოწეულის ასოების ნაწილები ლათინურში სულ არის 7 (7 + 0), რუსულში 2 (1 + 1), ბერძნულში 7 (3 + 4) ამავე დროს ქართულში არის 19 (14 + 5). ამ რიცხვებს ერთად ვაერთებთ, რადგანაც ასოების ნაწილები შუა ტანს ზემოთ აწეულია. ამ გვარათვე დაბლა დაწეულ ნაწილებიანი ასოები არის ლათინურში 5, რუსულში 3, ბერძნულში 11 და ქართულში კი 20; საერთოდ რომ გავყოთ შუა ტანის ასოები არის ლათინურში 13, რუსულში 31, ბერძნულში 10 და ქართულში 5 და დანარჩენი გრძელი ასოები ლათინურში 12, რუსულში 4, ბერძნულში 14 და ქართულში 34.

ამ გვარად ევროპიულს ანბანში უპირატესობა ეკუთვნის შუა ტანიანს ასოებსა, ქართულში კი გრძელებსა. ამის გამო სრულიად სხვა-და-სხვა ხასიათი ეძლევა ანბანებს. ამას ისიც და-

უმატეთ რომ ევროპიულის ანბანის აწეულ ჩამოწეულ ნაწილებს მარტივი მოხაზულობა აქვს და ქართულს კი რთული, რომელიც ძალიან არსებითს განსხვავებას აძლევს ასოს გამოსახულებასა.

მაშასადამე ყველა ამ ჩაითქმიდამ ცხადათ ვხედავთ, რომ ქართულის ანბანის შრიფტის შემუშავების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ასოს სიგრძეს და შუა ტანსა ისეთი ურთიერთობა ჰქონდეს, როგორც ქართულის ანბანის მოხაზულობის თვისება მოითხოვს და არა ევროპიულის ანბანისა.

შეცდომა ჩვენის ასოების შრიფტის შემდგენელებისა ამაში მდგომარეობს, რომ ევროპიულის ანბანის ხასიათს აქცევენ ყურადღებას და იმის კანონით უნდათ შემუშავება. ამის გამო სიგრძეს უმოკლებენ ასოებსა; ამიტომ ასე დამახინჯებული გამოდის. ამით სჩანს, რასაკვირველია, მიუხვედრობა ქართულ ასოთ მოხაზულობის კანონებისა. იმის მაგიერ რომ შემუშავების დროს ასოებს შუა ტანი შეუმცირონ და გრძელს ასოებს ნაწილები გაუუმჯობესონ, შემმუშავებელნი შუა ტანის გაგანიერებას ცდილობენ, და მაღლა დ დაბლა აწეულ-ჩამოწეულის ნაწილების შემოკლებასა. ეს არის მიზეზი რომ „დროებისთვის“ შედგენილი მელიქოვის შრიფტი, (რომელიც შედგენილია ბატონ მიხეილ ყიფიანისაგან 1864 წ.) ვერ ამჯობინეს აქამომდე აკადემიის შრიფტსა. ესევე მიზეზია რომ ბატონ ლორთქიფანიძის შრიფტი ემსგავსება ებრაულს და არავის მოსწონს. ამავე მიზეზით აქამომდე უკეთეს შრიფტად აკადემიისა ითვლება, და მასზე უკეთესი პეტერბურღის ასოთ ჩამომსხმელის რავილიონისა, (რომლითაც იბეჭდებოდა 1860 წ. „ცისკარი“ და 1859 წ. პენტიქს გამოცემული „ეზოპოს იგავნი“.)

ბატონ ლორთქიფანიძის შრიფტს ეს ზემო ხსენებული უმთავრესი შეცდომა აქვს; შუა ტანი განიერი, ატანილ-ჩამო-ტანილი ნაწილები ასოებისა მოკლე, ასე რომ მთელი სტრი-ქონი ხუცურ ასო-მთავრულით ნაბეჭდს სტრიქონსა ჰგავს და ამის გამო ჭრელდება. მაგალითად მ, ბ, შ და სხვანი ერთ-მანერთისაგან გარჩევისათვის მოითხოვენ თვალის მომატებულს ძალას და შრომას. თუმცა მეცადინეობა დიდი ჩანს შუა ტანის გაგანიერებისა, მაგრამ მაინც ვერ ასცდენია ჩვენის ანბანის მო-ხაზულობის ზემოხსენებულს თვისებას ზოგის ასოების შუა ტანი და ვიწრო გამოსულა; მაგალითად გ, ქ, ლ, უ, ლ, ც, ჭ. ამავე დროს მეტის-მეტად უმსგავსოთ გაბერვიათ შუა ტანი ასოებს: ბ, მ, შ, წ, ჭ, ჩ, ყ, ს, ხ, და სხვათა. აგრეთვე აქამომდე კეკლუცად და ამაყად ყელმოღერებულ ასო-ებს ბ, მ, ძ, ნ, ზ, შ, წ, ჩ შუა ტანის წყალმანკობით თავები დასჭლექებიათ, დასღნობიათ და თავმოძულებულებსავით; აგერ ჰა, ამიერ ქვეყანისაგან ხელის აღებას აპირებენ: რავი ამ გა-ბერილ ტანზე თავი არ მებმის, რაღას გაქნევ სიცოცხლესაო! ჰე, წუთო სოფელო, ასოების სიამაყეც შეგშურდა.

იქნება ერთი გვითხრან, რომ ქართულს შრიფტს შეუძლია სულ ასომთავრულის ხასიათი მიეცეს, როგორც ევრო-პიულს ანბანსა აქვს; ესე იგი სულ შუა ტანში მოექცეს და აწეულ-ჩამოწეული ნაწილები სრულიად გარეთ აღარ ადიოდ-ჩამოდიოდეს; თან-და-თან ამ გვარი შრიფტიც შემუშავდებაო და მკითხველიც შეეჩვევაო.

ამის პასუხად უნდა დავიხსომოთ ისა, რომ 1) სტამბის შემოღების დროს, ყოველს ხალხში ის გამოსახულება მიუღია სანბეჭდავს ასოს, რაც შემოღების დროს წმინდა წერით უხმა-რიათ. 2) ასე შემოღებული საბეჭდი ანბანი ძალიან მცირედ

შეცვლილა, თუმცა რამდენსამე საუკუნეს გაუვლია და ერთი და იგივე ხასიათი შეუნახავს უფრო მკვიდრათ, ვიდრე სტამბის შემოღებამდე იყო. ამის მსგავსად ქართული საბეჭდი (და თან საწერის) ანბანის გამოსახულობა 1700 წლებიდგან ერთი და იგივე დარჩენილა. 3) ქართულს ანბანს წერის დროს სხვა წესით უნდება კალმის მოხაზულობა, როგორც აზიურ წერაშია, ესე იგი ასო მარჯვნივ მაღლა იწყება და ჩამოხაზვის შემდეგ მიიმართება მარცხენას მხარეს. ევროპიულ ასოთ მოხაზვა სულ უკუღმაა, ესე იგი მაღლა მარცხნიდამ მარჯვენისაკენ მიემართება. თუმცა ათასმა წელმა გაიარა რაც ქართულს წერა-კითხვას იგივე წყობა აქვს, როგორც ევროპიულს და მარცხენიდამ მარჯვენისაკენ მიყოლებით მიდის, მაგრამ ასოების მოსმა-მოხაზულობა, რაღაცა უცნაურის კანონის მედგრობით, აზიისა შეირჩინა და არ დაემორჩილა ხელის მოძრაობას ისე, როგორც ევროპიული ასოების მოსმა-მოხაზულობა. თითქმის ასოთა გადაბმაში და ერთმანეთთან შეერთებაშიაც კი ეს თავისი განსხვავებული წესი შეიმუშავა. ეს განსაკუთრებული მიდრეკილება, რასაკვირველია, პირველად მიღებულს მოსმა-მოხაზვისაგან მომხდარა და აგრეთვე იმ რთულ ასოთა ხვეულ გამოსახულებებისაგან, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. რაკი ერთხელ ეს განსაკუთრებული სახე მიეცა ქართულს მრგვალსა და გაბმულს წერასა, და საბეჭდავათაც მიღებულ იქმნა, ამით ქართული ანბანი უმეტესად უფრო უცვალებლობის ხასიათს იჩემებს, ვიდრე ევროპიულს საბეჭდ ანბანს დასჩემდა სტამბის შემოღების შემდეგ.

ბოლოს, რაც შეეხება იმის თქმას, რომ მკითხველი შეეჩვევა ახალს შრიფტსაო, ეს ძალიან უიმედო საბუთია. ჯერ ჩვენში მრავალი დაბრკოლება ხვდება ხალხში წერა-კითხვის

გრცლად მოფენასა და მაშასადამე უნდა ვეცადნეთ ყოველ სიმნელის და დაბრკოლების აცდენასა. უნდა ვიფიქროთ მკითხველი არის შრიფტისათვის, თუ შრიფტი მკითხველისათვის? თუ საბუთად შეჩვევა მოვიტანოთ, იქნება ზოგის აზრიც მისადებად შეიძლებოდეს, რომ კარგი იქმნებაო ლათინური ანბანი შემოვიღოთო, ან იქნება იმისთანაც გამოჩნდეს, რომ უსლარის რუსულ-კავკასიური ასო არჩიოს, რომელიც მან შეადგინა უანბანო მთიულებისათვის. რას იზამდა ქართველი მკითხველი? ეს დაბეჭდილი წიგნები დარჩებოდა თაგვების საზრდოთ და სტამბიდამ რო არა გამოსულიყო რა, მწიგნობრობა ათასის წლის შემოღებულის წერით იმუშავებდა ისევე, როგორც უმუშავნია და დღეს ამ ჩვენს დროს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ბეჭდვაზედ მომატებითა მუშაობს. სტამბის მეიროვასი სარგებლობა კი ჩვენთვის გამოუყენებლად დარჩებოდა.

ბატონ ლორთქიფანიძის შრიფტზე მოგვიხდა ასე ვრცლად ლაპარაკი იმის გამო, რომ რაოდენადმე გაგვერჩია იგი, გამოგვერკვია ქართული ანბანის გამოსახულების დედა კანონები და მომავალს დროს შრიფტის თუ საწერ დედანის შემდგენლები აგვეცდინა ახალს შეცდომასა. სანანურია შრომა და ხარჯი ბატონის ლორთქიფანიძისა და წულუკიძისა, მაგრამ რა ვქნათ, შეცდომას ვერვინ ასცდება, ვისაც რისამე გაკეთება სურს. მეტი ღონე არ არის, ამ შრიფტს თავი უნდა დავანებოთ, თორემ დაყინება ჩვენ შეგვრჩება და წიგნების გავრცელებას და კითხვას კი სხვა სიძნელესთან ესეც დაემატება.

„ვეფხვის ტყაოსნის“ ამ გამოცემაზე ერთი სათქმელი დაგვრჩა. ყდაზე განცხადებაა „ფასი სურათით ათი შაური“. ქალაქში მიღებულ წიგნს კი სურათი არა აქვს. არ ვიცით ეს

შეცდომაა თუ არა. თუ ასე არ არის, რაღა საჭიროა ამის-თანა განცხადება; რა საჭირო იყო მეექვსე გამოცემის შე-ცდომის განასხლება.

საზოგადოდ, თუმცა დიდის სიამოვნებით ვეგებებით ქუ-თაისში დაწყებულ წიგნების ბეჭდვას, მაგრამ „ვეფხვის ტყა-ოსნის“ გამოცემაზე უნდა ვთქვათ მოხსენებულ ნაკლულევანე-ბათა გამო, რომ ყველა წინათ გამოცემულს დაუვარდება ღირ-სებითა. ვწუხართ რაღა ამ უკვდავ თხზულებას დაემართა პირ-ველად ქუთაისში გმოსვლაზე.

ქართული კლასიკები. ჩახრუხაძე. გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან. № 1. თბილისი, 1883 წ. ალ. ღრევგიჩისა და არ. კალანდაძის სტამბა 8^0, 20 გვერდი. ფასი ერთი აბაზი. (და თავზედ აწერია) ძველი მწერლობა, დაწერილი 1187 წელსა.

ეს „ძველი მწერლობა, დაწერილი“ უარესის ბედისა ყოფი-ლა, ვიდრე ქუთაისში გამოცემული „ვეფხვის ტყაოსანი“. ვგონებთ ქართულს ენაზე არც ერთს ნაწერს მოკლე ლექსიკო-ნი და მეტადრე ახსნა მრთელის ლექსებისა, მრთელის სტრი-ქონებისა, არ უნდოდეს ისე როგორც ჩახრუხაძეს და შავთელს უნდება. სანამდისინ კარგა არ გაისინჯებოდეს ტექსტი, სანამ განმარტება არ ექმნება ამ ნაწერებსა, მანამდის ლექსების რახა-რუხის მეტს ვერას გამორჩება მკითხველი; ვერც აზრს გამოა-რკვევს ნაწილ-ნაწილად, ვერც მათ შეკავშირებას ერთი-ერთმა-ნერთთან, ვერც დედა აზრს მრთელის თხზულებისას.

ამიტომ ამ ორის მწერლის ნაწერის გამოცემისათვის ჯერ ხელ-ნაწერების საკმაოდ მოპოვება და ტექსტის აღდგენაა საჭირო და მერე კარგი შემუშავება განმარტებისა ძველის მწერლობის მცოდნე კაცებისაგან. მარტო ლექსიკონი, (როგორც ჰგონებს გამომცემელი) არაფერს გააადვილებს, ამიტომ ძველად ნაბეჭდის გადმობეჭდა არაფერს არ უშველის არც მკითხველს, არც მწერლობას, რომლის დახმარებაც ეგულება ბატონ ჭიჭინაძეს.

ჩახრუხაძის ლექსები გადმობეჭდილია, (გამომცემელი ამბობს, შეთანხმებულიაო), პლატონ იოსელიანის გამოცემულის 1838 წ. და ჩუბინაშვილის «ქრისტომატიაში» 1863 წ. დაბეჭდილის ტექსტიდამ. ამის გამო რაც მაშინ შეცდომა ყოფილა, ყოველივე ისე დარჩენილა, დასასვენებელი ნიშნებიც კი; ზოგი ადგილი უფრო უარესად დამახინჯებულა, მაგალითად მეათე სანა ანუ ტაეპი ავიღოთ:

«მით ლხინი თქვენი იყო სამ-შუჭნი, ალვაბს და მუშობვს,
დასულტნებულად,»

და სხვანი. ჩუბინაშვილს აქვს ,,სამშვენი" და ახლა დაბეჭდილში ორ სიტყვად გამოსულა. არ ვიცი რა მნიშვნელობის მალით. მას უკან რა არის ეს მძიმეები ყველგან ჩაჩხირებული. ამავე სანაშია: «სწრაფით მოხარკე, იქმნას მოხარკე, თავის მონები, მით შემლებულად", სრულებით გასაგები არ არის. ნამდვილად კი ასე უნდა იყოს: «სწრაფით მოჭხარ-კე—იქმნას მოხარკე, თავის მმონები მით შეძლებულად". ამისთანებს ბევრგან კორრექტურის შეცდომაც დართობია.

საზოგადოდ ამ გვარი შეცდომანი და ზემოხსენებული ნაკლულევანებანი ამ ბროშურას წასაკითხად შეუძლებელსა ხდიან.

ზ. ჭიჭინაძეს ერთი უცნაური ჭირი სჭირს. ყოველ თავის გამოცემულ ბროშურას ბოლოში ან ყდის ფურცელზე უკანასიტყვაობა გაუკეთოს და შიგ ჩაურთოს მეტის-მეტი არეულ-დარეული აზრი, ვიღასთანაც შებასსება, რაღაცა ბუზღუნი, მედიდურობა და ყველა ესეები ჭრელის, შიგნიტიკურის მჭევრმეტყველობით გამოწყობილი. ამ «ქართველ კლასიკების» პირველ ნომერსაც წინა-უკანა სიტყვაობა აქვს დართული, რომლიდამაც შეიძლება გამოვწუროთ მხოლოდ ორიოდე ცნობა ჩასრუხაძეზე და სხვა კი, უკაცრავად გასლავართ, არაფერს გვეუბნება.

რა არის ეს «ძველი მწერლობა, დაწერილი 1187 წ. ანუ «ქართველი კლასიკების» პირველი ნომერი? ტყუილადა ჰგონებია ზ. ჭიჭინაძეს ჩასრუხაძე ქართველ კლასსიკად და მის ჯვარ მწერლების გამოცემას შესდგომია.

მაგრამ ჩვენ ფიქრათაც არა გვაქვს ბატონ გამომცემელს მოვთხოვოთ ამისი ასრულება და ამის გამო სამდურავი მივაგოთ, ან წინ-დაუხედველი კიცხვა. კიცხვა, დაცინვა, ხანდისხან უწყალო და შეუბრალებელი ზოგჯერ სიმართლის იარაღია; მაგრამ ზოგჯერ კი სიბრიყვისა, გაუშინჯველობისა და ველურის უმეცრების თავხედობაა. ამ უკანასკნელის თვისების უსამართლობა ჭიჭინაძეს რამდენჯერმე მისდგომია და ამაში მოზიარედ ყოფნის სურვილი თვით უშვერებად მიგვაჩნია.

ბატონი ზაქარია ჭიჭინაძე რამდენიმე წელიწადია ქართულის მწიგნობრობისათვის შრომობს, წელიწადში რამდენიმე ბროშურა გამოდის იმისის ხარჯით. იმას აქვს ქართული პატარა წიგნის მაღაზია, რომელშიაც თვითონვე ვაჭრობს; აგროვებს ხელნაწერ წიგნებს და კარგა ბლომად მისგან შეგროვილი წიგნები ახლა ,,წერა-კითხვის საზოგადოების'' ბიბლიოთეკას ეკუთვნის; რაც უსწავლია თავის-თავად უსწავლია ქართულად

და იმისთანა ღარიბის ღონისძიებით, რომელსაც ჩვენი ცხოვრება აძლევს. რაღა იქმა უნდა რომ ამისთანა ღარიბ გარემოებაში გამოსულს ძალიან ძნელად მოეთხოვება ის კრიტიკული მხედველობა და აზრის შემუშავება, რომელიც სისტემატიურის სწავლით, მდიდარის მწერლობის შესწავლით, გახსნილის ცხოვრებით და სხვით ამისთანით მოიპოვება. თუ ეს არ იპოვება ვისშიმე და ჰხედავთ კეთილ მოწადინებას, კეთილს სურვილს შრომისას, ნუ თუ ამაების წინაშე ნაკლულევანების და შეცდომის ნახვა თქვენში არ გამოიწვევს სხვას უფრო სათნოებიანს გრძნობას, თავ-ხედურის მოპყრობის მეტსა?

რასაკვირველია ჭიჭინაძის გამოცემულს წიგნებში ბევრი მოუხერხებლობა, აურჩევლობა და შეცდომა არის. ჩვენ შეგვიძლია შენიშვნა მივცეთ ბატონ ჭიჭინაძეს, რომ გამომცემლობის და მწერლობის შრომა სხვა და სხვა არის. იმისი კეთილი განზრახვა გამომცემლობას ეკუთვნის და რამდენადაც ეცდება, მით უკეთესი. ახლა კი ვიტყვით რომ თავისი გამომცემლობითი მეცადინეობა არ მოანდომოს უეჭველად წვრილს, უეჭველად მაურიანს ბროშურებს. სჯობს ცოტა დაიბეჭდოს წიგნი, თუნდა პატარა ბროშურებიც იყოს, ოღონდ კი შინაგანი ღირსება ჰქონდეს. რიცხვის სიმრავლეს სიკეთის სიმრავლე სჯობს. უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზადდეს კარგად, დიდ-ხანს, ვიდრე ორმოცი და ხელ-დახელ მომზადებული და უვარგისი.

ამ შინაგანის ღირსებისათვის მას ეჭირება მწერლობის მცოდნე, შეგნებულის და ნასწავლის კაცების დახმარება, დასაბეჭდ წიგნის ამორჩევიდამ და შემუშავებიდამ დაწყებული, უბრალო კორრექტურის დაჭერამდის. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ნასწავლს კაცებში თუ მწერლებში რაოდენიმე ნაწილი მოიპოვება, რომელიც მოისურვებს ამ გვარ შრომასა.

თუ ასე არ იქნა და ჭიჭინაძის გამომცემლობამ ძველსავე გზაზე იარა, მისი კეთილი განზრახვა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამ შემთხვევაში დაგვრჩება ერთ-ერთის თქმა: ან სულ კაცი არა გვყოლია ამ გვარის მუშაობისათვის მომზადებულიო, ან ჭიჭინაძეს არ ესმის მწერლობის მნიშვნელობაო.

ნუ თუ დაწინაურებულთ ქართველ განათლებულ და ნასწავლთა ძალ ღონე, მწერლების ნიჭი და ცოდნა, ქართული ენის მასწავლებელთა გამოცდილება და შემეცნილი სწავლა ენისა, სულ მარტოდ-მარტო ჟურნალ-გაზეთებს უნდება? ნუ თუ ასე მცირეა, ასე უღონოა რომ წლის წლობამდის თითო-ოროოდე გამოსაცემ წიგნის შემუშავება არ შეეძლოს და ეს ლიტერატურული ჯაფაც გამომცემლების ხელში უნდა დარჩეს?

ან, ნუ თუ ჭიჭინაძე არ ისურვებს უკეთესად წარიმართოს მისი გამომცემლობითი შრომა?

ა. უ.

სერგეი მესხი.

მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში საგლოვო ამბავი გაისმა აბასთუმნის (ოძრხის) წყლებიდამ ქართულის მწერლობის ერთგულის მუშაკის, სერგეი მესხის გარდაცვალებისა. ყოველი ქართველი, ვისაც კი თავი არ დავიწყებია, ვინც მწერლობის მოყვარეა, ვინც საზოგადო საქმის წარმატების მსურველია, ყველა ერთგვარად შემსჭვალა ამ მწუხარების ამბავმა. ყველას გულში ერთი რაღაც რამ საყვარელი და სამეგობრო ჩასწყდა, რაღაცა დაუბრუნებელის დანაკარგის სიმწარე ჩაეწვეთა. ეს გრძნობა არა ჰგავდა განცვიფრებასა, რომელიც დიდებულის საქმეების მომქმედის წინაშე იბადება, არ ჰგავდა ხარკსა მოტანილსა ბრწყინვალე სხივოსანის სახელოვნების წინაშე; ეს იყო ყველაზე წინად სიმწარე დაკოდილის გულისა, საყვარელის კაცის დაკარგვისაგან დაბადებული, მეგობრის სიყვარულის სასოწარკვეთილება; მერმე ეს იყო მადლობის ცრემლი, დაღვრილი თავ-დაუზოგველად ქვეყნისათვის მშრომელისა და მზრუნველის საფლავზე.

ღირსიც იყო ამ ძვირფასის ცრემლისა, ამ ყოველ მოღვაწისთვის უძვირფასესის ჯილდო—გვირგვინისა.

თოთხმეტი წელიწადი მუშაკად უდგა ჩვენს მწერლობასა, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალ-ღონე, თავის ცხოვრების

მოსვენება და ბოლოს, პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველის კაცისა, თავისი ჯანის სიმრთელე.

ჩვენის მწერლობის მდგომარეობა და მერე მუდამ დღიური გაზეთისა მოითხოვდა ამდენს მსხვერპლსა თავის წინმსვლელობისთვის, დ ამისთანა მსხვერპლის მოტანა შეიძლო სერგეი მესხმა.

«დროება» იყო ერთად-ერთი დღე-გამოშვებითი გამოცემა, რომელიც აგერ ჩვიდმეტი წელიწადია გამოდიოდა შეუწყვეტლად. იგი, როგორც გაზეთის წესია, ვალდებული იყო ჩვენს მუდამ დღიურს ცხოვრებას თავს დასტრიალებოდა, აღენიშნა ცხოვრების მოვლინება და მიეცა მკითხველის მსჯელობისათვის ახსნა და ხელსამძღვანებელი მიმართულება. ამას მომატებული შრომა, ცოდნა, მოხერხება და გამოცდილება უნდოდა, მეტადრე მის გამო რომ ჩვენს ღარიბ ცხოვრებაში და ღარიბ ლიტერატურაში გაზეთი ახალი საქმე იყო. მართალია ერთი მწერალი არ მოიპოვება ჩვენში, რომ «დროებაში» მონაწილეობა არ ჰქონოდეს ან ხანგრძლივი, ან მცირესხნობით: ყველანი ეწეოდნენ მას; მაგრამ მუდამ გვერდ მდგომი, გაზეთის მუდამ დღიურის ყოველგვარ შრომის მტვირთველი ცამეტ-თოთხმეტ წელს მარტო სერგეი მესხი იყო.

ამ გვარი შრომა მართლა მომატებულს თავგანწირულებას მოითხოვდა, მომატებულს გატაცებულებას კეთილის აზრით, მომატებულ უანგარობას ესლანდელს დროში. ერთის მხრით მესხი ხედავდა დაუდევრობას შეჩვეულს, ზარმაცს, გულ-გრილს, გულაცრუებულს რაზმს ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილისასა, რომელიც დაწინაურებულა განათლებით, და მეორეს მხრით—საზოგადოების ძილს, უმეცრებას დ საზოგადო ინტერესების გაუგებრობას. ძნელი იყო ამისთანა მდგომარეობაში

თავის გატანა მწერლობის ასპარეზზედ; მესხმა მხნე მეომარსავით აიას გვარად დაბრკოლებულს და ეკლიანს გზაში გამოატარა პირველი ქართული გაზეთი. დიახ, კარგი სულის სიმხნე და მედგრობა უნდა ჰქონოდა მის გამომტარებელსა, რომ მარტოობის დროს, გარს გულგრილობის დროს, უსიამოვნობათა, ნაკლებულობათა და შრომის ტვირითა სიმძიმით სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა. მაგრამ მესხმა ძნელი გზა ღიმილით გაიარა და გაზეთის გამოტანასთან იმავე ღიმილით დალია სული. იცოდა, რომ ტყუილად არ ჩაიარა მისმა შრომამ, მისი ღიმილი ამას ნიშნავდა.

მართლადაც დღეს უწმინდესი ცრემლი მადლობისა ჰნამავს მისს უდროვო საფლავს.

და რა მძვირფასი ცრემლია ეს ცრემლი. იგი მოწმობს, რომ ჩვენის საზოგადოების გული აფასებს მისთვის შრომასა, მისთვის მშრომელსა, მაშასადამე მოზიარეა, თანამგრძნობელია სიტყვით და საქმით მისთვის მოღვაწეთა შრომაში. ეს ცრემლი დამოწმებაა საზოგადოების თავის მცნობელობისა.

ამისთანა გარემოება ყოვლის ხალხის ცხოვრების იმედის მომცემია და მის მუშაკისათვის უაღრესი ჯილდოა. ჯილდოა მით კი არა, რომ მართლა რომელსამე მშრომელს პატივისცემა მიაპყრა; არა, ჯილდოა მით რომ საზოგადოება აფასებს საქვეყნო შრომასა, საქვეყნოდ აცხადებს მისს საჭიროებასა და მერმე [იმდენად გონება გახსნია ჩვენს საზოგადოებას, რომ მწერლობას საქვეყნო საქმედ აღიარებს, საქვეყნო მძვირფას განძად მიაჩნია.]

რომელისამე ხალხის და საზოგადოების ცხოვრებაში ამ თვით-მცნობელობის მოპოება დიდად შესამჩნევი ნაბიჯია წინ მსვლელობისა. სერგეი მესხი იყო ერთი მუშაკი ამ წინმსვლე-

ლობისა, და აგერ კეთილშობილურმა გრძნობამ საზოგადოებისამ კიდეც ამიტომ გადაუხადა თავისი მადლობა უწმინდესის ცრემლითა.

დაფასება, გარკვევა მესხის და «დროების» შრომისა მომავალს დროს ეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ, როგორც თანამედროვეს, აღვნიშნოთ ზოგი რამ, რომელსაც გამოიწვევს შეწყვეტა მოღვაწე კაცის მოქმედებისა, მისი სიკვდილი. შეგვიძლია აღვნიშნოთ მოღვაწე კაცის გავლილი გზა, აღვნიშნოთ, რაც სათქმელად დღეს მოსახერხებელია და რაც ღირსად გვგონია. რასაც თანამედროვე იტყვის, ის მომავალის დამფასებელისათვის მასალა იქნება.

სერგეი მესხის შრომის დასაფასებელი მასალა თვით «დროებაა», რომელსაც ის ჰმართავდა ცამეტ-თოთხმეტს წელსა, ამ გაზეთის თავ-გადასავალი, მესხის თავ-გადასავალია; მათი ჭირი და ლხინი ერთი და იგივეა.

დასაწყისი «დროების» გამოცემისა მესხს არ ეკუთვნის. ძნელი სატკივრებით იშვა ეს მეხუთე შვილი ქართულის მწერლობისა*). გაზეთის გამოცემის აზრი დაიბადა «საქართველოს მოამბის» შეყენებასთან, მაგრამ იმ ჟამად ვერ მოხერხდა. რამდენისამე ხნის შემდეგ საამხანაგო სტამბა გამართეს ბატონმა ნიკოლოზ ღოღობერიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, სტეფანე მელიქიშვილმა და კასტანგ თულაშვილმა, რომელშიც ბ. ღოღობერიძის და თულაშვილის მოწადინება იყო გაზეთის ბეჭდვა,

*) დროგამოშვებითი გამოცემანი მანამდის იყვნენ: ქართული გაზეთი 1820 წ., „ტფილისის უწყებანი“ სოლომონ დოდაშვილისა 1832, „ცისკარი“ 1852. და „საქართველოს მოამბე“ 1863.

ამისთვის მოამზადეს, მიხეილ ყიფიანის შედგენილი, ახალი შრიფტი. რედაქტორად მოიწვიეს გიორგი წერეთელი. კარგა ხნის მეცადინეობის შემდეგ ნებართვა მიეცა რედაქტორობისა წერეთელს და გამომცემლობისა სტეფანე მელიქიშვილს, და 1866 წ. მარტის 4-ს გამოვიდა „დროების“ პირველი ნომე-რი.

ადვილი არ იყო პირველს წლებს ქართული გაზეთის გა-მოცემა, თუმცა კვირაში ერთხელ უნდა გამოსულიყო. სულ პირველი შრომა ყოველს საქმეში ბევრს სიმარჯვეს, შეჩვევას, მომზადებას, ბევრს ხელსა და თავს ითხოვს. ესენი ყოველივე ნაკლები იყო ჩვენში და მთელი შრომა ზემოხსენებულთ პირთ უნდა ეკისრნათ, თუ გამოცემის მხრით თუ წერით და თუ საქმის მოწყობით. წერის მხრით, ყველაზე მომეტებული შრო-მა თვით რედაქტორს აწვა, თუმცა ბატონ ბაქრაძეს შესამჩნევი შრომა ჰქონდა; წერა კიდევ ბევრის მხრით იყო გაძნელებული, როგორც გარეშე გარემოებათაგან, აგრეთვე თვით შინაგანის მწერლობის მხრით. მაგალითად, საპოლიტიკო ამბების მხო-ლოდ ამოკრება მმართველობის ოფიციალურ გაზეთებიდამ შე-იძლებოდა; ტერმინებს შემუშავება უნდებოდა; კორრესპონდენ-ტები ჯერ არ შეჩვეულიყვნენ ცნობების გამოგზავნას; ბო-ლოს თვით ქალაქში თანამშრომლები, შემთხვევითი დამხმარეც იშვიათად ჩანდნენ. მთელი ნომრების შედგენა, თარგმნა, მისი კორრექტურა და გაგზავნა რედაქტორს აწვა კისრად. თუმცა მერე და მერე კორრესპონდენტები და მწერლები თანდათან ნელ-ნელა ემატებოდნენ, მაგრამ მაინც მესამე წელს გიორგი წერე-თელი უკვე ღონე მილეული იყო, მეტადრე მის გამო რომ იმ წელს (1868) სასოფლო გაზეთი დაიფუძნა და შრომა გაუ-ორკეცდა. ამის-გამო საჭირო იყო წერეთელს თანამშრომელი

ჰპოვნა და 1869 წ. მოიწვიეს ქუთაისიდამ სერგეი მესხი, რომელმაც 17 აპრილიდამ იკისრა დროებითი რედაქტორობა. აქედამ იწყება მესხის მუდმივი შრომა „დროებაში“, რომელშიაც დაიწყო ქუთაისიდამ კორესპონდენციის წერა თითქმის წლის წინად (ლაზარე მესხის შვილის სახელით, „დროება“ № 18, 1868 წ. მაისის 3); იმავე დროს გადასცა მესხს „სასოფლო-გაზეთი“. რომელსაც ის ჰმართავდა 1869 წ. მაისის 3-დგან, ვიდრე 20 სექტემბრამდე; შემდეგ ამისა რედაქტორობა წერეთელმა მიიღო. «დროების» რედაქტორობა მესხს დაუმტკიცდა 1870 წ., ოქტომბრის 9-დგან.

ნივთიერს ღონისძიებას რომ მივხედოთ, პირველ წლებში ამ რედაქტორების ყოფა უკიდურესს მდგომარეობაში იყო. წერეთელს ჰქონდა თვეში სამი თუმანი და მის შემდეგ მესხს ოთხი თუმანი. ამისაგამო ისინი იძულებულნი იყვნენ რედაქტორობის შრომასთან მოეპოვათ გაკვეთილები. «სასოფლო გაზეთის» გამოცემამ შემდეგ რაოდენიმე ღონის-ძიება მისცა, რომ შეემცირებინათ გაკვეთილების ტვირთი. გიორგი წერეთელმა თუმცა გადასცა მესხს „დროება“, მაგრამ ისევე თავისი ზრუნვა, ლიტერატურული და ნივთიერი დახმარება შეუწყვეტელად მოანდომა თავის პირმშო შვილსა. ყოველი მოპოვებული სახსარი, რასაც „სასოფლო გაზეთი“ აძლევდა, ან სასწავლებლებში მასწავლებლობა ქართულის ენისა, ან სხვა ღონისძიება, რომლის მოპოვებაში მოხერხებული იყო წერეთელი, ყველას დაუზოგველად ხელღიობით უყოფდა „დროებას“ 1873 წლის შემოდგომამდე. 1870 წლიდგან „დროებას“ ეხმარებოდა სარჯით ერთი შეძლებული ყმაწვილი კაცი სტეფ. ზარათოვი. მელიქიშვილის სტამბაც საკმაო შეღავათს უჩენდა.

ყოველივე ეს რაოდენსამე ღონისძიებას აძლევდა „დრო-

ბას“ ნელ-ნელა წარმატებაში შესულიყო, და მესხი გულმოდგინებით შეუდგა თავის საქმესა და ცდილობდა მოეპოვებინა მწერლები. ამისთვის ქალაქში ახალისებდა მცნობ ახალ-გაზდებს და ქალაქს გარეთ კორრესპონდენტებთან მიწერ-მოწერას ჰმართავდა; ამით მან ბევრი კორრესპონდენტი იშოვნა, მეტადრე იმერეთში. საზოგადოდ მესხის გულგაშლილობა, მშვიდი ხასიათი, გულწრფელობა, მოსწრებული მოსაზრება, ყველასთან გულის გაერთება, სალიტერატურო საქმის ერთგულებასთან შეერთებული, იზიდავდა ახალ-და-ახალ მშრომელს გაზეთში მონაწილეობისათვის. ამით, რასაკვირველია, გაზეთს სიცხოველე მოემატა, მრავალფეროვნება და ინტერესი. 1870 წლიდგან ამ გაცხოველებაში შესამჩნევი მონაწილეობა ეკუთვნოდა ბ. ნიკოლაძეს (ნ. სკანდელს), რომელიც სამწუხაროდ შემდეგ და შემდეგ ხანებში პოლემიკურმა თავდაუჭერლობის ჭირმა გადიყოლია. თუმცა ჯერ ბევრი რამ აკლდა „დროებასა“, მაგრამ ერთი უძნელესი პირველი ნაბიჯი გადასდგა და ცხოვრებაში ფეხი გაიმაგრა. საზოგადოთ ამ პირველ შრომაში იმერელმა ყმაწვილმა კაცებმა კარგი ღვაწლი დასდეს.

მართლა და მწერლობის საქმეში, როგორც ყოველსავე ცხოვრების საქმეში, დიდი ადგილი უჭირავს სიმარდეს, სიცქვიტეს, სისწრაფეს, მოხერხებულობას. გაძნელებულს მდგომარეობაში ეს თვისებანი ხშირად ნიჭის ადგილს იჭერენ. ვერავინ იტყვის, რომ ნიჭით ქართლ-კახელები და იმერლები ერთმანერთს დაუვარდებოდნენ, მაგრამ იმერლებს სიცქვიტე, სიმარდე შველის. მომატებულად ქართლ-კახელები იყვნენ «დროების» დაბადებამდე მწერლები, მათი მონაწილეობა წინანდელ ჟურნალებში მძიმედ მიმდინარეობდა; მწერლებიც ცოტანი იყვნენ, წერასაც ძნელად ახერხებდნენ. გაზეთის პირველს ხანებში რომ

ცქვიტი იმერლები არ მოშველებოდნენ, ძალიან მძიმეთ ივლიდა. ეს გასაგებიც არის. ქართლ-კახელი ყოველს საქმეს ისე უყურებს, როგორც ბუნებას შეუჩვევია. მიწის მოხვნა იმას ვერ წარმოუდგენია უიმისოდ, რომ ღრმა მთის ოდენი ბელტები არ გადმოაბრუნოს გუთანმა; ამისთანა გუთანს რვა უღელი უნდება; მოდი და გუთნეულის თადარიგს ნუ იქ. იმერელი მოავლებს კავს ხელსა, ერთს უღელს შეაბამს, და ცერის ოდნათ მოხოხნის. ასე ადვილდება საქმე იმერელს და უმძიმს ქართლ-კახელს. ნუ დაივიწყებთ რომ ამ ბუნების თვისებასთან, ისტორიულს ცხოვრებაში მომატებული მუშაობა და ტვირთი აწვა ქართლ-კახეთს, ვიდრე იმერეთს. ამის-გამო ქართლ-კახეთი უფრო მოილალა, ვიდრე იმერეთი, რომელსაც სპარსების და ლეკების კვეთება იშვიათად ხვდებოდა. რამდენსამე თაობას შესვენებაში უნდა გაევლო, რომ დაღალული ნერვები შემაგრებოდა და ახალის ღონით გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზობისათვის. ქვეყნის საბედნიეროდ ყოველგან იპოვება ხოლმე ერთ-ერთი ნაწილი, ან კუნჭული თვითოეულის ქვეყნისა და თემისა, რომელიც მეორეს ნაწილის დაღალვის დროს გზავნის თავის შვილებსა საზოგადო საქმეთა ასპარეზზე. ამ გვარი ცვლილება მუშაკთა ყოველის ხალხის ცხოვრებაში ყოფილა და საქართველოს ისტორიაშიც ცხადათ გვინახავს.

უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში მწერლობითი შრომა ქართლ-კახეთს გაუწევია; იმერეთს და მეტადრე ბათომის სანჯახს მისთვის არა მოუტანიათ რა. მაგრამ ასე რომ ყოფილა, სულ ხომ ასე არ დარჩებოდა. მშვიდობიან ცხოვრების დროს ყოველი კუთხე მონაწილეობას იღებს საერთო, საქვეყნო მუშაობაში. ქართლ-კახელების ლიტერატურულს შრომა-

საც მოემატა დასვენებულის იმერლების შრომაცა და ამით მოემატა იმედიანი ძალა ქართულის მწერლობასაც.

ის სიმარდე და სიმსუბუქე, რომელიც ეჭირებოდა ქართულს მწერლობასა, იმერეთმა მოსცა და ქართლ-კახელ მწერლობას შეუმსუბუქა სიძნელე. მრთელი რაზმი მწერლებისა და მათ შორის მუდმივი მოღვაწე, სერგეი მესხი, იმერლები იყვნენ.

სერგეი მესხი დაიბადა 1845 წ. ოქტომბრის 12-ს, იმერეთის ნაწილში, ოკრიბის სოფელს რიონში (ქუთაისიდამ 7 ვერსტზე), უბრალო ისლით გადახურულ ხის სახლში, კერასთან, დედა-მიწაზედ. მამა მისი სვიმონ იმ დროს ძალიან ღარიბი აზნაურიშვილი იყო, რომლის მამისპაპა პაატა ერთ დროს მეფის სალთხუცესი ყოფილა. ამ გვარში ბევრნი ყოფილან წინათ მარჯვე მეომარნი და მტერთან ბრძოლის დროს ბევრს მათგანს თავი შეუწირავს ქვეყნის დაცვისათვის. სერგეი მესხის მამა სვიმონ, ღარიბი ჩინოვნიკი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი, მსახურებდა უეზდის სამართველოში პრისტავად; მცირე ჯამაგირთან, ცოტაოდენი სოფლის მამულიდამაც შემოსავალი ჰქონდა. დედა სერგეისა მაგდალინე ანდრიას ასული მარჯანიშვილისა აგრეთვე აზნაურის ქალი იყო. სერგეის დედ-მამანი თუმცა შევიწროებით სცხოვრებდა, შვილებისთვის ძალიან ზრუნავდნენ—სწავლა მიეცათ. სერგეი იყო მესამე შვილი და შვიდ წლამდე სოფელში სცხოვრობდნენ. ამ ხანებში მამას ცოტათი სარჩო მოუქონიერებია და ქუთაისში უკამერიონის ნაწილში ადგილი უყიდნია და ხის პატარა ერთ ოთახიანი სახლი დაუდგამს, რომელშიაც გადაუყვანია გასაზრდელი შვილი და მეუღლე.

პირველი სწავლა ქართულის წერა-კითხვის დედას დაუწყებინებია. ამიტომ ეს გარემოება ძვირფასად მიაჩნევია ჩვენში,

რადგანაც ღრმად რჩება შვილს დედისაგან ნასწავლი. უბრალოდ არ შეამკო გიორგი წერეთელმა მწუხარე დედის გულმკერდი, რომლისაც დასტიროდა ცხედარსა. მადლიანმა დედამ პირველ რძესთან ჩააწვეთა სიყვარული დედა-ენისა. ქართულ წერა-კითხვასთან მესხი სწავლობდა ლოცვებს და რუსულსაც. ამხნებში გამოიჩინა სიმარჯვე და 1856 წ. იანვრის შვიდს, ათის წლისა მისცეს ქუთაისის გიმნაზიაში. მესამე კლასიდამ მეშვიდემდის სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდა, ხოლო უკანასკნელ მეშვიდე კლასში მამის ხარჯით. გიმნაზიაში კარგა სწავლობდა და ბევრჯელ ბეჯითობისა და წარმატებისათვის ჯილდო ეძლეოდა. არც ერთ კლასში არ დარჩენილა. საზოგადოთ გიმნაზიაშიაც იყო ბეჯითი მოსწავლე, მშვიდი, ზრდილი, ამხანაგების მოყვარე და გამტანი, და თავაზიანი. მართალია მას ყმაწვილობით ცოტა სიამაყე, ავგულობა სჭირებია, უეცრად აინთებოდა თურმე. მაგრამ კეთილმა ხასიათმა შეამუშავა ეს მისი ნაკლულევანება და შემდეგ, გულზედ მოსვლა მაშინ იცოდა, როდესაც უსამართლობას ნახავდა. ამ შემთხვევაში ცუდს არავის დაუთმობდა: არც ამხანაგს და არც უფროსს. სალიტერატურო ასპარეზზე ეს აშილშილება და გულ-მოსულობა თუ ვისმე უნახავს, მალე დაწყნარებაც უნახავს; მაგრამ ამ აჩქარების დროს რომ ვისთვისმე თავხედური წყენა, შეურაცხება მიეყენებინოს, ვგონებთ არავის ახსოვდეს.

გიმნაზიაში ბეჯითი მოსწავლე იყო. იმის დროის ბუნებით საგნებს ასწავლიდნენ და ძალიან შეუყვარდა. კანიკულების დროს, დასვენების დროსაც ბეჯითობის და შრომის მოყვარეობას არ უტევებდა; ჯერ ისევ მეექვსე კლასში იყო, რომ კა-

ნიკულების დროს შეკრიბა ბოტანიკური და მინერალოგიური კოლლექცია გიმნაზიის კაბინეთისათვის.

1863 წ. ივნისში შეასრულა გიმნაზიის კურსი კარგად და სახელმწიფო ხარჯით პეტერბურღის უნივერსიტეტში დანიშნული იქმნა კავკასიის სტიპენდიატათ. უნივერსიტეტში შევიდა ბუნებით საგნების ფაკულტეტზე; ოთხ წელიწადზე დაასრულა 1867 წელს ნამდვილ სტუდენტის ხარისხით და აგვისტოში დაბრუნდა ქუთაისს. პეტერბურღში სტუდენტები იცნობდნენ, როგორც მხიარულს ამხანაგს და, ვგონებ, არავის ფიქრადაც არ მოსვლოდეს, რომ მომავალში ის შეიქმნებოდა სალიტერატურო შრომის ერთგული მტვირთველი.

მართლა დასრულებასთან პირველად სამსახურში იქმნა მოწოდებული ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგებლობაში, სეკრეტრის თანამდებობაზე. ამ ადგილზედ ვერ მოთავსდა, თუ უფროსთან უსიამოვნობის გამო იყო ექვს თვეს, შემდეგ თავი დაანება სამსახურსა. თავიდამვე, მესხს მასწავლებლობა სურდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ ადგილი ვერ იშოვნა. ამ ხანებში გიორგი წერეთელი ქუთაისში იყო და მოიწვია დროებით რედაქტორათ. მესხი გადმოსახლდა ტფილისს, მიიღო დროებითი რედაქტორობა და ამასთან მათემატიკის მასწავლებლობა წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელშიაც თუ არ ვსცდებით წელიწადზე მეტი არ დაუყვია, რადგანაც ორის თანამდებობის ასრულება ვერ მოეხერხებინა.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, მესხმა დროებითის მართვის შემდეგ სრულიად მიიღო გაზეთის რედაქტორობა. იმისმა მონაწილეობამ «დროებას» მართლა საგაზეთო ინტერესი მისცა, გააცხოველა და ახალ-ახალი მწერლები მოუპოვა თუ ქალაქში, თუ ქალაქ გარეთ. ოთხის წლის შრომის შემდეგ

მოისურვა ცოტა დასვენება და საზღვარ-გარეთ წავიდა 1873 წ. ივლისის დამდეგს. ის სცხოვრებდა შვეიცარიაში და საფრანგეთში თოთხმეტიოდე თვე 1874 წ. ოქტომბრის დამდეგამდე.

ამ ხანებში დროებით ჰმართავდა «დროებას» ბ. კირილე ლორთქიფანიძე და თანამშრომლობდა დავით მიქელაძე, რომელიც წინად პარიჟიდამ კორრესპონდენციებს იწერებოდა.

დაბრუნების შემდეგ მესხმა განახლებულის ხალისით და ევროპაში ნახულის შესწავლით მიჰყო ხელი „დროებას“. წამოსვლის შემდეგ მესხი სწერდა თავის გამოტანილს შთაბეჭდილებაზე: საფრანგეთი მიჩვენებდა იმის მაგალითს — თუ როგორ უნდა ცდილობდეს, რამდენ მსხვერპლს უნდა სწირავდეს ყოველი კერძო პირი და მთელი ხალხი, თუ კი ჰსურს, რომ უბედურის, საზოგადოების დამამცირებელის მდგომარეობიდამ თავი დაიხსნას და უკეთეს წარმატების გზას დაადგეს». შვეიცარიას «სამშობლოს თავგადადებით სიყვარულმა, თავისუფლებამ და გაუწყვეტელმა მოუსვენარმა შრომამ — შედარებით ბედნიერი და კეთილი ცხოვრება მიანიჭა მას». აქ ჩვენში თვალწინ გვეშლებათ „საზოგადო სამშობლოსა და საზოგადო საქმეების ზრუნვის მაგიერ—პიროვნებითი სარგებლობის სამსახური, სიყვარულის მაგიერ—სიძულვილი, შრომის მაგიერ — უზრუნველობა, იმედის მაგიერ—სასო-წარკვეთილება.» ამ შედარების შემდეგ მესხი აკვირდება ჩვენ ცხოვრებასა და ამბობს, რომ ერთ-წელიწადში არამც თუ მთელი ხალხი, თვითოეული კაციც კი ვერ გამოიცვლის საზოგადო ნაკლულევანებასა. უცხო ქვეყნის გაცნობამ და ხალხების შრომის დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო შემაყვარაო, ამიტომ რომ „საუკეთესო მომავალის იმედი და ენერგია აღძრა ჩემშიაო»... ეს იმე-

დები იქმნება ჩემი წინამძღომელი და ქნერგის ჩემი საქმის წინ წამწყვიო». («დროება» 1874, წ. ოქტომბრის 4-ს).

მართლადაც მესხმა შემდეგის 1875 წლითგან მოასწორა თავისი შრომა, თუმცა შესამჩნევი სახსარი არაფერი არ ჩანდა, კვირაში სამჯერ გამოცემა დაიწყო; გაზეთის მისცა მომატებული ინტერესი, მომატებული სიადვილე და მომატებული სიფხიზლე.

ამავე წელს ზამთარში შეირთო თავის სიყვარულის საგანი, გაზეთის გამომცემლის სტეფანე მელიქიშვილის და, ბატონი ეკატერინე, რომელიც ერთგული მეგობარი იყო მესხისა უკანასკნელ წამამდის ყოველს ჭირში და ლხინში. ამ დამოყვრებამ მელიქიშვილის ოჯახთან მესხს და მის «დროებას» კარგი სამსახური გაუწია არა ერთს და ორს გაჭირვებაში, არამედ მთელის წლების განმავლობაში, ვიდრე გაზეთი ამ წელს სხვათ გადაეცემოდაო. სტეფანე მელიქიშვილის გამომცემლობა მარტო სახელით არ იყო; [illegible] თავს გარდა (1872 და 1873 წლებში, როდესაც გ. წერეთლის სტამბაში გამოდიოდა) მთელს დანარჩენს წლებს გამომცემლის სტამბაში იბეჭდებოდა თითქმის უფასოდ. უმელიქიშვილოდ „დროებას“ იქნება დიდი განსაცდელი დასდგომოდა.

სერგეის მეუღლე თანამშრომელი იყო ყოველს მისს მუშაობაში, მეტადრე როდესაც 1876 წ. ივნისის თვიდამ „დროება“ მუდამ დღიურ გაზეთად შეიქმნა, რედაქტორს მუდამ თანამშრომლად მარტო ბატონი ეკატერინე ჰყავდა თარგმნაშიაც, კორექტურის დაწერაშიაც და გაზეთის ექსპედიციაშიაც. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულს მწერლობაში, რომ ცოლ-ქმართ სალიტერატურო შრომა ერთად გაეწიათ.

აქ საჭიროა თანამშრომლებზე რამოდენიმე აზრი კიდევ

დაუმატოთ წინათ მოხსენებულზე. მესხის ხასიათი, როგორც ვთქვით, მართლად აადვილებდა ახალ თანამშრომელთ მოპოებასა; ყველას, ვისაც კი გაზეთში წერით მონაწილეობა ჰსურდა, მესხი სიყვარულით და თავაზით ეგებებოდა; თითქმის ამ თავაზს მეტის-მეტად აჭარბებდა, ისე რომ ზოგჯერ გაზეთში თავის უფლებასაც მას უთმობდა და ემორჩილებოდა. მიზეზი ადვილად გასაგებია, ლიტერატურულის ძალის სიმცირე, მწერალთა რიცხვმცირეობა. ისტორიულის ყამთავითარების გამოისობით, მწერლობა ჯერ ისეთს მდგომარეობაში არ შესულა, რომ ლიტერატურულმა შრომამ მოღვაწე გაანთავისუფლოს სარჩოს ზრუნვისაგან და თვითონ ამ წერამ არჩინოს კაცი. თვით რედაქტორი გაზეთისა თავის მუდამ დღიურ შრომის სასყიდელსაც ვერ ირგებს და იშვიათად გამოვა, იქნება ისიც ხილად მოუხდეს, რომ თვეში ოცდა ხუთი მანეთი როგორმე გამოსძებნოს კორრექტორის საქირავებლად. ამასთან ჩვენი დაწინაურებული ნაწილი განათლებულ, ნასწავლ საზოგადოებისა თვითონ მცირეა, ლუკმა პურის შოვნაში სრულიად ივიწყებს თავის ზნეობითს მნიშვნელობას, ივიწყებს, რომ რაც უნდა გაჭირებაში იყოს, მაინც ქვეყნის, საზოგადო საქმის და ამასთან მწერლობის ზრუნვა მისი მოვალეობაა.

ეს იყო მიზეზი და ეხლაც არის, რომ მწერლობაში მუშაობს ბევრჯერ უწვრთელი კალამი, შეუმუშავებელი ხასიათი, დაუმჯდარი გონება და მსუბუქ ფრთიანი აზროვნება. ხშირად მძიმედ დატვირთული რედაქტორი, რომლისაც მთელი არსება შთანთქმულია გამოცემის გარეგანის მხრით აღსრულებაში, რომ მუდამ დღე ან მუდამ თვე უეჭველად ამდენი და ამდენი დაბეჭდილი თაბახი გამოსცეს, მოსაზრებასაც ჰკარგავს და იძულებულია გაურჩეველი წერილი დასაბეჭდათ გადასცეს. ეს

დიდი ნაკლულევანება არ ასცდა მესხსა და მის გაზეთსაც. „დროებაში“ არამც თუ შემთხვევით მოსული ამბავი, ან ვრცელი წერილი გვხვდებოდა უხამსო, ზოგჯერ მრთელის თვეობით რომელისამე მწერლის ნაწარმოებსა ვხედავდით, რომელსაც არც თვით რედაქტორი ეთანხმებოდა, არც მართლა რომლისამე ჭეშმარიტების ასახსნელი იყო, არამედ მხოლოდ მწერლის ყინიანობის მოსაკლავი ვარჯიშობა და თავ-მომწონეობა იყო. ამ შემთხვევაში ზოგ იმისთანა საგანს, რასაც მცირე მნიშვნელობა აქვს მწერლობისა და საზოგადოების წარმატებისათვის, ისეთი დიდი ადგილი ეძლეოდა, რომ მწერლის ბასსა და ცილობას მხოლოდ აზრების შეჩერება, არევ-დარევა და ნისლის მოდება შეეძლო. მხილების დროს პიროვნებასაც ადგებოდა სასტიკი, უსამართლო კიცხვა, მერე ზოგჯერ იმისთანა პიროვნობას, რომლის მხილება, ჩვენისთანა უწვრთნელ, უმეცარ საზოგადოებაში, ათჯერ უნდა გაიზომოს და ერთხელ გამოიჭრას. აჩემებულს ბანკზე ლაპარაკს გარდა, ბევრ საქმეებში ჩნდებოდა მოუხერხებელი და მწერლობისთვის უხამსო წერილები. დამჯდარის მოსაზრების ნაცვლად, მწერლობის პირუთნებელს და მტკიცე სიტყვის ნაცვლად, ისმოდა ყინი და გულისთქმა, გულმოსულობა, რადათიც მოწყლული თავმომწონეობა.

სამწუხარო იყო მეტადრე ის გარემოება, რომ შემოვიდა ჩვეულებად არა თუ საქმის და მოქმედების მხილება და გარჩევა, არამედ პიროვნების შეხება, შეურაცხყოფა, რომელიც მწერლობის ღირსების დამდაბლებელია და გაუხსნელს საზოგადოებაში ზნეობის გამრყვნელი.

მესხი გატაცებული იყო ზოგჯერ ამ გვარის მწერლების თანამშრომლობით. შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ გვარი დათრგუნვა

პიროვნობისა, მხილების სახელით, მწერლობის გამრყვნელი იქნებოდა. რამოდენიმე ნაწილი ჩვენის მწერლებისა უკმაყოფილო იყო «დროების» მოხსენებულ შემცდარ გზაზე დადგომაზე და ზოგჯერ მრთელის წლობით მონაწილეობას არ იღებდა გაზეთში. ესევე იყო მიზეზი გაზეთის «ივერიის» დაფუძნების-1877 წ. ლიტერატურის ღირსების და წმინდა მნიშვნელობის დაცვისათვის. მესხი დარწმუნდა და დაინახა რომ საზოგადოებაში სიმართლის მოყვარეობას და ლიტერატურის წმინდა მოვალეობასაც სხვა მხრით უყურებენ. ძველს კილოს ცრუ მხილებისას თავი მიანება და იშვიათად თუ წამოსცდებოდა რამ. ახლა ის თვითონ ებრძოდა იმ მწერლებს, რომელნიც მის გაზეთს წინად თავის ჯინის მოსაკლავ საშუალებათ ხმარობდნენ.

ეს მხარეც გვიჩვენებს მესხის გულ-წრფელს და სიმართლის მოყვარეობას, რომლის გულისთვის ისევ თავის შეცდომის გასწორებას ამჯობინებდა, ვიდრე დაჟინებას წინათ შეცდომაში. ეს გარემოება იყო დამხმარე რომ 1880 წელს გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» შეერთდა. „დროება“ ამ დროდგან წინანდელზე მოზდილის ზომისა შეიქმნა, როგორც დღეს გამოდის. პირველს წელს რამდენმამე თანამშრომელმა მოუხშირა წერა და წარმატება დაეტყო. მუდმივი, ფაქტიურად თავზე მდგომი რედაქტორი ისევ მესხი იყო; მეორეს წელს «ივერია» ისევ ცალკეთ, მუდამ-თვიურ ჟურნალად გადიქცა და 1882 წლიდგან «დროება» მარტო მესხის რედაქტორობით გამოდიოდა. ამ ორის გამოცემის გაყრის მიზეზი, ლიტერატურული უთანხმოება არ ყოფილა, თუმცა კი რამდენიმე შეცდომა მოუვიდა მესხსა; საქმე გამოცემათა გარეგანს მოხერხებას და ნივთიერად მართვას შეეხებოდა. დასამტკიცებელი ამის საბუთი

ის არის, რომ «დროებისა და «ივერიისა» თანამშრომელნი ერთნი და იგინივე იყვნენ.

ნივთიერი მხარე «დროების» რედაქციისა გაჭირებულს მდგომარეობაში იყო და შარშან 1882 წლის ნახევრიდამ მესხი დიდს ზრუნვაში იმყოფებოდა საქმის მოსაგვარებლად. ვალები ექვსას თუმნამდის ავიდა, დროთა ვითარება ფულის შოვნას აძნელებდა და რედაქტორს მუდამ ფიქრი აწუხებდა, გაზეთი არ შედგესო. ყოველი მეცადინეობა და მოსაზრება ამაოდ დარჩა, მაგრამ მაინც მესხი იმდენად მოხერხებულად მოიქცა, რომ წლის დამლევამდე მოაღწევინა, როდესაც ხელის მოწერას შეემძლო შეღავათის მიცემა. ბევრი ნაკლებულობა გამოიარა ამ ზრუნვასთან და წლის ბოლოს ქრისტესშობის თვეში ავათმყოფობა გამოაჩნდა, ხველება და მარჯვენა მკლავის ტეხა, რომელიც ხუთვას, რევმატიზმს, ემსგავსებოდა.

ამ წლის დამდეგიდამ ხველება, სისუსტე და მკლავის ხუთვა თან-და-თან უმძიერდებოდა, ისე, რომ ბოლოს თებერვლიდამ რამდენჯერმე ქვეშაგებში ამყოფებდა მრთელის კვირებით და თვით. ამ დროს «დროებას» ჰმართავდა მისი უმცროსი ძმა დავით და ხან იონა მეუნარგია. მესხმა ნახა რომ თვითონ მუშაობა აღარ შეეძლო, ექიმები და გარს მყოფნი ურჩევდნენ საფუძვლიანად წამლობასა. ამის-გამო მოისურვა გაზეთის გადაცემა. მოლაპარაკება ჰქონდა მწერლებთან, რომელთაც უნდა ეკისრნათ გაზეთის ვალებიცა; ეს გარემოება აძნელებდა ახალის რედაქტორის მოპოებასა და აწუხებდა მესხსაც. ბოლოს იძულებული იყო შეეყენებინა რამდენისამე დღით, აპრილის 29-დგან ვიდრე მაისის 8-მდე, როდესაც ახალის რედაქტორის თ. ივანე მაჩაბლის ხელში და გამომცემლის გიორგი ქართველიშვილის ხელში გადავიდა.

მაისის ცხრას საზოგადოებამ და ტფილისში მყოფმა მწერლებმა გამოთხოვების სადილით პატივი სცეს მესხსა და გულწრფელის სიყვარულით, მადლობის გრძნობით ესალმებოდნენ და იმედი ჰქონდათ მისის მორჩენისა ახალის შრომისათვის.

თურმე ამაო იყო ეს იმედი. ყველამ ნახა მესხი ამ დღეს ისეთის ღონე მიწყვეტით, ისეთის მწუხარე სახით, რომ თითქმის ავადმყოფობის დროსაც არ ყოფილა; წინადღეებში თითქოს მოკეთდა. ეტყობოდა, ამ მოწყენილ გამოსახულებაში ერთად ისახებოდა ავადმყოფობის სატანჯველიც, საყვარელ ასპარეზის დაშორებაც და იქმნება წინასწარ გრძნობილი დაშორება სამუდამო.

მაგრამ მესხი საზოგადოდ იმედიანად იყო ამ ზაფხულს ავადმყოფობისაგან განთავისუფლებაზე; მერე ნივთიერი ჩემი გარემოება უნდა მოვაწყოვო და ამავე დროს პლანებს აწყობდა ისევ სალიტერატურო შრომისათვის.

მაისის 12-ს გაემგზავრა ქუთაისს და რამდენისამე დღის შემდეგ მთელის ოჯახობით გადავიდა რიონს, თავის სოფელში, რომელიც მას მეტად უყვარდა და თითქმის მუდამ ზაფხულობით რამდენსამე კვირას ატარებდა. რიონში დარჩა ივლისის დამდეგამდე. ამ ხნის განმავლობაში ორიოდ დღის გარდა, თუმცა ქვეშაგებში არ წოლილა, მაგრამ, ავათ იყო, მეტადრე მთელის ივნისის წვიმებისაგან. დაღვრემილი იყო და მოწყენილი, თუმცა ცდილობდა დედისა და ცოლისათვის არ შეემჩნევინებინა სატკივრების სიმწარე. ბოლოს ივნისის დამდეგს დაიჟინა აბასთუმნის წყლებზე წასვლა, რომელიც ტფილისის ექიმებმა ურჩიეს. 3-ს ივლისს,

როდესაც ცოტათი მომჯობინდა, გაემგზავრა აბასთუმანს. იქ ექიმებმა დაუშალეს წყლებში ბანაობა.

აბასთუმანში 20 ივლისამდე მესხი ფეხზე იყო, თუმცა მწარე ტკივილი მკლავისა და ბეჭისა არ შესდგომია. ექიმების აზრით სერგეი მესხი ავათმყოფობა ანევრიზმი იყო და ხუთის წლის წინად მოსვლია. რა ხარისხშიაც მესხის ავადმყოფობა იყო, ექიმების აზრით მორჩენა აღარ შეიძლებოდა. 20 ივლისს ლოგინში ჩაწვა, რადგანაც ხველება და ნერწყვთან სისხლის ამოსვლა დააწყებინა. ამან ძალიან შეაწუხა მესხი. ამ დღეს და ღამეს ხველებამ და სისხლის ამოსვლამ ძალიან შეაწუხა. 21-ნასადილევს პირველი საათი იქნებოდა, ძალიან წამოახველა და საშინელი სატკივრები მოუვიდა; წამოიძახა, რაღაცა გამისქდა გულშიო. მეორედ წამოხველებამ იგი გაათავა მეოთხე საათის ნახევარზე. 24 საათში ისე შეიცვალა უკანასკნელ სატკივრებისაგან, რომ ძნელი საცნობი იყო. აბასთუმნიდამ ცხედარი გადაიტანეს ზეკარის-ხეობით ბაღდათზე, ქუთაისს, სადაც 24 ივლისს წირვა და პანაშვიდი გადუხადეს. მეორე დღეს 25-ს მიასვენეს რიონს და იქ დაასაფლავეს. ყველგან საზოგადოებამ თავისის თანაგრძნობით პატივი სცა მიცვალებულსა აბასთუმანში, გზაზე სოფლებში, ქუთაისს და რიონს. მრავალი გვირგვინები მოუტანა თავის პატივის-ცემის ნიშნად თუ საზოგადოებამ, თუ მწერლობამ *) და ითქვა რამდენიმე გულმხურვალე სიტყვა.

---

*) „ივერიის" მხრით გვირგვინის მიტანა თითონ რედაქტორს ილ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, რომელმაც ტფილისს გარეთ ყოფნის გამო; გვიან მიიღო ცნობა დასაფლავების დროსა და ადგილის თაობაზე და ამის გამო მოსცდა.

ასე გათავდა სერგეი მესხის მოღვაწეობა და სიცოცხლე.

როდესაც დავაკვირდებით მესხის ნაღვაწევს, სწორედ დავეთანხმებით მის ნათქვამს სიტყვას, რომელიც გამოთხოვების ჟამს, მაისის 8-ს უთხრა თავის მკითხველებს: პირველად რომ ერთგული იყო იმ დიდ საქმის აღსრულებაში, რომელიც მან იკისრა და მეორე რომ ბოროტ განზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს მის სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არ გადაუხვევია იმ გზიდამ, რომელიც მისის სინიდისით და გაგებით სწორედ რომ ნამდვილ გზად მიაჩნდა. ეს იყო მისი აღსარება და ამას ყოველი ეთანხმება, როდესაც მისნი ბაგენი ვერას იტყვიან.

ძნელი სალიტერატურო გასავლელი გზა გაიარა ამ ცხოვრებისა და უმეტესად ჩვენში გაძნელებული მრავალ-გვართა ისტორიულთა და ცხოვრების გარემოებათა მიზეზით. გიორგი წერეთლის სიტყვისა არ იყოს «კვირის-კვირობამდის, თვის-თვეობამდის, დღე-ნიადაგ უძილობას, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა... ვერც ერთი თქვენგანი იმ საშინელ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს.» დილა გათენებიდამ თავ აუღებელი ჯდომა წერისათვის და ამასთან რედაქციაში მრავალ მომავალთან მოტანილ წერილების გამო ლაპარაკი და ახსნა, საღამოს გამოგზავნილ ხელ-ნაწერების და წერილთ მომზადება დილისათვის, თვით გაზეთის გაგზავნის მუშაობა, კორექტურა, ესენი დღე მუდამ ძალას აკლებდა მესხსა და ბოლოს მისუსტებულის ხელიდამ სალიტერატურო დროშა დააშვებინა.

თოთხმეტ წელს მისმა შეუწყვეტელმა შრომამ რა მოახერხა, რა ღვაწლი დასდვა ჩვენს მწერლობას—სიტყვით მსუბუქად ითქმის, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია და იშვიათ მხნეო-

ბას გვიჩვენებს განსაკუთრებით ჩვენს ცხოვრებაში. მესხს დაეხმარა ამაში ის დიდი ბეჯითობა, რომელიც მან გიმნაზიაში და უნივერსიტეტში შეიმუშავა.

რაც უნდა ნაკლულევანებანი ჰქონოდა მის გაზეთსა, იგი მაინც ერთად ერთი გაზეთი იყო, რომელიც შეუწყვეტლად მესხის შრომით აჩვენებდა ერთის მხრით ქართველ საზოგადოებას ცხოვრების თვალის მიდევნებას და მოსაზრებას, აჩვენებდა კითხვას, და მასთანადვე მისს ცნობიერებას, გონებითს მწყურვალებას საზრდოს აძლევდა შეძლებისა დაგვარად. ქუთაისის ვაჭრების წარმომადგენლის ბ. ცერცვაძის მჭევრმეტყველურის პირით გამოითქვა ჩვენი მკითხველის აზრი: ბევრმა ჩვენგანმა მხოლოდ მაშინ დაინახა თავი ქვეყნის სარკეში, მაშინ გაიცნო თავი, როდესაც გაზეთი გავიცანითო... ბევრმა ჩვენთაგანმა რომელნიც ჩხირით ძლივს არჩევდნენ ნაწერს ასოებს, ახლა შეიყვარა გაზეთი; ადრე საქართველოს კუთხეებიც არ ვიცოდით ახლა მთელ ქვეყანას ვიცნობთო. თუ დავუახლოვდით სწავლა განათლებას ამის მიზეზი მესხი იქნება, რადგანაც გაზეთის საშუალებით ჩვენს გულში ჩაჰყარა საძირკველი სწავლა-განათლების სურვილისა.—ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთის მოღვაწეობას მკითხველისათვის.

მეორეს მხრით თვით მწერლობას გაზეთის სიმუდმივემ მოუპოვა მწერლები და მათი რიცხვი გაამრავლა. ამ შემთხვევაში როგორც მოვიხსენიეთ, გაზეთის მესხის მიმზიდველმა ხასიათმა კარგი სამსახური გაუწია; ამასთან, მწერლობის დანიშნულების წმინდა მიმზიდველობას გარდა, ზედ მოქმედება ჰქონდა მწერლებზე თვით მესხის ნიადაგ შრომის მაგალითს და მის მხნეობას.

მწერლობის შრომას გარდა, მესხი საზოგადო საქმეებში

თავის მონაწილეობითაც იღვწოდა. თითქმის ყოველ საზოგადო საქმეში მას უმუშავნია, როგორც საზოგადოების წევრს და მოქალაქეს. თეატრის დაფუძნებამდის შინაურ წარმოდგენის გამართვა იქნებოდა, თუ დასწრება წერა-კითხვის, დრამატიულ საზოგადოების ან სხვა კომიტეტებში, ან თფილისის ქალაქის რჩევაში (დუმაში) ან ბათუმის გუბერნიაში, ქობულეთის დამშეულების მიშველებისათვის გამგზავრება და სხვა და სხვა—ყველა საქმეებში, რომელიც კი მოაზრე და მზრუნველ კაცის მონაწილეობას მოითხოვდა, ყველგან ესწრებოდა, რომ შეძლებისა დაგვარად დახმარებოდა საქვეყნო კეთილ განზრახვასა. მოლაპარაკებაში და რჩევაში ყოველთვის კარგი მონაწილეობა ჰქონდა თავისის პრაქტიკულის, მოსწრებულის მოსაზრებით. წინ დახედულობით და სიფრთხილით; საქმის დაწყებაში და გაკეთებაში მალე მიხვედრილი და სწრაფი. ამ გვარად მესხი არა თუ დანაკლისია მწერლობისათვის, არამედ თვით პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც.

საზოგადოდ ამ კაცზე ვგონებთ უტყუარი სიტყვა იყოს რომ ვთქვათ; დღევანდლამდე, ჩვენს საუკუნეს ქართულს მწერლობაში სერგეი მესხს მუდმივის შრომით ვერავინ შეედრება.

ერთმა ჩვენის საუკუნის გამოჩენილმა ევროპიელმა სთქვა, „გენიოსობა—ეს ყოველისფრობააო; გარნა უშრომლად გენიოსიც არა-რააო“. მართლა რა არის გენიოსობა, თუ არ წარმომადგენელობა, მრთელის ხანგრძლივის წარმატებისათვის, პროფესიისათვის შრომისა და მოღვაწეობისა. გენიოსობა გამომთქმელია, შემკრებია წინათ ნაშრომ ნაღვაწევისა. მაშასადამე ყოველი გულწრფელი და ერთგული მუშაკი ნაწილია მომავალის მბრწყინვალე გენიოსობისა. დიდი დიდება და სახელი გენიოსისა, დიდე-

ბა და სახელის მისი წინა მუშაკისა. სადაც არ იქნება მუშაკი, იქ არც გენიოსი გაიბადება.

სერგეი მესხი იყო ამ კეთილ მუშაკთაგანი, რომელთა ღვაწლი ეწევა ცხოვრების წინ მსვლელობასა და შემდეგ ჰბადებს გენიოსებსა. პატივისცემა და მადლობა ჩამომავლობისა მათ გვირგვინად ედგმის და ეს გვირგვინი ბრწყინვალედ გაუნათებს მოზარდთა ახალ თაობათა გასავლელ გზასა. საუკუნოდ გადავა ხსენება მათის საქმისა და ერთის თაობიდამ მეორეზე გადავა მათი მაგალითი. ერთი ამ გვარ მოღვაწეთაგანი იქნება სერგეი მესხი.

საუკუნო იყავნ სახსენებელი მისი.

პ. უ.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთ-წარმოება.

1882 წლის 15 მაისიდამ 1883 წლის 15 მაისამდე.

საზოგადოებაში ირიცხება 319 წევრი. პირველს წელიწადს საზოგადოების დაფუძნებისას იყო 245 წევრი, მეორეს 282, მესამეს—311 და წელს ირიცხება 319. ამ რიცხვიდამ დამფუძნებელია 118, მაშასადამე რვა ადგილია თავისუფალი დამფუძნებელის წევრობისა, რადგან შეუცვლელი რიცხვი მათი არის 126. საპატიო წევრი არის ერთი, არჩეული 1880 წელს, — პროფესორი დ. ი. ჩუბინაშვილი, ნამდვილნი 202 და კანდიდატნი ამ უკანასკნელთა 28 კაცი, რომელნიც დღეს უნდა აირჩიოს საზოგადო კრებამ ნამდვილ საზოგადოების წევრად.

ამ საანგარიშო წელს დააკლდა დამფუძნებელ წევრთა რიცხვს ორი წარჩინებული წევრი, რომელნიც გარდაიცვალნენ: უგანათლებულესი კ—ნა ეკატირინე ალექსანდრეს ასული დადიანისა და თ. გრ. დ. ორბელიანი.

ორმა წევრმა თავის ნებით დაანება თავი წევრობას—დამფუძნებლობას.

საზოგადოების მმართველობას შეადგენენ: თავსმჯდომარე საზოგადოებისა და მმართველობისა თ. იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი, თავსმჯდომარის ამხანაგი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

წევრნი მმართველობისა ნ. ზ. ცხვედაძე. ი. ს. გოგებაშვილი, თ. ი გ. მაჩაბელი, ა. ი. სარაჯიშვილი. გ. დ. ქართველიშვილი, თ. გ. მ. თუმანიშვილი, ს. ს. მესხი და მღ. დიმ. ჯანაშვილი.

მმართველობის წევრთა კანდიდატებათ ითვლებიან: ბ-ნნი დ. ზ. ბაქრაძე, თ. მ. ჭავჭავაძე, ლ. მღებრიშვილი და ეკატ. გაბაშვილისა.

საზოგადოების ხაზინადარი არის გ. ქართველიშვილი, სეკრეტარი ა. სარაჯიშვილი და საქმის მწარმოებელი გრ. ყიფშიძე.

საზოგადოების მმართველობის მოქმედება.

წარსულის წლის ყრილობამ, რომელიც 6 ივნისს მოხდა, დაამტკიცა შემდეგი სია ხარჯისა საანგარიშო წლისათვის:

1. სასწავლო ნივთების, წიგნების სასყიდლად	500 მან.
2. ბათუმის სკოლისათვის — — —	1500 —
3 ქირა კანცელარიის ოთახისა, გათბობა განათება და მოსამსახურე — —	300 —
4. პრემიებისათვის. — — — —	1000 —
5. სტიპენდიატებისათვის — — —	700 —
6. ახალის დასაარსებელის სკოლების შესაწევრად	500 —
7. წიგნების დასაბეჭდათ — — —	1000 —
8. სეკრეტარის ჯამაგირი — — —	600 —
9. კანცელარიის ხარჯი — — — —	100 —
10. გასამრჯელო წიგნების მთარგმნელთა და გადმომკეთებელთათვის — — —	900 —

11. მოულოდნელის ხარჯისათვის — — 300 —

სულ . . 7,400 მან.

მმართებლობამ წლის განმავლობაში მოახდინა სულ 24 სხდომა. სხდომაზედ თავჯდომარეობდა თ. ი. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი 5-ჯერ, თ. ი. გ. ჭავჭავაძე 11-ჯერ, ი. ს. გოგებაშვილი 6-ჯერ და გ. დ. ქართველიშვილი 1-ჯერ. დაესწრნენ სხდომას:

თ. ი. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი 5-ჯერ, თ. გ. ჭავჭავაძე 13-ჯერ, იაკ. ს. გოგებაშვილი 24-ჯერ, ნ. ზ. ცხვედაძე 18-ჯერ, გ. დ. ქართველიშვილი 17-ჯერ, გ. მ. თუმანიშვილი 12-ჯერ, ს. ს. მესხი 9-ჯერ, ა. ი. სარაჯიშვილი 9-ჯერ, თ. ი. გ. მაჩაბელი 11-ჯერ, მღვ. დ. ჯანაშვილი 8-ჯერ.

ახალი სახალხო სკოლების გამართვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში ახალის სახალხო სკოლების გახსნაზედ მმართველობა ყველაზედ უმეტესად ზრუნავდა, მაგრამ მისი ზრუნვა უნაყოფოდ დარჩა ჯერ აქამომდე უმთავრესად იმ დაბრკოლების გამო, რომელიც მას აღმოუჩინა ადგილობრივმა სახალხო სკოლის დირექციამ. როგორც კრებას მოეხსენება შარშანდელის ანგარიშიდამ, ეს დაბრკოლება და უთანხმოება, რომელსაც მოჰყვა გრძელი და გაუთავებელი მიწერ-მოწერა დირექციასა და მმართველობას შორის, გამოწვეულ იქმნა დირექციის და მმართველობის სწავლების პლანის სხვა-და-სხვაობისაგამო. დირექცია უიმისოთ არ იძლევა ნება-რთვას

არც ერთის სკოლის გამართვისას, თუ საზოგადოება უშუალოდ სწავლა-განათლების მზრუნველის სწავლებით პლანს არ მიიღებს სახელმძღვანელოდ, ე. ი. თუ საზოგადოება თავის სკოლებში რუსულის სწავლებას არ დაიწყობს პირველის წლის მეორე ნახევრიდგან და თუ ყოველისფერში არ ეთანხმება სწავლა-განათლების პლანს, შედგენილს მზრუნველისაგან.

მმართველობა ამაზედ ვერ დასთანხმდა, რასაკვირველია, რადგან იგი ამით დაარღვევდა თავის წესდების მე-3 § და შეიქნებოდა პასუხისმგებელი უკანონო მოქმედებისათვის, როგორც კრებისა და საზოგადოების წინაშე, ისე უმაღლესის მთავრობის წინაშეცა. (იხ. Мн. Гос. Сов. 19 февраля 1868 г., ст. 2, и Высочайше утвержденное 22 нолбря 1873 г. мн. Госуд. Сов. объ устройствѣ учебной части на Кавказѣ и За Кавказомъ, ст. 8.)

ამ აზრით იყო მიწერილი მმართველობის-მიერ დირექციისადმი უკანასკნელი მისი ქაღალდი და ამ აზრითვე აპირობს მმართველობა შუამდგომლობას უმაღლესის მთავრობის წინაშე.

ვიდრე ამ საგანზედ საქმე გადაწყდება, საზოგადოების მოქმედება და ზრუნვა ახალის სკოლების გამართვის შესახებ, თითქმის სრულიად შეჩერებულია.

იმ ორის განაჩენის გარდა, რომელიც ს. წინარეხს და თონეთს დაედგინა სკოლების გახსნის თაობაზედ და რომელიც ბ. გუბერნატორმა კიდეც დაამტკიცა წინადვე, როგორც შარშან მოხსენდა კრებას, ორი სხვა სოფლის განაჩენები, სახელდობ: პატარძეულ ბერთ-უბნისა და სტეფანწმინდისა, არ დამტკიცდა იმ სახით, რა სახითაც მმართველობას ჰსურდა. ამას გარდა, მმართველობამ წარუდგინა გუბერნატორს განაჩენი

სკოლის გახსნის თაობაზედ ს. ხელთ-უბნისა და უკანვე იქმნა მისგან დაბრუნებული დაუმტკიცებლივ ეს განაჩენი. გუბერნატორი იწერებოდა, რომ ვიდრე ვისგანაც ჯერ არს, არ მიიღებთ ნებას სკოლის გახსნისას, მე ამ სოფლის განაჩენს არ დავამტკიცებო.

ამ მიზეზით, ხელთ-უბნის განაჩენის გარდა, «საზოგადოების» სამწერლოში არის განაჩენი ს. დიღომის საზოგადოებისაც, რომელსაც ჯერ-ჯერობით წარდგენა არ ჰღირსებია ბ. გუბერნატორთან. მმართველობა უცდის იმ დროს, ვიდრე ზემოხსენებული უთანხმოება მმართველობასა და დირექტორის შორის არ დასრულდება ასე თუ ისე.

საზოგადოების სკოლები.

ა. ბათუმის სკოლა.

ბათუმის სკოლა გამართა საზოგადოების მმართველობამ **23** მარტსა **1881** წ. პირველ ხანებში სკოლა ვერ მიდიოდა სასურველად და თავის დანიშნულებასაც ნაკლებად ასრულებდა. **1882** წ., ე. ი. შარშან საზოგადოების კრების დროს, სკოლაში მხოლოდ **32** მოსწავლე იყო. ისე რომ კრებაზე ალიძრა ბაასი მის სრულებით გაუქმებაზედ, მაგრამ უმრავლესობამ კრებისამ გარდასწყვიტა, რომ არამც თუ ბათომის სკოლა გაუქმდეს, არამედ, თუ შეძლება ნებას მისცემს საზოგადოებას, გაიმართოს მეორე სკოლაც სადმე ბათომის მაზრაში. მართლაც კრების სურვილი გამართლდა და ამ საანგარიშო წლის განმავლობაში სკოლა ჩინებულად სწარმოებდა. მასწავლებლად იყო

ბ. მოსე ნათაძე. რიცხვი მოსწავლეთა თანდათან მა-ტულობდა ენკენისთვიდამ დაწყებული, ისე რომ შუა ზამთარ-ში ავიდა 66-მდე და სკოლის სახლმა ვეღარ დაიტია ამოდენა რიცხვი სწავლის მსურველთ ბავშვებისა. მასწავლებელი იძულე-ბული შეიქმნა მოსწავლენი გაეყო ორ დასად და ერთისათვის დილით ესწავლებინა, მხოლოდ მეორისათვის შუადღის უკან. მოსწავლეთ რიცხვი ეხლა 58 არის. ამათში 27 მაჰმადიანია, 31 ქრისტიანი.

კლასი ორ განყოფილებათ არის განყოფილი. უმფროსში სწავლობს 17, უმცროსში 41. მაჰმადიანი შაგირდები ყველანი სუნიტის მოძღვრებისანი არიან, გარდა სამისა, რომელნიც შიიტის მოძღვრებას ეკუთვნიან. მათ შორის ათი ბეგია, ოთ-ხი აღა, დანარჩენები ვაჭრების და ეფენდების (მსწავლულების) შვილები არიან. ახლო-მახლო სოფლებიდგან სკოლაში სწავ-ლობს სამი მოსწავლე.

ქრისტიან მოსწავლეებში რვა აზნაურთაგანია, დანარჩენები გლეხები. ამათ რიცხვში ოთხი კათოლიკეა, დანარჩენები მართლ-მადიდებელნი. გვარტომობით ყველანი ქართველები არიან. დიდს დაბრკოლებას შეადგენს საკუთარი სკოლისათვის სახლის უქონლობა ბათუმში. ნაქირავები სახლი იშვიათად არის ხოლმე მოწყობილი გიგიენურისა და პედაგოგიურის მოთხოვ-ნილებისამებრ. აქნობამდე სკოლა სულ უვარგისი იყო ამ მხრივ თითქმის და ვერც იტევდა მოსწავლეებს. ახლა კი მმართვე-ლობის მინდობილობით მასწავლებელმა იქირავა სკოლისათვის რიგიანად მოწყობილი და კარგად საკმაო სიფართოვის სახლი. ახლა მასწავლებელი მხოლოდ დილით ასწავლის ორივ განყო-ფილებას და შუა დღის უკან თავისუფალია.

მაინც საკუთარის სახლის აშენება ბათუმში სკოლისათვის

შეადგენს ერთს პირველს საზრუნველს საგანს მმართველობისათვის. უწინდელი გუბერნატორი ბათუმისა ბ. კამაროვი დაჰპირდა მმართველობას ადგილს სასკოლო შენობისათვის, მაგრამ ეს დაპირება მის გადასვლის შემდეგ არ აღსრულებულა. ახლანდელის გუბერნატორის ბ. სმეკალოვის დროს, მმართველობის წევრს ს. ს. მესხს, რომელიც მმართველობის მინდობილობით სკოლის დასახედავად იყო ბათუმში, მიანდო ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთ საზოგადოებამ შუამდგომლობა ხსენებულის გუბერნატორის წინაშე სკოლისათვის საჭირო ადგილის გამოთხოვნის შესახებ. მცხოვრებლებს მოჰყავთ ის საბუთი თავიანთ თხოვნაში, რომ მათ ჰქონიათ ადგილიც და სკოლაც თავიანთთვის ოსმალთა-მფლობელობის დროს, და რუსთ შემოსვლის შემდეგ ეს სახლი და ადგილი დამოყნად და მის მიდამოდ გადაქცეულა.

ამის სამაგიეროდ მცხოვრებლები ითხოვენ სამაგიეროს სხვა ალაგს სადმე ბათუმშივე, ან მისს ღირებულს ფასს სკოლის სახლის ასაშენებლად და ადგილის სასყიდლად.

შუამდგომლობისა და თხოვნის ქაღალდი ამ საგნისავე შესახებ მმართველობამ თავისის მხრითაც გაუგზავნა ბ. ბათუმის გუბერნატორს და იქნება ეს საზრუნველი საგანი მმართველობისა და საზოგადოებისათვის სასურველად დაბოლოვდეს.

ამ სახით, მმართველობა აძლევს თავის თავს ნებას და თამამად ამბობს, რომ ბათუმის სკოლა თავის ნამდვილ გზას ადგია, მტკიცედ ფეხს იკიდებს იქაურს ნიადაგზედ და. თუმცა ბევრი ცდა არის კიდევ ცაჭირო, მაგრამ მაინც სკოლა თავის დანიშნულებას ნამდვილად შეასრულებს, თავის წმიდა და საღმრთო მოვალეობას მტკიცე სამსახურს გაუწევს ახლო მომავალში. ამაში არწმუნებს მმართველობას, როგორც ადგილობ-

რივ მაჰმადიან ქართველების თანაგრძნობა სკოლისადმი, ისე ადგილობრივ ქრისტიანეთა ქართველების საზოგადოებისა. უმრავლესობა პირველთა ეხლა კარგათ ჰგრძნობს, რომ სკოლა იმათთვის სასარგებლოა, ამიტომ ყველა მათგანი მიდის სკოლაში და ცდილობს თანაგრძნობა და დახმარება რამე აღმოუჩინოს. თვითონ საზოგადოებაც თავის ყურადღებას არ აკლებს ამ სკოლას: ერთის სპეკტაკლიდამ, რომელიც ბათუმის სკოლის სასარგებლოდ იქმნა იქ გამართული, შემოვიდა «საზოგადოების» კასსაში ოცი თუმანი ფული. სულ ამ უკანასკნელ დროსავე იქაურმა 28 კაცმა განაცხადა სურვილი ნამდვილ წევრად შემოსვლისათვის «საზოგადოებაში» და ზოგმა პირველის წლის ფული უკვე შემოიტანეს.

სწავლების მხრით სკოლა კარგად მიდიოდა: ყოველი საგანი გაკვეთილია და შესწავლული იმ სივრცით და ზომით, როგორც ითხოვს სასწავლო საგნის პლანი მმართველობისაგან საკუთრად ბათუმის სკოლისათვის შედგენილი და სახელმძღვანელოდ გადაცემული მასწავლებლისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს მმართველობამ აღიაროს, რომ აწინდელი ჩვენის სკოლის მასწავლებელი ბ. მოსე ნათაძე დიდათ გულ მოდგინე, გამრჯე, საქმის მოყვარე და მოხერხებული კაცი გამოდგა. მმართველობამ თავის მადლობა უკვე განუცხადა მას ამ გვარის ხალისიანის და ბეჯითის მოღვაწეობისათვის. მმართველობა სამართლიანად ხედავს, რომ საზოგადო-კრებამ რითმე დაასაჩუქროს ბათუმის მასწავლებელი.

ბ. წინარეხის სკოლა.

წინარეხის სკოლა გაიმართა 1 იანვარს 1882 წ., მა-

შასადამე ეს მეორე წელიწადია, რაც სწარმოობს. თუმცა ამ სკოლის გამართვისათვის ბევრით ადრე იყო მზად სულ ყოვე-ლისფერი: საშუალება, განაჩენიც სოფლისა თფილისის გუ-ბერნატორის მიერ დამტკიცებული, მაგრამ სკოლის გამართვა მაინც დიდხანს დაგვიანდა იმ მიზეზით, რომ თბილისის გუ-ბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ნება-რთვას არ იძ-ლეოდა და დღესაც არ მოუცია ნება-რთვა ამ სკოლის გახსნი-სათვის. ამ გვარათ სკოლა გამართა მმართველობამ იმ მოსაზ-რებით, რომ მითომ ყოველივე საჭირო ფორმალური მოთ-ხოვნილება ამ მხრივ შესრულებულიაო და სკოლის დაარსები-სათვის დაბრკოლება აღარსაიდამ არ გადაეკვლობებაო. მაგრამ, სკოლა თუმცა არსებობს, ჯერ მაინც შეწყნარებული არ არის იგი და სხვათა სკოლებთა შორის არ არის შერიცხული —სახალხო სკოლების დირექტორის მხრით.

ამ უკანასკნელმა მოსთხოვა მმართველობას, რომ მას დაეკეტნა გახსნილი სკოლა, «წინააღმდეგ შემთხვევაში მო-ვმართავ გუბერნატორს და მოვითხოვ მის დახმარებას სკო-ლის დაკეტისათვისაო», მაგრამ მმართველობამ ვერ იტვირ-თა ესა.

მმართველობამ თავით თვისით ვერ გაბედა ეს საქმე და მოთმინებით უცდიდა სხვისგან სკოლის დაკეტას და გაუქმე-ბას, მაგრამ სკოლა დღემდე უვნებლად არსებობს და თავის-თვის სწარმოებს.

მასწავლებლად იგივე ა. ფ. გაგლოშვილი იყო და არის წელსაც. შენობა სკოლისა ვერ არის კარგი, მაგრამ როგორც სოფელს, ის «საზოგადოების» მმართველობას აქვს სახეში ამ სკოლის შენობის გადაკეთება. მხოლოდ, რადგან ჯერ სკოლ

არ არის, რაც უნდა იყვეს, განონისაგან შეწყნარებული, ამისათვის იმ დრომდე, ვიდრე მას მთავრობა შეიწყნარებდეს, სკოლის შენობაზედ ხარჯის გაწევას მმართველობა მოერიდა.

სტიპენდიატები.

საზოგადოებას წელს სულ ხუთი სტიპენდიატი ჰყვანდა გორის სასულიერო სემინარიაში. სამწუხაროდ ამ ხუთს სტიპენდიატში ერთი—სახელდობრ ტიმოთე კონსტანტინოვი სამცხე-საათაბაგოდამ (ახალციხე) გარდაიცვალა 8 სეკტემბერს 1882 წ. კონსტანტინოვი იყო მესამე კლასში, წელს ასრულებდა კურს და საზოგადოების სტიპენდიატთა შორის, თვით დირექტორის სიტყვით, იყო საიმედო ახალგაზდა.

თითო სტიპენდიატს წელსაც ის ხარჯი მოუნდა რაც უწინ, 130 მ. თითოს. ამ ხარჯის გარდა ერთხანად გაუგზავნა მმართველობამ სტიპენდიატებს 40 მანეთი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სასყიდლად თითოს რვა რვა მანეთი. სტიპენდიატებს შორის ერთი სწავლობდა მესამე კლასში და ათავებს ამ წელს, ხოლო დანარჩენნი სწავლობდნენ მეორე კლასში.

ახალი წიგნების ბეჭდვა.

ამ საანგარიშო წელს მმართველობას მოუვიდა ორი წიგნი დასაბეჭდათ სახალხო და სკოლის საკითხავად გამოსადეგი და სასარგებლო სახმარებელი. ერთია მმართველობის მინდობით

გადმოთარგმნილი ა. თუმანიშვილის-მიერ საყმაწვილო საკითხავათ წიგნი რობინზონ კრუზესი იახონტოვის რედაქციით გადაკეთებული და შემოკლებული, რომელიც რუსულად გამოცემულია სანკტ-პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტისაგან, ხოლო მეორე—იგივე წიგნია უფრო ვრცლად შედგენილი დიდთათვის ანენსკოისა; ხოლო ქართულად გადმოთარგმნილი ბ. ჯაჯანაშვილის მიერ. პირველის შესახებ მმართველობამ უკვე გარდასწყვიტა დაბეჭვდა ამ ზაფხულისთვის და კლიშეს გამოწერაცა პეტერბურღის წერა-კითხვის კომიტეტისაგან ან უსასყიდლოთ, ან იაფად. ხოლო მეორე აქვს მინდობილი ერთს «საზოგადოების» წევრთაგანს ენის მხრით გადასათვალიერებლად და გასაშინჯავათ.

შემწეობა სახალხო სკოლებისათვის.

შარშანდელის დასახარჯის სიით ანუ სმეტით გადადებული იყო სახალხო სკოლების დახმარებისათვის საჭირო წიგნების და ნივთების სასყიდლად ხუთასი მანათი (500 მ.). ამ ფულით მმართველობამ შეიძინა სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო წიგნები და ნივთები და მხოლოდ ამ საანგარიშო წელს გაუგზავნა სკოლებს. შარშანაც საზოგადო კრებამ ამავე საქმისათვისავე გადასდო (500 მან.) ხუთასი მანათი კიდევ, ისე რომ ამ საანგარიშო წელს მმართველობის ხელში იყო (1000 მან.) სკოლების დასახმარებლად სახელმძღვანელო წიგნებით და ნივთებით.

მმართველობას ასე მოექცა ამ ფულს: 500 მანეთის წიგნი და სახელმძღვანელო უკვე ჰქონდა ნასყიდი, ხუთასი მანეთისაც

იყიდა და გაუგზავნა სკოლებს. მან აღმოუჩინა შემწეობა 81 სკოლას ქუთაისის გუბერნიისას. ეს შემწეობა ბევრით უფრო საჭირო იყო ქუთაისის გუბერნიის სკოლებისათვის, რასაკვირველია შედარებით, ვიდრე თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისათვის და აი რა მიზეზით: აქ თბილისის გუბერნიაში ყველა სკოლისათვის არის ღონისძიება საერთო სასკოლო ფულიდამ შემწეობა მიეცეს წიგნებით დირექციის მხრით; ქუთაისის გუბერნიაში კი სულ სხვაა. იქ დირექციას სრულებით არა აქვს თითქმის სახსარი, რომ ამ მხრით სკოლა დააკმაყოფილოს. ხოლო რომ უფრო სამართლიანად განაწილებულიყო შემწეობა, ყოველს სკოლას გაეგზავნა ხუთ შეგირდზე თითო ეგზემპლიარი: დედა-ენისა, საწერი დედანისა; საწერის ქვის ფიცრისა, და ბუნების კარისა და კალანდარიშვილის წიგნები კი ათს შაგირდზედ თითო ეგზემპლიარი, ხოლო გრიფილი თითო ცალი თითო შაგირდზე.

ამ გვარად გაეგზავნათ ამ სკოლებს მხოლოდ აუცილებლად საჭირო სახელმძღვანელო და სასწავლო ნივთთაგანი. სულ სახელმძღვანელოთა და სასწავლო ნივთთა ფასი ერთად რომ შევკეცოთ გამოვა 808 მან. 70 კაპ. ამ ხარჯს წიგნების სყიდვისას რომ დავუმატოთ ის ხარჯიც, რაც მათ გაგზავნას მოუნდა, ე. ი. 91 მან. და 58 კაპ. და 30 მან. მათ დაკაზმისათვისა, გამოვა რომ სულ წლევანდელი შემწეობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებისათვის აღმოჩენილი ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა და მმართველობის-მიერ, ფულად რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 930 მან. და 28 კაპ. ანუ ოთხმოცდა ცამეტს თუმანს და 28 კაპ.

ეს შემწეობა აღმოუჩინა 9 სკოლას ქუთაისის მაზრისას,

რომლებშიაც 553-მდე მოსწავლე ბავშვი ირიცხება; თერთმეტს სკოლას შორაპნის მაზრაში, რომლებშიაც ითვლება 179 შეგირდი; ცამეტს — რაჭის მაზრისას, რომლებშიაც სწავლობს 285 შეგირდი, ექვსს სკოლას ლეჩხუმის მაზრისას, სადაც სწავლობს 143 ბავშვი; თერთმეტს სკოლას სენაკის მაზრისას, სადაც სწავლობს 705 ბავშვზედ მომეტებული. 15 სკოლას ზუგდიდის მაზრისას, სადაც სწავლობს არა ნაკლებ 517 შეგირდისა და უკანასკნელად 16 სკოლას ოზურგეთის მაზრისას, რომლებშიაც რიცხვი მოსწავლე ბავშვებისა აღემატება 1097-ს.

როგორც ზემოდ მოვიხსენეთ შემწეობა აღმოუჩინა 84 სკოლას ქუთაისის გუბერნიისას, რომლებშიაც სულ ერთიანად რიცხვი მოსწავლეთა არ არის ნაკლებ 3479-სა. (ეს ცნობა თვით მასწავლებლებისაგან არის გამოგზავნილი «საზოგადოების» სამწერლოში და შემოწმებულია ქუთაისის დირექციისაგან გამოგზავნილ შეგირდების რიცხვთა სიით.)

თუმცა მმართველობას განზრახვა ჰქონდა ამ საანგარიშო წელს შემწეობა აღმოეჩინა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის სკოლებისათვის, რადგან ფულის სიმცირე ნებას არ მისცემდა მას სხვა სკოლებისათვისაც თბილისის გუბერნიისა რამე შემწეობა გაეწია, მაგრამ მაინც მმართველობამ შესაძლებელად დაინახა ზოგიერთი სკოლას, აქაც,—თბილისის გუბერნიაში, დახმარებოდა, თუ ეს დახმარება ძრიელ საჭირო იქნებოდა.

ამ მოსაზრებით მან გაუგზავნა წიგნები და სახელმძღვა-

ნელობი ამტნის-ხევის სკოლას თიანეთის მაზრაში და ვანა-თის სკოლას გორის მაზრაში. ეს ორივე სკოლა ,,ქრისტია-ნობის აღმადგენელ საზოგადოებას" ეკუთვნის და მათში, რო-გორც მასწავლებლები იწერებოდნენ, ქართული წიგნები არ ეგზავნებოდათ თურმე სრულიად «საზოგადოების» ინსპექტო-რის ბ-ნ ლიხაჩევის-მიერ.

აღმოჩინა აგრეთვე შემწეობა სტეფან-წმინდის კერძო-სკოლას (თერგის ხეობაში) და საჭიროებისა და გვარად ეგზა-ვნებოდა წიგნები და სასწავლო ნივთები, რასაკვირველია, ორს „საზოგადოების" საკუთარს სკოლას ბათუმისას და წინარეხი-სას.

შემოწირულობანი საზოგადოების სასარგებლოდ.

ა) თ. რ. ერისთავის-მიერ შემოწირულ იქმნა სქემა გრამმატიკისა, მისგანვე შედგენილი და გამოცემული 550 ეგ-ზემპლიარი. ბ) მისგანვე ქართული გამოცანები 900 ცალი. გ) თ. ივ. კონსტანტინეს-ძემ მუხრანსკიმ შემოაწია «საზოგა-დოების» სამწერლოს ერთი დიუჟინი ვენის სკამები. დ) გ. დ. ქართველიშვილმა შემოსწირა 100 მან. კანცელარიის გასაწყო-ბად. ე) ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექ-ტორმა—ასი ცალი ტრანსპარანტი თვის-მიერ გამოცემული. ვ) «ივერიის» რედაქციამ თავის ჟურნალის წიგნები 1882 წ. №№ 1 და 2 რიცხვით 200 ცალი. ზ) გ. მ. თუმანიშვილმა შემოსწირა ბროშურა „სტეფენსონი" 30 ცალი და თ. მიხ. ბირთველ-ძის თუმანიშვილის თხზულებას 30 ეგზემპლიარი.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.

როგორც მოეხსენება საზოგადოებას ქუთაისის სააზნაურო სკოლას განაგებს პედაგოგიურის მხრით წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობა; ხოლო ეკონომიურის მხრით გამგებლობა ამ სკოლისა შეადგენს ამ სკოლის სამზრუნველო რჩევის მოვალეობას.

ამ საანგარიშო წელს მოსამზადებელის კლასსების გარდა იქმნა გახსნილი პროგიმნაზიული კლასი. სკოლაში თუმცა მრავალი მოწაფე სწავლობს, სახელდობ 249, მაგრამ მაინც კიდევ კარგად იმართება, როგორც სჩანს ინსპექტორის წლიურის ანგარიშიდამ. ეს წლიური ანგარიში მმართველობამ განიხილა ვრცლად და საჭირო შენიშვნებითურთ გაუგზავნა ქაღალდი სკოლის ინსპექტორს. ამ ქაღალდშივე მმართველობამ გამოუცხადა მადლობა ბ. სკოლის ინსპექტორს ბეჯითად და საქმის ცოდნით და სიყვარულით სკოლის წარმოებისათვის.

ამ საანგარიშო წელს მმართველობამ მოითხოვა ვრცელი პროგრამები სასწავლებელ საგნებისა ინსპექტორისაგან, გაშინჯულ იქმნა და საჭირო შენიშვნებით უკან გაეგზავნა ინსპექტორს, რომელმაც უნდა საჭირო ცვლილებანი მოახდინოს და წარმოუდგინოს მმართველობას. თუმცა მმართველობას განზრახვა ჰქონდა გარდაეცა ეს სკოლა სრულ გამგეობაში იმ გვარივე საზოგადოებისათვის, რომელიც აქ არის შემდგარი და რომლისთანაც იქაც უნდა შემდგარიყო, მაგრამ ეს ასე ჩქარა და ადვილად ვერ მოხერხდება და ამის მიზეზით, როგორც მოსამზადებელი კლასსები, ისე თვით პირველი პროგიმნაზიული კლასი იყო ისევ-ისე ამ საანგარიშო წელშიაც «წერა-კი-

თხვის საზოგადოების» და მმართველობის სრულს გამგეობაში, რაზედაც მან მიიღო ნება-თვა კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველისაგან. მერმის გაიხსნება მეორე პროგიმნაზიული კლასი.

საზოგადოების ბიბლიოთეკა.

ამ საანგარიშო წლის «საზოგადოების» ბიბლიოთეკის გასამართებლად არა იყო რა შარშანდელის სმეტით გადადებული საზოგადო კრებისაგან. ხელ-ნაწერის წიგნების რიცხვი, ნომრობით რომ ვიანგარიშოთ, როგორც კატალოგშია მოყვანილი, შეადგენს 175 ცალს, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითო წიგნში ზოგჯერ მოთავსებულია ორისა და სამის სხვა-და-სხვა გვარის სახელის თხზულება და ნაწერი; მაშინ სულ ხელ-ნაწერთა რიცხვი აღემატება 300 ცალს. დაბეჭდილის წიგნების რიცხვი არის 100-მდე. ზოგიერთა ხელ-ნაწერი რიცხვით შვიდი, წელსაც შეიძინა მმართველობამ და ჩაურთო კატალოგში. ამას-გარდა შეიძინა რამდენიმე დაბეჭდილი წიგნიცა რუსულს ენაზედ, სახელ. Систематическій обзоръ народно-учебной литературы съ Приложеніемъ, გამოწერა ცირკულიარი კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველისა 1882 და 1883 წლისა და Семья и Школа ამ 1883 წ., პედაგოგიური ჟურნალი, რომელიც ბავშვებისათვის ცალკე გამოდის 12 წიგნი მშობელთა და აღმზრდელთათვის აგრეთვე ცალკე 10 წიგნად და თითო ბეჭდვის თაბახის სივრცითაც. ამ უკანასკნელს ნაწილს ჟურნალისას პედაგოგიური ქრონიკა ეწოდება და წელიწადში გამოდის 40 ნომრად.

საზოგადოების ანგარიშის მდგომარეობა.

წელს საზოგადოების შემოსავალი ვერ იყო საკმარისი და ამ მხრით ამ წელს ისევ წინანდელნი წელნი სჯობდენ. წევრთაგან შემოსავალი წელს სულ მცირე იყო, სახელდობრ 370 მან., როდესაც რომ უნდა შემოსულიყო 3572 მან. მაშასადამე დანარჩენი 3202 მან. ამ საანგარიშო წლისა ისევ წევრებზედ დარჩა ვალად. სამწუხაროდ ეს გარემოება მხოლოდ წელს არ შეინიშნება «საზოგადოების» შესავალ-გასავლის შესახებ. საზოგადოების წევრთ იმ თავიდამვე დაწყობილი ძალიან ნაკლებად შემოაქვთ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული და ამ რიგად ბევრად უშლიან ხელს «საზოგადოებას», როგორც ფულის ანგარიშიანობის რიგიანად მსვლელობას და წაყვანას, ისე მთლად მის მოქმედებას, რადგან თავი-და-თავი ძარღვი საზოგადოების მოქმედობისა მხოლოდ მაშინ მოვა მოძრაობაში, როდესაც ფული და შემოსავალი, როგორც წევრთაგან, ისე სხვა შემთხვევით და სამუდამო წყაროთაგან, მუდამ ხელ-შეუშლელად და უხვად ექმნება საზოგადოებას. ეხლა კი სულ სხვა გარემოებასა ვხედავთ. მაგ. საზოგადოების დაფუძნების აქეთ, 1879 წლიდამ დაწყებული აქამომდე, ამ ოთხის წლის განმავალობაში საზოგადოების წევრთაგან უნდა შემოსულიყო 13,617 მან., გარნა შემოვიდა მხოლოდ 5452 მან. და დანარჩენი კი, ე. ი. 8,165 მან. დარჩა ვალად წევრებზედ. ცხადია რომ ეს დიდს დაბრკოლებას შეადგენს საზოგადოების მოქმედებისათვის. მმართველობა ამ დაბრკოლების მოსასპობად ხმარობდა ჩვეულებრივს საშუალებას, ე. ი. წერილებს უგზავნიდა წევრებს და მოაგონებდა ხვედრის საწევრო ფულის შემოტანის საჭირო-

ბას. მაგრამ ამ საშუალებამ, როგორც ხედავს კრება, ვერ გასჭრა თითქმის სრულიად.

ამ საგანთანავე დაკავშირებული ერთი გარემოებაც, რომელიც აქ უნდა მოიხსენოს მმართველობამ. ერთის წევრის საზოგადოებისას, მმართველობის აზრით, მართებს ზოგი მის მიერ წევრთაგან შეკრებილი, ზოგიც მასზედ სხვათრივ შერიცხული 207 მან. ფული, რომელიც მას ჯერ არ წარმოუდგენია.

აგრეთვე უწინდელს ბათუმის მასწავლებელს მართებს 213 მან., რომლის გადახდა მან აღუთქვა მმართველობას წვრილ-წვრილად თავის ჯამაგირიდამ.

აქვე მოგვყავს „საზოგადოების“ წლევანდელი შემოსავალის და დანახარჯის სია, რასაკვირველია. მაგრამ ვიდრე თვით შემოსავლის და დანახარჯის სიას წარუდგენდეთ კრებას, საჭიროდ ვთვლით მოვიხსენოთ, რომ შარშანდელის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის სიით ანუ სმეტით მოსალოდნელი შემოსავალი იყო სულ 6710 მან. ხოლო მოსალოდნელი ხარჯი მაშინდელის ჯამოანგარიშებით და ვარაუდით —7400 მან. ამ საგანის გახსენება მიგვაჩნია საჭიროდ იმიტომ, რომ კრებას გაუადვილდეს შეთანხმება და შედარება მოსალოდნელისა და ნამდვილის შემოსავლისა, სავარაუდოთ ნაანგარიშევის დასახარჯისა და ნამდვილად დანახარჯისა.

ხოლო ნამდვილად რა შემოვიდა ამ წლის განმავლობაში, ან ნამდვილად რა დაიხარჯა, ჩანს «საზოგადოების» ფულის ანგარიშიდამ.

შარშანდელი წლიდამ დარჩა ფულად 5503 მან. 57 კ. შემოვიდა ამ წელს 3655 მან. 82 კ. სულ 9186—29. დაიხარჯა 4821 მან. 15 კ. ამ ჟამად კასაში 3457 — 99 კაპ. ნაღდი. ამ ფულში ურევია ანუ ზედვე მითვლილი სარგებელი-

ცა. ამას გარდა გვაქვს ა. ოვრამეტი ბილეთი მქონე მინაგანის სესხისა, ღირებული 4000 მან. 50 კ. ბ, ერთი ბილეთი, ღირებული 1000 მან. გ, ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 300 მან. და დ, ორი მომგები ბილეთი. სულ გვაქვს ფულად და ბილეთებად 8758 მან. 54 კოპ. და ორი მომგები ბილეთი.

სმეტა ანუ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავლის წლისათვის.

I. მოსალოდნელი შემოსავალი მომავლის $188^3/_4$ წლისათვის.

ა, 118 წევრთაგან-დამფუძნებელთაგან 2360 მან. ბ. 202 წევრთა ნამდვილთაგან 1212 მან. გ. წარსულის 1879, 1880 და 1881, 1882 დარჩენილი წევრებზედ ვალად 4953 მან. დ, ამ საანგარიშო წლს დარჩენილი წევრთაგან შემოუტანელი ფული 3222 მან. ე, სარგებელი საზოგადოების თანხისა 400 მ. ვ, ბალისაგან 350 მ, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან 3000 მან. ზ, საზოგადოების გამოცემათა გასყიდვისაგან 100 მან. თ, სპექტაკლიდამ 200 მან. სულ 15,797 მ.

II დასახარჯი მომავლის წლისათვის

აუცილებელი ხარჯი.

ა. ბათუმის სკოლისათვის 1700 მან. ბ, ქირა კანცელარიისა, გათბობა, განათება და მოსამსახურე 300 მან. გ,

სტიპენდიატებისათვის 414 მან. დ, სეკრეტარის ჯამაგირი 600 მან. ე, საკანცელარიო ხარჯისათვის 100 მან. სულ ხარჯი 3114 მან.

არა-სავალდებულო ხარჯი

ა. ახალის სკოლების შესაწევრად 300 მან. ბ, წიგნების დასაბეჭდათ 2000 მან. გ, პრემიებისათვის 1000 მან. დ, მოულოდნელის ხარჯისათვის 300 მან. ე, სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლად 300 მან. სულ 7,014 მან.

თავსმჯდომარის ამხანაგი თ. ი გ. ჭავჭავაძე

წევრნი:
თ. ი. მაჩაბელი
თ. გ. თუმანიშვილი
ი. გოგებაშვილი
ნ. ცხვედაძე
გ. ქართველიშვილი
მღ. დ. ჯანაშვილი

VIII ქართული მწიგნობრობა
«ვეფხვის ტყაოსანი», თხზულება შოთა რუსთველისა. გამოცემა თ. პ. გ. წულუკიძისა ქუთაისი. თ. პეტრე გ. წულუკიძის სტამბა. 1883. წ. (ფასი სურათით ათი შაური. 16° თაბახისა, 183 გ.)
ქართული კლასიკები. ჩახრუხაძე. გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან. № 1. თბილისი, 1883 წ. ალ. ღრევიჩისა და არ. კალანდაძის სტამბა 8°, 20 გვერდი. ფასი ერთი აბაზი. (და თავზედ აწერია) ძველი მწერლობა, დაწერილი 1187 წელსა. პ. უ.-სა . 139
IX სერგეი მესხი პ. უ—სა 158
X დამატება (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წ.
XI განცხადება (ყდაზედ)

რედაქციისაგან.

ამ წიგნისათვის დამზადებული «შინაური მიმოხილვა» ვერ დაიბეჭდა.

რედ.

ვისაც «ივერიის» ამ წლის ფასი სრულად არ შემოუტანია, რედაქცია ამ წიგნის შემდეგ ნომრებს «ივერიისას» აღარ გაუგზავნის, უკეთუ დანარჩენ ფულს არ წარმოადგენს.

რედ.

ი 383
1883

განცხადება.

ამა 1883 წლის ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც პირველს ოქტომბერს გადავა სიმონოვიჩის ქუჩაზე, 1-ს კლასიკურის გიმნაზიის უკან, ნაზაროვის სახლებში და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.